

# მამული

ვაზის მირში დარწეული აკვანი,
სალამურის საამური კვნესა,
გმირობის და უკვდავების ზღაპარი
ხალხში თქმული რუსთაველის ლექსად.
მამა-პაპის წმინდა სისხლით ნაბანი,
მზის სხივებით ანთებული მარად,
უფსკრულებში ჩანჩქერების ჩქაფანი,
მთებზე თოვლი, ბულბულები – ბარად.
ზოგან ირმების ჯოგია,
ზოგან არწივნი პქრიან,
არის ასეთი ქვეყანა, –
მას საქართველო ჰქვია!
თვალტანადი ქალ-ვაჟების ნათქვამი
იავნანა, ურმული და რერო,
სიცოცხლით და სიყვარულით გამთბარი
ვენახები, ყანები და მდელო.
თხილის ერთ გულს ცხრა ძმას მმურად გაუყოფს,
მას თავისთვის განა მეტი უნდა?..
სურს მოყვარეს გულის კარი გაუღოს,
სახლის კარი ღია არის მუდამ.
„ერი პურადი, გულადი“,
სტუმარს ღვთის კაცად სთვლიან-
არის ასეთი ქვეყანა, –
მას საქართველო ჰქვია!
ურმის ჭალებს შესეული ბავშვები,
ივრის ჭალებს „კაკაბი და გნოლი“
ჩვენს იმედად, მტერთა რისხვად ნაშენი
მველთამველი თბილისი და გორი.
დეკემბერში ვარდის გამოშუქება,
ნოემბერში ნარინჯების ეშხი...
წყალვარდნილებს ელსადგური უხდებათ
და ქარხნების გუგუნია მთებში.
მისი დიდების ამბავი
საუკუნეებს მიაქვთ.
არის ასეთი ქვეყანა, –
მას საქართველო ჰქვია!
აბა ვინ სთქვას: თავის მთით და ბარითა
პატარაა საქართველოს მიწა...
მზეს ეხება, ისე მაღლა ავიდა,
იალბუზით მეშვიდე ცას მისწვდა.
აუვსია, რომ დაუხვდეს გაზაფხულს,
ღვინით თასი, ყვავილებით კალთა,
სხვა ოცნება, სხვა დიდება არა სურს
მშობელ ხალხის დღეგრძელობის გარდა.
ღამით ვარსკვლავებს უღიმის,
დღისით მზეს ცეცხლისფრთიანს.
არის ასეთი ქვეყანა, –
მას საქართველო ჰქვია!

## რედაქტორის რჩეული კუთხე

მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ
რაც გადის დრო და ხანი,
მე უფრო მეტად მიყვარს
შენი პატარა ტანი.
შენი შავი თმის ბუჩქი
ეგ თეთრი შუბლის სერი,
თვალები გიშრისფერი,
ლოყები ვარდისფერი.
შენი თითები მიყვარს
ორი პატარა თითი.
ო, იცი როგორ მიყვარს
ოდნავ შეხებაც მათი.
ო, იცი როგორ მიყვარს
გამოუთქმელი ენით,
შენი გრძნობების სიღრმე,
სულის სიმაღლე შენი.
მე დარდიც მიყვარს შენი,
შენი ღიმილიც ფართო,
მე ცრემლიც მიყვარს შენი,
შენი კისკისიც მართობს.
მე შუქი მიყვარს შენი,
რა არის მისი ფასი!
მე ჩრდილიც მიყვარს შენი
მზის დაბნელების მსგავსი.
მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ,
მწვავს შენი ტრფობის ალი,
მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ
მთელი გრძნობით და ძალით.
მთელი სამყარო ვრცელი
შენით არსებობს ჩემთვის,
რაზეც კი ვფიქრობ, ყველა
თვით შენზე ფიქრი ერთვის.
ძილშიც ჩემთან ხარ სიზმრად,
ფიქრშიც ჩემთან ხარ დღისით,
გულის ძგერის ხმა მესმის,-
შენი ხმა არის ისიც.
შენთვის მივწვდები მწვერვალს
დიდების ყველა მნათობს,
დიდებას დავთმობ შენთვის,
შენთვის მწვერვალებს დავთმობ.
შენი ოცნებით ვხარობ,
შენ დარდს ვატარებ დარდად,
მე სხვა სურვილი არ მაქვს,
შენი სურვილის გარდა.
მსხვერპლი ყველაზე დიდი
მე მეჩვენება მცირედ,
რადგან შენ გსურდა იგი,
რადგან შენ შემოგწირე.
შენს მცირეოდენ წყენას,
სულ უმნიშვნელო წვრილმანს,
სდევს ჩემი სევდა დიდი,-
ჩემი ცრემლების წვიმა.
მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ,
მიყვარხარ ცხადად, მალვით,
როგორც აროდეს არვის,
არ ჰყვარებია არვინ.
ეს სიკვდილს უდრის თითქმის
ეს შეუძლოა თითქმის,
შენ ეს გეკუთვნის ყველა,
რაც სიყვარულზე ითქმის.
ძმაც ვარ, სატრფოც ვარ შენი,
მამაც, დაო და დედავ,
მე შეყვარებულს ყველას,
შენს ხატებაში ვხედავ.
სატრფოვ, შვილო და დედავ,
ჩემო ძვირფასო ცოლო,
ყველას მაგივრად ერთად,
მე შენ მიყვარხარ მხოლოდ.
რა მაბადია ქვეყნად
ამ სიყვარულზე კარგი,
ძლიერ მიყვარხარ, ძლიერ,
ვარ შენი ტრფობით შმაგი.
თუ ტრფობისათვის რამე,
ჯილდო იქნება ბოლოს,
ის შენ გეკუთვნის მარტო,
ის შენ გეკუთვნის მხოლოდ.
ნაყოფი არის მისი,
ვინც ნორჩი ნერგი დარგო,
ეს სიყვარული დიდი,
შენ შემასწავლე კარგო.

**შანდორ პეტეFი**

## 30 ოქტომბერს, კვირას, რესტორან ''ნაციონალში''

# ქუდზე კაცი «მამულის» იუბილეზე




ძვირფასო მკითხველო,

გგონია ვერ ვხვდები, თუ რა მოუსვენრობით ხსნი ფოსტის ყუთს ჩემს მოლოდინში? ან ვერ ვხედავ, გახარებული იქვე რომ გადამფურცლავ და მადლობის ნიშნად გულში მიკრავ?

მე ისიც ვიცი, თავშენახულობას რომ მიზეზობ, ნელა მკითხულობ და ჩემს ფურცლებს ხვალ და ზეგ წასაკითხად ინახავ... შენი ფოსტალიონის ზარმაცობის გამო რომ დამაგვიანდება, მესმის, რომ ჩემი ფურცლების წაკითხვას ტელეფონში გიწყებენ მეგობრები...

არ მკითხო ახლა, საიდან იციო?

- მოვიდა სიგნალი!

თქმა არ გინდა, გეცოდინება, მაგრამ მაინც შეგახსენებ: 30 ოქტომბერს, კვირას, ბრუკლინის რესტორან ,,ნაციონალში'' ჩემი იუბილის გამართვა განუზრახავთ, - ხუმრობა ხომ არაა, ორი წლისა ვარ! თანაც ,,მართლა'' ქართული პოეზიის, ქართული სიმღერის და ქართული სულის ზეიმობა იქნებაო, ყური მოვკარი, ერთმანეთს ეუბნებოდნენ.

ხოდა, შეიტანე წვლილი ჩემი გადარჩენის, გაზეთად დარჩენის საქმეში და ეწვიე ჩემი იუბილისადმი მიძღვნილ საქველმოქმედო საღამოს.

ხო, მართლა, სტუმრობისას შენს მაჯის საათზე ისრები 4-ის გასწვრივ უნდა იყოს!

ბილეთების შეძენა
შეგიძლიათ შემდეგ მისამართებზე:

**ქართული პური**
265 Neptune ave
Brooklyn, NY (718)332-8082

**კავკას-ექსპრესი**
277 Brighton Beach ave

**VIP Wireless**
1619 Grant ave, Store 16
Philadelphia, PA (215) 676-2302




**შეკვეთა ბილეთი**

☐ მსურს შევუკვეთო ,,მამულის'' იუბილეზე დასასწრები ბილეთი ____ ცალი

სახელი და გვარი ბეჭდური ასოებით

ქუჩის მისამართი და აპარტამენტის N

ქალაქი, შტატი, საფოსტო კოდი

საკონტაქტო ტელეფონი

ჩეკი ან მანი ორდერი **M. KATCHAKHIDZE** სახელზე გაფორმებული უნდა გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართზე:
P.O. BOX 13121, JERSEY CITY, NJ 07303,
ბილეთის ფასი 50 დოლარი, გთხოვთ აუცილებლად მიუთითეთ ბილეთის სასურველი რაოდენობა.

**ღონისძიება დაიწყება ზუსტად 4 საათზე, მოხდება ჩაწერა ტელეკომპანია „იმედისათვის", რის გამოც დარბაზში მოძრაობა აიკრძალება და მთელი ღონისძიების მიმდინარეობისას დარბაზი დაიკეტება. გთხოვთ საღამოს ჩაცმულობას!**

# რუსის გაცილება

გონიოსთან, იქ, სადაც სერიოზულად დაბინძურებული შავი ზღვა შედარებით სუფთად ლივლივებს, ნაპირს უზარმაზარი რუსული სადესანტო ხომალდი მოადგა, რომელსაც ცოტა ხანში უკანა სარქველი ახადეს. თითქოს უშველებელ ურჩხულს დაეღოს პირი, ხომალდის ვეებერთელა სტომაქი გალაქტიკებში არსებული „შავი ხვრელივით“ უძირო გამოჩნდა.

ცოტა ხნის შემდეგ იმ „შავ ხვრელში“ ერთმანეთის მიყოლებით შედიოდნენ ერთ დროს გამაოგნებელი სამხედრო ძლიერების მადემონსტრირებელი მუხლუხა ტანკები „T-70“ და „T-72“, რომლებსაც ამჟამად არა იმდენად ტექნიკური, არამედ უფრო იდეოლოგიური სიძველის ელფერი დაჰკრავდათ.

ჟურნალისტების წინაშე გამოჩნდა საქართველოს სამხედრო მინისტრი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გახარებული იყო, მაინც ვერაფრით უხერხებდა თავის ბოლომდე გამომეტყველებას, რომელსაც ერთმანეთთან ახლოს ჩამჯდარი შავი მრგვალი თვალები და ოდნავ ჩამოგრძელებული ოთხკუთხა ნიკაპი კიდევ უფრო აძლიერებდა.

- ისტორიამ ჩვენ გვარგუნა ამ დიდებული მისიის შესრულება. სრულიად საქართველოს ვულოცავ ამ ბედნიერ დღეს, - ცხვირში ედუდღუნებოდა იგი განსხვავებულემბლემიან მიკროფონებით აღჭურვილ ჟურნალისტებს, რომლებიც მის ირგვლივ ირეოდნენ, გნისუბდნენ და შეკითხვების დასმას ერთმანეთს ასწრებდნენ, - საქართველო თავისუფალია, ამიერიდან ჩვენს ქვეყანას გარედან ვერავინ მოახვევს თავს მის ნებას. აღსრულდა ქართველი ხალხის ორასაუკუნოვანი ოცნება, - თვალები მაღლა აღაპყრო მინისტრმა და სახეზე ღიმილის მაგვარი რამ გამოესახა.

- რამე ვერაგული გეგმა ხომ არა აქვთ რუსებს?

- დარწმუნებული ხართ, რომ რუსეთის ჯარი აღარასოდეს შემობრუნდება საქართველოში?

- ხომ არ ჩაენაცვლებიან ამ ბაზებს სხვა ქვეყნის სამხედრო ბაზები? - აყრიდნენ კითხვებს მინისტრს ყოველი მხრიდან.

- რუსეთის იმპერიის მზე ჩაესვენა, - საქმიანი იერით ბრძანა მინისტრმა. მათ ვერაგული გეგმები კიდევ დიდხანს ექნებათ, მაგრამ იმ გეგმების რეალიზაციის საშუალებას არ მივცემთ. რაც შეეხება იმას, ჩაენაცვლებიან თუ არა მათ სხვა ქვეყნის სამხედრო ბაზები, ეს ჩვენი, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, გადასაწყვეტია.

- რას იტყვით, ამ ორი საუკუნის განმავლობაში შეასრულეს თუ არა რუსეთის სამხედრო ბაზებმა რაიმე პოზიტიური როლი? - იკითხა დიქტოფონმომარჯვებულმა გამხდარმა გოგონამ.

- რომელი ტელეარხის წარმომადგენელი ხართ თქვენ? - დაინტერესდა მინისტრი.

- დამოუკიდებელი ჟურნალისტი ვარ, - იყო პასუხი.

- შეამოწმეთ, აკრედიტაცია თუ აქვს! - მიუბრუნდა მინისტრი პირადი დაცვის წევრებს.

- მაქვს აკრედიტაცია! - გაიბრძოლა გოგონამ, რომელსაც ორი ახმახი ამოუდგა გვერდით და განზე გაიყვანა.

- აკრედიტებული ჟურნალისტი ვარ, - ცრემლნარევი ხმით ირწმუნებოდა უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი გოგონა, მაგრამ მისი აღარავის ესმოდა.

- დადიან ასეთი ტიპები და წამლავენ ქვეყანას! - მრისხანედ და ოდესღაც პროკურორყოფილი სამხედრო მინისტრი, - ჟურნალისტი რომ ხარ, ეს იმის უფლებას კი არ გაძლევს, რომ ჩვენს ქვეყანაში დამპყრობელი ქვეყნის სამხედრო შენაერთების ყოფნას ამართლებდე!

- მან მხოლოდ შეკითხვა დასვა, - გამოესარჩლა კოლეგას პრივილეგიური ტელეკომპანიის კორესპონდენტი, რითიც ერთდროულად ორი კურდღლის დაჭერა დააპირა.

- თქვენ რატომ არ დასვით ანალოგიური შეკითხვა? - არ დაიბნა მინისტრი და დასმულ შეკითხვას თავადვე უპასუხა, - იმიტომ, რომ თქვენთვის მიუღებელია ქვეტექსტი, რომელიც იმ კითხვებში იყო ჩადებული. რუსეთის ბაზების რომელ პოზიტიურ როლზეა საუბარი, თქვენ შესაძლებლად მიგაჩნიათ, რომ ოკუპანტი ქვეყნის სამხედრო ბაზებმა რაიმე პოზიტიური როლი შეასრულონ დაპყრობილი ქვეყნის ისტორიაში?! - მინისტრმა გამარჯვებულის იერით გადახედა ჟურნალისტებს და წასასვლელად მოემზადა.

- ხელშეკრულებით, რუსეთმა 2008 წლამდე უნდა გაიყვანოს სამხედრო კონტინგენტი, მაგრამ ისინი უკვე გადიან საქართველოდან. თუ იცით, რატომ აჩქარდნენ რუსები?

- არ ვიცი, - გულწრფელად უპასუხა მინისტრმა, - სხვა შეკითხვა თუ გაქვთ? - იკითხა მერე და ისე, რომ პასუხისთვის არ დაუცდია, შეტრიალდა კიდეც, მაგრამ შეკითხვა სწორედ ამ დროს წამოეწია.

- ილია ჭავჭავაძე, როცა რუსეთის ჯარის საქართველოში შემოსვლის ისტორიულ მნიშვნელობას აფასებდა, წერდა: „იმ ღირსსახსოვარ დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა, შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა...“ როგორ ფიქრობთ, ამ შეფასებაში ცდება დიდი ილია?

- ჯერ ერთი, - შემობრუნდა წასასვლელად გამზადებული მინისტრი, - მე არ ვიცი, სად დაწერა ილიამ ეს საშინელი სიტყვები, მეორეც...

აქ შეკითხვის ავტორმა მინისტრს სიტყვა შეაწყვეტინა.

- თქვენ თუ არ იცით, ჩვენ, ვისაც ილიას პუბლიცისტიკა წაგვიკითხავს და გვისწავლია, ვიცით, სად და როდის თქვა ილიამ ის ბრძნული სიტყვები, თქვენ რომ საშინელებად მიგაჩნიათ. ეს არის 1899 წელს დაწერილი სტატია „ასის წლის წინათ“.

- დავუშვათ, მაგრამ საუკუნისწინანდელი სტატია, თუნდაც, ილიას დაწერილი, შეიძლება უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტებად მივიჩნიოთ? სამწუხაროდ, გენიოსებიც ცდებიან ხოლმე, - ნიშნისმოგებით თქვა მინისტრმა და კვლავ შეტრიალდა, მაგრამ წამით შეყოვნდა და დაცვას უბრძანა, ამ შეკითხვის ავტორის აკრედიტაციაც შეემოწმებინა...

რამდენიმედღიანი თავსხმა წვიმისა და ქარიშხლის შემდეგ აგვისტოს თაკარა მზემ ისე დაცხუნა, რომ ადამიანებს კი არა, თვითონ ჰაერს სდიოდა ოფლი. კლაპოტში გულაღმა გაშოლტილი ზღვა კი თითქოს საკინძეს იხსნიდა, რათა მკერდი ნიავისთვის მიეშვირა.

უზარმაზარი ტანკები გრუხუნით შედიოდნენ „შავ ხვრელში“. ზღვა და ხომალდი ერთად ირწეოდნენ. ირგვლივ თოლიები ფარფატებდნენ და ჩამავალი მზის ოქროსფერი სხივები მეზობელი თურქეთის ტერიტორიის იმ ნაწილს თითქოს საგანგებოდ ეფინებოდა, ოდესღაც რომ წარსტაცეს საქართველოს.

იქვე, ხეზე ჩამოკიდებული გამაძლიერებლიდან ხან „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“, ხან „შავლეგო“ და „მრავალჟამიერი“ ისმოდა, მაგრამ ყველაზე ხშირად ამ დღისათვის სპეციალურად დაწერილი საესტრადო ჟანრის უბადრუკი მუსიკა ჟღერდა, სადაც ქალის გამყინავი ხმა გაუთავებლად ერთსა და იმავეს იმეორებდა: „გაიყვანე ბაზა, რუსო... ოოო... ნუ იქნები სულ მთლად უნამუსო... ოოო...“ გასართობად მოსული ყმაწვილები კი ამ „სიმღერას“ ცეკვას აყოლებდნენ და კურტუმოს ქნევა-ქნევაში, თავიანთი ჭკუით, პატრიოტულ გრძნობებს აქსოვდნენ.

ტელეარხები პირდაპირ ეთერში აჩვენებდნენ რუსეთის მძიმე სამხედრო ტექნიკის გატანის ამსახველ კადრებს. ჟურნალისტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და პატრიოტული აღტყინებით საუბრობდნენ „ვარდების რევოლუციით“ მოსული ხელისუფლების დიდი პოლიტიკური გამარჯვების შესახებ. სხვათაშორის, მსოფლიოს წამყვანმა ტელეარხებმაც აჩვენეს ეს კადრები, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ ფაქტისთვის არ მიუნიჭებიათ, ვინაიდან მსოფლიოში სულ სხვა პროცესები იყო დაწყებული, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ძლიერი ქვეყნის სამხედრო ბაზების არსებობა ამა თუ იმ პატარა ქვეყანაში.

- Меняется суть военно-стратегического противостояния7 - უხსნიდა მაღალი, ოდნავ პაჭუაცხვირიანი ახალგაზრდა გენერალი რუსეთის სამხედრო კონტინგენტის გაყვანის საყურებლად მოსულ და მის ირგვლივ შემოკრებილ ხალხს, - нынче военный фактор отходит на задний план, а на передний выдвигаются политические и дипломатические отношения.

- უფრო კონკრეტულად ხომ ვერ გვეტყვით, რაში მდგომარეობს ამ ახალი გეოპოლიტიკის არსი? - ქართულად ეკითხებოდნენ რუს გენერალს.

- Я не хочу делать какие-то политические заявления, скажу лишь одно – политика грузинских властей, дескать, - убирайся Россия, добро пожаловать США! – изначально ошибочна. Но если Ро-ссия будет сопротивляться этому процессу, это было-бы еще большей ошибкой. В этом-же вовсе нет необходимости, я же говорил, что противостояние перешло в другую плоскость. Сегодня, 1--го августа -005 года, цена барреля нефти на мировом рынке достигла 66 долларов... Так что, теперь не танки и военные базы решают вопросы, а энергоноси-тели. В этом отношении Россия богатая, очень богатая страна. В подобных условиях зачем нам военные базы в Грузии? Вокруг нас все меняется, меняется общая ситуация и меняется она в по-льзу России. Грузия тоже должна менять свои отношения к предметам и событиям...

- გენერალო, ნუ ვიკამათებთ პოლიტიკისა და ეკონომიკის შესახებ. თქვენ მიდიხართ, ჩვენ ვრჩებით, ჯობს, თითო ჭიქა შამპანური დავლიოთ, - შესძახეს მას ამ დროს და სავსე ჭიქა მიაწოდეს.

ძნელი მისახვედრი იყო, რა უფრო გაუხარდა რუს გენერალს - სასმელი თუ გაცილების ეს კეთილი, ქართული ფორმა, მაგრამ ის კი ყველამ შენიშნა, რომ თვალებზე ცრემლი მოადგა. მიწოდებული ჭიქა ჩამოართვა, ცოტა ხანს შეყოვნდა და ასე დაიწყო:

- Здесь первыми прошли танки Героя Советского Союза, старшего лейтенанта Годердзи Махарашвили... - ყველას გაეღიმა, გენერალმა კი განაგრძო, - Я танкист, когда смотрю фильм "Отец солдата", про себя думаю и удивляюсь, как могло пройзойти такое, что русского солдата, духовным отцом которого совершенно справедливо можно считать грузина (в реальной жизни Иосифа Сталина, а в художественном переосмыслении – Георгия Махарашвили), в Грузии настолько ненавидели, что гнали его со своей земли к чертовой матери... не знаю, не знаю... во всяком случае я, покидая любимую Грузию, хочу выпить за её процветание, за совместно пролитую кровь русских и грузинских воинов и за все то, что не разделяет, а, наоборот, объединяет нас...

გენერალმა ჭიქა დაცალა, მერე მკვეთრად შეტრიალდა და ჩქარი ნაბიჯებით გაემართა სადესანტო ხომალდისკენ, რომლის უზარმაზარ სხეულს შავი ზღვის ტალღები ტლაშუნით ეფერებოდნენ.

ნაპირზე დარჩენილი ქართველები მღეროდნენ, ოხუნჯობდნენ და მხიარულობდნენ, თუმცა, იმ მხიარულებას რაღაცა მაინც უშლიდა ხელს. რაღაცა ოდნავ, სულ ოდნავ აფერმკრთალებდა ამ დიდ სახალხო ზეიმს, მაგრამ რა იყო ეს რაღაცა, ამის გარკვევა-გაცნობიერება იქ, გონიოში, ზღვის ნაპირზე თავშეყრილ ქართველებს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ შეეძლოთ...

**ვალერი კვარაცხელია**

*თბილისი, 2005 წლის 12 აგვისტო*



„ახლა კი დროა, სოლომონ, რომა
მშვიდობა ნახოს საქართველომა,
მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის
ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის,
და მხოლოდ მაშინ უეჭვოდ გვრწამდეს,
რომ ქრისტეანთ ხმა მარად ისმოდეს
საფლავთ ზედ ჩვენთა მამა-პაპათა,
და განისვენონ აჩრდილთა მათთა!“
ველარ გაუძლო მსაჯულსა გულმან
და ჰკადრა მეფეს აღშფოთებულმან:
„განზრახვა შენი, მეფევ, მაკვირვებს!
ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს
არად მიაჩნით უბედურება,
თუ აქვთ თვისთ ჰერთ ქვეშ თავისუფლება!“
— „სულ მართალია, ჩემო სოლომონ,
მაგრამ, აბა, თქვი, ქართველთა რა ჰყონ
ამ უბედობის და დარღვევის დროს?
აბა, ირაკლიმ რა მოაგვაროს
მშვიდობისათვის საყვარელთ ყმათა?..
აი მივიღებ მე შენთ რჩევათა
და დავიდუმებ ჩემსა გულის-თქმას;
ნუ დაივიწყებ მაგრამ ჩემს სიტყვას,

**რომ დღეს იქნება,**
**თუ ხვალ იქნება,**
**ქართლსა დაიცავს**
**რუსთ ხელმწიფება!“**

*ნიკოლოზ ბარათაშვილი.*
*„ბედი ქართლისა“. 1839*

დიდის ყოფით და ამბით დახვდა რუსეთის ჯარს მეფე და ერი. სასოწარკვეთილმა მეფემ და ერმა ძლივს ნუგეშითა და იმედით გაიცოცხლა გული. მეფის კარიდამ დაწყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულმა გაშალა თვისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია საქართველოს ამისთანა ბრწყინვალე დღე აღარ ენახა. ყველას, დიდიდამ პატარამდე, ქალით კაცამდე, გული აევსო იმ სანატრელ იმედითა, რომ რუსის მხედრობის დაბინავება საქართველოში საქართველოს მოუვლენს იმ მშვიდობიანობას, იმ მოსვენებას, იმ პატრონობასა და მფარველობას, იმ ბედნიერადა და უტკივრად შინაურ ცხოვრებას, რომელთათვისაც ამდენს საუკუნეების განმავლობაში ასე თავგამეტებით, ასე თავდადებით იბრძოდა საქართველოს შვილი და თავისის სისხლით ჰრწყავდა ყოველს კუთხეს თავისის ქვეყნისას.

ამ ღირსსახსოვარ დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილსია, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრად-ღა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მისს თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწედ, უნუგეშ, ყველასაგან შორს, მარტოდ-მარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნოების სადიდებლად და თავისის ვინაობის გადასარჩენად. დაიდვა საზღვარი მშვიდობის-მყოფელ ცხოვრებისა. ის დღეა და ეს დღე, ვეღარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს 1799 წელს, კვლავ სასოება-გაღვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავისს მომავალსა, დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშინით ფრთაშესხმული.

დღეს, 26 ნოემბერს 1899 წ., სწორედ ასი წელიწადია მას აქეთ.

*ილია ჭავჭავაძე.*
*„ასის წლის წინათ“ (პირველად შემოსვლა რუსის ჯარისა ტფილისში). 1899 წ.*






**ცამეტი წლის ხარ**

ცამეტი წლის ხარ და შენი ტყვეა
ჭაღარა გულის ზმანება ავი, -
ჩააწყვეთ რიგში ცამეტი ტყვია,
ცამეტჯერ უნდა მოვიკლა თავი!
გაივლის კიდევ ცამეტი წელი,
მოახლოვდება გზა ოცდაექვსი,
მოცელავს მაღალ ზამბახებს ცელი,
ატირდება დრო და ჩემი ლექსი.
ოჰ, როგორ მიდის ახალგაზრდობა –
დაუნდობელი სურვილი ლომის!
და ყოველივე როგორ ნაზდება,
როცა ახლოა მზე შემოდგომის.

**ჰე, მამულო!**

ჰე, მამულო! გრძნობა შენი მოვლისა
მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია.
სანამ გმირმა შენთვის სული დალია,
სთქვა: „სამშობლო, უპირველეს ყოვლისა!“
არმოშიშარს ქარისა და თოვლისა,
ყოველ ჩვენგანს ურყევ მიზნად ექნება
მხოლოდ შენთვის თავდადების შეგნება:
მამულს გული, უპირველეს ყოვლისა!
მზე ჩაჰქრება ყველა სისხლისმწოვლისა,
მზე ამოვა ყველა დაჩაგრულისა,
წამლად იქნას ყოველ დაჭრილ გულისა:
გამარჯვება, უპირველეს ყოვლისა!

**თოვლი**

მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა.
მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის
და სიყვარულის ასე მოთმენა.
ძვირფასო! სული მევსება თოვლით:
დღეები რბიან და მე ვბერდები!
ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ
უდაბნო ლურჯად ნახავერდები.
ოჰ! ასეთია ჩემი ცხოვრება:
იანვარს მომმედ არ ვეძნელები,
მაგრამ მე მუდამ მემახსოვრება
შენი თოვლივით მკრთალი ხელები.
ძვირფასო! ვხედავ... ვხედავ შენს ხელებს,
ულუნოდ დახრილს თოვლთა დაფნაში.
იელვებს, ქრება და კვლავ იელვებს
შენი მანდილი ამ უდაბნოში...
ამიტომ მიყვარს იისფერ თოვლის
ჩვენი მდინარის ხიდიდან ფენა,
მწუხარე გრძნობა ქროლის, მიმოვლის
და ზამბახების წყებად დაწვენა.
თოვს! ასეთი დღის ხარებამ ლურჯი
და დაღალული სიზმრით დამთოვა.
როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი,
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!

* * *

სიტყვა არ წამოგცდეს, რომ შენ დაიღალე,
განზე გადექი და ტყვია დაიხალე.
გული გაიხელე, სისხლით გაიხალე,
ოღონდ არ წამოგცდეს, რომ შენ დაიღალე.
განა ცოტა იყო ჩვენში გატაცება,
ქარში გადავარდნა, ჯვარზე გადაცემა.
ფიქრობ: არ გაწვება, დუშმანს დაეწევა,
უცებ ბრუნდება და სულით დაეცემა.
ბევრჯერ მიზნისთვისაც შეუკურთხებია,
სახე მწუხარებით მიუმწუთხებია...
სიტყვა არ გაბედო, რომ შენ დაიღალე,
განზე გადექი და ტყვია დაიხალე.
გული გაიხელე, სისხლით გაიხალე,
ოღონდ არ გაბედო, - რომ შენ დაიღალე




**უფალო, შეგვიწყალე**

უფალო, შეგვიწყალე, უფალო, შეგვიწყალე
ცოდვილნიც... უცოდველნიც... დიდებიც, პატარებიც,
ვაიმე, ქართველები შევიცვალეთ -
ბევრი ვართ ტახტრევანით და კისრით სატარები.
შინაურ-გარეულნი ერთმანეთს თაკილობენ,
ჩქარობენ, ერთმანეთი გადათელონ.
უფალო, დაიფარე გოდოლი ბაბილონის -
ვულკანზე შემდგარი საქართველო.
უფალო, შეაჩვენე სიმართლე მოსყიდული,
ამნაირ ერისკაცთა ჭერს მარიდე,
უფალო, შეაჩვენე ეშმაკის მოციქულნი,
ამრავლე, აძიერე გმირები ჭეშმარიტი.
უფალო, შეგვიწყალე, რამეთუ ცოტანი ვართ,
ნუ დაგვსჯი სიმცირით, მწიროვნებით,
შვილები დაგვიზარდე დემეტრე-ცოტნეებად,
ნინო და გიორგი მყავს ნათლია-მირონები!
უფალო, შეგვიწყალე და ბნელი ანათელე,
უფალო, შეგვიწყალე დიდებიც... პატარებიც...
არც ისე საწყალია ეს ჩვენი საქართველო,
არც ისე საწყალია და ხელით სატარები.

* * *

ხეები ლექსებით იფარჩება,
ხეებზე აკრავენ ღვთის ბრალდებას,
ამდენი მგოსნის ძლივსმარჩენალს
ისევ მგოსნები გიმრავლდება.
ვის უნდა ეს გლოვის თეატრონი,
ხეები გოდებით გალექსილი!
ამდენი მტირალა იადონი,
ამდენი მგლის ლეკვი ალესილი!
გლადიატორებთან - ყვავილებით?
გლადიატორებთან - მგალობლებით?
ვაიმე, ილმერთოდ დავილებით!
ვაიმე, ულმერთოდ დავობლდებით!
- შენ საით, პატარაა ცოტნე-ბიჭო?
შენ სადღა, პაწია ამორძალო?
ამ გრიგალს როგორ გამოგგლიჯოთ,
ან სიკვდილს როგორ გამოგძალოთ!
ქუჩა-მოედნებზე დრტვინავთ რახანია,
ქრისტეს პერანგივით ცოდვაც დაიკვართა,
მე თუ დამიჯერებთ: ახლა აკვანია
თქვენი ტრიბუნა და თქვენი ბარიკადა.
თქვენ გინდათ, რომ მოკვდეთ დიდ საქართველოსთვის,
თქვენ მართლა დიდ ამბავს, დიდ საქმეს შემოწვდით,
მე ისე მომწონხართ, მე ისე მიყვარხართ,
მე მინდა იცოცხლოთ დიდ საქართველოსთვის!
თქვენს სისხლში ხვატი დუღს გაგანია,
თქვენს სულში ოცნებამ ითილისმა,
თქვენ ამბობთ: ბარიკადაც აკვანია!
კი-მეთქი, ოღონდ სიკვდილისა!
ამ მგალობლებს ბუნება არ გაუმგელო
სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველო.
ერო - ამაყო და უშიშარო,
ერო - წმინდანო და შემოქმედო,
იყავ უდრტვინველი თუნდ გიშარონ,
თუნდაც ავი თვალით შემოგხედონ.
ერო - სტუმრისაგან აკლებულო,
ერო - მტერ-მოყვარის მასპინძელო,
ერო - ფალავნების საკრებულო,
თუ გსურს ფალავნობა გაიგრძელო,
იყავ გუშინდელზე გონიერი,
რაკი უფლის ნება გამოვლინდა,
უფრო მრავალი და ღონიერი
აღსდეგ ანგელოსთა გალობიდან!
ამ მგალობლებს გუნება არ გაუმგელო,
სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველო.

# ქართველი პოეტები სვეტებში

## მორის ფოცხიშვილი

**თუ ხარ კაცი და...**

შენ აქ რა გინდა,
ჩემს სასთუმალთან,
ხალხს გააგონე შენი სიმღერა,
იქ განეცხადე
შენს მრევლს სულმნათად,
სადაც ქართული სისხლი იღვრება.
შენ აქ რა გინდა,
ჩემს სასთუმალთან?!
იქ უნდა იყო, სადაც სხვა არი,
სადაც ზღვა არი
ძმათა მრავალთა, -
იქ უნდა შეკრბეს ქართვლის ლაშქარი,
იქ უნდა სჭედდე
შენ შენს სამართალს...
თუ ხარ კაცი და
თუ ხარ ქართველი,
თუ ერი შენი ისევ მგოსნად გთვლის,
იქ უნდა ენთო, როგორც სანთელი
ხატად შერაცხულ სამშობლოსათვის...
თუ ხარ კაცი და
თუ ხარ ქართველი!
აწ იქ თუ შეგძრავს
ვით შუქს გენია,
ექო „ლაშქრულის“ და „ლილეოსი“,
იქ უნდა მოკვდე,
სადაც კვდებიან
თავისუფალი საქართველოსთვის!
თუ ხარ კაცი და
თუ ხარ ქართველი!
რძით მშობლიურით, ჯვარზე ოცნებით,
დედამ ქართველმა თუკი გაგზარდა,
ადრე თუ გვიან, როგორც მლოცველი,
უნდა მიხვიდე ქართულ ტაძართან!
იქ უნდა მოკვდე
როგორც ქართველი!
იქ უნდა შესძრა შენი სამარე,
იქ უნდა ჰპოვო შვება შვებისა,
იქ უნდა აღსდგე,
როგორც ლაზარე,
სულის ქართულის განახლების ჟამს!
შენ აქ რა გინდა,
ჩემს სასთუმალთან!

**ისევ ქართული ჭრილობა**

ვაზს შევხვდი თურქთა მიწაზე,
ხმის ამოღებას ცდილობდა,
ო, როგორ ვერ მოვისაზრე,
კლავდა ქართული ჭრილობა.
ვამტვრევდი ენას უცხოურს,
ვხარჯე, მარაგი რაც მქონდა,
არადა, თურმე ბეჩავი
ქართულად ლაპარაკობდა.
ვზი უცხოეთს და ვქვითინებ,
თითქოს და ქრისტე მენახოს, -
შენი ცრემლების ჭირიმე,
ჯვარზე გაკრულო ვენახო!

**მიწა**

მიწა თითქოს და მიწაა ყველგან,
მაგრამ, ს ა მ შ ო ბ ლ ო ვ,
ვინც კი ფეხი
შენს მიწაზე აიდგა ერთხელ
უკლებლივ ყველა
შენს მიწაში დამარხვას ნატრობს.

* * *

სულ ორად ორი სიტყვისათვის
    დავთმობდი ახლა
და დავტოვებდი ყველაფერს უცებ.
ვიყიდდი ბილეთს, -
უკანასკნელი მატარებლით
ჩავიდოდი სოფელში მშვიდად...
გადავირბენდი მწვანე კორიდორს,
სულმოუთქმელად შევაღებდი
    ძველებურ ჯარგვალს,
რომ კიდევ ერთხელ გამეგონა:
    „მოხვედი, შვილო?“




**ურმული**

(ჰამლეტ გონაშვილს)
თითქოს ვიღაცა მისინჯავს მაჯას,
ვარ გალურსული და გატრუნული,
როგორც სიზმარში ციური ტანჯვა
ნისლივით მოდის შენი „ურმული“.
ნისლივით მოდის შენი „ურმული“
და იკვირტება და იფოთლება,
დგას მოთმინებით გადახურული
ჩემი წარსული სულის მოთმენა.
დგას მოთმინებით გადახურული
გავარდნა, ჩემი ძმა განუყრელი,
ნისლივით მოდის შენი „ურმული“,
ცოდვა, საწყალი და გაურყვნელი.
გულო, ო, გული როგორ მომითმენს,
ვიდრე ეგ თითბრის ზარი
წკრიალებს,
შენი ხმა ესმათ, მოდგნენ, მოვიდნენ,
მოვიდნენ, მაგრამ დაიგვიანეს.
იქნებ ზეცაში ვინმე გჯობნიდა,
ცა მეწამულით კრთოდა ალმურით,
იქნებ გჯობნიდა, მაგრამ შორიდან
ხომ მაინც ესმათ ხმა უცნაური.
დაგუბული და გულს ჩაწურული,
მეც იმ დაგუბულ ხმას გავუყევი,
და შევიფარე შენი ურმული
ცოდვა, საწყალი და გაურყვნელი.

**ვაჟა**

შატილით მოდიოდა -
    დიდი მთებით,
მთვარეს შეხვდებოდა
    ჟინვალთან,
მთვარისოდენა ხინკალს
    მიირთმევდა -
ეს დიდი ბერმუხა და
    მყინვარმთა.
ხელები ჰქონდა, -
    წყაროს ამოსცლიდა,
ქვეყნის მაჯისცემას
    უგდებდა ყურს,
მერე დაჰყვებოდა, ბალახებს
    დაჰკოცნიდა
და შეუკურთხებდა
    ციმბირის წყლულს.
ის იყო დიდი და
    ის იყო სხვა,
მისი მართალი სულის ცხონებამ,
მერე ცხოვრებას მოუჭრა გზა
და შორს გაასწრო
თვითონ ცხოვრებას.

**ერთის პირობით**

მწყურვალისათვის
მიმატანინე წყალი,
მევალისათვის
მიმატანინე ვალი,
გზააბნეულისთვის
მასწავლებინე გზები,
შეუწამლავი
შემაწამვლინე ზვრები,
მომაძებნინე
სხვაგან დაკარგული ძმები,
ამ ჩემს მამულში
დამამარხვინე ძვლები.
მათქმევინე:
ქვეყნად სიცოცხლე ღირდა,
მერე წამოვალ,
წამოვალ, საცა გინდა.

**ვითარცა მტკვარი**
მზე ამოდიოდა,
მთვარე ჩადიოდა,
მამალი ჰყიოდა,
კვამლი ადიოდა,
ვიღაცა ტიროდა,
ვიღაცა ჩიოდა,
ვიღაცას შიოდა,
ვიღაცას ციოდა
და დრო
გადიოდა.
ვითარცა ღვინო -
ქვევრიდან
ხაპში -
ხაპიდან
დოქში -
დოქიდან
ჯამში -
ქართული სისხლი,
ქართული სული,
ქართული სიტყვა,
ქართული გული
გადადიოდა
კაციდან კაცში...
გადადიოდა,
გადადიოდა,
გადადიოდა -
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
ვითარცა მტკვარი.
გზადაგზა სვამდნენ,
ამღვრევდნენ,
ღვრიდნენ,
ულმერთოდ ჰრყვნიდნენ,
უგულოდ ჰყიდნენ,
და
მიუხედავად ამისა, მაინც -
გამოიარა
ვახტანგის გული,
გამოიარა
თამარის გული,
გამოიარა
სულხანის გული
და დღეს —
შოთაის ნაქონი სისხლით,
და დღეს —
ვახტანგის ნაქონი სისხლით,
და დღეს —
სულხანის ნაქონი სისხლით —
თბილისის ფართო ქუჩებში დადის:
ლეილა,
ლონდა,
ნათია,
ლალი,
ელისო,
ვაჟა,
გიორგი,
გივი.
და
იარონ!
იარონ!
იარონ!
ამინ!

**შენ, სისხლო ჩემო**
შენ —
სისხლო ჩემო —
სად არ დაღვრილო
შენ —
სად არ გხვრეპდა შავი ყორანი.
ვინ გაგაკვირვოს,
რამ გაგაკვირვოს, -
ნადიდგორალი,
ნაშამქორალი.
შენ —
სისხლო ჩემო —
შენი ღვაწლია,
რამაც აქამდეც კი მოაღწია:
სვეტიცხოველი
ხანძთა, ვარძია
და ისიც, -
რაც მტერს წარუტაცნია
შენ —
სისხლო ჩემო —
შენი დინება
ვეფხისტყაოსნით ხშირად მიგრძვნია
სიტყვა,
რომელიც გეჩოთირება,
ვცდილობ, გაშორო,
რაც შემიძლია
შენ —
სისხლო ჩემო —
სისხლო ხნიერო,
დაუცხრომელო და უცნაურო
საბედნიეროდ,
საბედნიეროდ, -
ჰაი, ჰაი, რომ
კიდევ ხმაურობ.



**საქართველო და... უსვეტიცხოვლო?!**
სვეტიცხოველი
ნუთუ მართლა არ იყო
ერთდროს?!
„ - ჰე, ღმერთო, - ერთო!“ -
ნუთუ მართლა არ ჟღერდა
ერთდროს?!
მემატიანეს ვენდოთ?!
საქართველო და, -
უსვეტიცხოვლო?!
საქართველო და, -
უალავერდო?!
საქართველოა,
რა საქართველო?! -
უსვეტიცხოვლო, უგელათო,
უალავერდო?!
არყოფილს ერთდროს
არ ასცდება არყოფნა თუკი! -
ვით ბრძანებს ანი,
ლაპარაკობს როგორც მარდუკი.
ერთხელ რომ იდგა, -
იხელახლებს იმგვარი დრო
და... სადღაა შენი
ალავარდი, გელათი, შოთა!..
სვეტიცხოველი
ნუთუ აღარ იქნება როსმე?!
„ - ჰე, ღმერთო, - ერთო!“ -
ნუთუ აღარ იჟღერებს როსმე?!
არყოფნის ნუთუ
არყოფილი მართლაა მოძმე?!
ეს რომ ასეა,
მზეა ნუთუ ამისი მოწმე?!
საქართველო და, -
უსვეტიცხოვლო?!
საქართველო და, -
უალავერდო?!
საქართველოა,
რა საქართველო?!
უსვეტიცხოვლო, უგელათო,
უალავერდო?!

**დედა**
როს „არას“ ნაცვლად -
ამბობდი „ალას“,
როცა შენს ხმაში აპრილი ჟღერდა;
ხსოვნაში ტკბილად ჩარჩენილ „ნანას“ -
ვინ გიმღეროდა?!
- მშობელი დედა.
ეზოში როცა იტკენდი რამეს, -
ვინ გაჩნდებოდა იმ წუთში შენთან?!
შენი გულისთვის უძილო ღამეს
ვინ ათენებდა?!
- მშობელი დედა.
ახლა, - ხელში რომ გიჭირავს წიგნი, -
შენს სიცოცხლეში იმდს ვინ ჰხედავს?!
შენს მომავალზე დღედაღამ ფიქრით
ვინ ვერ ისვენებს?!
- მშობელი დედა.
ამ ქვეყანაზე შენი სიკარგე
ვის უხარია ყველაზე მეტად?!
ყველაზე უფრო, - თუკი ივარგებ, -
ვინ იამაყებს?!
- მშობელი დედა.

* * *

მე არა ერთხელ გამიგონია
ნატვრა მიწაზე, -
სულ ერთ მტკაველზე:
- ახლა თბილისში გამარონია
და მერე მომკლა —
აღარ დავეძებ!
რამ დაგამგვანა ასე ანდამატს?! —
რაშია საქმე, მართლა და მართლა?! —
ან შენ ასეთი რა ხარ,
ანდა მას, ვინც შენა გნატრობს, -
რა დაემართა?!
არ იოცნებო - არა მგონია —
მტკვარზე, ვერაზე
და რუსთაველზე
- ახლა თბილისში გამარონია
და მერე მომკლა —
აღარ დავეძებ!



საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი
ძველად თურმე, როცა მტრების უთვალავი ჯარები
მოდიოდნენ, რომ გაეღოთ საქართველოს კარები,
მამაკაცებს გვერდით ჰყავდათ, ვით ფოლადის ფარები
და მტრებს მათთან ერთად სცემდნენ საქართველოს ქალები.
ისე მტკიცე იყვნენ თურმე, ვით მეტეხის კედელი,
გმირი თამარ ვაშლოვნელი და მაია წყნეთელი.
მათი ხმალი ცეცხლს აფრქვევდა, მტერი თრთოდა ვერანი,
საქართველოს ცის ფერს ჰგავდა ფერი მათი მერანის.
სადაც უნდა ყოფილიყვნენ, მარად დაუზრახველნი, -
საქართველო იყო მათი საყვარელი სახელი.
ბრძოლის ველზე მიდიოდნენ რაინდული ოცნებით,
მიდიოდნენ და მიჰქონდათ ჩალისფერი დროშები,
ბევრჯერ სისხლით შეღებილა მათი ავგაროზები.
სადაც უნდა ყოფილიყვნენ, თუნდ სამარის კარამდის,
ოსმალეთის მიწა იყო, თუ მინდორი მარაბდის, -
საქართველო იყო მათი საყვარელი მარადის.
სადაც უნდა ალემართათ სატევარი და გორდა,
ვაჟკაცურად მიიწევდნენ, ვაჟკაცურად გაჰქონდათ —
სპარსეთში თუ დაღესტანში, კრწანისთან თუ შამქორთან,
საქართველოს ერთი მუჭა ცხელი მიწა თან ჰქონდათ.
სიკვდილის წინ რუსთაველის შაირების ძახილით
მიწას გულში ჩაიკრავდა ქართლელი თუ კახელი, -
საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი.
შვილებს ომში აგზავნიდნენ წარბშეკრული დედები,
აგზავნიდნენ, აბარებდნენ დედურ დაიმედებით:
თუ ისარი ზურგში მოგხვდეთ, არ დაიჭრათ მკერდები,
ხელმეორედ ნუ გენახოთ საქართველოს ქედები,
ისე მტკიცე იყვნენ თურმე, ვით მეტეხის კედელი,
გმირი თინა წავკისელი და მაია წყნეთელი.
მათი ხმალი ცეცხლს აფრქვევდა, მტერი თრთოდა ვერანი,
საქართველოს ცის ფერს ჰგავდა ფერი მათი მერანის.
მამულისთვის დაილუპნენ ვაჟკაცობის მსახველნი,
საქართველო იყო მათი უწმინდესი სახელი.

**ვერიკო ანჯაფარიძეს**
სხვა რომ არ იყოს, ჩვენ ამ ლამაზი
ქალების ეშხი დაგვიფარავდა,
თორემ მტრებს ისიც კი შეაშინებს,
ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ — მარაბდა!
მიხარის, როცა სცენაზე გიმზერ,
ანათებ, როგორც ზღაპრული დალი
და როგორც ნისლი უფსკრულის პირზე,
ირხევა შენი ლამაზი ტანი.
ირხევა შენი ლამაზი ტანი
და განა ძალმიძს არ გითვალთვალო,
საქართველოს მზით სახედამწვარო,
ანჯაფარიძის ზვიადო ქალო!
მინდოდა ერთი ნატვრა მენატრა
და სანატრელი ისევ შენა ხარ:
მოვმკდარიყავ და ამ ჩვენს სცენაზე
შენი ქართული ქალი მენახა.
მოვმკვდარიყავ და ქართულ ლეჩაქში
მენახა შენი ქართველი დედი,
დამიბრმავებდა, ვერიკო, მაშინ
შენი მიმქრალი შარავანდედი!
როცა გიყურებ შავ სამოსელში,
ვხედავ — ჩაუცვამს ძაძა ბუნებას.
მე ნუ მომასწროს შენზე ტირილი
და შენი სიტყვის დაძაბუნება!
სხვა რომ არ იყოს, ჩვენ მარტო შენი
და ნატოს ეშხი დაგვიფარავდა,
თორემ მტრებს ისიც კი შეაშინებს,
ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ — მარაბდა!



**ყივჩაღის პაემანი**
ყურნაღებიდან გნოლი გაფრინდა,
ყაბარდოს ველი გადაიარა,
ისევ აღვსდექი!
მუხრანის ბოლოს
ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს.
ქსანზედ, არაგვზედ ისევ ჰყვავიან
ხოდაბუნები თავთუხებისა,
შენი ტუჩებიც ისე ტკბილია,
როგორც ბადაგი დადუღებისას.
ხოხბობას გნახე,
მიწურულ იყო
როცა ზაფხული რუსთაველისა,
ნეტამც ბადაგი არ დამელია
და იმ დღეს ხმალი არ ამელესა!
ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე,
შემოვამტვრიე გზები ტიალი,
მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები,
ვლეწე ტაძრები კელაპტრიანი!
მაგრამ თვითონაც დაილეწება,
დაბადებულა ვინცკი ყივჩაღად,
მუზარადიან შენს ქმარს შემოვხვდი,
თავი შუაზე გადამიჩეხა!
მოდი, მომხვიე ხელი ჭრილობას,
ვეღარა გხედავ, სისხლით ვიცლები
როგორც საძროხე ქვაბს ოხშივარი,
ქართლის ხეობებს ასდით ნისლები
მოდი! გეძახი ათას წლის მერე,
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა;
ვარდლი ფურცლობის ნიშანი არი
და დრო ახალი პაემანისა!..

**არ დაიდარდო, დედაო...**
ღიმილის ბიჭი ვიყავი,
ბეჭზედ არწივი მეხატა,
ცხრამეტი წლისა შევსრულდი,
ოცი არ გადამეხადა,
სამშობლოს დროშა მეჭირა,
მტერს ვეცემოდი მეხადა!
ვისაც უნდოდა, ქართველი
რომ გამხდარიყო ხიზანი,
დავკარი, ვიყავ მართალი,
ვით ჩემი ტყვიის მიზანი...
ნუ დაიდარდებ, დედაო,
მწარე სიკვდილის სევდასა.
დღეო, გადიდდი, გადიდდი,
შვილი ეყრება დედასა!
არ დაიდარდო, დედაო,
რაც მე სიკვდილით გაწყინე;
მე შენი ძუძუს ნათელი
საქვეყნოდ გამოვაბრწყინე.
მე გაგიხუნე ლეჩაქი,
მაგრამ დაგხურე შუქური,
სამშობლოსათვის დავთხიე
სისხლ-ცვარი სიჭაბუკური.
მე არ დამკარგავს სამშობლო,
სულ ვეხსომები ლევანი,
სანამდის საქართველოში
იწურებოდეს მტევანი...
ცხრა ძმათ მეათედ მიმიღეს,
პირზე მაყარეს ვარდები,
დაჭრილს, დამძრალს და გზადაღლილს
დამხურეს მუზარადები.
თუ გაუჭირდა სამშობლოს,
კვლავ ცეცხლით დავიდაგებით,
ჩვენ გამოვამტვრევთ საფლავებს,
ხმლით ქართლის მთებზე დავდგებით.
არ დაიდარდო, დედაო,
ნუ მიეცემი სევდასა.
დღეო, გადიდდი, გადიდდი,
შვილი ეყრება დედასა!

# ჩვენ, პოეტები საქართველოსი...

***„დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი. ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს ჩვენ, პოეტები საქართველოსი“.***

ეს გასულ საუკუნეში ითქვა...

**გრიგალი დღესაც არის, ქარიშხალიც არის, ანგელოსიც სისხლშია ამოთხვრილი, მაგრამ პოეტები არ ჩანან.**

●

ნუ დავმალავთ: ჩვენს საზოგადოებაში, ადრეც და ახლაც, პოეტებზე ცოტა უცნაური შეხედულება არსებობდა: პოეტი ობივატელის თვალში ცოტა შერეკილი, ცოტა ექსცენტრული (ანუ ცოტა დაცენტრილი), ცოტა დამთხვეული, ცოტა ლოთი-შფოთის და დებოშიორის, მოკლედ რომ ვთქვათ, ფრიად არასერიოზული არსების პროტოტიპი იყო.

საიდან და როგორ ჩამოყალიბდა ასეთი შეხედულება პოეტზე, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე კი, იმის დასამტკიცებლად, რომ საქმე მთლად ისე არ გახლავთ, როგორც ეს ზოგ-ზოგებს წარმოუდგენიათ, **მინდა გითხრათ, რომ პოეტები იყვნენ იმპერატორები, მეფეები, მხედართმთავრები, პოლიტიკოსები და ა.შ.**

**ქართულ სინამდვილეში: დავით აღმაშენებელი პოეტი იყო; თქვენ წარმოიდგინეთ, მეჭურჭლეთუხუცესი შოთა რუსთაველიც პოეტი იყო; არჩილი, თეიმურაზი, ვახტანგ მეექვსე - ჯერ პოეტები იყვნენ და შეთავსებით მეფეებადაც მუშაობდნენ, რომ არაფერი ვთქვათ, მეცხრამეტე საუკუნეში მოღვაწე გენერლების მთელ პლეადაზე ალექსანდრე ჭავჭავაძით და გრიგოლ ორბელიანით დაწყებული...**

საქართველოს უგვირგვინო მეფე ილია ჭავჭავაძეც პოეტი იყო...

ახლა აქეთ რომ გადმოვიდეთ, მეოცე საუკუნეში, პოეტი გახლდათ, ბატონო, დიდი სტალინი და, სხვათაშორის, ძალიან ნიჭიერი პოეტი.

საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია პოეტი იყო...

მერაბ კოსტავაც პოეტი იყო, საინტერესო პოეტი.

მთლად პოეტობამდე ვერ გაქაჩა, მაგრამ ედუარდ შევარდნაძეც წერდა ლექსებს...

ლექსებს წერდა მიხეილ სააკაშვილიც, ამბობენ, კარგ ლექსებს.

(მაყვალა გონაშვილს რა ვუთხარი, ამ უცნობ ხალხს რომ იღებს დასტა-დასტად მწერალთა კავშირში, მიხეილ სააკაშვილის მიღება რით ვერ მოიფიქრა - ხომ იჯდებოდა ახლა მშვიდად თავის სავარძელში?).

ყოფილი ფინანსთა მინისტრის, დავით იაკობიძის ლექსების წიგნი წავიკითხე ამასწინათ - მშვენიერი პოეტია, მასზე უკეთესი ფინანსთა მინისტრი კი საქართველოს არ ჰყოლია!

სულ დამავიწყდა: ასლან აბაშიძეც პოეტი იყო, თუმცა, რატომ - იყო, არის, უცხოობაში გადახვეწილი პოეტი, „ვარდების რევოლუციას“ რითმა რომ ვერ მოუძებნა და რუსეთს შეაფარა თავი.

ხედავთ, რა ხალხი გვყავდა (გვყავს) ჩვენ, პოეტებს, ჩვენს რიგებში, თქვენ კი, თქვე დალოცვილებო, რა ალმაცერად გვიყურებთ! - პოეტია, ემანდ გიჟიც არ იყოსო.

●

რუსთაველზე ევროპულად გამოწკეპილი გრიგოლ რობაქიძე მოსეირნობს, განუყრელი ხელჯოხითა და ცილინდრით.

ოპერის თეატრს გაუსწორდა თუ არა, ჭადრის ხიდან ვიღაცამ ისკუპა და თავზე დაახტა - ტერენტი გრანელი ჩასაფრებია, თურმე, ჭადრის ხეზე და ის დააცხრა აფთარივით.

შეიქნა ერთი ამბავი.

დაზარალებულიც და ხულიგანიც მილიციაში მიაბრძანეს.

მილიციელი ანკეტას ავსებს...

ჯერ ჩამოკონკილ-ჩამოძონძილ გრანელს ეკითხება:

- ვინ ბრძანდებით თქვენ?

- მე პოეტი ვარ,- ამაყად უპასუხა გრანელმა.

მილიციელი ახლა რობაქიძეს ეკითხება:

- თქვენ ვინ ბრძანდებით?

- პოეტი! - დინჯად მიუგო რობაქიძემ.

მილიციელმა ჯერ გრანელი აათვალიერ-ჩაათვალიერა, მერე რობაქიძე და სკამიდან წამოხტა:

- რატომ მატყუებთ? ეს მათხოვარი ნამდვილად პოეტია, მაგრამ თქვენ რა გიგავთ პოეტს?

გრანელი სიხარულისგან გადაირია:

- მართალი ბრძანდებით, ამხანაგო მილიციელო, პოეტი მე ვარ, ეგ კი თვითმარქვიაა.

აი, ასეთი წარმოდგენა ჰქონდა ჩვენზე საბჭოთა მილიციელს გასული საუკუნის ოციან წლებში.

თუმცა, ექნებოდა, რატომაც არა? ეს ხომ ის პერიოდია, როცა პოეტები ხეებზე ძვრებოდნენ და გამვლელ-გამომვლელებს იქიდან უკითხავდნენ ლექსებს.

ნიკოლოზ შენგელაიას რუსთაველზე ერთი ჭადარი ჰქონდა ამოჩემებული და იქიდან კითხულობდა ხოლმე ახალ ნაწარმოებებს - (შემდგომში ცნობილმა კინორეჟისორმა ნიკოლოზ შენგელაიამ მოღვაწეობა ხომ ლექსებით დაიწყო).

ხეებზე სხვებიც ძვრებოდნენ, ვისაც ამის თავი და ჯანი ჰქონდა.

ნიკოლოზ ჩაჩავა ჰალსტუხის ნაცვლად სტაფილოს ჩამოიკიდებდა და ისე დასეირნობდა ქალაქში.

ეჰ, რა დრო იყო!

დღეს რომელი პოეტი გაიმეტებს სტაფილოს ყელზე ჩამოსაკიდებლად, იმწამსვე ბორშჩში უკრავს თავს... დღეს ხეზე კი არა, საკუთარ ლოგინზე ვერ ამძვრალან შიმშილისგან გასავათებული ჩვენი პოეტები - ოცდაორლარიანი სტიპენდიის წართმევის შემდეგ ისე არიან მოფამფალებულნი.

სხვათაშორის, ილია ჭავჭავაძეს და სხვებსაც მაშინაც ძალიან აგინებდნენ ახლად გამოჩეკილი გენიოსები.

სამაგიეროდ, ფუტურისტები, დადაისტები, პროლეტკულტელები, ავანგარდისტები ქუხდნენ.

**ოცდაათიან წლებამდე გრძელდებოდა პოეზიისა და პოეტების გამასხარავების კოშმარული ბაქანალია, სანამ სტალინმა მაგიდას მუშტი არ დაარტყა და ყვავების გვერდით ჩამოსკუპებული პოეტები ძირს არ ჩამორეკა.**

**როგორ ჰგავს ეს დრო იმ დროს - გასული საუკუნის ოციან წლებს, „ნეპ“-ის პერიოდს.**

**როგორც ჩანს, ამ იდეოლოგიას და იმ იდეოლოგიას ერთი წინაპარი, ერთი ავტორი**



















**ჰყავს და მისი მიზანი დღესაც ის არის, რაც მაშინ იყო - სულიერ ღირებულებათა ფეხქვეშ გათელვა, ადამიანების უგემოვნო, უკულტურო, უწიგნურ მასად ქცევა.**

ამ მიზნის მისაღწევად კი, პირველ რიგში, საჭიროა, ადამიანში მოკლა მშვენიერებასთან მიახლების სურვილი. ხოლო ეს რომ გააკეთო, აუცილებელია, თვით ეს მშვენიერი დაამახინჯო, გააბითურო, გააშარჟო.

**დღეს ხატების მსხვრევის და ეკლესიათა ნგრევის ჟამია.**

**დღეს პოეზიას აუპატიურებენ.**

**სატანა დაბრუნდა!**

●

აკაკი წერეთელი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში კენჭს იყრიდა და ვერ გავიდა - რომელიღაც პოლიტიკური პარტიის კანდიდატმა აჯობა.

აკაკი წერეთელი ვერც დღეს მიაღწევდა წარმატებას - ან რომელიმე ნაციონალისტი ჩაჭრიდა, ან რომელიმე ლეიბორისტი, რესპუბლიკელებზე რომ არაფერი ვთქვათ.

აკაკი წერეთელს კი არა, ილია ჭავჭავაძესაც გაუჭირდებოდა დღეს არჩევნების მოგება.

საქართველო იყო, არის და, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს იქნება უმეცრების წყვდიადში.

გაუნათლებლობა, სიბნელე, გონებაჩლუნგობა იყო, არის და, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს იზეიმებს ჩვენს საყვარელ მამულში.

●

სტალინი რომ პოეტი იყო, გითხარით...

შაჰ-აბასიც პოეტი იყო, ის სულწაწყმედილი...

მაო-ძედუნიც პოეტი იყო...

სადამ ჰუსეინიც პოეტია...

საშიში ხალხი ვართ ჩვენ, პოეტები, იცის ეს ჩვენმა ხელისუფლებამ და იმიტომაც ამოგვშალეს ცოცხალთა სიიდან. თუმცა, მკვდარი პოეტიც არანაკლებ საშიშია, ვიდრე - ცოცხალი.

ესეც იციან ამ ქრისტეს ფეხის მკვნეტელებმა და ახლა იმაზე იმტვრევენ თავს, ამ მკვდრებს რა უყონ, თორემ ცოცხლებისთვის უკვე ჰყავთ მიჩენილი გოკა მესაფლავე.

●

მგონი, ბრეჟნევის დროს ხუთშაბათი თევზის დღედ გამოაცხადეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ხუთშაბათობით სასადილოებსა თუ რესტორნებში ხორცი მენიუდან ამოიღეს.

- რას ჰქვია, საბჭოთა მშრომელებს ხუთშაბათობით მწვადის და ჩაქაფულის ჭამას გვიკრძალავთო? - აღშფოთდა ერთი ქართველი პოეტი და ერთობ მწვავე ხასიათის ლექსი გამოაქვეყნა.

„ხუთშაბათი თევზის დღეა“- ასე იწყებოდა ეს ლექსი და ალაგ-ალაგ შეფარვით მკაცრად აკრიტიკებდა ამ გადაწყვეტილებას.

პოეტი ცეკაში დაიბარეს!

- სამსახურიდან მომხსნიან, პარტიიდან გამრიცხავენ, შეიძლება დამიჭირონ კიდევაც. რა მრჯიდა, კვირაში ერთი დღე ხაშლამის გარეშე ვერ უნდა გაძლო? - საკუთარ თავს კიცხავდა პოეტი.

ცეკას მდივანი, რომელიც იდეოლოგიას კურატორობდა, პოეტს გულთბილად დახვდა.

- „ხუთშაბათი თევზის დღეა“ თქვენ დაწერეთ, ბატონო იმანო? - ღიმილით ჰკითხა მდივანმა ტანში ციებაშემდგარ მგოსანს.

- დიახ! - ამოიკნავლა პოეტმა.

მდივანმა რამდენიმე წითელი ფანქრით გახაზული სტრიქონი წაიკითხა ლექსიდან და პოეტს გამომცდელი თვალით შეხედა.

„აი, ახლა მეტყვის, რომ მოხსნილი ვარ სამსახურიდან“, - გაიფიქრა პოეტმა და იგრძნო, როგორ აუკანკალდა გასახმობი მარჯვენა.

უცებ მდივნის შეკითხვა:

- თქვენ რამე ხომ არ გიჭირთ, პატივცემულო იმანო?

პოეტი ვერ მიხვდა, რა გაჭირვებაზე ეკითხებოდა მდივანი.

მდივანმა კიდევ გაიმეორა შეკითხვა:

- რამე პრობლემა ხომ არ გაქვთ, რამე ხომ არ გიჭირთ?

პოეტს ერთბაშად გაუნათდა გონება და მიხვდა, რომ აქ მოსახსნელად კი არა, სხვა რაღაცისთვის დაიბარეს:

- როგორ არ მიჭირს, ბატონო, ხუთი სული ერთ ოთახში ვცხოვრობთ...

- აბა, რა გასაკვირია, რომ ასეთი ლექსი დაწერეთ! - თანაგრძნობით თქვა მდივანმა და ქაღალდზე რაღაც ჩაინიშნა.

- ტელეფონი არ მიდგას სახლში, ათი წელი რიგში ვდგავარ.

მდივანმა ისევ ჩაინიშნა რაღაც.

- თირკმელები მაწუხებს, ბატონო, საოპერაციო ვარ...

მდივანმა ესეც ჩაიწერა.

- მეტი არაფერი? რაიმე არ გამოგრჩეთ! - შეაგულიანა პოეტი.

- ამჯერზე მეტი არაფერი, ბატონო...

- წაბრძანდით მაშინ თქვენ და ჩვენ ყველაფერს მოვაგვარებთ.

მდივანმა პოეტი კარამდე მიაცილა.

შინ დაბრუნებულ პოეტს ტელეფონი ჩართული დახვდა.

ერთ თვეში სამოთახიანი ბინის ორდერიც მიიღო და ოპერაციაც საუკეთესო კლინიკაში გაუკეთეს სახელმწიფოს ხარჯზე.

აი, ასე ფასობდა კომუნისტების დროს პოეტის სიტყვა.

ახლა კი, ახლა, თევზის კი არა, ყოველდღე წყალ-წყალა სუპის დღე გვაქვს, მაგრამ რამდენიც უნდა წერო, მე შენ გეტყვი, ნადირაძე დაგიბარებს ან არველაძე?

ეხ, და კიდევ ერთხელ, ეხ!

●

„ვარდების რევოლუციის“ ტრიუმფალურ საღამოს ერთი იაღლიში მოუვიდათ რევოლუციის თავკაცებს - პარლამენტის სხდომათა დარბაზში შევარდნილებს შევარდნაძის მეგობარი პოეტის ლექსზე შექმნილი სიმღერა დააგუგუნეს:

*თავისუფლება ისე არ მიდის,*
*თავისუფლება ლომთა ხვედრია.*

ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსია ეს, ყმაწვილებო, თქვენ რომ კინაღამ რევოლუციის ჰიმნად აქციეთ.

გექციათ მერე, ვინ გიშლიდათ? დიდებული ლექსია, მუსიკაც დიდებული.

შევარდნაძე გონიერი კაცია და პოეტებთან მეგობრობდა, მაგრამ ამის გამო პოეტებს კი ნუ დაემდურებით..

ჰიმნის გახსენებაზე, ბარემ, ისიც ვთქვათ, რომ სახელმწიფო ჰიმნის პირველი ორი სტრიქონი პოეტ აკაკი წერეთელს ეკუთვნის:

*ჩემი ხატია სამშობლო,*
*სახატე - მთელი ქვეყანა.*

**თქვე დალოცვილებო, პოეტები არ გინდათ და მათ დაწერილ ლექსებს ჰიმნებად რა სინდისით აგუგუნებთ - დაავალეთ ბექაურს ან „კმარას“ რომელიმე აქტივისტს და ისინი დაგიწერენ თქვენს შესაფერის და თქვენს საკადრის შედევრებს.**

**და კიდევ ერთი: ვისაც თავისი სამშობლოს პოეტები და პოეზია არ უყვარს, იმას არც თავისი სამშობლო უყვარს. სამშობლო მხოლოდ ველ-მინდორი, მთა და ბარი, ტყე და მდინარე კი არ არის, სამშობლო სულია, სულიერებაა, რომლის შემნახველი და გადამრჩენელი სწორედ რომ პოეზია და მწერლობაა, რომელსაც თქვენ ასე ბეჯითად ებრძვით.**

**„ჩემი ხატია სამშობლო, სახატე - მთელი ქვეყანა“ - თქვენთვის და თქვენისთანებისთვის არ დაუწერია ეს ლექსი დიდ აკაკის და მკერდზე ხელმიდებულები ტყუილად ნუ იღერებთ ყელს და ტყუილად ნუ იხლეჩთ ხმას.**

●

გალაკტიონი ოცდაათიან წლებში დაწერილი ლექსების ერთ ნაწილს 1915, 1916 წლებით ათარიღებდა - აქაოდა, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ასეთ ლექსებს როგორ დავწერდიო.

ლექსი, რომელსაც ახლა შემოგთავაზებთ, ნამდვილად „ვარდების რევოლუციამდე“ დიდი ხნით ადრეა დაწერილი, 17 წლის წინათ;

*მე გაგაღვიძე! - ბრიყვი მაყვედრის -*
*შენ ჩუმად! მამულს თავს მე შევწირავ.*
*როგორ ავუხსნა მე ამ სახედარს -*
*მე რომ მეღვიძა, ამას ეძინა!*
*მუშტრული თვალით აგხედ-დაგხედავს,*
*გ ზომავს და გ წონის მზერით თავხედის.*
*რა უნდა ვუთხრა მე ამ სახედარს...*
*არა, არა მწყინს წიხლი სახედრის.*
*- მოერეოდა ეს თოხს ოყიანს! -*
*ვფიქრობ და ვტოვებ მრგვინავ მოედანს,*
*ხოლო სახედრის მჭახე ყროყინი*
*წვიმის თქრიალში ისმის შორიდან.*

***1989 წელი***

17 წლის წინათ არის ეს ლექსი დაწერილი (საქართველოში სახედრების ნაკლებობა არასოდეს იგრძნობოდა...)

17 წლის წინათ არის დაწერილი, არადა, დღევანდელ დღეზე დაწერილი გეგონება...

●

ეს ყველაფერი ნამეტანი კარგი, მაგრამ, რა უნდა ვქნათ ჩვენ, პოეტებმა საქართველოსი?

- რა უნდა ვქნათ და **„დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია“.**

- უი, რას ამბობ, ხომ შეიძლება გავცივდეთ?- შემომეპასუხება რომელიმე კოლეგა.

- მაშინ კიბე ვიშოვოთ და ხეზე ავძვრეთ ან სტაფილო მაინც ჩამოვიკიდოთ კისერზე - რაღაც ვქნათ, რაღაც მოვიმოქმედოთ, მთლად გაჩუმება არ ივარგებს, ძმებო, - ხომ ხედავთ, სულ ერთ ადგილას ვკიდივართ და სულ ერთ ადგილას ვახატივართ ამ ხატგამწყრალებს, ხატი ბუშის პორტრეტში რომ ეშლებათ და სახატე კიდევ ლევან რამიშვილის კაბინეტში.

**ვახტანგ ხარჩილავა**



# ალილო

- ადექით, თქვე ჩაჩნებო! ნახეთ, რამხელა თოვლი მოსულა! - უთენია შემომესმა ბებიაჩემის ხმა. ბებია მოფერებით „ჩაჩნებს“ გვეძახდა. ახლაც არ ვიცი, რატომ გვეფერებოდა ასე ან ამ შუაგულ იმერეთში საიდან მოიტანა „ჩაჩნები“.

თავპირისმტვრევით გავრბივარ აივანზე. ბაბუა ხის ნიჩბით კიბიდან ჭიშკრამდე მიიკვლევს გზას: მუხლებამდე თოვლი დევს ეზოში, კიდევ თოვს. ჩვენი წითელი ქათმები თოვლში ეფლობიან და ფრთებს საცოდავად აფათქუნებენ. ბაბუა თვალით მანიშნებს, მაღაზიაში აპირებს პურის საყიდლად წასვლას, ეამაყება, როცა მივყვები. „წამეგეწია შვილიშვილი, ოლიფანტე!“ - სიცოცხლეს უხანგრძლივებს მეზობლის შეძახილი. ვიცვამ, გავრბივარ.

ქუჩაზე ჯერ არავის გაუვლია, ყველა ბაბუას ელოდება. იციან, რომ ჩაივლის, გზის გაკვალვა აღარ იქნება საჭირო. ყველა ეზოს კართან ელოდება. მივდივართ მე და ბაბუა და უკან მოგვყვება მთელი ქუჩა. „შენ აგაშენა ღმერთმა, ოლიფანტე, თვარა ვიქნებოდი კიდო კაი ხანს“, - ჩლიფინებს ბენიძეების ქვრივი.

სოფლის კოოპერატივის წინ ხალხია შეკრებილი. ნოქარს და ცხელ პურს ელოდება. ჩვენი მისვლაა და, მოსახვევიდან თუხთუხით მანქანა გამოჩნდება. ბავშვები მძღოლს პურის ჩამოცლაში ვეხმარებით - ჩვენ ურიგოდ მოგვცემენ, წესია ასეთი.

ბაბუა ფულს ახურდავებს. „ბალიშა კამფეტებს“ ყიდულობს. ღამით ალილოა. თეთრი ფული და ტკბილეული მეალილოებისთვის უნდა.

- ოლიფანტე, ნაშუადღევს გადმოვიდეს ბაღანა ჩემთან. სიმღერაში წავავარჯიშებ ცოტას, - ეუბნება ბაბუას კლუბის ყოფილი გამგე, ტრიფონ ფხაკაძე. იქვე ცხოვრობს კოოპერატივის გვერდით მეუღლესთან და მოხუც დედასთან ერთად, ტრიფონ ბაბუას ყოველთვის უზარმაზარი, თეთრი, შავწინწკლებიანი „ბაბოჩკა“ უკეთია ყელზე.

- აუცილებლად, ჩემო ბატონო, - თავს უქნევს ბაბუა.

- აგი არ გედეიღებს, - ცას გახედავს ბენიძეების ქვრივი, - კაია, ზამთარი თოვლით ფასობს, ბაღნებსაც გაუხარდებათ, მონატრებული არიან ქალაქში თოვლს.

მივდივართ.

ისევ დაეწყობიან ბაბუას უკან გადამფრენი წეროებივით მეზობლები. მივყვები ხტუნვა-ხტუნვით, გულზე ცხელი პურები მაქვს ახუტებული და ყუას ვაციცქნი.

- ორი აბაზის კანფეტი ვიყიდე, მანათის თეთრი ფული დავახურდავე, ჯანჯუხა და ტყლაპი ქე მაქვს სახლში, - თავის თავს ელაპარაკება ბენიძეების ქვრივი.

- ბაბუა, ჩემთან გადმოსვლა არ დაგავიწყდეს, - თავის ჭიშკართან მომაძახებს კლუბის ყოფილი გამგე.

- ჩემთანაც ხომ გადმოხვალ, ბაბუა, - ყვირილით მეუბნება ტერენტი ახობაძე, - ჩემი პაკუსიე გინდ ყოფილა სახლში და გინდ არა, მაინც არ იკბინება. ისე, მაგის ყეფას მაინც ვერ ვგებულობ და გასაგდებადაც მეცოდება ეგ დაფეხვილი. არ შეგაშინებს, ბაბუა.

ტერენტი ბაბუა ყრუა. ყურთან ზარბაზანი რომ დაუცალო ვერ გაიგებს. გორიკის მახლობლად ცხოვრობს, გზიდან კარგად მოშორებით. ბავშვებს ღამღამობით გვეშინია გორიკასთან გავლა. გორიკას პატარა გორას ეძახიან, რომელიც შუა სოფელში ისე უაზროდ წამომართულა, ადამიანის გაკეთებული გეგონებათ. უხსოვარ დროს აქ სასაფლაო ყოფილა. მერე ხალხს ურმებით მიწის გაზიდვა დაუწყია ეზოების მოსაზვინად და მოსატკეპნად. დრო-ჟამმა დააპატარავა გორიკა. ამბობენ, უამრავ მიცვალებულთათვის ჩატარებულ საოჯახო ნივთს პოულობდნენო. მიცვალებულთა სულები ახლაც დასდევენ ღამღამობით გორიკას სიახლოვეს გამვლელებს, ჰგონიათ, ისევ მიწის წასაღებად არიან მოსულებიო. ბავშვებსაც ხშირად გვაშინებდნენ გორიკელი მიცვალებულების სულებით.

- გამევილით, ტერენტი ბაბუა, გამევილით, - ვუქცევ იმერულად.

●

სანამ შებინდდება, ტრიფონ ფალაძესთან გადავდივარ. მეუღლე სამზადში ფუსფუსებს, ბუხართან ტახტზე ტრიფონის მოხუცი დედა წამოწოლილა, ბუხრის წინ კი ჯორკოზე ნოვეია გიჟი ზის და სველ ფეხებს იშრობს.

- აბა, დევიწყოთ! - ოთახში ბოლთას სცემს ტრიფონი და ისეთი სერიოზული სახით გადმომყურებს, თითქოს კონსერვატორიაში ვიყო მისაღებ გამოცდებზე.

ოცდახუთსა დეკემბერსა
ქრისტე იშვა ბეთლემსაო და-ააა,
ოჰოჰოი, ოი, ალილოოო...
ჩიტი ღობეზე შემოჯდა,
იგალობა ქრისტეშობა დააა,
ოჰოჰოი, ოი, ალილოოო...
ალათასა-ბალათასა, ხელი ჩაჰკარ
კალათასა და,
ოჰოჰოი, ოი, ალილოოო...
ერთი კვერცხი გადმომიგდე,
ღმერთი მოგცემს ბარაქასა და...
ეშხში შევდივარ მე და სიმორცხვე სადღაც ქრება.

- გაჩეი, შე აბდალა! რავა შეიძლება მაგის თქმა ამ წმინდა დღეს! - დაუცაცხანა ტრიფონის მეუღლემ.

- Эх бедный идиот! - პათეტიკურად ჩაილაპარაკა ტრიფონმა.

●

დაბინდებისას ჩემი ბიძაშვილი კობა გადმოვიდა, ჩემი თანატოლი, მაგრამ, როგორც ყველა სოფლელი ბავშვი, ადრე დაბრძენებული. დიდი კაცივით მოგვილოცა დამდეგი შობა.

- მოი, ბებია, დაჯექი, გათბი ცოტა და წაით მერე. თლათ დაღამებას ნუ დაელოდებით, - სუფრის გაწყობა გააგრძელა ბებიამ, მერე კარადის უჯრიდან თეთრი ტილოს მოზრდილი ტომარა გამოგვიტანა.

- ახლა თლათ თავს ნუ მეიკლავთ, - თან გაზეთისთვის თვალი არ მოუშორებია ბაბუს. - ერთხელ იმღერეთ, ვინც გამოსასვლელია, ერთ ალილოზეც გამოვა. ახობაძეებისკენ წუნკალი ძაღლები ყავთ და მეერიდეთ, მთლა ეზოში ნუ შეხვალთ.

კობამ ტომარა უბეში ჩამიჩურთა, ბებიამ პირჯვარი გადაგვწერა და წავედით.

- იცოდე, ჩვენი მეალილოეც თქვენ უნდა იყოთ, - მოგვაძახა ჭიშკარში გადასვლამდე ბებიამ.

●

გეიყინეთ, ბაღნებო? - ღიმილით შემოგვეგება შინ დაბრუნებულებს ბებიაჩემი, - დეიბერტყეთ წინკარში მაგი პალტოები და გათბით.

მე და კობამ პირთამდე სავსე ტომარა ტახტთან „მივაწვინეთ“, ჯიბეები ამოვიტრიალეთ და ხურდა ფული მაგიდაზე ამოვყარეთ.

- თქვე ჩაჩნებო, ჩვენ არ უნდა გვიმღეროთ ალილო?! - გაშლილ სუფრასთან დატრიალდა ბებია.

ერთმანეთს გადავხედეთ.

- აქანა ვიმღერებთ, - დაეზარა კობას გარეთ გასვლა.

- იმღერონ ბაღნებმა აქანა, - გამოგვექომაგა ბაბუა.

„ოცდა-ოცდა ხუთსა დეკემბერსა
ქრისტე იშვა ბეთლემსაო და-ა-ა“...

დასჭექა ჩემმა ბიძაშვილმა. მეც ავყევი. ჩავათავეთ. ბაბუამ ხურდა ფული და ხილი ჩაგვიყარა ჯიბეებში. ორივეს გვაკოცა. ბებიამ მალულად ცრემლები შეიმშრალა და პირჯვარი გადაგვსახა.

- ყველას ხო ჩამოუარეთ, ბებია? - გვკითხა და პალტოების გახდაში დაგვეხმარა.

- მარტო ტერენტია ყრუსთან არ ვყოფილვართ, - ჩაილაპარაკა ძღვენის გაყოფაში გართულმა კობამ, - მაი, ნადია ბებია, მაინც ვერ გეიგებდა და... თან შორეა, იქნობამდის ვერ წავედით, წკვარამია გარეთ.

- აგი რაი მითხარით, მეალილოესთვის შორი რას მიქვია და წკვარამი! მაცხოვარი ყველაზა იშვა, ბებია, ვენაცვალე მის სახელს.

ქურდობაზე წასწრებულივით გავშეშდი. ბებიას პალტო გამოვართვი, სკამიდან ქუდს დავწვდი.

- ახლავე მოვალ! - გავძახე და ჭიშკრისკენ გავიქეცი.

მუხლებამდე თოვლში მივრბოდი. ქუჩის განათებაზე კარგად ჩანდა, რა ხვავრიელად თოვდა. ერთი-ორჯერ დავეცი, მაგრამ არაფრად ჩავაგდე. მხოლოდ იმის შიში მქონდა, გორიკა რომ უნდა გამევლო.

ქუჩიდან შუკისკენ გადავუხვიე, იქით ისე ჩაბნელებულიყო, თვალთან თითს ვერ მიიტანდი, სადღაც, გორიკას იქით მოჩანდა ჩაყვითლებული ნათურა. იქ ცხოვრობდა ტერენტი ბაბუა. ბეწვის ქუდის ყურები ჩამოვიშალე და ზონრებით შევიკარი, პალტოს საყელო ავიწიე, თითქოს ეს შიშს გამიქრობდა, იქით, არც გამიხედავს, ისე გავაგრძელე გზა. ნელ-ნელა ვუახლოვდებოდი მბჟუტავ ნათურას. შიშისგან სიმღერა დავიწყე. უფრო იმის გამო, თითქოს ავ სულს დავაფრთხობდი.

ოცდა-ოცდა ხუთსა ამ თვესაო,
ქრისტე იშვა ბეთლემსაო და-ა,
ოჰო-ჰოი, ოი ალილო-ო.
ალა-ალათასა ბალათასა,
ხელი ჩავკარ კალათასა და
ოჰო-ჰოი, ოი ალილო-ო.

მივაღწიე ტერენტი ბაბუას ჭიშკარს, ძაღლის ყმუილის ხმაც მომწვდა, ეტყობოდა, არავის უგალობია ალილო. ახლომახლო ნაფეხურები არ ჩანდა. ჭიშკართან შევჩერდი და გავაგრძელე.

არი-არიელი მარიელი,
ნუ გამიშობ ცარიელი და
ოჰო-ჰოი, ოი ალი-ლოო...

უცებ ძარღვებში სისხლი გამეყინა. ეზოში ზურგიან სკამზე ტერენტი ბაბუა იჯდა. მუხლებამდე თოვლში იყო ჩაფლული, წინ გაწვდილი მარჯვენა ხელის გულზე აბაზიანები და კარალიოკის ჩირი-ეყარა, მარცხენა ხელი დაბლა ჩამოვარდნოდა და თოვლში ჩაფლულიყო. თავი უკან გადაეგდო. იმხელა თოვლში გაყინულ პატრონამდე ვერ ბედავდა მისვლას და ჭიშკრიდან კარგა მოშორებით, სამზადისის წინ, ცას შეჰყმუოდა საცოდავი პაკუსია.

ტრიფონს ხელში დირიჟორის ჯოხი უკავია, ოთახში დადის და ჩემს ხმას ჰყვება.

- აი, აქ, ბაბუ, მარცვლით უნდა, აი, ასე: ოცდა-ოცდა ხუთსა დე-კემ-ბერ-სა, ქრისტე იშვა ბეთლემსაო და-ა-ა. ხომ უფრო კარგი გამევიდა!

- კი, ბაბუა, - ვუქნევ თავს.

- იგი არ გამოგრჩეს, მთავარი ესაა - „არიელიმარიელი ნუ გამიშობ ცარიელი დაა“. წესით „გამიშვებ“ უნდა, მაგრამ ჩვენებურად ასეა. აქაურებს ასე მოეწონებათ, - ისე დამაკვალიანა, თითქოს თვითონ აქაური კი არა, მილანიდან ჩამოსული ყოფილიყო.

- იგი, კიდო, იგიცა თქვი, - როგორც იქნა, ხმა ამოიღო აქამდის პირდაღებულმა ნოემ, - თუ ძღვენს გამოგიტანენ, უნდა უმღერო „მთას ურემი ევიტანე, ჩამევიდა გორებითო, თქვენი ოჯახი ეივსო ბარაქით და ქონებითო“. თუ არაფერი გამეიტანეს და ძაღლი წაგისიანეს, დოუმატე: „მატარებელი გეიქცა, შენი ოჯახი დეიქცაო“, - თქვა და ხითხითი დაიწყო.

## მამუკა ვაშაკიძე



# თუთა

თუთა დამწიფებულა, შავი თუთა. იასამნისფერი სკორეთი მოუჭრელებიათ თუთასდახარბებულ ღაბუა ჩიტებს მამაჩემის საფლავი. აჟივილებულა თუთა. ჩემი ბიჭები, უკვე ვაჟკაცობაში შესულნი, თხრიან საფლავებზე მომძლავრებულ ბალახს. გაშავებიათ ბალახებში ჩაცვენილი თუთისაგან თითები.

„ბჟოლას ხელებიდან, ბაბუ, ისევ ბჟოლის ფოთოლი ან კუხე ბჟოლა მოგაცლის“ - სადღაც შორიდან ჩამესმის ბაბუაჩემის ხმა. მეც ასე ვთხრიდი ბალახს ბაბუის მამის საფლავიდან თავის დროზე. ცერად გავხედავდი ხოლმე ქვის სვეტს, რომელზე მიკრული ფაიფურიდანაც ულვაშებაპრეხილი, წვერებიანი ვაჟკაცი შემომყურებდა.

მაშინაც დიდი იყო თუთა.

მოვრჩებოდი თუ არა საფლავის გაწმენდას, ბაბუა ხელში ამიტაცებდა და თუთის ტოტზე შემომსვამდა.

„ჭამე, ბაბუა, ბჟოლა, მამაჩემის ძვლებზეა ამოსული“.

დაფრთხებოდნენ ჩიტები. მერე კოლია ბაბუა გადმოვიდოდა, ბაბუაჩემის ბიძაშვილი და განაყოფი. დაეყრდნობოდა რკინის რიკულს. მამამისის საფლავი იქვე იყო - უზარმაზარი, ხავსმოდებული ასწლოვანი ცაცხვის ქვეშ მიყუჟული. მოხდიდა ბაბუაჩემი თუთის ძირში მიდგმულ დოქს ნაქურჩალს, წელში გამოყვანილ ჭიქებში ჩამოასხამდა ადესას. ერთ ჭიქას კოლია ბაბუას მიაწვდიდა. გახედავდა მზის შუქზე ჭიქას კოლია ბაბუა, ფერს შეუმოწმებდა ღვინოს, თითქოს გუშინ საღამოს არ დაელიოს ბაბუაჩემთან ერთად. მერე ფლატუნით შემოვიდოდა შემოღობილში.

- ეჰ, რა ვაჟკაცი იყო მაქსიმელა?! თხუთმეტი კაცი ვერ დოუდგებოდა გვერჩი. ამ ბაღანას ხელა ვიყავი, - ჭიქიან ხელს გამოიშვერდა ჩემკენ, - ბაშურიდან რო მოვდიოდით. გრიშაია ოსმანას დეენიძლავა. ჩარდახიანი ურემი უკნიდან აწია და ხარებს ისტე გამოუყვა. აყვირდა გრიშაია, ნუ დამიხოცე ხარები, მაქსიმელა, ვკისრულობ პურმარილსო! იანეთის გარასახოვთან რო დუქანი იყო, იქანა იქეიფეს. ბაღანა ვიყავი და პირდაფჩენილი მივჩერებოდი მთასავით ვაჟკაცს, აპა!

შევექცეოდი თუთას და მერამდენედ ვისმენდი ჩემი დიდი ბაბუის ვაჟკაცობის ისტორიას. მერე... მერე ბაბუაჩემის საფლავიც მოემატა მაქსიმე ბაბუას საფლავს. მე და მამაჩემი მოვდიოდით, ბალახისა და ჩამოყრილი თუთისგან ვასუფთავებდით სასაფლაოს. მოვრჩებოდით და კოლია ბაბუას ბიჭიც გადმოვიდოდა, მამამისზე ხმელი და მამაჩემის თანატოლი. შეავსებდნენ თლილ ჭიქებს. ჩემით ავძვრებოდი თუთაზე, დავაფრთხობდი ჩიტებს და ვჭამდი ცერისისხო შავ თუთას.

- რა კაცი იყო ოლიფანტე, ეჰ, ათი კაცი ვერ დოუდგებოდა გვერჩი. მაგი რომ ფაეტონით გამეივლიდა... ეჰ... ფუთ ღვინოს სვამდა. არღანზე უყვარდა ნამეტნავად ქეიფი. ქორწილში წინასწარ აძლევდნენ შამფურზე წამოცმულ გოჭს, მაინც ოლიფანტემ უნდა წეიღოსო და...

- აბა, სადღა არიან ახლა ეგეთი ვაჟკაცები. - გახედავდა ბაბუაჩემისსურათიან საფლავის ქვას მამაჩემი.

ახლა მე ვდგავარ მამაჩემის, ბაბუაჩემისა და დიდი ბაბუის საფლავთან. გავყურებ თუთის ხეს, ჩემი წინაპრების ძვლებით ნასაზრდოებს. ჟივილ-ხივილით სხმარტალებენ ღაბუა ჩიტები ფოთლებში. იქვე ჩემი ბავშვობა მიყუჟულა. ბიჭები მორჩნენ საფლავის გაწმენდას. წელში გასწორდნენ, თუთას ახედეს.

- ორივეს გაგვიძლებს? - გადმომხედა უფროსმა.

- გაგიძლებთ, შვილო...

მიფრთხობენ ბავშვობის მოგონებას.

კოლია ბაბუას შვილიშვილი გადმოდის. ჩემსავით შეჭაღარავებია თმა. დოქიდან წელში გამოყვანილ ჭიქებში ვასხამ კოოპერატივში ნაყიდ ღვინოს. ვეღარ მოვუარე მამაპაპეულ ვენახს. ბაბუამისივით გახედავს მზის შუქზე ჭიქას კოლიას ბადიში.

ახლა ღვინოს უკვე აღარ იწუნებენ და არც ფერს უსინჯავენ, მაგრამ მაინც წესად შემორჩა.

- რა კაცი იყო ცხონებული აჩიკო, მაგი რომ მკლავს გაშლიდა ქორწილში, ერთ ნახვად ღირდა! არადა, ისე წყნარი იყო, ჭიანჭველას არ დაადგამდა ფეხს, აპა.

- ეჰ, სადღა არიან ეგეთები.

ჭრიალებს ბიჭების სიმძიმისგან მოხუცი თუთა, ჩემი წინაპრების ძვლებზე გაზრდილი და მათი საფლავების დარაჯი.

**გავა დრო. ალბათ, ჩემები ჩემს შვილიშვილებს მოიყვანენ აქ. დააფრთხობენ თუთაზე შესეულ ჩიტებს. გადმოვა კიდევ კოლია ბაბუას ნაშიერი. შეავსებენ ჭიქას და...**

**ერთი, ღმერთო, ის გამაგონა, რას იტყვიან ჩემზე...**



# გურამ პეტრიაშვილის წერილები უკრაინიდან

**„მამულის“ მკითხველი უდიდესი ინტერესით გაეცნო გურამ პეტრიაშვილის წერილებს ჩვენი გაზეთის წინა ნომერში. ამჯერად ვაქვეყნებთ სამშობლოს უზომოდ მონატრებული კაცის მინიატურას, რომელიც ეს-ესაა მიიღო რედაქციამ.**

## ოლღა მამიდა

ჩემს ბავშვობას რომ ვიხსენებ, იცით, რას წარმოვიდგენ?

ის იყო უგრძესი და ნათელზე ნათელი დღე, რომელსაც სამი კაშკაშა მზე ანათებდა.

დიახ, სამი!

სამი ქართველი ქალი: დედაჩემი, ელო ძალო და ოლღა მამიდა.

და ნუ გაგიკვირდებათ, თუ მათი სახელები ხშირად შემოგხვდებათ ჩემს მოგონებებში.

ვაპირებდი, ჯერ დედაზე მეამბნა, მაგრამ იმ ამბავში ერთი მნიშვნელოვანი რამ ვერ გავიხსენე ახლა. ამიტომაც შემდეგისთვის გადავდებ დედაჩემის ამბავს, მისი სული არ მიწყენს, თუ ჯერ იმას გიამბობთ, რაც ამ წუთას ძალიან მკაფიოდ დამიდგა თვალწინ.

ეს ამბავი რაჭაში მოხდა.

დილით სათოხარში წამიყვანა ბიძია გიორგიმ, ოლღა მამიდას მეუღლემ.

შეღმართზე მობიბინე სიმინდის ყანა, ყანის შუაგულს მუხა, ცხვირსახოცებით თავწაკრული რაჭველი გლეხი და პატარა ბიჭი, გვერდიგვერდ რომ იქნევენ თოხებს და მიიწევენ წინ, თანაც ზევით-ზევით...

ამ სილამაზის აღწერას ახლა არ დავიწყებ. ეს მერე იყოს...

შუადღისას ამოვიდა ოლღა მამიდა.

მუხის ქვეშ ბალახზე გაშლილი ქათქათა პირსახოცი, პატარა დოქი ღვინისა, ლობიანები, მწვანილი, ბოლოკი...

ტკბილი ცოლ-ქმარი, მათი ღიმილიანი საუბარი...

წელშიგამოყვანილ თხელ ჭიქაში ალექსანდროული და ცხრა წლის ბიჭისგან ნათქვამი სადღეგრძელო: ალალი, სიყვარულიანი, გულუბრყვილო და, ალბათ, ოდნავ სასაცილოც...

ესეც ერთი ლამაზი მოთხრობის თემაა, მერე იყოს...

მამიდას რაღაცა ჰქონდა სხვენიდან ჩამოსაღები და გამოვყევი.

ბიძია გიორგისთან მერჩია, ცხადია.

მის გვერდით კაცი ვიყავი. უკან რომ გავიხედავდი და ჩემგან გათოხნილს თვალით გავზომავდი, სიამე მეღვრებოდა გულში, და ის სიამე ალექსანდროულისასა ჰგავდა...

მოკლედ, მოვდივართ ოლღა მამიდა და მე. თოხი მხარზე მაქვს გადებული და მეამაყება, რომ სათოხარიდან მოვდივარ...

გზისპირას უცნაური ხე იდგა.

დილით რომ გამოვუარეთ, მინდოდა, ბიძია გიორგისთვის მეკითხა, რატომაა ასეთი-მეთქი, მაგრამ სხვა ფიქრებში გავერთე და გადამავიწყდა.

ძალიან დიდი ხე იყო. ზედ მიწასთან ორად იყო გახლეჩილი, თითქოს ორი ხე მისტყუპებოდა ერთმანეთს.

საოცარი სანახავი იყო:

აბა, წარმოიდგინეთ, ხის ნახევარი ხასხასა ფოთლებით გაფოთლილი, მეორე კი - დანახშირებული.

მამიდამ პირჯვარი გადაიწერა და ჩუმად რაღაც ჩაიდუდუნა.

ახლა ვხვდები: ღმერთო, შენი სახელის ჭირიმეო.

- მამიდა, რატომაა ეს ხე ასეთი? - ვკითხე მამიდას და ხეს მივუახლოვდი.

- ღვთის ხეა, მამიდა, - მიპასუხა წყნარად.

არ შეიძლება იყოს, ყოფილიყოს ან როდისმე იარსებოს ქვეყნად რაიმემ უფრო თბილმა, ტკბილმა და ალერსიანმა, ვიდრე იყო ოლღა მამიდას მიერ ნათქვამი „მამიდა“.

მრავალი წლის შემდეგ, ერთ საშინელ შემოდგომაზე ნახევრად შეშლილი ბრბო რომ შემოჰკიოდა მთავრობის სასახლეს, მაშინ ვიფიქრე, ნეტავ მამიდა ოლღა გააცოცხლა და აქ მოიყვანა-მეთქი.

ერთს ეტყოდა, რა არის, მამიდა, რატომ ბრაზობთო.

და ყველანი გონს მოეგებოდნენ...

ახლა კი:

- რატომაა ღვთისა? - ვკითხე დაეჭვებულმა.

ცხრა წლისა ვიყავი. საბჭოთა სკოლაში დავდიოდი და პიონერი მერქვა.

საბჭოთა პროპაგანდის ერთ-ერთი მთავარი საქმე ღმერთის სახელის აბუჩად აგდება იყო, ქართულში, მადლობა ისევ ღმერთს, ეგრეთ წოდებული დიდი ასოები არაა, რუსულში კი არის, და ესეც ღმერთის წინააღმდეგ გამოიყენეს: მის სახელს პატარა ასოთი წერდნენ. არა „Бог“, არამედ „бог“.

ახლა ეს ყველაფერი სასაცილოა, მაშინ კი ზრდასრული ადამიანის სულშიც და ბავშვისაშიც მკრეხელობა ილექებოდა...

- ღვთისაა, მამიდა. ამ ხეს მეხი დაეცა, მაგრამ ღმერთს არ უნდოდა, რომ ხე მომკვდარიყო და მისი ნახევარი მაინც გადაარჩინა, - მიპასუხა მამიდამ.

- მამიდა, სადაა ღმერთი? - ვკითხე პიონერული ირონიულობით (თუ ირონიული პიონერულობით).

მამიდამ ვერ იგრძნო ირონია და მშვიდად მომიგო:

ზეცაშია, აბა, სად უნდა იყოს?

- მაშ, თუ ზეცაშია, რატომ მფრინავები ვერა ხედავენ?

რას გაიხარებდა საბჭოთა პროპაგანდის სულ დიდი უფროსი, ეს ჩემი სიტყვები რომ გაეგო!

- ღმერთს ვერავინ დაინახავს, მამიდა, ღმერთი ღმერთია...

ალბათ, მამიდას სიმშვიდემ გააბრაზა ის პიონერი, ჩემში რომ იჯდა.

- მაშ, თუ მეხისგან გადაარჩინა, ჩემი თოხისგანაც გადაარჩინოს! - ვთქვი და მოვიქნიე თოხი.

თოხის პირი ხის ცოცხალ მხარეს ჩაესო.

- ასე არ უნდა გექნა, მამიდა, - მითხრა მამიდა ოლღამ ჩუმად, შებრუნდა და გზა განაგრძო.

ცოტა არ იყოს, შეცბუნებულმა ამოვაძრე თოხი და ერთხანს უაზროდ დავყურებდი თოხისპირზე ხის წვენისგან შერჩენილ სველ ზოლს.

მერე მამიდას გავეკიდე.

რომ წამოვეწიე, მითხრა:

- აბა, აჯობე, მამიდა, გიორგის?

- როგორ ვაჯობე?

- მითხრა, ჩემზე კარგადა თოხნისო...

ვიგრძენი, რომ განგებ სხვა რამეზე დამიწყო საუბარი, რათა ხე დაგვვიწყებოდა ორივეს.

და თუმცა ხმაში არ შესტყობია, ისიც ვიგრძენი, რომ გული დავწყვიტე...

შინ რომ დავბრუნდით, თოხი მივაყუდე თუ არა, უცებ თავბრუსხვევა ვიგრძენი.

- მამიდა, მგონი, ავადა ვარ, - ვთქვი ჩუმად.

მამიდამ შუბლზე დამადო ხელი.

- სიცხე გაქვს, მამიდა.

საჩქაროდ ჩამაწვინა ლოგინში და სამზარეულოში გავიდა.

ვიცოდი, რისთვისაც.

დედაჩემსაც, ელო ძალოსაც და ოლღა მამიდასაც სიცხის საწინააღმდეგო ერთი და იგივე წამალი ჰქონდათ: ძმრისა და არყის ნარევი.

მამიდამ საბანი გადამხადა და გამაშიშვლა. მერე ყელიდან ტერფებამდე დამზილა იმ ჯადოსნური ნარევით.

ვკანკალებდი. მამიდა პეშვით დამასხურებდა ნარევს, მერე ხელისგულით გაიტან-გამოიტანდა აქეთ-იქით და მზილავდა.

დასხურებისას ნარევი ისეთი ცივი მეჩვენებოდა, წამოვიკივლებდი ხოლმე.

- ახლავე, მამიდა, ახლავე, - მოფერებით მეუბნებოდა მამიდა.

მთლად რომ დამზილა, ორი წყვილი წინდა ჩამაცვა, ტანზეც ორი თბილი საბანი დამახურა და ყოველი მხრიდან საგულდაგულოდ შემომიკეცა. მერე ტილო ჩაასველა ნარევში, გაწურა, გაშალა, კოხტად გაკეცა და შუბლზე დამადო.

- დაიძინე, მამიდა, გაიღვიძებ და კარგად იქნები.

ვიცოდი, რომ მართლაც ეგრე მოხდებოდა.

რამდენიმე წუთს კიდევ მაკანკალებდა, მერე სასიამოვნოდ დამთბა მთელ სხეულში და ვიგრძენი, რომ სულ მალე ოფლი დამიწყებდა დენას, ოფლი კი სიცხეს გამოიტანდა.



ახლა, ვიდრე დავიძინებდი, ერთი რიტუალი უნდა აღმესრულებინა.

რა თქმა უნდა, მაშინ არ ვიცოდი ეს სიტყვები: „რიტუალი“ და „აღსრულება“. მაგრამ მომწონდა, რასაც ვაკეთებდი.

საერთოდ, ადამიანს იზიდავს რიტუალები, და რაც უფრო მეტი აქვს საზოგადოებას ლამაზი რიტუალი, მით უფრო მშვიდია იმ საზოგადოების ცხოვრება, მით უფრო კარგადა გრძნობენ თავს ადამიანები...

რა იყო ჩემი რიტუალი?

ვიწყებდი ფიქრს იმაზე, რომ დედაჩემის, ელო ძალოსა და ოლღა მამიდას უებარი წამალი აფთიაქებში უნდა იყიდებოდეს და ზედ ეწეროს...

რიტუალის მთავარი ნაწილი სწორედ იმაზე ფიქრი იყო, თუ რა უნდა რქმეოდა იმ წამალს. ერთი ცხადი იყო, რომ წამლის სახელში უნდა გაერთიანებულიყო სამი სახელი: ეკატერინე (ასე ერქვა დედაჩემს), ელო და ოლღა.

ჰოდა, ვფიქრობდი, რომელი აჯობებდა: ეკელოლ-ი თუ ელეკოლ-ი, ან იქნებ ოლელეკ-ი? იქნებ ეკოლელ-ი? ელოლეკ-ი?

ოლეკელ-ი?

რიტუალის დასკვნითი ნაწილი ის იყო, რომ სიცხისგან ისედაც გახურებული ჩემი ტვინი,ცდილობდა, ამ სამი მარცვლისგან (ეკ ელ და ოლ) კიდევ ერთი სიტყვა მაინც შეედგინა.

და ამ მცდელობაში ჩამეძინებოდა ხოლმე...

რომ გავიზარდე და მათემატიკის რაღაც-რაღაცა კანონები ვისწავლე, აღმოვაჩინე, რომ, თურმე, ამაოდ ვეძებდი წამლის მეშვიდე სახელს, ეკ, ელ და ოლ მხოლოდ ექვსნაირად შეიძლება დაეწყოს.

არ გამცინებია ჩემი ბავშვობის ფიქრებზე.

იმ რიტუალში ხომ მთავარი ის იყო, რომ ჩემს უსაყვარლეს სამ სახელს ვიმეორებდი და ვიმეორებდი...

გამომაღვიძა შუბლზე მამიდის ხელისგულის შეხებამ.

მამიდა მიღიმოდა.

მეც გავუღიმე.

ერთი ხელი ისევ ჩემს შუბლზე ედო, მეორესა მალავდა.

- რა მოგიტანე, თუ იცი, მამიდა? - მკითხა.

ცხადია, ვიცოდი.

- თეთრი ბლის მურაბა, ხომ?

- ჰო, მამიდა, - გამომიწოდა მინის ნახევარკილოიანი ქილა. ქილაში დიდი კოვზი იდგა თავდაყირა. სწორედ რომ იდგა. ქილის კედელს არ ეხებოდა ტარით. შუაგულში იყო აღმართული.

მამიდამ სასთუმალი გამიმაღლა. ორი ბალიში დაადო ერთმანეთს.

მივეყუდე ბალიშებს და კიდევ ერთი რიტუალის აღსრულებას შევუდექი.

მამიდას არ უთქვამს, სულ ნუ შეჭამ, მთელი ქილა მურაბა გაწყენსო.

ვჭამდი მურაბას და ბედნიერებაზე ვფიქრობდი.

ცხადია, არც ამ სიტყვის არსი ვიცოდი, მაგრამ ფიქრებით ნამდვილად ბედნიერების რაობას ვაანალიზებდი.

ბედნიერება ვისთვის რაა და ვისთვის კიდევ - რა.

მე კი იმასა ვფიქრობდი, რომ ახლა ვჭამ თეთრი ბლის მურაბას, ხოლო ხვალ მამიდა ნებას დამრთავს, რომ ავდგე. ავდგები, ავიღებ ბურთს და კენწვლაში ვივარჯიშებ, მერე ჯოხის ხმლით თავს წავაწყვეტ „მტრებს“ - ბაღის ღობესთან ამოსულ ჭინჭრებს, მერე ავალ კაკალზე...

და უცებ ის ხე გამახსენდა.

გამახსენდა, თუ როგორ ჩაერჭო ჩემი თოხის პირი ხის სხეულში.

- მამიდას გული დავწყვიტე, - ესა ვთქვი და ვიგრძენი, რომ მურაბა აღარ მინდოდა. თითქოს გაუგემურდა.

- დღეს არაფერს მეტყვის მამიდა, რადგან ჯერ ისევ ლოგინში ვარ. ხვალ კი, რომ ავდგები და ავადმყოფი აღარ მერქმევა, მისაყვედურებს. მეტყვის, აი, რომ არა გწამს ღმერთის არსებობა, იმიტომ დაგსაჯაო.

მამიდამ მეორე დღესაც არაფერი მითხრა.

არც მესამე დღეს.

არც მეოთხე დღეს...

ერთკვირიანი შიშიან-სირცხვილიანი ლოდინის შემდეგ მივხვდი, რომ მამიდას არც უფიქრია, საყვედური ეთქვა ჩემთვის.

ასეთი იყო ჩემი ოლღა მამიდა.

ყველაფერი, რაც არსებობს, შეიძლება იყოს ლამაზიც და ულამაზოც.

შეიძლება ღმერთიც კი გწამდეს ულამაზოდ.

სხვათა დასანახად რომ იწერს კაცი პირჯვარს წამდაუწუმ, ეკლესიის იატაკს რომ უხათქუნებს შუბლს და მხოლოდ ერთს ეხვეწება ღმერთს, მე ნუ გამიჭირვებ ნურაფერს და სხვები წყალსა და მეწყერს წაუღიაო, შესაძლოა, ასეთ კაცსაც სწამს ღმერთის არსებობა. მაგრამ ულამაზოა მისი რწმენა.

ოლღა მამიდა ყოვლად ლამაზი პიროვნება იყო.

ღმერთიც ლამაზად სწამდა:

მშვიდად, ურყევად და, რაც მთავარია, უხმაუროდ.

გადავიკითხე ოლღა მამიდას ამბავი და მივხვდი, რომ ქართული ლიტერატურის კაი მცოდნეს შეუძლია მითხრას: ძამია, ნოდარ დუმბაძის გავლენა იგრძნობა შენს ნაწერშიო.

რა ვქნა, ვეძგერო ჩემს ნაწერს და ამოვშანთო ის გავლენა?

არ ვიზამ მაგას!

ჯერ ერთი.

თუ მწერალს წაკითხული აქვს „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და თვითონაც ქართულ სოფელზე დაწერს რამეს, როგორ უნდა მოახერხოს და აირიდოს ნოდარ დუმბაძის გავლენა?

მეორეც:

თუ ნაწერში მწერლის წინაპრისა ან წინამორბედის გავლენა იგრძნობა, ამაში არაფერია საგანგაშო.

პირიქით. ძალიანაც კარგი, თუ იგრძნობა.

ერთი მწერლის გავლენას მეორეზე მე ცისარტყელას შევადარებდი.

ეს ცისარტყელა წინამორბედის გულში იწყება, გადაირკალება ლიტერატურის ცაზე და მთავრდება მიმდევარის გულში.

აბა, ნახეთ:

„ალუდა ქეთელაური კაცია დავლათიანი...“

არაა ძნელი მისახვედრი, თუ სად იწყება ის ცისარტყელა, რომლის ბოლოშიც ეს სტრიქონი ანათებს.

ა, ბატონო:

„იყო არაბეთს როსტევან მეფე ღმრთისაგან სვიანი“.

თუკი სხვისი გავლენა ისეთი გოლიათის შემოქმედებაშიც კია, როგორიც ვაჟა-ფშაველაა, მე ვინა ვგდივარ, რომ ჩემს ნაწერში არ იყოს?

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ სიტყვა „სხვისი“ გარკვეულწილად პირობითია.

ვაჟასთვის რუსთაველი „სხვა“ არაა. „ვეფხისტყაოსანი“ ხომ ყველა ქართული პოეტის სულის განუყოფელი ნაწილია.

მაშ რა რქმევია გავლენას სინამდვილეში?

სიყვარული, ძმებო, სიყვარული!

***და ლიტერატურის ცა ამ სიყვარულის მილიარდჯერ მილიარდი ცისარტყელითაა სავსე.***

ჩემს ნაწერში ნოდარ დუმბაძის გავლენა შეიცანით?

ძალიანაც კარგი.

მე იმას ვამბობდი, თუ როგორ მიყვარს ჩემი ოლღა მამიდა და, თურმე, ისიც მითქვამს, როგორ მიყვარან ზურიკელა, ბებია, ილიკო და ილარიონი.

აუჰ, შენი გულისა!

თუმცა შემთხვევითობის ბრალია, ნოდარ დუმბაძის ბებიასაც და მამიდაჩემსაც რომ ერთი სახელი ჰქვიათ, მაგრამ, იცით, როგორ მიხარია?!

ოლღა ბებია... ოლღა მამიდა...

და კიდევ:

ოლღა დეიდა - გმირის დედა, ოლღა დემურია-კოსტავასი, ეროვნული მოძრაობის წევრები მოფერებით რომ დეიდა ოლიკოს ვეძახდით.

დაბოლოს.

ასევე ჰქვია ჩემს უფროს ქალიშვილსაც.

ოლღა... ოლიკო.

და ესეც ძალიან მიხარია.

თვითონ მიხვდებით, რატომაც...

### აზმა მეოთხე
## მოსვლა «მგლის შვილთა»
*გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მამული“ № 14-17*

*რომის ერთადერთი ტალანტი - ესაა მსოფლიოს დაპყრობა.*
*ჟან-ჟაკ რუსო*

**რომაელები და სომხები**

გნეუს პომპეუსმა სცადა დამარცხებული მითრიდატეს დევნა განეგრძო, როცა მეფემ კოლხეთისკენ გადაუხვია, თავი მიანება და პონტოს წინააღმდეგ ომი დამთავრებულად ჩათვალა, რომაელმა სარდალმა პონტო მთლიანად ჩაიბარა და მითრიდატეზე საბოლოო გამარჯვების აღსანიშნავად უკანასკნელი ბრძოლის ადგილზე დააარსა ქალაქი ნიკოპოლისი (გამარჯვების ქალაქი). პომპეუსმა პირველ ყოვლისა იქ დაასახლა დაჭრილი და ხანდაზმული მეომრები; მათთან ბევრი ახლომახლო ადგილობრივი მცხოვრებიც დასახლდა.

მას უკან, პომპეუსმა ლეგიონები დასძრა სომხეთისაკენ.

სანამ პომპეუსი მითრიდატეს სდევნიდა და პონტოს იპყრობდა, სომხეთსა და პართიას შორის ურთიერთობა იმდენად გამწვავებულიყო, რომ საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდეც მისულიყო. ტიგრანს უღალატა შვილმა, რომელსაც სახელად აგრეთვე ტიგრანი ერქვა. ეს ტიგრან მრწემი სომხეთის მეფეს მითრიდატეს ასულის, კლეოპატრასგან შეეძინა. იგი ამავე დროს იყო სიძე პართიის მეფე ფრაატ III-ისა. ამიტომ მეფე ტიგრანი თავის შვილს, ვითარცა მითრიდატეს სისხლიერსა და ფრაატის სიძეს, მუდამ ეჭვის თვალით უყურებდა. უფლისწულიც თავისი თავნებობითა და „უცხოური ორიენტაციებით“ მამასა და მეფეს საფუძველს აძლევდა ეჭვისა და უნდობლობის თვალით ეცქირნა მისთვის. ამას ისიც დაერთო, რომ პომპეუსმა სომხეთის გალაშქრებამდე პართიასთან კავშირი შეკრა. ტიგრანი გვიან მოდიოდა გონს: აღარც მითრიდატე, აღარც ფრაატი, აღარც საკუთარი შვილი მის ბანაკში აღარ აღმოჩნდნენ. მალე სიძე-სიმამრი, ფრაატი და ტიგრან მრწემი პართიული ჯარებით სომხეთში შეიჭრნენ და მის სატახტო ქალაქს, არტაქსატას მიადგნენ. ტიგრან მეფემ ქალაქი მიატოვა და მთებში გაიქცა. პართიელებმა ალყა შემოარტყეს სომეხთა სატახტოს, მაგრამ რაკი მისი აღება ხანგრძლივ ალყას მოითხოვდა, ფრაატმა არტაქსატას კედლებთან ტიგრან მრწემი დატოვა, ხოლო თვითონ თავის სატახტოში ქტესიფონში დაბრუნდა. ამით ტიგრან მეფემ ისარგებლა, მთიდან სასწრაფოდ დაბრუნდა, მარტო დარჩენილ შვილს მიუხტა და უმალვე კიდეც დაამარცხა. დამარცხებულმა უფლისწულმა სიმამრთან დაბრუნება ვეღარ გაბედა და თავის პაპას მითრიდატეს მიაშურა. მაგრამ როცა შეიტყო, რომ დამარცხებული მითრიდატე თვითონ საჭიროებდა დახმარებას, იგი გაიქცა პომპეუსთან და მორჩილება გამოუცხადა მას.

პომპეუსმა ამ ახალი ბედნიერი შემთხვევითაც კარგად ისარგებლა - სომეხი უფლისწული მეგზურად აიყვანა და არტაქსატასკენ დაიძრა (66 წელი).

ტიგრანმა იგრძნო, რომ მისი ქვეყნის შიგნით შემოჭრილ და სატახტო ქალაქთან მოახლოებულ რომაულ ლეგიონთა წინააღმდეგ გამოსვლა სასიკეთო

# უქარქაშო ხმლები

**ლევან სანიკიძე**




ნაყოფს ვერ მოუტანდა. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო პართიელების შემოჭრაც. ტიგრანმა ვერ მოისაზრა, რომ შესაძლო იყო, პომპეუსი და ფრაატი ერთდროულად შესულიყვნენ არტაქსატაში და მოღალატე შვილთან ერთად გაეყოთ მისი სამფლობელოები. ამიტომ ტიგრან მეფემ, სომხეთის ტახტ-გვირგვინის შენარჩუნების მიზნით, გადაწყვიტა თავი ეცნო რომის მორჩილად.

ტიგრანმა პომპეუსთან ელჩები გაგზავნა და თან გააყოლა მითრიდატეს კაცები, რომლებიც მას მანამდე ჰყავდა შეპყრობილი. ამით სომეხთა მეფემ ნიადაგი მოამზადა რომაელ სარდალთან უფრო მომგებიანი ზავის მისაღწევად. როცა პომპეუსი არტაქსატას მიუახლოვდა, ტიგრანმა თვითონ შეუშვა რომაული ციხიონი თავის სატახტოში, ხოლო პომპეუსმა არტაქსატადან თექვსმეტი მილის მანძილზე დასცა კარავი.

ტიგრანი ნათესავებისა და ახლობლების თანხლებით მიეახლა პომპეუსის ბანაკს. ბანაკის შესასვლელთან რომაელ გუშაგთა ბრძანებით ტიგრანი ცხენიდან ჩამოხტა, იარაღი აიყარა, ამალა მოიშორა და მარტოდმარტო გაეშურა პომპეუსის კარავისაკენ.

პომპეუსი ბრწყინვალე სავარძელში იჯდა. ხელმარცხნივ ტიგრან მრწემი უჯდა.

ტიგრან მეფე შევიდა და წარსდგა. რომაელი ზვიადად განისვენებდა. მოღალატე უფლისწული იქედნურად იღიმებოდა.

ტიგრანმა წამიერ გარინდებას თავი დააღწია, დიადემა და წამოსასხამი მოიძრო და პომპეუსის წინაშე აღმოსავლური წესით განერთხო მიწას.

რომაელმა მოწყალება მოიღო: მეფე ფეხზე წამოაყენა და ხელმარჯვნივ დაისვა.

მტრად გადაკიდებული მამა და შვილი აქეთ-იქით უსხდნენ პომპეუსს.

ტიგრანმა აღიარა რომაელთა მბრძანებლობა სომხეთის მიმართ და განაცხადა, რომ ის არ თაკილობს მორჩილებას ისეთი კაცის წინაშე, რომელსაც სიძლიერითა და ძალაუფლებით ტოლი არა ჰყავს მთელ ქვეყანაზე.

მწარედ გაუცრუვდა იმედები ტიგრან მრწემს, როცა პომპეუსმა მის მეფე-მშობელს უთხრა: შენ არამცთუ სომხეთის მეფობა არ დაგიკარგავს, არამედ რომაელთა მეგობრობაც კი მოიპოვეო.

ტიგრანს სომხეთის სამეფო რჩებოდა იმ საზღვრებში, რომელშიც მან ჩაიბარა ტახტზე ასვლისას. რომაელებს გადაეცემოდა სირია, ფინიკია, კილიკია, გალატია, კაპადოკია; ტიგრანს რომაელთათვის უნდა გადაეხადა სამხედრო კონტრიბუცია 6 000 ტალანტის რაოდენობით; საჩუქრების სახით უნდა დაერიგებინა ყოველი რომაელი ჯარისკაცისთვის 150 დრაქმა, ყოველი ცენტურიონისთვის 1000 დრაქმა და ყოველი სამხედრო ტრიბუნისთვის თითო ტალანტი. პომპეუსს არ შეეძლო დაევიწყებინა მის წინაშე ტიგრან მრწემის დამსახურებაც. ამიტომ მას სამმართველოდ გადასცა სოფენა და გორდიენა (ადრე ქართული პროვინცია - ქართუხების საცხოვრისი); აგრეთვე ტიგრან მრწემი რჩებოდა სომხეთის სამეფო ტახტის მემკვიდრედ. მაგრამ ზავის პირობებით ყველაზე ნაწყენი სწორედ ტიგრან მრწემი დარჩა. ის ადრე, პომპეუსის ბანაკისკენ მიმავალი, სრულიად დარწმუნებული იყო, მამისადმი ღალატისა და რომაელთადმი მიმხრობის წყალობით სომხეთის ერთპიროვნული მბრძანებელი შეიქნებოდა, მაგრამ, როგორც ვნახეთ, მისი იმედები გაცრუვდა. მართლაც და, რატომ უნდა მომხდარიყო ასე? თუკი სომხეთში მეფობის გაუქმება აუცილებლობას არ წარმოადგენდა, მაშინ ვინ უნდა ყოფილიყო სომხეთის მეფე, თუ არა ტიგრან მრწემი, რომელმაც საქმით დაამტკიცა რომაელთადმი ერთგულება?

ჭაბუკი ტიგრანისადმი პომპეუსის უმადურობა პირველყოვლისა პართიასთან მისი ახლო ურთიერთობით უნდა აიხსნას. ახალგაზრდა უფლისწულის ძალაუფლებისმოყვარეობა, მისი მერყევი ხასიათი და პართიის მეფესთან ნათესაურ-მოყვრული დამოკიდებულება არ იძლეოდა იმის გარანტიას, რომ მისი გამეფების შემთხვევაში რომის აღმოსავლური მონაპოვარნი საფრთხის ქვეშ არ დადგებოდა. ყოველთვის მოსალოდნელი იქნებოდა, რომ სომხეთისა და პართიის მეფეები ერთმანეთს მხარს მისცემდნენ რომის წინააღმდეგ ომის წამოწყებაში. ამიტომ რომაელთათვის უფრო საიმედო ისევ ტიგრან უფროსი უნდა ყოფილიყო. ტიგრანი არავისთან აღარ იმყოფებოდა კავშირში. იგი მტრობდა მითრიდატეს, ფრაატს და საკუთარ შვილსაც კი. ასე რომ, ტიგრანი აღმოსავლეთში რომაელთა საზიანო კავშირის ხელშემშლელი იქნებოდა და არა ხელშემწყობი. ამ პერიოდში, როცა სომხეთი ძალზე დაუძლურდა და პართია გაძლიერდა, რომაული დიპლომატია ჩვეული ტაქტით ცვლის ამ ქვეყნებისადმი დამოკიდებულების კურსსაც. სანამ სომხეთი საშიში იყო, რომაელები მის წინააღმდეგ პართიას უკავშირდებოდნენ, ხოლო ახლა, როცა პართია გაძლიერდა, უფრო ხელსაყრელი ხდებოდა კავშირი სომხეთთან პართიის წინააღმდეგ, სომეხ მოკავშირედ ახლა რომაელებს უფრო ტიგრან უფროსი გამოადგებოდათ, ვიდრე პართიის სასახლის კარზე გაშინაურებული სომეხი უფლისწული.

ტიგრან მრწემმა რომაულდიპლომატიურ ღონისძიებათა წინააღმდეგ გალაშქრება სცადა. მან უარი განაცხადა მამისათვის დაეთმო სოფენაში შენახული განძეულობა, საიდანაც ტიგრან მეფეს პომპეუსისათვის კონტრიბუცია უნდა გადაეხადა. ამის გამო, რომაელი სარდლის ბრძანებით, გაურჩებულ უფლისწულს განძი მთლიანად ჩამოერთვა, თვითონ მას ბორკილებიც დაადეს და შეუერთეს ძვირფას ტყვეთა რიცხვს, რომელსაც უნდა დაემშვენებია პომპეუსის ტრიუმფი რომში. მართალია, ფრაატმა სცადა გამოსარჩლებოდა თავის სიძეს, თანაც მოითხოვა პართიასა და რომს შორის საზღვრების გადასინჯვა, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. პომპეუსმა უპასუხა, რომ პართიასთან შეკავშირებაზე და უფლისწულზე მეურვეობის უფლება აქვს მამას და არა ფრაატს. ჩანდა, რომ პართიასთან მშვიდობიან შეთანხმებაზეც ლაპარაკი დამთავრებული იყო.

სომხეთის „ვითომ დამოუკიდებლობის“ შენარჩუნებას პომპეუსისათვის კიდევ სხვა მხრივაც ჰქონდა მნიშვნელობა. იგი ემზადებოდა ამიერკავკასიის ჩრდილოეთ ნაწილების დასალაშქრავად და მისთვის ხელსაყრელი არ იქნებოდა ზურგში დამონებული და მტრულად განწყობილი ქვეყანა ჰყოლოდა. მან იცოდა, რომ ლუკულუსთან ბრძოლებში სომხების გვერდით მათი ჩრდილოელი მეზობლებიც იბრძოდნენ, მოსალოდნელი იყო, სამაგიეროდ სომხებსაც ხელი გაეწოდებინათ თავისი მეზობლებისათვის იმ დროს, როცა რომაელები სომხეთიდან ჩრდილოეთისაკენ გაიჭრებოდნენ. ამიტომ, თუ პომპეუსს სურდა, ქართველთა მიწა-წყალზე ლაშქრობისას სომხეთიდან ზურგში მახვილი არ დასცემოდა, არ უნდა დაეშვა კავკასიელი ხალხების - სომხების, ალბანელების, იბერიელებისა და კოლხების - გაერთიანება. პომპეუსი ამ შემთხვევაშიც მოქმედებდა ცნობილი რომაულ-დიპლომატიური დევიზით: „გათიშე და იბატონე!“

ამიერკავკასიის ხალხების გასათიშავად რომაელთა სარდალმა სომხეთი „რომაელი ხალხის მოკავშირედ და მეგობრად“ გამოაცხადა. ტიგრანი გრძნობდა ამ იძულებითი „მეგობრობის“ ნამდვილ შინაარსს, მაგრამ ქვეყნის დამოუკიდებლობის სრულ დაკარგვას ისევ ნაბრძანები „მოკავშირეობა და მეგობრობა“ სჯობდა. ამ გზით პომპეუსმა იბერია-კოლხეთში ლაშქრობისას სომხეთის მხრივ არა მარტო მიუმხრობლობის პოზიციას მიაღწია, არამედ ტიგრანისაგან საჭირო დახმარების აღთქმაც მიიღო სურსათ-სამარაგის და ფულის სახით.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

---

**მანუჩარ კაჭახიძე**

## ცეკვა ქართული

*ბალეტი ჯიშის, ქართული ჯიშის!*
*გრ. რობაქიძე*



ერთი ლაური -
დიმპი-ტაური!:
ტალისმანია
ფულის მანია;
შენ რაც გმართნია-
ფიროსმანია,
თან თეთრ-ეულით
გამოხატული,
გათათრებული
ირემ-ხატული...
ტაური, ტაური,
დამპი-ტაური!
ფიროსმანია
გამოხატული.
ორი ლაური-
დიმპი-ტაური!:
მუხლზე დაისვი
დასი „დაისის“;
მომღერალების
დივლი-ლალები
ბოძზე გააკრეს,
ყველგან დაჩაგრეს,
ბევრმა იხვეწა,
გადაიხვეწა!!!
ტაური, ტაური,
დამპი-ტაური!
ფალიაშვილის
ფუმფლი დავლური.
ხუთი ლაური -
დიმპი-ტაური!:
ჰიბრიდებიცა
იბრიდებიან
ინფექციური
იმპოტენციით,
ფიქრი ციური
იმ პორტრეტივით;
გვცდის ფიქციური
იმპორტ-კრედიტი.
ტაური, ტაური,
დამპი-ტაური,
ჯავახიშვილი
ინფლაციური.
ათი ლაური-
დიმპი-ტაური!:
სიტყვები ტყულა
ცოტა მეტიკა,
აკაკი ტყუპად
უდრის ილიას; -
არითმეტიკა ამოხსნილია,
მარხვის ეთიკა
თუკი ხსნილია.
ტაური, ტაური,
დამპი-ტაური!
სიცოხლე გვიღირს
ფანტვა-ფანტურით.
ოცი ლაური -
დიმპი-ტაური!:
ფინანსიური
ბალანს-თვიური;
დინამიური
ტყული ტყიური;
ორი ილია
ვიღას ედრება, -
მელის ბილიარდს
მტვერი ედება.
ტაური, ტაური-
დამპი-ტაური!
პოლიტიკაა
ფანტასტიური!
ორმოცდაათი -
თამარისათვის...
ბირჟის აქციებს
გვერდი აქციეს,
დოლი ხარბად კი
ძარღვებს აციებს,
ეროვნულ ბანკის
ოპერაციებს
ვერ გადვურჩებით...
მოვკვდეთ ურჩები!
დიმპი-ტაური!
დამპი-ტაური!
იერარქია
თამარეული.
ასი ლაური -
დიმპი-ტაური!:
ლექსებს შაურში
ვისვრით შაორში.
რუსთველს ჩაითვლის
შტერთა შაირი
მოგვაქვს ა, იმ თვის
იმისნაირი;
მწერთა მაფია
რა იაფია...
ტაური, ტაური,
დამპი-ტაური!
მათხოვრებივით
ვკრიფოთ შაური.
ხუთასი ლარით -
ვიჭერ თადარიგს.
ჩუმად, ტაური,
დიმპი-ტაური!:
ძეგლთა შენების
აღმაშენებლის, -
ხუთასი ლარი. -
ყველა ქართველის
ოცნება არი; -
როგორ დავთვერი.
ტაური, ტაური,
დამპი-ტაური!
„განდაგანა“ და
ცეკვა „ქართული“.
ათასი ლარი?! -
ვიცი ვინც არი...
ევრო-თაურის
მიკი მაუსი,
დიმპი-ტაურის
ბრდღვინვა-ხმაურში,
თამასუქებით
რომ გასუქდებით
მონათლულები
ჩვენის წყლულებით.
ტაური, ტაური,
დამპი-ტაური!
აღარ მახარებს
აურ-ზაური...

*ბზის ტოტები დაუფინეს და სიხარულით შეეგებნენ ქრისტეს იერუსალიმში, მაგრამ ამავე ქალაქში ჯვარს აცვეს იგი. ვაი, იმ მოკვდავს, ვინც პოეტის მოსამართლის როლში გამოვა. არწივები, ფრთებზე ხუნდებდადებულნიც კი, არასოდეს ივიწყებენ სივრცეს. მაქსიმე აღმსარებელს ენა მოჰკვეთეს, მაგრამ არ მომკვდარა, საქართველომდე ჩამოაღწია და აქ, მცხეთაში, აღესრულა! ხოლო... „შორია საქართველომდე!“ — პაოლო იაშვილის ერთ-ერთი უკანასკნელი ლექსის უკანასკნელი სტრიქონია.*

ტრაგედია

# რატომ იკლავენ თავს პოეტები?
# პოეტმა დავით მჭედლურმა თავი მოიკლა!

**დათო მჭედლური!**

24 მაისს მოიკლა თავი.

26 მაისს არ მეზეიმებოდა.

რედაქციაში ბაღათერ არაბულმა დაგვირეკა, მეზობლებს ახლად ჩასვენებული ჰყავდათ დათო სასახლეში, ლაშა ნადარეიშვილი და მე, როცა დათოს ოჯახში მივედით, ვარკეთილში. კაი ხანს გაოგნებულები ვიდექით ძმა-პოეტის ცხედართან.

**რატომ?**
**რისთვის? ეს რა ქნა?!**
**უხმოდ, გულში ვტიროდით.**

დათო, ძმაო, გვაპატიე! ამ სამგლოვიარო წერილში შენი და ჩვენი მეგობრები - პოეტები უნდა გავიხსენო, რომელთა ცხოვრება იყო პროტესტი არსებული ხელისუფლებისადმი და რომელნიც ზოგი თვითმკვლელობით, ზოგი საზოგადო უყურადღებობის გამო განერიდენ ცრუ წუთისოფელს...

ძმაო, დათო! ვიდრე „გეკოს“ ტყვიას ადგილიდან დაძრავდი, უკანასკნელი წერილები დაგიტოვებია ჩვენთვის, ჯერჯერობით ცოცხალთათვის, წასაკითხად, **აუცილებლად წავიკითხავთ!**

„სუყველაფერი ასე დამთავრდა!“ - წერ ლექსში - „დასაწყისი“.

მაიაკოვსკის პრემია პირველებმა ლაშა ნადარეიშვილმა და მე მოგილოცეთ ქუთაისში 1985 წელს. ეს დამსახურებული ჯილდო მამუკა ასლანიკაშვილმა გადმოგცა - ქუთაისის ქალაქკომის პირველმა მდივანმა, რომელმაც ზუსტად 1 წლის შემდეგ - 1986 წლის 10 ივნისს თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე თავის კაბინეტში.

**1930 წლის 14 აპრილს ლუბიანკაზე, თავის სამუშაო ოთახში დილით ადრე, 10 საათსა და 17 წუთზე, ვიდრე „მაუზერის“ „ბაიარდის“ თუ „ბრაუნინგის“ სისტემის პისტოლეტის სასხლეტს თითს გამოჰკრავდა, შენმა საყვარელმა პოეტმა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ წერილი დაწერა და ჩვენ დაგვიტოვა:**

**„ყველას!!!**

**ჩემს სიკვდილში არ დაადანაშაულოთ არავინ, და გთხოვთ - არ იჭორაოთ! მიცვალებულს სძულდა ჭორი.**

**დედა, დებო და ამხანაგებო, მაპატიეთ - ეს არ არის გამოსავალი (სხვებს არ ვურჩევ), მაგრამ სხვა გზა არ მაქვს. ლილია, გიყვარდე!**

**ამხანაგო მთავრობავ!**

**ჩემი ოჯახია - ლილია ბრიკი, დედაჩემი, ჩემი დები და ვერონიკა ვიტოლდის ასული პოლონსკაია.**

**თუ მათ შეუქმნი ასატან ცხოვრებას - მადლობა. ჩემი დაუმთავრებელი ლექსები გადაეცით ბრიკებს, ისინი გაერკვევიან.**

**როგორც იტყვიან -**
**„ინციდენტი ამოწურულია“,**
**ჩემი სასიყვარულო ნავი**
**ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას მიელეწა.**
**მე უკვე წუთისოფელთან ანგარიში გასწორებული მაქვს.**
**ახლა აზრი აღარ აქვს იმ წყენის, უბედურებებისა და**
**ტკივილების ჩამოთვლას,**
**რომლებიც ერთმანეთისთვის მიგვიყენებია.**
**ბედნიერად!**
**ვლადიმერ მაიაკოვსკი. 12.IV.30 წ.“**

ძმაო, დათო! ჩვენ ძალიან გვიან წაგვაკითხეს გენიალური საბჭოთა პოეტის მაიაკოვსკის უკანასკნელი წერილი, რომელიც ყველას დაგვიტოვა.

**არ ვიცი, როდის წავიკითხავთ შენს წერილებს, რომლებიც ყველას დაგვიტოვე.**

დათო, გვაპატიე, სწორედ ახლა, ამ განსაცდელის ჟამს, ჩვენი მეგობრები - პოეტები უნდა გავიხსენო. იქნებ უბედური ძმა-პოეტები შენც გაგახსენდა იმ დღეს.

**ვლადიმერ (ვოვა) მაჩაიძე.**

1977 წლის 17 თებერვალს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა 26 წლის ასაკში. მანამდე მოთხრობა დაწერა, რომელშიც მოთხრობის გმირი პოეტი კაცი, უსახსროდ დარჩენილი, ლექსებს ყიდის, მაგრამ მის ლექსებს კაციშვილი არ ყიდულობს.

- წაიკითხეთ, იქნებ მოგეწონოთ! - ეხვეწება ყველას, ვინც ქუჩაში ხვდება.

ვლადიმერ მაჩაიძის უკანასკნელი მოთხრობის გმირსა და ვოვას შორის ის განსხვავებაა, რომ მოთხრობაში უსახსრო პოეტი მეშვიდე სართულიდან ხტება, ვოვა - მეექვსე სართულიდან გადმოხტა.

**„ასე უწყალოდ რისთვის ეწამე,**
**ან რა საჭირო იყო წამება,**
**მოხველ - არავის არ დაენანე,**
**წახვალ - წასვლა არ დაგენანება!“**

უდავოდ ნიჭიერი პოეტი იყო ვოვა მაჩაიძე.

**ფირუზ მაჩურიშვილი.**

1975 წლის გაზაფხულზე მოიკლა თავი 22 წლის ასაკში.

ამ კაი ყმის ხსოვნის საღამოზე გავიცანი ზვიად გამსახურდია. მაშინ ზვიადი „შინაპატიმრობაში“ იყო. გვიან ღამით მოვიდა ჩვენთან, შესანდობარი დალია, ცრემლი დაღვარა ფირუზის სურათთან და უხმოდ წავიდა.

მრავლისმთქმელი იყო ზვიადის ცრემლი.

**„მიდის, მიდის დღეები,**
**სივრცეები ივსება,**
**ქრება სინათლეები,**
**რაც მე არ მეღირსება.“**

უდავოდ ნიჭიერი პოეტი იყო ფირუზ მაჩურიშვილი.

**ზაზა მუჯირიშვილი.**

1982 წლის სუსხიანი ზამთრის ერთ უბრალო, სხვებისათვის ჩვეულებრივ დღეს, შებინდებისას შევიდა დიღმის პირქუშ ტყეში და უკან აღარ გამოუხედავს... შინ, საწერ მაგიდაზე დატოვა რვეული გახუნებული ვარდის რტოებით, ამ ლექსზე გადაშლილი:

**„რას ვიფიქრებდი,**
**რომ სიყვარული**
**ასე შეცვლიდა**
**ცხოვრებას ჩემსას“...**

უდავოდ ნიჭიერი პოეტი იყო ზაზა მუჯირიშვილი.

**კახა შარაშიძე.**

პოეტების სატახტო ქალაქის, მშობლიური თბილისის ერთ დიდ ქუჩაზე იპოვეს პისტოლეტით გულგანგმირული 1990 წელს...

**„არ უნდა ვამბობდე**
**ამ სოფლის სამდურავს,**
**როდემდე ვითმინო**
**ძაღლური სვე-ბედი!“** - ამბობს უკანასკნელ ლექსში.

ბევრი ვერ მოასწრო, 21 წლისა ეახლა სიკვდილს.

უდავოდ ნიჭიერი პოეტი იყო კახა შარაშიძე.

**მამუკა სალუქვაძე.**

თბილისი-ბორჯომის მატარებელში გავიცანი. ფანჯრებჩამსხვრეულ ვაგონში სულ ორნი ვისხედით, იანვარში, პალტოებში გამოხვეულები. სიგარეტი ვთხოვე, გამომესაუბრა, თურმე, ორივე ბაკურიანში მივდიოდით ახალგაზრდა შემოქმედთა სიმპოზიუმზე. ერთ ოთახში „შეგვასახლეს“.

ლექსებს მიკითხავდა, მეც ვუკითხავდი. მამუკას ეს სტრიქონები ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში...

**„რატომ ხარ ასე მოწყენილი,**
**როგორც ყვავილი მოწყვეტილი“...**

ოთახში რომ ვბრუნდებოდი, ამ სტრიქონებით ვეხუმრებოდი ხოლმე.

1997 წლის 3 იანვარს ბიოგრაფია დაწერა. **„სულ ეს არის, რაც მოვასწარი“, - მიაწერა ბიოგრაფიის ფურცელს და დასძინა:**

**„ღვთისმშობელო, შენ აკურთხე**
**საქართველოს ყველა კუთხე!“**

უდავოდ ნიჭიერი პოეტი იყო მამუკა სალუქვაძე.

**ბადრი გუგუშვილი.**

1996 წელს თავი ჩამოიხრჩო.

მეზობლები ვიყავით.

- არალეგალური ლიტერატურული ალმანახი უნდა დავაარსოთ, ძმაო! - მითხრა ერთხელ.

- რატომ არალეგალური? - ვკითხე.

- ჩვენი თაობის სათქმელს სხვაგვარად ვერ ვიტყვით! - მიპასუხა.

და თქვა კიდეც ჩვენი თაობის სათქმელი - თოკი გამონასკვა და...

დაგვიტოვა ხელნაწერი ალმანახი - „იახსარი“, დიდი სევდა... და კაცობა.

უდავოდ ნიჭიერი პოეტი იყო ბადრი გუგუშვილი.

**სერგო თურმანაული.**

1981 წელს გამომცემლობა „მერანში“ ვმუშაობდი. სერგოს ლექსები „დაუბრაკეს“. რევაზ მარგიანის კაბინეტის („მერანის“ დირექტორი გახლდათ) კართან იდგა და ტიროდა.

მივედი, ვანუგეშე. უკანასკნელად მეტროს სადგურ „ვაგზლის მოედანზე“ ვნახე, მილიციას დაეკავებინა, პირადობის დამადასტურებელი საბუთი არ ჰქონდა. გვიან გავიგე, მშობლიურ სოფელში დაუკრძალავთ, ხაშმში, თავი მოუკლავს.

**არჩილ ფირცხალავა.**

1986 წელს დატოვა სააქაო.

1989 წელს მწერალთა გაზეთი „მთაწმინდა“ დავაფუძნე. პირველი ნომრისთვის მასალებს ვაგროვებდი. მე და რეზო დანელია „ცისკრის“ არქივში შევედით. აჩიკოს 2 ლექსი ვიპოვეთ გადაგდებული. პირველი ლექსის ყუაზე ეწერა „ენვერ ნიჟარაძეს, წაიკითხე და მომახსენე! მორის ფოცხიშვილი“. მეორე უსათაურო ლექსში წითელი ფანქრით გახაზული იყო სტრიქონები:

**„თითქოს ვიღაცა ნაფუძარს**
**მართმევს,**
**იმტვრევა ტოტი რუხი და**
**ხმელი,**
**ნეტავ ისეთი რა უჭირს**
**ქართველს,**
**სულ რომ ხმლისაკენ**
**გაურბის ხელი“.**

ორივე ლექსი „მთაწმინდაში“ დავბეჭდე. ლექსებს სიტყვა რეზო დანელიამ დაურთო. მაშინ ლიტგაზეთში პირველად დაიბეჭდა აჩიკო.

შიმშილისაგან დაუძლურებული პოეტი მშობლიურ ზუგდიდში საკუთარ ღარიბ მეგრულ ოდაში გარდაიცვალა. იქვე, მაცხოვრის კარის ეკლესიის ეზოში დაუკრძალავთ... უპროცესიოდ.

ერთხელ მწერალთა კავშირის ბაღში ვისხედით. აჩიკომ ფურცლის ნაგლეჯი ამოიღო ჯიბიდან და ფანქრით ჩაიწერა:

**„გულში უჩინარმა სევდამ**
**გაიარა,**
**რა უბედური ვარ გრანელის**
**ჩრდილი,**
**ღმერთო, დაიფარე დედა**
**მარიამი,**
**უცოცხლე ცოტა ხანს პოეტი**
**შვილი.**
***1986 წ.“***

ამის შემდეგ ცოტა ხანიც აღარ უცოცხლია. არ ვიცი, თავი მოიკლა თუ როგორ აღესრულა, მაგრამ ვიცი, აჩიკოს მთელი შეგნებული სიცოცხლე თვითმკვლელობა იყო.

უდავოდ ნიჭიერი პოეტი გახლდათ არჩილ ფირცხალავა.

**ოჰ, ღმერთო!**
**რომელი ერთი ჩამოვთვალო?!.**



“Всем

В том, что умираю, не вините никого и, пожалуйста, не сплетничайте. Покойник этого ужасно не любил. Мама, сестры и товарищи, простите - это не способ (другим не советую), но у меня выходов нет. Лиля, люби меня. Товарищ правительство, моя семья - это Лиля Брик, мама, сестры и Вероника Витольдовна Полонская. Если ты устроишь им сносную жизнь - спасибо. Начатые стихи отдайте Брикам, они разберутся.

Как говорят -
"инцидент исперчен",
любовная лодка
разбилась о быт.
Я с жизнью в расчете
и не к чему перечень
взаимных болей,
бед
и обид.

Счастливо оставаться.

Владимир Маяковский. 12/ IV -30 г.

*ვლადიმერ მაიაკოვსკის უკანასკნელი წერილიდან*



**P. S. ამხანაგო მთავრობავ!**

**შეგახსენებთ. 2005 წლის 24 მაისს, მაიაკოვსკის პრემიის ლაურეატმა, პოეტმა დავით მჭედლურმა ამ პრემიის მინიჭებიდან ზუსტად 20 წლის შემდეგ თავი მოიკლა!**

**გრცხვენოდეთ! გრცხვენოდეთ!! გრცხვენოდეთ!!!**

სიმონ ბალახაძე

## რედაქტორისაგან

სამი ნომრის წინ, „მამულის“ ნომრებს თუ გადახედავთ, ჩემს ერთ წერილს წააწყდებით. მაშინ ტრიუმვირატის უსუსურობაზე ვსაუბრობდი და ესეც წამომცდენია: „ფართოდ გაუღეს კარი ისეთ უნიჭო მწერლებს, როგორებიც არიან ლაშა ბუღაძე, აკა მორჩილაძე და დათო ტურაშვილი“-თქო.

რატომ ხელი არ გამიხმა!

გაზეთის ბოლო ნომრებს რომ დააგვიანდა, იმის ბრალი იყო, რომ სატელეფონი თავდასხმების მოგერიებაში გახლდით.

ის ჩემი ავადმოხსენიებული „მწერლები“ ბათუმში გრილდებოდნენ, მე კიდევ ტელეფონში „მაგრილებდნენ“ ჩემი მკითხველები.

მალე აზამთრდება კიდეც... ზამთარში გაგრილება მტერს!

ამიტომ მინდა რომ ჩემს გულში ჩაგახედოთ, დაგანახოთ რატომ არ ვთვლი მწერლად ლაშა ბუღაძეს... დანარჩენ ორზე შემდგომ ნომრებში.

მე კონსტანტინეს მწერლობით ვარ გაზრდილი, დოჩანაშვილის „კეჟერაძით“ და რომ არ დაგიმალოთ, ამათ გვერდით ბუღაძე მართლა არ „მეპიტნავება“.

რომ გავიგონებ ბუღაძეზე „მწერალიო“, მე ის გამონათქვამი მახსენდება: „სად ერეკლე და ... ყურებიანი ქუდიო“

გთხოვთ, წაიკითხეთ ჩვენი გაზეთის ამ გვერდზე აუცილებლობის გამო სამარცხვინოდ დამჩნეული ეს „საშინელებები“ და მიიღეთ ჩემი ბოდიში, რომ ცუდ განწყობაზე დაგაყენეთ!

# ლაშა ბუღაძე: ბოლო ზარი

**ზარი მეთერთმეტე**

TELEPHONI
AVAGDE CAREKE

ნინჩოს ნადრიკუჩასგან ციხიდან მოსვლოდა გზავნილი.

ციხეში მეფესავით ცხოვრობსო, გაიფიქრა ნინჩომ და მომავლის შეეშინდა, როცა ცოლად მომიყვანს, ალბათ, ციხეში დამასახლებსო, ბავშვსაც ციხეში გავზრდით და სტუმრებსაც ციხეში დავპატიჟებთო.

მერე ეწყინა კიდეც, თვითონ რატომ არ მირეკავს, ფული თუ არა აქვს, ტელეფონი რა ჯანდაბად უნდაო, მაგრამ მაშინვე შერცხვა თავისი ფიქრებისა და ნადრიკუჩას გადაურეკა, რა დებილი ვარ, რეები მწყინსო.

კინაღამ გული შეუღონდა ნინჩოს, რადგან ასეთი ნადრიკუჩა არასდროს ენახა, უფრო სწორად, მან პირველად მოისმინა ნადრიკუჩას ყვირილი.

აშკარა იყო - განაჩხერიც გახლდათ:

- სადა ხარ, სად დაბოზაობ, გოგო! დედებს მოგი... ავთ, თქვე... ი... პრო... ა... ვტყან...

ცხადია, ნინჩოც აღელდა:

- ნადრიკუჩ, ხმა წყდება... ეტყობა, ცუდ ადგილას დგახარ...

- მე სადაც ვზივარ, - ყვიროდა მისი სატრფო, - ჩემი ყლ... ქმეა... წვნელები ეგენი!..

ნინჩოს ვერ გაეგო, რატომ ცხარობდა ასე ნადრიკუჩა.

- ნადრიკუუუჩ, - ისტერიულად წაამღერა კიდეც, - რა მოგივიდააა!

- მორჩა კაი პონტები, - ბრაზობდა ნადრიკუჩა, - დაიწყო პრ... ჭობა! მთელი ცხოვრება აქ კი არ ვიქნები, გოგო, გამოვალ, დედას მო... ყნავ!.. დეიდაჩემი, ტო, კატუშა... მოკვდა, ტო!.. აღარ არის, ბოიშვილი ვიყო...

- ვინ მოკვდა? - დამშვიდდა ნინჩო.

- თქვენი ტრაკის ქეიფზე ვცხო... ბო... გაიგე, შენა!.. მე არ დამენძრევა, ნინ, ხო იცი!.. იცოდე, რამე რო იყოს, გამოვალ, ჯერ ენას ამოგაცლი, მერე პირში მოგ... მ... აგკუწავ, ჩემი გოგო, იმიტო რო მიყვარხარ... შენს მეტი, ბოიშვილი ვიყო... არავინ, ტო!.. დაგმარხავ, გაგაქრობ, ზედ დაგაკლავ მამაშენს!.. ყველას მოგტყ... ყველას!.. უპროჭესი ვარ, ნინ, იცი... გადაგივლით!.. ჩაგპიზ... ვთ!

მიუხედავად იმისა, რომ ასე ნინჩო არავის გაულანძღავს, ამ უკანასკნელზე ბედნიერი ახლა არავინ იყო. ესე იგი, მართლა ვუყვარვარ, რახან აგრერიგად მლანძღავსო.

აგრესიული ნადრიკუჩა კიდევ უფრო მოეწონა ნინჩოს, ვგიჟდები გიჟ ბიჭებზეო.

თუმცა, მაინც ვერ მიმხვდარიყო, რაზე ბრაზობდა.

ჯერ იფიქრა, ეჭვიანობსო, მაგრამ ნინჩოს წარმოდგენა არ ჰქონდა, ნადრიკუჩას რა აეჭვიანებდა, ნინჩო ხომ მისი ერთგული იყო. იქნებ განაჩხერი არც იყოო, ესეც იფიქრა, განაჩხერი რომ ყოფილიყო, მშვიდად იქნებოდა, ალბათ, არაყი დალია და მოიწამლაო.

ვერც ის გაიგონა წესიერად, რა თქვა ნადრიკუჩამ კატუშა დეიდას შესახებ, მართლა მომკვდარიყო ეს ქალი თუ ნადრიკუჩა რაღაცას ბოდავდა?

ასე იყო თუ ისე, ნინჩო შეყვარებულთან საუბრით კმაყოფილი დარჩა. ბიჭი ენის ამოცლით რომ დაგემუქრება, ესე იგი, ისეა შეყვარებული, რომ თავს ვეღარ აკონტროლებსო. მოეწონა ნადრიკუჩას მუქარაც, მამაშენსაც ზედ დაგაკლავო. ყოფილი მოჭიდავე და შეუდარებელი ქართმწარმოებელი კარლო ღვანფერიძე ნინჩოს აქამდე ყველაზე ძლიერ მამაკაცად მიაჩნდა. ახლა კი გამოჩნდა მეორე მამაკაცი, ყმაწვილი, სახელად ნადრიკუჩა, რომელიც ქართმწარმოებელ ტიტანს მიწაზე დასცემდა და თავად დაიკავებდა უძლიერესი მამაკაცის ადგილს...

ნინჩო გახარებული იყო.

და გახარებული იყო ორმაგად, რადგან ხვალ მისი ფეხმძიმე თანაკლასელის, თეიკო აფაქიძის დაბადების დღეზეც უნდა მისულიყო. მას ხომ ასე მონატრა ცეკვა - ხელ-ფეხის გაქნევა დაბღვერილი და დაძაბული ყმაწვილების თვალწინ...

სამზარეულოდან კვლავ მამამისის სევდიანი ქარების ხმა შემოესმა და მიხვდა, ახლავე უნდა გასულიყო სახლიდან - ჩამოერეკა გოგოებისთვის და ჭავჭავაძის პროსპექტზე ჩაესეირნა. ნადრიკუჩამ დამირეკაო, ეს ამბავი სასწრაფოდ უნდა ეცნობებინა დაქალებისთვის.

მაღაზიათა ვიტრინები, ტროტუართან, რიგ შემთხვევაში კი მთლად შუა პროსპექტზე წაჩერებული პრიალა მანქანები და იქიდან გადმოსული შარებს დანატრებული, ჟარგონით მოსაუბრე, მრავალავარიაგადატანილი ყმაწვილკაცები...

ო, ვინ მოთვლის, რამდენჯერ ჩაუვლია და ამოუვლია ამ პროსპექტზე დაქალებთან ერთად!

**ზარი მეთორმეტე**

მივიდოდნენ თუ არა უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან გოგონები - ნინჩო, ლელუკა, ნინუკა და ნუციკო - უმალვე უკან, რიგის ქუჩის კუთხემდე ბრუნდებოდნენ, მერე ისევ უნივერსიტეტისკენ იღებდნენ გეზს და იქ მისვლისთანავე კვლავ რიგის ქუჩისკენ ტრიალდებოდნენ.

ახლაც ერთი საათის განმავლობაში ოთხჯერ მაინც აიარ-ჩაიარეს ჭავჭავაძის პროსპექტის ეს არცთუ ისე პატარა მონაკვეთი და უამრავი ყმაწვილი ქალი და კაცი გადაკოცნეს.

გოგონებმა ოთხჯერ ჩაუარეს საკვებით დახუნძლულ, კარაქისა და ხორცის სუნით აყროლებულ ოდინდელ -ავრორას''; ოთხჯერ შეყოვნდნენ მწვანე -ყავის სახლთან'', სადაც, თუკი ზოგადი სტატისტიკით ვიხელმძღვანელებთ, ჯამში ოცდაათი-ორმოცი მათსავით ტაატით მოსეირნე და - ყავის სახლთან'' წამიერად შეყოვნებული ქალ-ვაჟის გადაკოცნა მოუხდათ. ოთხჯერ ჩაუარეს -სახანძროებსაც'' - ოთხჯერვე თვალი გაეპარათ მაღაზიათა ვიტრინებისკენ, რათა საკუთარი ანარეკლისთვის მოეკრათ თვალი, ხომ არ დავუშნოვდითო ამ სეირნობა-სეირნობაში! - ოთხჯერ ჩაუარეს, მაგრამ ერთხელ გადაკოცნეს ორმოცდამეთხუთმეტე სკოლის წინ მოძუძგურე უხასიათო და გამომწვევად მობუზული ბიჭები და ნინჩოც ოთხჯერ მოყვა ერთსა და იმავე ამბავს - ნადრიკუჩამ მკვდარი და ცოცხალი მაგინა, მგონი, მაგრა ვუყვარვარო.

სეირნობისას ნინჩომ რამდენჯერმე მოჰკრა თვალი ფურთხის გუბეებსაც და, როგორც სჩვეოდა ხოლმე, გული აუჩქარდა - გაახსენდა ნადრიკუჩას ჩაჩაჩული შარვალი, ხრინწიანი ხმა, ქავილისგან კანგადაქერცლილი ცხვირი, გადაგლესილი თმა და მისი საყვარელი ფრაზა: -წარეკე, შეჩემა''.

მერე გოგონებს პუპაც მოეწია, ერთი საათია უკან მოგსდევთ, გიძახით და არ გესმითო.

პუპამ, რომელმაც ყველაფერი იცოდა, რაც ზეციურ და მიწიერ თბილის-ქალაქში ხდებოდა, დაადასტურა ნადრიკუჩას დეიდის, საბრალო კატუშას სიკვდილი - კაწკა და ნიკუშა შემხვდნენ ატენზე და იმათ მითხრესო, და ნინჩოს სიცილ-კისკისით მიუსამძიმრა.

გაიცინა ნინჩომაც, თუმცა, მალევე დასერიოზულდა, აუო, თქვა, ნადრიკუჩას კატუშას მეტი არავინ ჰყავდა და ძაან ცოდოაო.

კიდევ ათი დეიდა ჰყავს და ამდენივე ბიძაო, დააყოლა პუპამ, ხოლო ლელუკამ მრავლისმთქმელი გამომეტყველება მიიღო და პათეტიკურად გამოაცხადა, გამზრდელი ერთი ჰყავდაო.

- ჭირისუფლებში მეც უნდა დავჯდე? - გულუბრყვილოდ იკითხა ნინჩომ.

- რა სისულელეა, - ჩაერთო საუბარში ნინუკა, - ცოლი ხო არა ხარ, უბრალოდ, ყველა ვარიანტში უნდა მიხვიდე.

- დაიწყებენ ჩემ თვალიერებას... - ჩაილაპარაკა ნინჩომ.

- მერე რა, გათვალიერონ! - დაამშვიდეს ნინჩო გოგონებმა.

- აუ, იცით, ნადრიკუჩა როგორ შემეცოდა! - კვლავ სატელეფონო საუბარი გაიხსენა ნინჩომ, - ძაან ცუდად იყო, ნერვები ჰქონდა, აი, პროსტა, უაწეწილესი... თან წესიერად არაფერი მესმოდა, ითიშებოდა... კინაღამ მეც დავიწყე ტირილი...

- ნადრიკუჩა ტიროდა? - გაუკვირდა პუპას.

- არა, ტირილით არ უტირია, - მოიტყუა ნინჩომ, - მაგრამ, მეთქი, პროსტა, არ გაგიჟდეს!.. მაგრა შემეშინდა. ხვალ დილით ციხეში უნდა მივიდე...

- ციხეში რო დადიხარ, შენებმა იციან? - დაინტერესდა პუპა.

- დებილი ხაარ? - აღშფოთდა ნინჩო, - მამაჩემმა რო გაიგოს, მომკლავს...

- ვის დაყავხარ ხოლმე? - პუპას, როგორც ყოველთვის, ცნობისმოყვარეობის ჭია ღრღნიდა.

- ხან ნიკას, ხან ფანჩულას, - ნინჩომ ნადრიკუჩას ძმაკაცები ახსენა.

- კაწკა ისევ ნიკუშასთან დადის? - ლელუკამ საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

- როცა ნიკუშას იჭერენ, ებუტება, როცა გამოდის, ურიგდება, - გააცინა გოგონები პუპამ, მერე კი დაგმო კაწკას საქციელი, - დედა მომიკვდეს, ეგ გოგო ბოზი თუ არ იყოს!.. გააწამა, პროსტა, ეს ნიკუშა...

პუპამ სრული ერთი წუთი დაუთმო კაწკას ლანძღვას, თუმცა, სულ რაღაც თხუთმეტიოდე წუთის წინ, როცა ნიკუშასა და კაწკას ატენის ქუჩაზე გადაეყარა, ამ უკანასკნელს პირში ულიმოდა და კომპლიმენტებსაც ეუბნებოდა, - კაწკა, ყველა ამომიწყდეს, თმის შეჭრა მაგრა მოგიხდაო.

ამიტომ, გამოემშვიდობა თუ არა პუპა გოგონებს, ნუციკომ მაშინვე გალანძღა, ალბათ, ზურგს უკან ჩვენც კაწკასავით გვთათხავსო.

ნუციკოს აზრს მისი დაქალებიც იზიარებდნენ, მაგრამ უკვე სახლში მისული, მაინც შეიკეტა სააბაზანოში და რაც პუპას პირში ვერ უთხრა, თავის ანარეკლს შეჰკადრა: ჩემი აზრით, მაგარი დამპალი გოგო ხაროო. მერე, წესისამებრ, პუპას ხმაც მიიღო: ნუციკო, შენ ძაან დიდ პატივს გცემ და გეხვეწები, ნუ გამლანძღავო. საბოლოოდ, პუპას იმიტაციამ ნუციკო ისე გააბრაზა, რომ სარკესაც კი შეაფურთხა: გიმეორებ, პუპა, უდამპლესი გოგო ხარო!

მაგრამ ეს მერე, ნუციკო ჯერაც დაქალებთან ერთად სეირნობდა ჭავჭავაძის პროსპექტზე.

კიდე ერთხელ ჩაუარეს ორმოცდამეთხუთმეტე სკოლას: -სახანძროებს'', მარადმწვანე „ყავის სახლს'', აქოთებულ -ავრორას'' და პროფესიული მომავლის შესახებაც ალაპარაკდნენ:

- დღეს დეეჩემს ვეჩხუბე, - თქვა ნინჩომ, - ამერიკაში უნდა ჩემი გაშვება, თავის მამიდაშვილებთან, იქ ენის კურსებზე ივლიო, რო ჩამოხვალ, უგამოცდოდ მიგიღებენ უცხო ენებშიო. რო წავიდე, სად წავიდე!.. ეს დებილი ნადრიკუჩა როგორ დავტოვო!.. პროსტა, მაგრა ტეხავს ნადრიკუჩას პონტში!..

ლელუკას არაფერი ჰქონდა სათქმელი. ისედაც ყველამ მშვენივრად იცოდა, რომ ფსიქოლოგობა უნდოდა და გამოცდებისთვის ენერგიულად ემზადებოდა. ნინუკა ჟურნალისტი უნდა გამოსულიყო, ნუციკოს სცენისკენ მიუწევდა გული, არტისტობა ეწადა, თუმცა ეჭვი ჰქონდა, რომ დედამისი მაინც ფილოლოგიურზე, ან ისტორიულზე, ანაც, კიდევ უარესი, ხელოვნებათმცოდნეობაზე შეატანინებდა საბუთებს - მალე მასაც სევდიან და მუდამ გაციებულ კერძო მასწავლებლებთან მოუწევდა სიარული ლელუკა-ნინუკასავით და სცენის მაგიერ ისევ სააბაზანოში მოუხდებოდა თამაში.

- მაგრა ვილლები, - თქვა უეცრად ლელუკამ, - მაგრამ ფროიდი, პროსტა, იმდენად საყვარელია, რო აი, მაგიჟებს...

ჭავჭავაძეზე გაურკვეველი ფირმის და ფორმის ოთხბორბალამ ჩაიწუილა.

- ნიკუშაა! - წამოიყვირა ნინჩომ.

„და ის ბოზანდარა კაწკა'', - გაიფიქრა ოთხივემ.

ნიკუშას მოესწრო და უკვე სამი მანქანა დაემტვრია, მაგრამ მამამისი, დიდი ქონების პატრონი კაცი, ყოველ ჯერზე უკეთეს ოთხბორბალას ყიდულობდა მისთვის.

ნიკუშა სრულიად უნიჭო ადამიანი გახლდათ, თავს მხოლოდ ავარიებით თუ მოიწონებდა. ერთხელ ძროხაც კი შემოაკვდა შუა ვაკეში (ხანდახან ძროხებს წყნეთიდან ვაკეშიც კი ერეკებიან), მაგრამ ადამიანი, მადლობა ღმერთს, ავარიის შედეგად არასდროს მოუკლავს. ადამიანი ოდესღაც თავად შემოაკვდა - ხელით, უმანქანოდ, და ციხეშიც ცოტა ხნით ამიტომ ჩაჯდა.

- ძაან საყვარელია! - ჩაილაპარაკა ნინჩომ და კარგ ხასიათზეც დადგა.

ამჯერად, უახლოეს მომავალზე ჩამოვარდა სიტყვა, ხვალ ხომ თეიკო აფაქიძის დაბადების დღეზე უნდა მისულიყვნენ.

- შენა და, - ჰკითხა ნინუკამ ლელუკას, - სადო? ვანჩოსთან იხდი თუ ჩემთანო?

- თავისთან იხდის, - მტკიცედ განაცხადა ლელუკამ და ფიქრებში წავიდა, არ იცოდა, ხვალ რა უნდა ჩაეცვა.

სხვათა შორის, გონებაში ოთხივეს ერთი და იგივე შეკითხვა უტრიალებდა:

-აუ, ხვალ რა უნდა ჩავიცვა?

**ზარი მეცამეტე**

თეიკო აფაქიძემ დაბადების დღეზე მთელი კლასი დაპატიჟა, ანდრიკო, ხურციძე და დემურიც კი, რომელნიც მანამდე მხოლოდ ერთმანეთის დაბადების დღეებზე თუ დადიოდნენ.

თეიკოს მშობლებს, პარლამენტარ ცოლ-ქმარს, ოთხსართულიანი, ინდივიდუალური ლიფტით დამშვენებული სრა-სასახლე აუშენებინათ კუსტბის ასასვლელთან და მეოთხე სართული მთლიანად თეიკოსა და მისი ქმრისთვის, ვანჩოსთვის დაეთმოთ.

ეგებ, იმიტომაც დაპატიჟა თეიკომ მთელი კლასი, რომ რაც შეიძლება მეტ ბალღს დაეფჩინა პირი გაკვირვებისგან, სახლი კი არა, სასახლეაო, და თეიკოსაც ღირსეულად აებზუა ცხვირი, მამაჩემს უწინ ოქროს კბილების გამო დასცინოდნენ, აწ კი ხალხის რჩეულიცაა დედაჩემთან ერთად და თუკი ოდესღაც სოფლელ ტეტიად თვლიდნენ, ახლა ჭეშმარიტი ქალაქელიაო.

ასე იყო თუ ისე, დემურს ანდრიკომ დაურეკა:

- ერთად ავიდეთ, არა?

- აბა, ცალ-ცალკე ხო არ ავალთ!

- დღეს არ შევხვდეთ - თადარიგი დაიჭირა ანდრიკომ, - დავგეგმოთ, რას ვიზამთ, ავწონ-დავწონოთ, ძაან ხო არ დავიგვიანოთ?.. თავი დავიფასოთ...

- ვინ შეამჩნევს?

- რა ვიცი, იქნებ ვინმემ შეამჩნიოს... - ყურმილში ჩაამთქნარა ანდრიკომ, - ადრე ხო ამჩნევდნენ?

- როდის?

- რავი... ადრე... ხურციძე მეუბნება, ნუ ჩაიჯვითო, შუადღისას მივიდეთო, სუფრის გაწყობაში მივეხმაროთო. ხუმრობს, რა.

- შენთანაა?

- ჩემთან დარჩა, დილის ექვს საათზე დავიძინეთ, ავაფეთქეთ კომპიუტერი... ამო, რა.

- მუსიკაზე მივდივარ.

- ისევ დემური ხარ? - გაიცინა ანდრიკომ.

- ბუბა ვარ, ბუბა... - ყურმილმა დემურს ყური გაუწითლა.

- აბა, ბუბას მუსიკაზე რა უნდა? - ანდრიკო სულელივით იცინოდა, დემურს ხურციძის ხვიხვინიც ესმოდა.

- ეგ დედაჩემს კითხე.

კლასიკური მუსიკისადმი სიძულვილი დემურს მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ბაბუამისის თანამშრომლის შვილს მიაბარეს, ფორტეპიანოზე დაკვრას გასწავლისო.

ამ ქალბატონს, დეპრესიულ, გაუთხოვარ და საკუთარი სიმახინჯისგან გაავებულ რუსიკოს, უკვე მოესწრო და დემურის გარდა კიდევ ორი ბავშვისთვის შეეძულებინა როგორც ზოგადად მუსიკის აკადემიური ჟანრი, ასევე კონკრეტულად - ფორტეპიანო.

**გაგრძელება არ იქნება**

# სიმღერა გაზეთში

„სიმღერა გაზეთში“ – უცნაური რუბრიკაა, არა?

მოკლედ, რას არ მოიფიქრებს ამ გაზეთის რედაქტორი...

აქაოდა, ქართველ ემიგრანტებს, სამშობლოზე უზომოდ მონატრებულებს ქართული სიმღერის მადლი არ მოვაკლოო, სახელდახელოდ თქვენთვის ამოკრიბა წიგნებიდან ამღერებული ლექსები და მოგაწოდათ დაბეჭდილი კაბადონების სახით, იმ იმედით, რომ თქვენ აამღერებთ... ნუ გაუწბილებთ ამ იმედს მას... თუ ქართულ მიწაზე არ ვდგავართ, ქართულად მაინც ვღიღინებდეთ... უახლოეს მომავალში გაზეთი „მამული“ ყოველ ნომერში მუსიკალური ნოტების დაბეჭდვასაც დაიწყებს.

**საქართველოო ლამაზო**
**ანა კალანდაძე**

ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს ჭადარი...
ძეწნამ ალერსით ამავსო
ეჭვებით ნაავადარი...
საქართველოო ლამაზო,
„სხვა საქართველი სად არი?“
ცა ვარსკვლავებით ინთება,
ცა — არცა რისი სადარი...
მთვარე რომ ამობრწყინდება,
გული გაფრენად მზად არი...
დიდება, შენი დიდება,
„სხვა საქართველო სად არი?“
მინდვრები, ქართლის მინდვრები,
ქედები მხარგაშლილები...
მთაში — ტყე დანაბინდები,
ტყეში — ქორბუდა ირმები...
ბარად შრიალებს ჭადარი,
მზეს უმღერიან ჩიტები...
მხარევ მოსილო დიდებით,
„სხვა საქართველო სად არი?“
ლურჯი ბალახი მხარამდი,
მწყერი გოგმანობს ბალახში...
თეთნულდზე — მზე და ბადაღში...
სხვა საქართველო ვინ ნახა?
„სხვა საქართველო სად არი?“
როს ვარსკვლავები ხმაურით
აინთებიან ცათანი,
კლდეს მოაწყდება ზღვაური
მეშვიდე ცაზე ატანილს...
კლდეებში ჯიხვი დაფრთხება,
გორში იტირებს ატამი,
ყაყაჩოს გვერდს ვერ აუვლი,
„სხვა საქართველო სად არი?“
აქ დაიბადა „სულიკო“,
მზისკენ გაფრინდა „მერანი“...
და თუნდაც გადმოსულიყო
მტერი შმაგი და ვერანი,
მარჯვენს მოსჭრიდა ალუდა,
სით გაუშვებდა ლელაბ?
აქ დაიბადა „სულიკო“,
მზისკენ გაფრინდა „მერანი“...
მთათ ორბის ფრთები მოისხეს,

**ლამაზი სიკვდილი**
**ჯანსუღ ჩარკვიანი**

როცა დაიწყებს წყარო საუბარს,
მზეს რომ მისწვდება ირმის ბღავილი,
შემოასკდება როცა ალუბალს
მუხლზე კაბა და გულზე ყვავილი.
როცა კვირტები აფეთქდებიან,
როცა სიმღერას იტყვი სასურველს,
როცა ირმები დაფეთდებიან,
მზეს შეხედავენ, რქებში ჩაწურვილს.
როცა მერცხალი ზეცას შეუტევს,
როცა მიწაზე მზე და დარი დგას,
ირემი აპრილს კარებს შეუმტვრევს
და ატმის რტოებს რქებად დაიდგამს.
როცა მზე მინდვრებს კალთებს დაუცლის
საგვირილოდ და საენძელოდა,
ირემი ირემს ბალახს გაუწვდის
და რქას მიურტყამს სადღეგრძელოდა.
როცა ძეწნები ატირდებიან
და აკოცებენ ვაზებს ხარდნები,
შევხედავ ზეცას ნატვრისთვლებიანს,
ავტირდები და ავხარხარდები.
მოიგონებენ წარსულს მკვიდრები,
აბუბუნდება ქვეყნად ყველა მთა,
გავდიადდები, გავსულდიდდები
და ავენთები მამულს კელაპტრად,
დავდგები ცერზე, როგორც ავაზა,
ერთს გადავხედავ დღეებს გაფრენილს,
მერე მოვკვდები ისე ლამაზად,
ვით დაიბადა ეს ყველაფერი.

**სამშობლო**
**მურმან ლებანიძე**

ჯიხვი - ქარაფზე ხტის,
ბუზს არ აიფრენთ, ქედებო!
კავკასით პონტის პირს
ძირს ჩაკიდულხართ, ხედებო!
მე რომ სიკვდილი მჭირს,
ხომ შენგნით, ჩემო ედემო?!
ამბავს წაუღებთ ვის,
თქვენ, ფრინველებო ღვთის -
წითელ-
ფეხება მტრედებო?!

**ბოშა ქალი**
**ანა კალანდაძე**

და რა ქალი?! ხელის გულით სატარები...
რა თვალები?! ელვის ცეცხლის დამჭერი...
ბოშა ქალი, ვარსკვლავების სადარები...
შეხედეს და... შეუკურთხეს გამჩენი...
მეზღვაურებს გამომწვევად გვერდს აუვლის,
ეტყვიან და... ისიც ეტყვის ურიგოს...
ხელგაშლილი გადუდგება მეზღვაური:
- მხოლოდ ერთხელ მაკოცეო, სულიკო!..
ეს პაწია, სიყვარულის დოსტაქარი,
განა დარდობს, თვალებს ცრემლით იოსებს?
მხიარული, ფეხშიშველი ბოშა ქალი
სტვენით მიდის პორტის სანაპიროზე...

**გაზაფხული შემოსულა, ლენ**
**მურმან ლებანიძე**

გაზაფხული შემოსულა, ლენ.
ბუდეები გაუწყვიათ ჩიტებს
მე გიყიდი წითელ-ყვითელ ჩითებს,
თეთრი ტილო მომიქარგე შენ!
გაზაფხული შემოსულა, ლენ!
მოგანატრე სათიბი და ტყე,
სუნი ქუსლით გასრესილი ანწლის,
შორს გუმბათი ბეთანიის ტაძრის
და ცისფერი უბორკილო დღე
მოგანატრე სათიბი და ტყე!
აწი აღარ გაგაჩერებ შინ,
აწი ოჯახს ვერ დაარქმევ “დილეგს”,
მკვირცხლი ბიჭი შეუყენე ბილიკს —
მწევარივით გამიხტუნე წინ!
აწი აღარ გაგაჩერებ შინ!
გაზაფხული შემოსულა, ლენ.
რია-რია გაუმართავთ ჩიტებს
მე გიყიდი ყვავილიან ჩითებს,
თეთრი ტილო მომიქარგე შენ!
გაზაფხული შემოსულა, ლენ!

**უფლისციხესთან**
**მურმან ლებანიძე**

უფლისციხესთან
სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი
არა დაღვრილის —
დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა...
არავითარი
სხვა სამშობლო ამაზე მეტი
არ გამაჩნია!
მე დავინახე
სვეტიცხოვლის თორმეტი სვეტი,
თოთხმეტი ციხე
ზეგნებიდან ლაჟვარდს გასჩრია...
არავითარი
სხვა სამშობლო ამაზე მეტი
არ გამაჩნია!
მშვენიერია
ორ-ზღვას-შუა კავკასის ხედი
და კითხვა: „ვინ ვის?!“
ბებერ გულში ლახვრად მაჩნია...
არავითარი
სხვა სამშობლო ამაზე მეტი,
არავითარი
სხვა გზა, სხვა ხსნა
არ გამაჩნია!

**გული**
**შოთა ნიშნიანიძე**

როგორც ჩიტი გალიაში, როგორც მუჭში პეპელა,
ფრთხიალებ და ჩუმად ფეთქავ, სიცოცხლის სანთებელა,
რა ბედის ხარ, რა ვარსკვლავის, სულ შენა ხარ სამიზნე,
ნურცერთ ისარს ნუ აიცდენ, გულო, სანამ გამიძლებ.
თვითონ ღმერთი, წამებული, შენ ერთს გწყალობს ისევე -
მხოლოდ გულში განისვენებს, მხოლოდ გულში ისვენებს.
გულო, სანამ გული გქვია, გულო, უნდა მტკიოდე.
გულო, უნდა მიერთგულო, მიმყვე საიქიომდე.
ეს რამხელა, რა უძირო და რა გამძლე გამოდექ,
ჯოჯოხეთის დამტეველო, პაწაწინა სამოთხევ

**ოდესმე დიდი ყოფილა...**
**მურმან ლებანიძე**

ჩემო თვალნათელო, ჩემო სანატრელო,
ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო.
ყოფილა დავით მეფე — აღმაშენებელი,
ყოფილან ოპიზრები — გასაშტერებელი;
ყოფილა მოდრეკილი, ყოფილა ცურტაველი,
რასაც მოჰყოლია შოთა რუსთაველი
ჩემო მიმინო და ჩემო ფრთანათელო,
ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო.
ყოფილა ნიკოფსით დარუბანდამდე
გაჭენებული და გამოჭენებული;
რტოებგაშილი და გამოჩინებული
ყოფილა ორ-ზღუას-შუა აღმოცენებული.
ფიე, საქართველოს ჰყოფილა ვასლები!
თამარს უკრეფია სულ ოქროს ვაშლები!
ტევრი გვიწალდია, ისე გვიზარდია,
რომ გავმზადებულვართ ახალ ბიზანტიად.
მაგრამ უცაბედად მატლი არეულა,
ბორბალი უკუღმა დატრიალებულა,
ჩვენთვის მონღოლია პირველი სასჯელი,
მონღოლს მოჰყოლია თურქი და სპარსელი.
ტურფა საქართველო ყორნებს წაუღიათ,
სპარსეთს და ოსმალეთს შუაზე გაუყვიათ.
ჩაშლილა თვალი და ჯაჭვი ჩარღვეულა,
იყალთო დაკეტილა, გელათი დანგრეულა.
ოთხ მეფეს სულ სისხლის ცრემლებით უცრემლია,
ოთხივეს საბრალო ლექსები უწერია.
- რა დროს ლექსიაო, მოუკვდა პატრონი! -
ხმლით შემოვარდნილა ერეკლე ბატონი
ამას მოჰყოლია:
„ვაჰ, დრონი! ვაჰ, დრონი!“
ჩემო თვალნათელო, ჩემო ფრთანათელო,
ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო!

**„გოგლაურა“**
**მორის ფოცხიშვილი**

რაც გვინახავს, ველარ ვნახავთ,
უფსკრულებზე გვმართებს ხიდის გადება, -
„ავდგეთ ფეხზე, ვადღეგრძელოთ სწორედ ახლა,
ახლა ვინც იბადება!“
სიჭაბუკე ალმაფრენის წრიაპს იკრავს,
მწუხრი მთებზე დაშვებულა ფარდებად, -
„ავდგეთ ფეხზე, თაყვანი სცეთ ისეთ ცისკარს,
ახლა რომ ცისკარდება!“
კარგად ვიცით, რა გვქონდა და რასაც ვკარგავთ,
მზე ამოდის, ვენაცვალე ღვთის ნებას, -
„ავდგეთ ფეხზე და ავეკრათ ისეთ ცარგვალს,
ჩვენთვის რომ გაიხსნება!“
ცდება ალბათ, ვინც თითს გვიქნევს,
ახლა გვმართებს ერთმანეთის ფერება, -
„გაუმარჯოს სწორედ იმ ლექსს,
ახლა რომ იწერება!“
სისხლი ტვინში შუქად მიდუღს,
მეც არ ვიცი, ღამდება თუ თენდება,
„ავდგეთ ფეხზე, ვუგალობოთ სწორედ იმ გულს,
ახლა რომ აფეთქდება!“
ლექსთან ერთად ფრენას ვიწყებთ,
ვინ რას იტყვის, ლხინია თუ გოდება, -
„ავდგეთ ფეხზე, თაყვანი ვცეთ სწორედ იმ ერთს,
ჩვენ რომ გვიახლოვდება!“

**ბევრს არ დაგპირდები!**
**მურმან ლებანიძე**

ლხინში - ავხირდები,
ჩრდილში გაგიდგები,
ჩემთვის ვაჩხაკუნებ
ფანდურს, სანატრელი;
ჭირში - დაგიტკბები,
ბევრს არ დაგპირდები:
ფეხზე დაგიდგები,
ჩემო საქართველო!

**ვერხვები**
**გალაკტიონ ტაბიძე**

ყოველთვის, როცა დაბერავს ქარი
და ნისლს მთებისას გაიფენს აფრად,
ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი
აშრიალდება უშორეს ზღაპრად.
ზღაპარი იგი მათრობს და მხიბლავს
ძველი ღვინის სმით, უღონოდ, მძაფრად,
სადღაც დაკარგულ ვარდს და გვირილებს
მოგონებებში ვიჭერ თანაბრად.
ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ
სად, როდის, რისთვის? არ ვიცი, არა!
იყვნენ ოდესღად და მიეძინათ
ღელავს ფოთლების მწყობრი კამარა.
მას შემდეგ ბედი და იალქანი
ქარის სიმძიმით გადაიხარა,
შენ კი სადა ხარ ამდენი ხანი?
რისთვის ან ვისთან? არ ვიცი, არა!
ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ,
ეს იყო ვერხვის ფოთლების კვნესა,
დრომ ყვავილებით დააგვირგვინა,
მე პაჟი ვიყავ, ის კი — პრინცესა.

**არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა!**
**ლადო ასათიანი**

ყველა ხევსური და ყველა სვანი,
ქართველი ქალი თვალებმაყვალა,
ჩემი თბილისი და ფიროსმანი
არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა!
მოკვდა თუ არა, ყველამ აცხონა,
ცოცხალი არვინ არ მიიკარა,
მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ
და ყოველ დილით ვხვდები ნიკალას.
ძილგატეხილი და არეული
ჭიქა არაყით გაიხსნის მადას,
მერე შეკრთება, ვით მთვარეული
და ორთაჭალის ლამაზებს ხატავს.
ქართული ზეცა, ქართული ზვარი,
მტკვარი მღვრიე და მტკვარი ანკარა
ჩემი თბილისი და ფიროსმანი
არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა!
გიმზერ და მჯერა, რომ ქართველობა
არასოდეს არ გადაშენდება;
ვაგლახ, ხელახლა ბაგის ჩვილობა,
ქალიშვილობა რა დაგშვენდება!
როცა გიხილე, მამა-პაპათა
განმეორება გულს ჩამეწვეთა,
შენ უნდა გეცვას კაბა “ხაბარდა”,
უნდა დაჰქროდე რუსთაველზედა.
ეს ყაისნაღი, ან ეს ხავერდი
ვინ გაგიჩინა, ვინ მოგაბარა?
თავადის ქალო, იქნებ დაბერდი,
სიბერის შუქი შემოგეპარა?!
შემოგეპარა და ბნელ დალალში
გაიშრიალა თეთრი ზოლებით: -
ყველა წავიდა, ერთი შენ დარჩი,
მიწაში წვანან შენი ტოლები!
როცა გიხილე, ციხე-კოშკების
განმეორება გულს ჩამეწვეთა,
შენ უნდა გეცვას ოქროს ქოშები,
დაგოგმანობდე რუსთაველზედა.
მაშინ ჩემგვარი ენამწარენიც
ვერ გაჰკილავდნენ ძველ სილამაზეს,
როცა ჩამქრალი კელაპტარივით
შემომხვდებოდი ვერის დაღმართზე.
გიმზერ და მჯერა, რომ ქართველობა
არასოდეს არ გადაშენდება,
ვაგლახ, ხელახლა ბაგის ჩვილობა,
ქალიშვილობა რა დაგშვენდება!

**ქარი ჰქრის...**
**გალაკტიონ ტაბიძე**

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ...
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?..
როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს,
ვერ გპოვებ ვერასდროს... ვერასდროს!
შენი მე სახება დამდევს თან
ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან!..
შორი ცა ნისლიან ფიქრებს სცრის...
ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის!..

# სიმღერა გაზეთში

### ყველას ასე ეგონა
## მორის ფოცხიშვილი

როცა იბადებოდა, ტიროდა თუ მღეროდა,
ყველას ასე ეგონა, უფლისწულად ჩნდებოდა.
როცა იბადებოდა და სიცოცხლით თვრებოდა,
ბევრს ნამდვილად სჯეროდა, ბედს რომ არ
ასცდებოდა.
იღბლიანი ვარსკვლავი ინთებოდა, ქრებოდა,
ყველას ასე ეგონა, ცეცხლი არ ჩაჭკნებოდა.
იბრძოდა თუ იწვოდა, როცა ცარგვალს წყდებოდა,
ყველას ასე ეგონა, ტყვია არ მოხვდებოდა.
რწმენა უკვდავებისა ვიდრე გულში რჩებოდა,
ბევრს ეგონა, სიკვდილი მას არ შეეხებოდა.

### ვინა თქვა ჩვენზე
## შოთა ნიშნიანიძე

ვინა თქვა ჩვენზე, ვიწროდ არიან,
ერთი ოთახის ამარა დავრჩით.
ჩვენს სახლს, ძვირფასო, სამი კარი აქვს,
სამი ფანჯარა:
მე,
შენ და ბავშვი.
მე, შენ და ბავშვი ოქროს სიზმრებად
და ოცნებებად დავიხარჯებით,
ჩვენ გავმრავლდებით და გავიზრდებით,
მოემატება სახლს კარ-ფანჯრებიც...
კარს სახელურად სტუმრის ხელი აქვს,
პატიოსნება ურდულად ადევს
და ჩვენს სუფრაზე თუ გვიმღერია,
მეზობლის ბანიც ასულა ცამდე.
ვინა თქვა ჩვენზე, ვიწროდ არიან,
ერთი ოთახის ამარა დავრჩით.
ჩვენს სახლს, ძვირფასო, სამი კარი აქვს,
სამი ფანჯარა:
მე,
შენ და ბავშვი.

### ჩემს ქუჩაზე ერთი ქერა ქალიშვილი დადის
## იოსებ ნონეშვილი

ჩემს ქუჩაზე ერთი ქერა
ქალიშვილი დადის.
ქალია თუ ბედისწერა,
თუ სიზმარი ცხადი.
ო, არ მინდა ნატვრით მოღლილს
ნატვრა ამის გარდა -
შორს გვფარავდეს ლერწმის ქოხის
საოცნებო კალთა.
თეთრ გვირილებს ვკრეფდეთ ველად,
სიყვარულით მთვრალი.
მიბერავდეს მისი ქერა
დალალების ქარი.
და როს წლები წავლენ წყნარად,
დავბერდებით უკვე,
როს მის თმებში მზე კი არა,
მთვარე გააშუქებს;
როს შორს დარეკს, როგორც ზარი,
ჟამი გარდასული
და გაქრება, ვით ზღაპარი,
ბუხრის პირას თქმული, -
ო, არ მინდა ნატვრით მოღლილს
ნატვრა ამის მეტი -
დე, აფრინდეს ლერწმის ქოხი,
ვით ცისფერი გედი...
აგვიყვანოს, ლურჯი ფრთებით
გასჭრას ზეცის კალთა,
სადაც კრთიან ვარსკვლავები -
სულნი წინაპართა.
...ჩემს ქუჩაზე ერთი ქერა
ქალიშვილი დადის.
ქალია თუ ბედისწერა,
თუ ოცნება ცხადი?!

### მელიქიშვილის გამზირი
## მურმან ლებანიძე

მელიქიშვილის გამზირი,
ია, ვარდი და ბზა...
უშენოდ ველარ გავძელი,
ჩემი ბალღობის გზავ.
გზად სტუდენტობა იჩქარის,
მძებნელი მზის და გზის.
სად არის ახლა ის ქალი?!
ალბათ, აკვანთან ზის.
იქნებ რუსთავი არჩია,
იქნებ სამგორშიც ჰქრის.
იქნება ისევ ბავშვია,
თვალებიც შერჩა შვლის.
და ელანდება დამწველი
კვლავ სტუდენტობის გზა -
მელიქიშვილის გამზირი,
ია, ვარდი და ბზა.

### სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში
## გალაკტიონ ტაბიძე

დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე
შემოიღამებს მთის ნაპრალები,
და თუ როგორმე ისევ გათენდა-
ღამენათევი და ნამთვრალევი,
დაღლილ ქალივით მივალ ხატებთან!
ღამენათევი და ნამთვრალევი
მე მივეყრდნობი სალოცავ კარებს,
შემოიჭრება სიონში სხივი
და თეთრ ოლარებს აალვარებს.
და მაშინ ვიტყვი: აჰა! მოვედი
გედი დაჭრილი ოცნების ბაღით!
შეხედე, დასტკბი ყმაწვილურ ბედის
დაღლილ ხელებით წამებულ სახით!
შეხედე! დასტკბი! ჩემი თვალები,
წინათ რომ ფეთქდნენ ცვრებით, იებით,-
ღამენათები და ნამთვრალევი
სავსეა ცრემლთა შურისძიებით!
დასტკბი! ასეა ყველა მგოსნები?
შენს მოლოდინში ასეა ყველა?
სული, ვედრებით განაოცები,
შენს ფერხთ ქვეშ კვდება, როგორც პეპელა.
სად არის ჩემთვის სამაგიერო?
საბედნიერო სად არის სული?
ვით სამოთხიდან ალიგიერი,
მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარული!
და როცა ბედით დაწყევლილ გზაზე
სიკვდილის ლანდი მომეჩვენება,
განსასვენებელ ზიარებაზე
ჩემთან არ მოვა შენი ხსენება!
დავიკრეფ ხელებს და გრიგალივით
გამაქანებენ სწრაფი ცხენები!
ღამენათევი და ნამთვრალები
ჩემს სამარეში ჩავესვენები.
დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე!

### სად არ ვიყავ
## იოსებ ნონეშვილი

სად არ ვიყავ, სად არა,
ცხრა მთა გადამატარა
ეტლმა წუთისოფლისამ...
მაგრამ, კარგო, იცი რა?
გულმა ვერ მოიცილა
ნატვრა შენთან ყოფნისა.
უცხო ცაზე მნათობნი
კიაფობენ ათობით,
მზესაც ოქროს ფერი სძევს...
მაგრამ სულ სხვა რამ არის
სხივებნათამამარი,
საქართველოს ცხელი მზე.
ვნახე მტერთა ციხენიც,
ჩვენი დარტყმით ფიცხელით
მათი ბჭე შეზრიალდა.
მაგრამ სულ სხვა რამ არის
ციხე-კოშკი თამარის,
მთაზე მდგარი ზვიადად.
და ლამაზი ქალებიც,
ვნებით ფერმიმქრალები,
თითქოს ვარკვლავებია...
მაგრამ ტრფობა ამათი,
ავხორცი და კვიმატი,
გულს არ გაჰკარებია.
სად არ ვიყავ, სად არა,
შენი ლანდი პატარა
მუდამ გვერდით დამდევდა.
ჩემს სიხარულს იყოფდა
და თუ სევდა მიხმობდა,
ისიც დაიდარდებდა.
მოველ, შენთან მოველი,
განა რამეს მოველი,
სიყვარულის ზღაპარო?!
მინდა თვალებმზიანი,
გულის თანაზიარი,
ბედის ვარსკვლავს გადარო.
სად არ ვიყავ, სად არა,
ცხრა მთა გადამატარა
ეტლმა წუთისოფლისამ.
მაგრამ, კარგო, იცი რა?
გულმა ვერ მოიცილა
ნატვრა შენთან ყოფნისა.

### გულო, რა გემართება
## გალაკტიონ ტაბიძე

შემოდგომის
ყვავილებს
დიდებასთან
მივიტან,
ერთი შორი
ოცნება
მახსოვს
ძველ მოტივიდან.
ვარდები
არ არიან,
მაგრამ
რა მევარდება?
სულო,
რა გემართება?
გულო,
რა მოგივიდა?

### ბავშვები
## შოთა ნიშნიანიძე

სახლში თამაშობენ, კარში თამაშობენ,
რა ქნან, თამაშია მთავარი.
სიზმრებში ცხოვრობენ,
ზღაპრებში ცხოვრობენ,
ცხოვრებაც ჰგონიათ ზღაპარი.
მხოლოდ ისინია, მხოლოდ ისინია
ჩვენი ხალისი და მიზნები,
ეზოში დარბიან, ხტიან, იცინიან
ჩვენი ახდენილი სიზმრები.
ფერადი ჩიტები,
ფერადი აფრები,
როგორც სიზმარში და ზღაპარში,
მხოლოს სიმღერები
და მხოლოდ ზღაპრები
და მხოლოდ თამაში,
თამაში.
დაე, გაიზარდონ,
გაიგონ მთავარი,
გაიგონ რისი ვართ ყაბული,
თუმცაღა ცხოვრება არ არის ზღაპარი,
მაგრამ შესაძლოა -
გავხადოთ ზღაპრული.

### ნუ მწერ
## მირზა გელოვანი

ნუ მწერ, რომ ბაღში აყვავდა ნუში,
რომ მთაწმინდაზე ცა დაწვა თითქოს,
რომ საქართველო ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, წააგავს ხვითოს,
რომ ორთაჭალამ ჩაიცვა თეთრი,
რომ შენც ჩაიცვი კაბა ყვავილის,
რომ მტკვარი ოხრავს, როგორც ყოველთვის,
როცა მეტეხის ახლოს ჩაივლის.
წუხელ ვებრძოდი ცეცხლს და ურაგანს
და საშინელი ბრძოლების ნისლში
მე მომეჩვენა, სადღაც, ჩვენს უკან
აელვებული იდგა თბილისი.
ორთაჭალაში ყვაოდა ნუში,
მთაწმინდის მხრებზე მზე იწვა თითქოს,
და შენც, ძვირფასო, ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, მოჰგავდი ხვითოს.
ნუ მომწერ  ისეც ვიცი, რაგვარი
ფერებით ყვავის თბილისი ახლა,
რომ ვიღაც დადის მინდვრებში ღამით
და დილისათვის ამწვანებს ნახნავს.
მე ისიც ვიცი, რომ კარგ ამინდებს
მოაქვთ გულების საამო ფეთქვა
და თუ ბოლომდის ტყვია დამინდობს,
თუ გაზაფხულებს შევხვდებით ერთად, -
გეტყვი, რომ მოვედ ბროლანახული
და სიკვდილამდის შენთან დავრჩები,
რომ ლამაზია მზე გაზაფხულის,
ბრძოლების შემდეგ — მზე გამარჯვების.

### ანდერძი
## ალეკო შენგელია

იმ პატარა სიყვარულის ცრემლებს ვფიცავ,
იმ თეთრ აკვანს, დედაჩემის ცისფერ თვალებს,
ვფიცავ მიწას, ვაჟას გულზე დაყრილ მიწას,
რიჟრაჟს ვფიცავ, ნისლებში რომ
იფერმკრთალებს;
თუ ჩემს ზეცას, ჩემს მწვერვალებს
ცადასროლილს
წაეპარა ყორნისფერი ღამე მძიმედ, -
ამოვწვადო ხმალი ელვით ანაჟრჟოლი,
ვარსკვლავებით მოხატული, მოციმციმე.
თუ დავეცე, - ნუ მიტირებთ დანანებით,
ნაღველს გულში არასოდეს გავივლებდი,
საქართველოს ლამაზებო, მანანებო,
დამაყარეთ თქვენი ფერის ყვავილები.
გული დამაქვს სიყვარულით განახელი,
მყვარებია... ჰო, ცრემლებიც მყვარებია;
ჩემი ქვეყნის ძველი დარდი და ნაღველი
ხანჯალივით გულში გამიტარებია.
გაღიმებაც შემიძლია აპრილისა,
ხარირემის ვაჟკაცური დაძახილიც...
- შენი ლექსი ქედმაღლურად გაჰყვირისო, -
მეტყვის ვინმე, სტრიქონებზე თავდახრილი.
- თაობა ვარ ავთანდილის გაწაფული,
სიყვარული ყბით დამიტარებია,
ჩემი თეთრი ცისარტყელა, გაზაფხული,
თებერვალში აპრილს დამიდარებია...
დავიღუპო!.. ნუ მირიტებთ დანანებით...
ნაღველს გულში არასოდეს გავივლებდი...
ჩემი ქვეყნის ლამაზებო, მანანებო,
დამაყარეთ გაზაფხულის ყვავილები.













# ერთი რამის სიყვარული

*(პროლოგის მაგიერ)*

- რა სჯობია კარგ, წესიერ, ვაჟკაცურად ლამაზ, განათლებულ მამაკაცს? - იკითხა ეკატერინე ხომასურიშვილმა, და, თავის სიმართლეში დარწმუნებულმა, საზოგადოებაში ამაყად მიმოიხედა, - არაფერი.

- რა და კაი ქალი, - მიუგო ბარბაბა ჯაშმა, არც დაფიქრებულა.

ასეა, ვის როგორ...

1

ვაიმე, რა იყო.. რა იყო მაინც ეს - თავი სკდებოდა, გავარვარებულ-აქრიალებული, რკინის სალტით უმოწყალოდ შემოჯარული, განწირული თავი და ყურებიდან გამოძრომას ლამობდა, და შიშით თვალსაც ველარ ვახელდი, ეგება ისევ სიზმრად დარჩეს ყველაფერი ეს-მეთქი, განაწამებ ბინდბუნდში ვფიქრობდი და, კიდევ ის იყო ძალიან ცუდი, გულზედაც წვეტიანი-დაყვება მაჯლაჯუნა რომ მაწვა და, ვაიმე დედა, მიშველეთ, ძმებო, თავი იბერებოდა და, ჩემდა გულის გასახეთქად, მევე ვბერავდი უნებურად, თითქოს, ვსუნთქავდი რადგან, მე ბეჩავი, ცოცხალი ვიყავ, კიდეც ვგმინავდი და ვირწეოდი კიდევაც, ძმებო, ჩემს თავს ეს რაა, და მკვეთრი, წყვეტილი ბიძგებით მუქარიანი ახლოვდებოდა ტანკი, და ერთიც რომ ახტა და ისევ დამტყდა თავს მაჯლაჯუნა, შეშინებულმა მიმოვაპყარ საბრალო მზერა - რა დავინახე... ჯერ, რა თქმა უნდა, ვერაფერს მივხვდი, დათუთქულპირდალებული მივჩერებოდი მკრთალ ლურჯ ნათურას, საიდუმლოდ რომ დამშტერებოდა და იმ მუქ ლიცლიცში, შეშფოთებულმა, წამოვიწიე და რა აღმოვაჩინე - გადასავარდნი იყო! და მერე, თითქოს შემშვიდებული, ყველაფერს მივხვდი - მატარებელში ვიმყოფებოდი, მესამე თაროზე ვიწექ, მძვინვარედ ცხელ მილზე მედო თავი, და რის წყვეტილბიძგება ტანკი, რა ტანკი - სადღაც ძლიერად ხვრინავდა ვიღაც და, გულზე ძველებური, ხის ჩემოდანი მაწვა!.. მაგრამ მთავარი საშინელება მაინც ის იყო, რომ რაღაც განუზომელ-სასტიკად, კოსმიურად ნამთვრალევი ვიყავ, გვალვადამტყდარ მიწასავით დამსკდომია საყლაპავი და ხახა, მესამე თაროზე ამირანივით ვიწექ, უსუსურობით მიჯაჭვული და დიდი ჩიტი გულღვიძლს კი არა, თავს მიკორტნიდა!.. ჩემოდანი განზე გადავახოხე, ამოვისუნთქე, გაჭირვებულმა, და სულ რაღაც წამით თითქოს ცოტათი მომეშვა, ისევ წამოვიწიე და თავშიაც მაშინვე უხილავი ვითომ ჩაქუჩი, მაგრამ რაღაც უხილავი - ისეთი ცხადი, ჩამცხეს... და დაოსებული შეძრწუნებით გამიელვა - აქ რა ჯანდაბა და... აქ რა მინდა მე, ძალიან რბილი, ორადგილიანი კუპე საკუთრივ მქონდა!

აქ, ამ მესამე თაროზე, რა ძალამ ამაგდო მაინც, გაბრუებულს, ღონედ მიკვირდა და უცებ გულმა რეჩხი მიყო - ფეხსაცმელები არ მეცვა! ვაიმე... ჯიბეზეც სწრაფად მოვისვი ხელი, და გარედანვე შევატყვე - მედო. მომეფონა გულს, და შეგუბებული კვნესით, წვალებით ჩავიხედე - დაბლა, იატაკზე, ჩემი ლურჯი, კრიალა ჩემოდანი წესიერად იდგა, მესიამოვნა, კი, და იქვე ნაცნობი, მშობლიური, წყვილი ფეხსაცმელი ერთიმეორეზე კოხტად მიჯრილი ელაგა, გამეხარდა, აჰ! - უფეხსაცმელოდ, მანც ძილია... ჩემს ჩამოსვლას კი ნულარ იკითხავთ - თავბრუდახვეული, ძლივძლივობით მივჩოჩავდი დაბლა, მეორე თაროს დავაყრდენი აკანკალებული ხელისგული ჯერ, მერე მუხლი, მესამე თაროს დაბუჟებული ლოყით ჩამოვეყრდენ, და თვალდახუჭული რომ დავხტი, მუცლიდან ლურსმანი ამომერჭო თავში, გამწარებულმა კიდევ უფრო მაგრა მოვხუჭე თვალები და მაინც რომ გავახილე - ცნობისწადილიანნი ვართ - პირველ თაროზე გაწოლილი, კედლისკენ გადაბრუნებული, ვეებად ამობურცულთეძოიანი ქალის კოჭთით მიმჯდარი კაცი წამოდგა, გამიღიმა და ჩურჩულით დამეკითხა:

- ჰა, როგორა ხარ... ძველო?

ვინ ოხერი და... მყისვე გავმკაცრდი:

- მე ძველი არა ვარ.

თავს ვერა ვხრიდი და, გაჭიმულმა, ტერფის ცეცებით მოვძებნე ფეხსაცმელი, მომრგო კოხტად.

- აბა, რა გქვია?

- სიმა.

შეეჭვებულმა ამათვალიერა, და განვუმარტე:

- გერასიმე მქვია, ისე.

- ძალიან კარგი. ხომ არ გეწყინებათ, გერასიმე რომ დაგიძახოთ?

და კვლავ დამეხვა მე ბეჩავს თავბრუ, სუსტად მივუგე:

- არა, არა, რატომ...

ბედშავი ყელი ჩემი, გადამწვარი - ოჰოჰო, ჰუჰუ, ლუდი მინდოდა, და კიდევ უფრო - ნალდი ჰაერი, აბარბაცებულმა გადავაბიჯე ვიღაცის ჩანთას, ვიწრო გზას დავადექი, რელსების ღრჭიალი ამომესმა და გვერდითა თაროს შევეხალე, გავსწორდი ისევ, და პატარა ხანში ვაგონის გამოღებულ კართან ვიდექ, სახელურზე თითებჩაჭიდებული, ნიავს ვუშვერდი წყალშესხმულ სახეს, ოდნავ შევფხიზლდი,და ადგრიალებულ შავეთის რიდით გავცქეროდი, - კი, თენდებოდა თითქოს, კი.. ისიც მომეჩვენა, თითქოს მხარი მექცა, ასე მეგონა, თბილისისკენ ვბრუნდები-მეთქი, ანდა - კახეთში, სულაც; ასე პირველად კი არ მომსვლია, ბედენ-ბედენში, მოგზაურობისას, მატარებლიდან კინაღაც ჩავტხი... აქ მხარზე ფრთხილად დამიკაკუნეს, ელდანაკრავი მოვცილდი გრიალით მიმავალი, განრისხებული მატარებლის კარს, მივიხედე და - ისევ ის კაცი, ოღონდ ახლა - ხელრუკზაკიანი, ღიმილით მითხრა:

- აბდარაუდუ?

- რა? - დავიძახე, ბორბლების ხმაურში ძნელად ისმოდა.

ყურში ჩამყვირა:

- ლუდი ხომ არ გინდათ, გერასიმე?

როგორ მიხვდავდა! და მკაცრი პასუხის მოსაფიქრებლად რომ დავძაბე აწეწილი ტვინი, გამახსენდა რომ - ისე ძალიან მინდოდა, ააჰ... ხელი გავუშვირე და, რუკზაკი დადო, ჩაიმუხლა და მარჯვედ გახსნა, ,,ჟიგულს'' თავსახური ვაგონისეულ რკინის საფერფლეზე წააგდებინა, გამომიწოდა, და უჭიქობას რას დაგიდევდით, პირდაპირ ბოთლით მივიყუდე - ეს მე - და მერე, შვებით რომ ამოვისუნთქე, მაშინვე ვიგრძენი, ლაწვზე რაღაც უნამუსოდ გაკვანძული ყულფი რომ გამეშალა და ფილტვებმაც უცებ იგრძნეს ჰაერი, თავის ტკივილი მყისვე შემეშვა, თვალებში სინათლე ჩამიდგა - კაცი ვხდებოდი...

- ერთიც რომ არ გნებავს, გერასიმე?

ეს მონაცვლეობითი ,,შენ-თქვენ''-ობითი მომართვა მაღიზიანებდა და, საყვედურს რადგან ვერ ვეტყოდი (გაჭირვებისას ლუდი დამალევინა), გაკვირვული უპირატესობა მაინც მომინდა და ,,სუფრზე'' ხაზგასმულად დავიხედე - ხუთი ხდებოდა, ორი საათიღა რჩებოდა ადლერამდე, იქ კი, აეროპორტში, კონიაკის ყუთს გამომიტანდა კაცი, ერთ ჭიქას დავლევდი მხოლოდ, და ლიეპაში სალსალამათი ჩავიდოდი, ფუჰ, რამ დამათრო წუხელ ისე...



გურამ დოჩანაშვილი

დაინტერესდა:

- მაგ საათს დაქოქვა არ უნდა, არა?

- არა!

- და... წყალგამძლეა?

- დიახ... მაშ, როგორ.

- ცეცხლგამძლეც თუა?

- არის, მე მგონი.

აქ მოიწყინა, ასე მეგონა, შეშურდა-თქო, მაგრამ სევდიანად აღნიშნა:

- გინდაც საერთოდ გაფუჭდეს, დროს ვერაფერი შეაჩერებს. ვბერდებით, ძველო...

კიდამ ვიფეთქე, და ისევ ის ერთი ბოთლი გამახსენდა... კიდევ მინდოდა, თანაც...

- კიდევ ხომ არ გსურთ? - მყისვე ამოიცნო.

- რა? - გამეხარდა და, მაინც, ვითომ ვერ მივუხვდი.

- ლუდი - რა...

- რა ვიცი... შეიძლება, შეიძლება.

- აგენაცვალე.

მივიყუდე და, ვსვამდი, აჰ, ვსვამდი, ყელი ლბებოდა, გადამწვარი, გადახრუკული, ქაფი მალამოდ ედებოდა და, თავგადაწეულს რომ შემომესმა: ,,ცოტაც მოითმინე, გერასიმე, და ჭიათურაში ღვინოსაც დავლევთ'', ჯერ არაფრად ჩავაგდე ნათქვამი, გავმხნევდი კიდეც... და სწრაფად მოვიცილე პირიდან ბოთლი, გაკვირვებული შევაცქერდი:

- ჭიათურაში რა გვინდა... კაცი...

- აბა, მანამდე ჩავიდეთ?

- რატომ მანამდე - ადლერამდე ორი საათის გზაა...

ახლა იმას გაუკვირდა:

- ადლერში რა გვინდა...

- როგორ თუ რა მინდა... - დავიბენი, - იქიდან, ტუთი, ლიეპაში უნდა გავფრინდე.

- აა, - გაეღიმა, - აა, აღარ გახსოვს...

- რა უნდა მახსოვდეს...

- გუშინ რომ დავთქვით, წუხელ...

- რა!..

- ჭიათურაში გამომგზავრება და, როგორც ხედავ, კაცურად შევასრულეთ პირობა კიდეც...

- თქვენ... ჩვენ წუხელ, როგორ, ერთად ვსვამდით?

- როგორ არა, კი. თავისუფლად.

და, გამახსენდა: წამოდი, წამო, მეუბნებოდა, საქართველო, ჩვენი სამშობლო, ვნახოთ; აღტაცებული ჩამჩიჩინებდა რომ, ზემო იმერეთი ყველაზე მეტად საქართველოა, რომ საოცრადაა შეხამებული იქ დასავლეთი და აღმოსავლეთი - ჩვენი; აგერას, აო, გომის გაგრძელებაა კორბოულ-საჩხერეო, იქურებიც, შედარებით დინჯი მიხრა-მოხრითა და სიტყვა-პასუხით, ქართლელებს წააგვანანო, და თანაც ნამდვილი იმერლებიც არიანო, და მეც, სულელი, თავს ვუქნევდი, ძალიან საინტერესოა-თქო და, ბეჰ! გამახსენდა - გადავეხვიეთ ერთმანეთს კიდეც, მანამდე კი, ძალიან მწყურროდა (რებეცამ იცის) და მატარებლის მოლოდინში მძღოლი გავუშვი, განაპირა ჯიხურთან, ბნელში, ერთადერთი უწყინარი კათხის გამოცლა გადავწყვიტე, იქ კი ვიღაც შემთვრალი ფილოლოგები ჯგუფად იდგნენ და არ ვიცი, ხუმრობით იყო თუ რა, სამპირიანი ზმნის სადღეგრძელოს სვამდნენ, ფილოლოგები ხომ უცნაური ხალხია, მათგან ერთი კი შორეული თანაკლასელი აღმოჩნდა ჩემი, და მართლა გაგვეხარდა თითქოს ერთიმეორე, ვიწრო დახლზე კათხა მომიჩოჩეს, მოვწრუპე და თავიდან ერთი კი გამიკვირდა - სულ სხვა, მკაცრი გემოსი ყოფილა ეს ჩვენი ლუდი, რადგან ჩეხური, დანიური, არაბული - სხვაა... მაინც გამოვცალე და უჩვეულო აღტყინება ვიგრძენ, ერ-



თიც შემივსეს და ვერ მოვახერხე, დამშვიდობება, არადა, როგორია, შესმა და დაუმშვიდობებლად გაცლა, ვერაფრით ჩავაგდე გახურებულ კამათში სიტყვა, რადგან სამპირიანმა ზმნამ ვიღაც უპირო კაცი გაახსენათ და გაცხარებულნი ალაპარაკდნენ იმ ვიღაცაზე, უცნაურია ჩვენი ენა, ქართული - ზოგი უპიროს რომ ეძახდა, სხვა ორპირს ეძახდა და კიდევ სხვამ, შვიდასპირიანიაო, ოხერია, გაიძვერაა და გარეწარიო, მაგას ეგეთი კარგი სახელი უნდა ერქვასო? - დანანებით იძახდნენ, მე კი მომწყინდა, მეორე კათხაც გამოვცალე და საკმაოდ რომ ავმსუბუქდი, თავაზიანი გამომშვიდობება კვლავ გადავწყვიტე, მაგრამ ბავშვობის სადღეგრძელო შემომთავაზეს, და ბავშვობა ხომ, დამეთანხმებით, კარგია, არა? - მესამეც შევსვი, და ისევ იმ კაცს მიუბრუნდნენ, უპიროსა თუ მრავალპირიანს, ურწმუნოაო, გაიძახოდნენ, თმას ილებავსო, ინჩიბინჩი არაფრისა გაეგებაო, ზოგი რომ ამას ამტკიცებდა, სხვანი ამბობდნენ, რას ამბობ, კი, კი, როგორ არა, ყველფრის აზრზეა, მაგრამ ბოროტია, ხელმოცარულიო, და ხელმოცარულს არავითარი თანამდებობა არ უნდა მისცე, იმიტომ რომ გაბოროტებულია და სხვაც თავისნაირი უნიჭო უნდა გვერდით, ხელმოცარულიო; მხოლოდ ერთი ფილოლოგი გამოექომაგა, მაგრამ ძალიან უნიათოდ - რა ქნას იმანაც, საწყალმაო, მერე არ ვიცი, როგორ შესცვალეს სალაპარაკო თემა, აქვს გურამიშვილი და ვაჟა, ლექსები წარმოსთქვა, რას არ გადასწვდნენ, შუბერტიც კი ახსენეს ორჯერ, ახლა კი ვხვდები, ურევდნენ, მოკლედ, მე კი, შებარბაცებული, დედმამიშვილების სადღეგრძელოს ვსვამდი, და ახლა რომ ვუკვირდები, სწორედ დედმამიშვილების სადღეგრძელომ მომიღო ბოლო, ასე მეგონა, რომ ვბარბაცებ, მეჩვენება-მეთქი, ლუდმა რა უნდა მიყოს-მეთქი და, შესამოწმებლად, ხომ არ დავთვერი-მეთქი, ჩემ თავს გუნებაში ვამოწმებდი, ვეკითხებოდი და პასუხსაც სწორად ვცემდი: ,,აბა, მამაჩემს რა ერქვა-მეთქი?.. - ვახტანგ-მეთქი... აბა, რომელი წელია ახლა-მეთქი?.. ახლა ათას ცხრაას სამოცდათერთმეტი წელია-მეთქი...'' და ამ ყოფაში რომ ვიყავი, მოულოდნელად დავინახე, რომ ლუდში არაყსაც ამატებდნენ თურმე და, მე სულელს, ბითურს, მეამაყა კიდეც ასეთ ვაჟკაცურ ხალხში ყოფნა და რკინიგზის ბაქანზე, გზისა და მგზავრობის სადღეგრძელო პირველმა შევსვი, და ეს ყმაწვილი, ახლა შეურყვნელი ლუდით რომ მიმასპინძლდებოდა, არ ვიცი, თანამდებობა შეიტყო ჩემი თუ რა, ამეკიდა და საქართველოში გასეირნება შემომთავაზა, მეც, ხბო, დიდად აღგზნებული დავთანხმდი და ხელიხელგადახვეულები მივბარბაცებდით, ვინ ოხერია, ახლა, ვინ იცის, რაიმე გამოსარჩენიც მომთხოვოს ეგებ კიდეც, და მართლა მითხრა:

- ერთი თხოვნა მაქვს.

- რა... - დავიძაბე.

გაეღიმა და:

- შარვლის ღილები შეიკარით, უხერხულია.

მსწრაფლ დავიხედე და ვთქვი:

- აჰ!

მერე საქმეზე გადავედი:

- ჭიათურაში ვერტმფრენები ჰყავთ?

დაინტერესებულმა ამათვალიერა:

- რომელი ფერის გნებავთ...

ძლიერ გავმკაცრდი:

- ნებისმიერი!

- არ ვიცი, არა მგონია... რად გინდათ?

- ადლერში ცხრაზე უნდა ვიყო.



- ლიეპასათვის?

- დიახ. ოთხი საათი კიდევა გვაქვს.

- ჭიათურაში, - დარწმუნებით მითხრა, - როგორც ყველგან, ღამღამობით სძინავთ.

- იქნება ვინმე... მორიგე, პასუხისმგებელი...

- კი, კი, იქნება...

დალაქულ კედელს აზიზად მოვშორდი, მაგრამ შარვალზე დავიხედე და... აჰ, ჩემ მტერს, მტრისას - ირგვლივ სულ კირით მქონდა მოთხვრილი. ავდექი და, უსუსურობისაგან, ვაგონის კიბეზე დავჯექ.

- ყოველი შემთხვევისათვის, მაიც... - მითხრა და რუკზაკს ისევ შეუხსნა თავი, - მორიგე-პასუხისმგებელთან რომ შეხვალთ, წვერგაუპარსაობა არ ივარგებს ნამდვილად... აჰათ, ინებეთ, ჩამრთველი არ უნდა, თქვენი საათისა არ იყოს, თავისით მუშაობს, - და აბზუილებული სამართებელი მომაჩეჩა.

კარგი შესახედი კი ვიქნებოდი მოადგილეებსა და თანამშრომელთათვის ახლა - ვაგონის კიბეზე მჯდარი, ცალი ხელით გაბრუებული ვისვამდი ყელ-ლაწვზე აზუზუნებულ სამართებელს, მეორე ხელით - ლუდის ნახევრად დაცლილი ბოთლი მეჭირა.

- რას მოგიწყენია რომ მოგიწყენია, ა, გერასიმე - გამამხნევა კაცმა, - ეგეთები ხდება?

2

ჭიათურაში, დავითარსე.

ჯერ ის იყო და, მატარებლიდან ჩამოსვლისას, ჯარიმა მლეწეს - თბილის-საჩხერეზე, ადლერის ბილეთის ნაცვლად, ჯიბეში გინდაც დღის კინოსეანსის ძველი ბილეთი გდებია. კიდევ კარგი რომ, არავინ დამინახა მაინც. მერე იყო და, რომ გადმოვედი, რა მომლოდა - იდგა, მიცდიდა... მოვიქუფრე და, რომ ვჭოჭმანობდი, დავემშვიდობო თუ უმძრახად ჩავუარო-მეთქი, მკითხა:

- კარგი საათის რომელია, ბოდიში?

ეჭვით შევათვალიერე, მაგრამ უცოდველად შემომყურებდა, მივუგე:

- რვის ოცი წუთია. კარგად იყავით.

ყურიც არ გაუბარტყუნებია:

- თუ გინდა, ქიმწმენდაში მიგიყვან, ტკბილო.

- არა, არ მინდა. ახალს ვიყიდი...

- ათზე იღება უნივერმაღი, გერასიმე. აბა?!

ამ მოთხვრილი შარვლით, ვინ ოხერს მივდგომოდი. არადა, რა მექნა...

- ვიცი, რომ არ გინდებვარ, გერასიმე, - წამოიწყო, აქ, ჭიათურაში, უკვე იმერულად უქცევდა, მაგრამ დამიგდე აბა ყური - მაგ პიჯაკ-შარვლით, ჩემო, თქვენი ამბავი რომ ვიცი, შორს ვერ წახვალ შენე. აქ, უნივე...

გავღიზიანდი:

- თუ შეიძლება, ზრდილობიანად ილაპარაკეთ! მე შენე არა ვარ.

თავი იმართლა:

- მე შენე უზრდელობით არ მიხსენებია.

- აბა?

- არამედ აკლიმატიზაციისათვის, გენაცვალე.

ელაპარაკე ამას...

მერე, განაგრძო:

- აქ, უნივერმაღში, ვერც თქვენს საკადრისს იშოვნი რამეს - ხელათ გეტყობა, მზა-ტანსაცმლისათვის დაბადებული რომ არ ხარ.

მართალს ამბობდა, ვიგინდარა - სხვადასხვა ზომის შარვალი და პიჯაკი მინდა, ამიტომ, თბილისში, კოსტიუმებს მუდამ ატელიეში ვაკერინებ ხოლმე.

- ასე რომ, გერასიმე, - დამაჯერებლად განაგრძო, - ქიმწმენდის გარდა სხვა გზას ვერ ვხედავ, იმის გახსნა-გაღებამდე კი ორსაათ-ნახევარია და, აგერ აქავე, ყურისძირში, სასადილოა ადრეული ერთი და, შევიდეთ ვაჟკაცურად შიგ.

აჰ, ესლა მაკლდა, რუკზაკიანი კაცის გვერდით მევლო:

- არა, არ მინდა...

- კაი ბატონო. აბა, მაშინ ახლა შენ თქვი, რა ვქნათ და - ჩემი კისერი.

სასადილოში წავედით, ბოლოს.

3

სად უნდა ვყოფილიყავ და, სად ვგდე ახლა: კონდიცირებულჰაერიანი, ვერცხლისფერი ლაინერის ნაცვლად, ბინდბუნდიან, გაკვამლულ ოთახში ვაპაჭუნებდი თვალებს, სავარძელში გადაფვლების მაგივრად, ლურსმნებამოჩრილი სკამის კიდეზე დამფრთხალი ვიჯექ, სახელგანთქმული კონიაკი ,,თბილისი'' კი არა, მჟავე ღვინო მედგა წინ და მომხიბვლელ სტიუარდესასაგან ფრიად განსხვავებული - ყელში ბანჯგვლებამოჯეჯილებული, მძლავრი პიანი მებუფეტე უნდილად გვემსახურებოდა - აი, რა მიყო წუხანდელმა დედმამიშვილების სადღეგრძელომ, მყავდნენ მაინც, თორემ კი...

სალათა მოგვიტანეს, პური, ყველი - ფიჰ... იგი მადიანად შეექცეოდა. ორიოდ ჭიქა ყოველგვარი სადღეგრძელოს გარეშე აჟრჟოლებულმა (ძალიან მჟავე იყო) შევსვი, თავის ტკივილმა საბოლოოდ გამიარა, გავმხნევდი და ბოთლი განზე მივდგი - გათავდა, მორჩა, ისედაც მეყო ამდენი სმა. იმას ჭიქისთვის პირი არ დაუკარებია, მერე, ანგარიშის მოლოდინში, ამათვალიერა და მკითხა:

თქვენ ცოლშვილიანი ხართ?

- რა თქმა უნდა, - მივუგე მე.

- ძალიან კარგია, კარგი, ბარა-

ქალა. ისე, სხვათა შორის, დაიარება მოსაზრება, ვითომ ბრინჯაოს ხანაში ქმარი რომ კვდებოდა, ცოლსაც მიაყოლებდნენ ზედ. არ იყო, ალბათ, ცუდი წესი - უნდოდა - არ უნდოდა, უფრო გაგიფრთხილდებოდა ცოლი, შენ ხარ ჩემი ბატონი, მოგივლიდა, შეგინახავდა, ახლა, ჩვენს დროში, რომ შეიკლავს ზოგ ქმარს ზოგი ცოლი, ზოგიერთმა, პანაშვიდზე, შეიძლება ხელზედაც კი აკოცოს.

- ვინ ვის... - დავიბენი.

ამიხსნა:

- მეპანაშვიდეშ - ცოლს.

და დააყოლა:

- ვხუმრობ, რა თქმა უნდა.

- რამ გაგახსენათ... - და სახე პირველად გამებადრა, - აა, თქვენ ალბათ, ძალიან გაწამებთ ცოლი...

მაგრამ მომიგო:

- უცოლშვილო ვარ. და არც მყოლია. რა უჩვეულო ასოციაციაა, არა?

რაღაცას ურევდა... მითხრა:

- დადე ეგ შლაპა სკამზე, რომ ჩაგიბღუჯია ხელში. არსად გაგექცევა... სხვათა შორის, გრიშაც და ვასიკოც უცოლშვილოებია.

- ვინ ოხრებია... - წავიბუტბუტე.

- ძმებია ჩემი. მე - შალვა მქვია.

ის მებუფეტე აღარ ჩანდა, თუმცა, სად გვეჩქარებოდა, ცხრაც არ იყო ჯერ, და სწორედ აქედან, ცხრას რომ უკლია ოცი წუთი, ის მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი წამოიწყო, მის პიროვნებას თურმე მუქ წითელ ხაზად რომ გასდევდა, როგორც იტყვიან. მკითხა:

- სპორტი თუ გიყვართ?

- რა ვიცი, ისე... კი, როგორ არა, საჭიროა.

- კრივშია ერთი ძლიერ ცუდი წესი.

- რომელი... წარბი რომ უსკდებათ?

- აარა, კაცო, ეგ წესი არაა. რომელი და, გამარჯვებულს რომ უთვლიან მოგებას.

- ეს როგორ... - დავიბენი.

- როგორ და, გერასიმე, ერთხელ, ერთადერთხელ, შევესწარი სამართლიან გადაწყვეტილებას: გამოვიდა რინგზე ორი კაცი, გამოწყობილები ისე, როგორც იმათი წესი და რიგია, და ჯერ ერთმანეთს დასცხეს, მერე კი ერთმა დაჯაბნა და ურტყა - თურქის ბარაბანს არ მოხვედრია იმდენი. მაგრამ მერე, მსაჯმა იმ მეორეს, დასიებულს, ცხვირპირდასისხლიანებულს რომ აუწია ხელი, ატყდა სტვენა დარბაზში, მაგრამ რა ატყდა, მაგრამ, მე თუ მკითხავთ, ძალიანაც სწორი გადაწყვეტილება იყო...

- ეს როგორ...

- როგორ და, კონკრეტად - აბა, თან უნდა გირტყან და თან უნდა წააგო? - არა, ბატონო, არა... როგორი ამბავია, წარმოიდგინე შენ - ვიღაცამ სულ ცხვირპირში გირტყას და ამისათვის ბროლის თასი უნდა მიანიჭონ? არა, ბატონო, არა, მე აქეთურის მომხრე ვარ, უნდა შეიცვალოს კრივში ეს წესი.

ურევდა, ურევდა...

- ჩვენ, სამ ძმა კეჟერაძეს, მხოლოდ ერთი და გაგვაჩნია, გერასიმე და, დისშვილებიც გვყავს, აცოცხლოს ღმერთმა. ორი მშვენიერი, წესიერი ბავშვია, მესამე კი - უჯუჯუ, მტრისას... მსგავსი ახირებული ეკრანზეც არ მინახავს, ცოტათი მე მამსგავსებენ... სახით. გრიშა და მე ძალიან ვეხმარებით ჩვენს დას ბავშვების აღზრდაში, ვასიკო ისე არა, სულ წიგნებშია ჩაფლული, და ნათესაურ კრებასავით მოვაწყვეთ რაღაც და, რა ვუშველოთ ამ ბავშვსო, ვთათბირობდით და სიძემ ჩვენმა, კაი ხვითოა ჩვენი არ იყოს ისიც, წამოაყენა წინადადება, ჭადრაკზე შევიყვანოთ ბავშვიო, ჭადრაკი - სპორტიცაა, ხელოვნებაც, ფილოსოფიაც, მელიორაციაცო და მე ვითავე ეს საქმე - ხელჩაკიდებული დამყავდა. ვარჯიშებზე არა უშავდა რა, შედარებით წესიერად იქცეოდა, ნიჭიც აღმოაჩნდა, მაგრამ, პირველსავე შეჯიბრებაზე არ მომჭრა თავი? როგორ თუ აფიცერი მომიგეო და, ვიღაცა სათვალიან მოწინააღმდეგეს, გაუშალა და არ გაარტყა ხელი? ახა... იმ სათვალიანს მაშინვე გამარჯვება მიაკუთვნეს...

და დააყოლა:

- კრივში როგორც უნდა იყოს კანონით, ისე.

ნამდვილად ურევდა!..

- საერთოდ, სპორტს, პოეზიასთან შედარებით, დიდი უპირატესობა აქვს... - ფიქრებში წავიდა შალვა, და გამოცოცხლდა: - ფეხბურთით ავიღოთ თუნდაც. ვინმე რომელიმე ცნობილი ფეხბურთელის ილეთი რომ გაიმეოროს, გაგიჟდება სიხარულით ხალხი - დიდისავით ჩაჩვია „ხმელი ფოთოლი!“, მიშას ფინტი გააკეთა, ვენაცვალე! უხარია მაყურებელს, რადგან პირიქით, უკეთესია, ფეხბურთელი ვინმეს თუ ჰგავხარ, მაგრამ აბა, თუ კაი ბიჭი ხარ, დაწერე ლექსში სადმე - სადაა ხარ, ჩემო ელიკოო... - სტვენას დაგიწყებს კარგი საზოგადოება, ხალხი.

შლაპაზე ბუზი დამჯდარიყო, ხელი ავუქნიე.

ისე შეცვალა სალაპარაკო თემა, ვითომც არაფერი:

- და, საერთოდაც, ჩვენ, წერაკითხვის მცოდნეებს, დიდი დანაშაული მიგვიძღვის ეის წინაშე.

- რის წინაშე?

- ე-წერტილი ი-წერტილის წინაშე, ესე იგის წინაშე, ესე იგი.

- რატომ... - გავოცდი.

- რატომ და, გერასიმე, დაწერენ ხანდახან მკვლევარები უშველებელ წიგნს, აყარებს ზედმეტი მსჯელობით, ვითომ მოსაზრებებიანს, უვარგისს ყოვლად და, აქაოდა, ეკონომიას დიდ პატივს ვცემთო, ესე იგის ამოკლებენ - ე-წერტილი, ი-წერილი-ს წერენ. ესაა, გერასიმე, საქმე? ეკონომია თუ გიყვარს, შე დალოცვილო, ესე იგის რას ერჩი, რატომ ჩეხავ, იყოს თავისთვის, ამას ის არ სჯობდა, კილონახევარი წიგნი ტყუილა არ დაგეწერა? ხომა ვარ სწორი...

- რატომ, წესია...

- წესი... - ხელი აიქნია, - წესი კი არა, დამნაშავეები ვართ კაცობრიობა ამ სიტყვების წინაშე და, ცოტათი მაინც რომ გამოვისყიდოთ, ამის შემდეგ ასე დაუნ დავწეროთ - ესსსე იგგგი, ხომა ვარ სწორი?

- ექვსი მანეთი, - თქვა მებუფეტემ, თავს დაგვდგომოდა, მაგრამ იყურებოდა შორს.

ფული არაფრით გადამახდევინა, აკი მე დაგპატიჟეო, შალვამ და, უცნაურად თეთრკანიანი მებუფეტეს შემყურემ, კუპრივით შავი ულვაში რომ ჰქონდა, თქვა:

- ისე, ზანგებს, წესით, გერასიმე, თეთრი წამწამები უნდა ჰქონდეთ.

გამოჩურჩუტდა, მთლად...

4

ქიმწმენდაში ვიღაც წითური კაცი ტომარას კემსავდა და თან არხეინად ღიღინებდა: - შა-ავსა შავი მყავანს ცხენიაა...

- კაი გამარჯობა! - შესძახა შალვამ.

- გაგიმარჯოს? - შეათვალიერა ქიმწმენდელმა.

- აგერ, პატივცემულის შარვალიდყვს ვერ მოგვიყვანთ წესრიგში?

ამხედა, დამხედა, ეუცხოვა: - რა ნაჭერია, ბატონო?

- ინგლისური ტრიკოა.

- აჰ, ტრიკოზოლი არ გვაქვს.

- აბა, რა გაქვთ, რა... - ამოვიგმინე.

- რა და - დაკრონზოლი, შალზოლი, კრეპზოლი, ბუკლეზოლი... ტრიკოზოლი არ გვაქვს.

- რასაა ჰგავს ეს! - გავფიცხდი, მართლა, - ქიმწმენდაა ეს თუ რა!

- რას ჯდებოდი, ძმაო, აბა უწესი ადგილას... მე გირჩიე თუ... ამის ძმაიც რომ გავხდი...

- ყური დამიგდე, - მკლავზე წავატანე ხელი, - ორ საათში თუ მომიწესრიგებ, ამდენს გაჩუქებ, - თითებით ვაჩვენე.

- მანათს? - აიბზუა ტუჩი.

- თუმანს, შე კაცო...

- სიტყვა სიტყვაა? - ამაღლებულად შემომაცქერდა.

- კი.

- მაშინ ხვალ არა, ზეგ... ნაშუადღევისთვის. ძალიან ვეცდები.

რა თავს იგდებდა!

- ორ საათში-მეთქი, ადამიანო!

- ორ საათში, პატივცემულო, შეუძლებელია ყოვლად.

- რატომ...

- სიმართლე გითხრა?

- თქვი.

- რა და, გენაცვალე, ამას არავითარი ტრიკოზოლო არ უნდა, უნდა გაიწმინდოს შეძლებისდაგვარად ჯერ, მერე „ნოვოსტში“ გაირეცხოს, გაშრეს და გაუთოვდეს ბოლოს, და, გენაცვალე, ხვალინდელ თერთმეტის ნახევრამდე არ ეშველება არაფერი. „ნოვოსტი“ სადამოთი უნდა მომიტანონ ზესტაფონიდან, ქალაქის კარგი ასეთი, მანამდე, გავწმინდ, შენ ხარ ჩემი ბატონი, გავასუფთავებ, გავუდებ კამკაშს. იდაყვი მაჩვენე აბა...

მივუშვირე, როგორც შემეძლო... ათვალიერებდა, სული შეუბერა, წკაპურტი გაჰკრა, კვლავ აღიღინდა: - შავსა შავი მყავანს ცხენიააა... ახალთახალს დავამგვანებ. რომ შეგნატროდეს ყრუ-მუნჯი ყველა...

რა შუაში იყო...

- გაქვს შემოდანში გამოსაცვლელი თუ...

- მაქვს, როგორ არა, - მოფარებულში შევედი, შარვალი და ნაქსოვი პერანგი ამოვიღე, გავძახე, - თერთმეტის ნახევარს ხომ არ გადააცილებთ...

- საჩივრის წიგნის მადლი გამიწყრეს, ჰაჰ... - ჩაეცინა, და გაუმკაცრდა ხმა, - შენ ხომ არ დაგავიწყდება, - თითები შემოჰყო ფარდაში.

- არა, კაცო, არა... სიტყვა სიტყვაა, ხომ გით... - დავბარბაცდი, შარვლის ტოტი ფეხში გამებლანდა.

- აკი დაგემართოთ.

გამოვედი და, მოგრძო სარკეში ჩავიხედე, არა მიშავდა რა, ჭიათურის პირობაზე... შლაპა დავიხურე, ვუსურვე:

- კარგად იყავით.

- აგრე იყოს, - თქვა ქიმწმენდელმა. უზრდელი...

- თქვენ ნამდვილი ქართველები იყოთ, მეტი არაა ჩემი მტერი, - თქვა შალვამ, ქუჩაში რომ გამოვედით.

5

მაგრამ უგუნებობამ სასწრაფოდ გადაუარა; დარიგებას მოჰყვა, თავისი ჭკუით:

- შენ თვალსაჩინო კაცი ხარ, გერასიმე და, ქალს თუ ეტყვი შემთხვევით, მიყვარხარო, და თუ ის შეგესიტყვება - არ მჯერა, ვაი - არ უნდა უთხრა: „ცოლ-შვილს გეფიცებიო...“ ამას აჯობებს, ყოჩაღად მიუგო: „დედა ნუ მომიკვდება“, ანდა უბრალოდ: „თუ არ მიყვარდე, ცუდი ვიყო...“

გიჟია, ოხერი... და რადგან ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღმეკვეთა მისი ეს თავგასულობა, თანამდებობა პირში ვუთხარი ჩემი, ასე მეგონა, გადანცვითრდებოდა ჯერ, და ღრმა პატივისცემით შემომაცქერდებოდა მერე, მაგრამ მშვიდად თქვა:

- რა ვუყოთ მერე... - და მანუგეშა, მანუგეშა კიდეც, წარმოგიდგენიათ? - ჯერ მაინც შედარებით ახალგაზრდა ხარ...

სულელი იყო. და კარგი აზრი მომივიდა, დადებითი - სისულელეში უნდა ავყოლოდი, სხვა გზა არ იყო - აბა, დადექი ახლა და ესაუბრე ამას სერიოზულად ქვეყნის ავ-კარგზე, როგორც იტყვიან... იქ, კაბინეტში, ამისთანები გამიცურებია? და აგდებულად ავხედ-დავხედე, პირველად შევათვალიერე საფუძვლიანად, დავეკითხე:

- შავები რატომ გაცვიათ ამ გაგანიაში, შალვა-უფროსო?

„უფროსო“-მეთქი, აჰ; იუმორის შესანიშნავი გრძნობა... მაგრამ არ მოტყუვდა, მაშინვე ბანზე ამიგდო სიტყვა:

- შენ საქართველო გიყვარს, გერასიმე?

გამომიჭირა - მე, ჩემდა თავად, ამ შეკითხვაზე ვერ გადავუტანდი სიტყვას, ჩემთვის უხერხულია მაინც საქართველოზე მოყრუება, და დროებით მივუგე:

- კი, როგორ არა...

მაგრამ აქ წარმოთქვა ყოვლად უხამსი, ერთდერთი:

- ისემც...

უზრდელი! ხეპრე...

მერე, კინოთეატრში შევედით... დრო რომ გაგვეყვანა.

6

კინოთეატრიდან, გედების პარკი დამათვალიერებინა... იმდენი არაფერი - რაღაცნაირი ხეები იდგა და გედები დაცურავდნენ წყალზე. გრძელ მერხზე ჩამოვჯექით, ჩრდილში, რადგან მზეზე უფრო ცხელოდა და, საერთოდაც, ცხელოდა. სინოპტიკოსებიც ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ დიდი სიცხე იყო საქართველოში მიმდინარე 1971 წელს.

- უხდება ტირილი გედს - აღნიშნა, - რა სულელური ფილმი იყო?

- რატომ... - არ დავეთანხმე, - კეთილშობილებაზე იყო, პატიოსნებაზე, სიწმინდეზე...

- კარგი, გაჩერდი, თუ კაცი ხარ... - შეიჭმუხნა, - ტყუილი იყო თავიდან ბოლომდე...

- რა არ დაიჯერეთ მაინც... - „თქვენობით“ იქით მივმართავდი, წარმოგიდგენიათ? მაგრამ ასე იყო საჭირო...

- რა და, ჯერ ერთი, ის ქმარი ტყუილად არ ეჭვიანობდა.

- როგორ თუ არა... ხომ გამოირკვა ბოლოს ყველაფერი.

- რა ყველაფერი...

- რა და, ქალის უბიწოება.

- კარგი გაჩერდი, გერასიმე... - აიმრიზა.

- როგორ თუ გაჩერდი... - ავიმრიზე მეც.

- როგორ და, ნამდვილად მოხდა იმათში რაღაც...

- რა რაღაც... რა!

- იცი ის შენ.

- არაფერიც არ მომხდარა, - გავუსაჩივრე ნათქვამი, - ხომ გაირკვა ბოლოს...

- არა, გენაცვალე. მე ყოველთვის ვხვდები, წყვილის დანახვაზე, მომხდარია თუ არა იმათში რამე... ვხვდები და რა ვქნა.

- რითი

- ეტყობათ, კოჭებში.

ალვშფოთდი:

- ახლა, შენ უკეთესად იცი სცენარისტზე?

- აბა რა! - გამოცოცხლდა შალვა, - ოთხ თვეს გამნათებლად ვმუშაობდი.

- მაგ ფილმზე?

- არა, თეატრში.

ელაპარაკე ამას...

- არა ხართ სწორი, არა, შალვა, - დამაჯერებლად ვუთხარი. მაგრამ ამ ვაჟბატონზე, შალვაა თუ ვიღაც, ამან არ გასჭრა, და, საერთოდაც, ჩემს არგუმენტებს არ უჯერებდა, მაგრამ მე მაინც დაბეჯითებით განვაგრძობდი:

- ბოლოს ხომ გაირკვა ზუსტად ყველაფერი.

- ეკრანზე - კი...

- აბა, სხვა რა გინდა... - ამოვისუნთქე.

- სცენარით გინდაც არაფერი მომხდარიყოს, მაინც მოხდებოდა... იქ.

- სად იქ, შალვა, კაცო...

- სად და ცხოვრებაში.

აყევი ახლა ამას... მაგრამ გავბრაზდი:

- რა იცი შალვა შენ! - გაცხარებულს „თქვენობის“ თავი აღარ მქონდა, - რაზე შეატყვე მაინც!

- ეტყობათ-მეთქი, კოჭებში... - და დააყოლა, - რა კარგი შლაპაა? იფ...

და მყისვე მისი ჩამოცილება გადავწყვიტე. ამკიდა, რა, იმსასავით... აი, იმსავით. აი, აი ტკიპასავით, ჰო. კატეგორიულად დავეკითხე:

- თქვენ სათ წაბრძანდებით ახლა?

- სად მაქვს თქვენს იქით გზა... - არხეინად მომიგო, კიდევ კარგი, „თქვენ“-ობითში რომ მაინც ამყვა, მაგრამ მაშინვე გააბათილა - ხომ გადავწყვიტეთ მე და შენ, ერთად მოგვევლო ჭიათურის რაიონი.

- აარა, გენაცვალე, აარა, - ავნერვიულდი, - იძახით აქ სისულელეებს და...

- სისულელეებს რომ ვიძახდე, კამათი არ ამყვებოდი. ეტყობა, შენც გენიშნა რაღაც... ტყუილ-უბრალოდ არ კამათობენ. აბა ახლა, მე რომ ვთქვა, მაგალითად, ასეთი რამ - დუშეთის ფლოტი მსოფლიოში უძლიერესია - შემეკამათები, გერასიმე?

სულელი იყო ვიღაც... ტუტუცი, შტერი... ვინც დედამიშვილების სადღეგრძელო კიდევ შესვას, ჩემდა თავად...

- აბა, მოვიაროთ, აბა? - სულწასულად დამეკითხა, - აკი დავთქვით და...

- აარა, ბატონო, სრულიადაც აარა, - ისევ ავთრთოლდი, - ის სულ სიმთვრალის ბრალი იყო.

- სიმთვრალემ შეგაცდინა, ხომ... - გულდაწყვეტილი დამეკითხა.

- დიახ!

- ცუდია, არა, ცუდი სიმთვრალე?

- ძალიან ცუდი. ვერ ხედავთ, რა დღეში აღმოვჩნდი? სად უნდა ვყოფილიყავ და...

- აბა, ცუდია? - დაკვირვებით მიყურებდა.

- ცუდ სიმთვრალეზე ცუდი ნამდვილად არაფერია ქვეყნად. - მტკიცედ განვუმარტე.

- ერთი რამაა ნამდვილად უფრო ცუდი...

დავინტერესდი აქ:

- რა, მაინც... შალვა?

რაღაცნაირად, სევდიანად შემომცქეროდა, მითხრა:

- რა და, გერასიმე, ცუდი სიფხიზლე. გლახა სიმთვრალეს კიდევ ეშველება... ცუდი სიფხიზლე თქვი შენ...

7

სხვა გზა არ იყო - რაღაცით უნდა დამემტკიცებინა ჩემი უპირატესობა, სულ აიგდო თავი, და გამოსავალს ვეძებდი. საათზე დამეხედა? არა, ეს ხომ უკვე ვცადე და, უშედეგოდ, სხვა რამ იყო საჭირო, და მსუბუქად ჟრჟოლადავლილმა კუჭმა მიხსნა - დილით რა ვჭამე, არაფერი და, ცოტათი მშიოდა, და მისი პირველხარისხოვან რესტორანში დაპატიჟება განვიზრახე, თუკი მსგავსი რამ არსებობდა აქ, ჭიათურაში, სადმე. თურმე, ყოფილა და იქით გავსწიეთ, იმან - რუკზაკმოკიდებულმა, მე - ჩემოდნით ხელში, და რადგან გარდერობი ზაფხულობით არ მუშაობდა, ფეხებთან დაიდო იმან თავისი ბარგი, მე - ჩემი მოწყობილობა, მომცრო კაბინაში ვისხედით, ზედ რომელიღაც ამღვრეული მდინარის პირას. აქ, რესტორანში, შალვასთან დამაბული თამაშისას, თავს საკუთარ მოედანზე ვგრძნობდი, რადგან რესტორნების მქვს გარკვეული გამოცდილება, დიახ, და ოფიციანტთან მსწრაფლ ხელში ვიგდე ინიციატივა, რადგან არცთუ ისე ქართქათა სუფრა გამოვაცვლევინე, მართალია უარესი მოიტანა, მაგრამ მაინც... ცივი შამპანური დაუდევრად, თითქოსდა უგულისყუროდ ვიკითხე, მოვატანინე ორი, მერე ერთი უკან გავატანე, მაცივრის უმაღლეს თაროში შესადებად, შევუკვეთე ხბოს მწვადი, სუკი (ხიზილალას არ ვინდე) და ორი წიწილა, ერთიც - დედალი; სალათა, კუჭმაჭი, ბორჯომ-ლიმონათი და ყველი რა სახსენებელია, ანდა - მჟავეული. ბაზარში ოხრახუშისთვის გავაგზავნე დამლაგებელი, წუთში მობრუნდა, და ოხრახუშს ოსტატურად ვურევდი შამპანურით სავსე ჭიქაში, გაზი რომ გასცლოდა - მიმეა იგი სასმელად, დალოცვილი... მერე ქართულ პურზედაც პროტესტი გამოვთქვი, გასაცხელებლად გავატანე ქუხნაში („კ“-უხნას კი არ ვამბობ ზოგზოგებივით, ჩვენ, ზოგიერთმა ქართველმა, თუკი საჭიროა, ვიცით მშობლიური ენის ფასიც), და რომ გაივსო მშვენიერი, სხვათაშორის ჭიათურის პირობაზე, საჭმელ-სასმელ-სანოვაგით სუფრა, შალვამ შემაქო:

- ყოჩაღ, გერასიმე. მაქსიმალისტი ყოფილხარ, ჭეშმარიტი ქართველის ერთი თვისება ნამდვილად გქონია.

- ხომ არ აკლია რამე? - სუფრას გამომცდელად გადავხედე.

- კი.

ეს პირში მითხრა, გავოცდი ძლიერ:

- რა მაინც...

- ერთი, თუ კაცი ხარ, - თითი ასწია, - ლობიო ან შემწვარი კარტოფილი მოატანინე.

- რა, ამეებს აჯობებს?

- ვინც ხორცს არ გაახლება, გერასიმე, იმისთვის - კი. და, თუ არ გეწყინება, მე ღვინოს დავლევ.

- რატომ...

- გამათამამებს შამპანური. თანაც, მივეჩვევი და... ვინ დამალევინებს მერე.

ფუჰ, უპირატესობა ხელიდან მეცლებოდა. გუნება გამიფუჭდა და, რაღაცნაირად, მეუხერხულებოდა კიდეც წიწილის კვნეტა, მარტო კაცი ჭამაშიაც ცოდოაო, გაგიგიათ, ალბათ... მაგრამ უკანდახევა არ მჩვევია, ჭიქა ავწიე:

- გაუმარჯოს ყველაფერ კარგს, რაც ქვეყანაზე არის.

- ერთი ჭიქით სვამ ამას, გერასიმე? - გაკვირვებული შემომცქეროდა.

- ჰა, ორით იყოს, - ვთქვი და მეორე ჭიქაშიც ქაფის უნაზესი ვულკანი ამოვიყვანე, კარგია შამპანური, ვენაცვალე მას.

- გაუმარჯოს, - თქვა შალვამ, - მაგის იმედით არ ვართ?!

მადა გამეხსნა. სუკი ჩავკბიჩე, აჰ, ოდნავ ძნელად მნებდებოდა, მე რომ მიყვარს, ისე; ხბოც კარგი იყო, ნაზი, ცვრიანი, და წიწილასაც კურტუმიდან რომ მივადექი, შალვამ იკითხა:

- თქვენ ხინკალი თუ გიყვართ, ა, გერასიმე?

- გააჩნია გაკეთებულს, - მაინც ვფრთხილობდი, ავწონ-დავწონე სიტყვა.

- მე კი, გერასიმე, ხინკალმა ერთ აღმოჩენამდე მიმიყვანა.

- აღმოჩენამდე? - გავიკვირვე და წამსვე იუმორი მოვიშველიე, - რა, ნიუტონის კანონია?

- არა, ეს კუჭის კანონია, - სერიოზულად მომიგო, - ახლავე აგიხსნი, აგერ ვარ მე და

აგერ ხარ შენ. ხინკალი, გერასიმე, რაც უფრო გშია, სანატრელია უფრო, - შეუდგა ახსნას, - ჰოდა, წახვალთ სახინკლეში რამდენიმე ჯგუფი, დგახარ რიგში და აჰ, ჯერ სხვებს გამოაქვთ, ნერწყვი გეძლება და შენატრი იმათ. მოაღწევს მერე, როგორც იქნება შენი რიგი და, მოგაწვდის მაგრამ, რას მოგაწვდის მეხინკლე იგი - ცხელს, აორთქლებულს, ჯადოსნურ ლანგარს, სულ ციმციმ მოგაქვს, და მრგვალ მაგიდას წრეს შემოარტყამთ, ფეხზე დამდგარნი; მერე თქვენში ყველაზე დაღებითი ადამიანი მეზობლებიდან შავ წიწაკას ინათხოვრებს და მოაყრის, მაგრამ რას მოაყრის - მწვავეს, მადიანს, ველურს - უჰუჰუჰ!.. მთლად ათრთოლდები, მაგრამ ცხელია... მერედა, შე კაცო, ფრთხილად აიღე, შეუბერე სული, კარგად, დაკვირვებით, ცენტრში რომ მოარტყა, უბერე, უბერე, ფრთხილად მოკბიჩე პატარაზე მერე და ახლა იქ ჩაბერე, ოხშივარი, ჰუჰ! ზედ შიგ ცხვირ-პირზე გელამუნება, და მერე ფრთხილად, ფრთხილად შეიწოვე გულბოყვლამთუთქავი წვენი, აჰ, რა ხსნარია, იფჰ! რომ აგრილდება პატარაზე მერე, ლეჭე, ყლაპე და გუნებაში ნეტარებით იფიქრე: აჰმ-ჰჰ, უხხმ-ჰჰ, და მორიგი ხინკალ-ჭიპის ურნაში ჩასაგდებად დახრა რომ გაგიჭირდება, ამოიხვნეშებ და გაიფიქრებ - ე, ხომ არ მეყო? არა, კაცო, რა საკადრისია, აი ის აიღე, ის, გვერდითა ცალი, ოჰოჰ, ცხარეა? - დააყოლე ქაფქაფა ლუდი, ყელს ვერ ჩაგირეცხს კოხტა-ლამაზად თუ... ახლა, იქითას დასწვდი, ძმიკო, როგორ გიყურებს, გიყურებს როგორ, აჰ, გეხვეწება, ნუ ეტყვი უარს, აიი, ასე, რა, სუნთქვა გიჭირს? რა უჭირს მერე, სირბილით ხომ არ დაღლილხარ და, მაინც, მერე, იმ კანონს მაინც ალმაჩენ - რომ დანაყრდები კი არა, უკაცრავად პასუხია, ვრცლად რომ გაძღები, განაცვალე, რო დამძიმდები, მოვომთელოვდები და თვალზე რული ჩამოგაწვება, მთვლემარე, ბუნდოვნად იგრძნობ რომ, ისევ ის ბითური ხარ, რაც მანამდე, ხინკლის ჭამამდე იყავი. აბა?! - კუჭის კანონია ეს, გერასიმე.

სუფრაზე უხერხული დუმილი ჩამოწვა, ბარკალს ხელი ვუშვი.

- რამე ხომ არ მოგართვათ, ბატონო, ხომ არ გამოვაცოცხლოთ სუფრა? - ლუნედ იკითხა ოფიციანტმა, ფანჯარაში იყურებოდა.

- ჰა... არა, - ვთქვი მე.

იმან კი, შალვამ, ასე მომმართა:

- მიირთვით რამე, გერასიმე. ჩემს პურ-მარილზე, მეპატიჟებოდა!

8

მაგრამ შამპანურს, ამხანაგებო, თავისი გააქვს. ასე იყო ახლაც, რასაც მეტს ვსვამდი, ვმსუბუქდებოდი უფრო, და მსიამოვნებდა, ისიც, სულელი, ღვინოს წრუპავდა და შევსვით სხვადასხვა სადღეგრძელო, აჩქარებული, მეტის პატივით მექცეოდა, მეტი ზრდილობით, ძლივს არ გაიგო ჩემი ფასი? მაგრამ რაღაცას აპირებდა, მგონი; ეტყობოდა, რაღაცნაირად, მისივე გამოთქმისა არ იყოს, კოჭებში, თუმცა ფეხები მაგიდის ქვეშ სულ არ უჩანდა - გამჭრიახი ვარ - ძალიან დატკბა, სულ თვალეში შემომციცინებდა, ბატონო სიმაც მიწოდა ორჯერ... შვება ვიგრძენი, მჭიდროდ მივეყრდენი სკამის ზურგს, მიდამოს გავხედე, საბაგირო გზები ჰქონიათ ჭიათურაში, თურმე, კარგია, ყოჩაღ, მომეწონა ეს. მაგრამ რაღაცა გაბრაზება, მთელი დღე გონებაში რომ მიღიტინებდა, სწორედ ახლა არ გამახსენდა? წამსვე ვიფიქრე:

- კი მაგრამ, შალვა, შუა ზაფხულში რატომ ათბობდნენ ვაგონს?

მაინცდამაინც არ აღელვებულა, ის კი არა და, მშვიდად მომიგო:

- რა გითხრათ, აბა, ალბათ ნახშირი თუ აქვთ ასათვისებელი...

- როგორ თუ ასათვისებელი...

- ტყვილა ხომ არ გადაყრიან აბა?

- გადაყრა არ სჯობს ხალხის ამოხრჩობას?

- აჰ, ეგ არა თქვათ, საპასუხისგებო საქმეა ტყვილა რაიმეს გადაყრა, თქვენ კი უნდა მოგეხსენებოდეთ ეს.

გამომჭირა, ოხერმა და, ეს მდგომარეობა რომ განმეჭუხტა, მესამე ბოთლი ჩემით გავხსენი, გამოზომილი, დახვეწილი მოძრაობით და, სანამ ჭიქაში ქაფი ჩადიოდა და სითხე კი პირიქით, ამოდიოდა, უეცრად ჩემკენ გადმოიხარა და მითხრა:

- ერთი თხოვნა მაქვს, ბატონო სიმა. ნუ გამაწბილებთ...

ერიჰაა! აჰა - თავიდან ვგრძნობდი, რაღაცის გამორჩენა რომ უნდოდა ჩემგან, მაინც გულთბილად შედარებით, ვთქვი:

- მითხარი, შალვა.

- რა და, ბატონო სიმა, ერთი აზრი მომივიდა, თუკი გვიკადრებთ.

- რატომ არ ვიკადრებ, თუკი ნორმის ფარგლებს არ სცილდება, - და ადამიანურად გავამხნევე: - ადამიანები ვართ მეც და შენც.

ნასვამი ვიყავი, თორემ ვინ ოხერი გაუყადრებდა თავს.

- რა და, ბატონო სიმა, ღამე მაინც აქ გვაქვს გასათევი და, სასტუმროში ოთახის ძებნას, აგერ, აქვე, ერთი საათის სავალია ავტობუსით სულ, ბიცოლა ცხოვრობს მკვიდრი ერთი ჩემი და, მივიდეთ ბარემ, სულ მეხვეწება, წერილობით, ეე, ამოდი ერთი, რა იქნება, ამხანაგებით, შალვაო და, კაი ქართულად დაგვიხვდება, მშობლიურ-ტკბილად, ბატონო სიმა, ბევრს კი ვერაფერს შეგპირდებით, მაგრამ სიმინდზე გაზრდილ ქათამს დაგიკლავთ, ჭყინტი ყველი და პრასი ექნება, ქონის ლობიო, კეცის ჭადი და ნამდვილი ღვინო, ქვევრიდან მცირე ზვირთებად ამოლიკლიკებული, - და საცოდავად დამეღრიჯა, - ავიდეთ რაა?

- არა, ახ, არა, არავითარ შემთხვევაში, - კატეგორიულად განვუცხადე მე.

- რატომ, ბატონო სიმა...

- რატომ და, ვიცი, წამოიწყება იქ დედამიშვილების სადღეგრძელოები!

- რა უჭირს მერე...

- არა. - ვთქვი კვლავ მე, შეუვალი ვარ, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვს, მაგრამ განაგრძო:

- რა იქნება, რა, ბატონო სიმა, პატივი დაგვდეთ...

- არა-მეთქი. აჰ! - ამ შეძახილით გავკიცხე და ხელისგული მაგიდაზე მრავალმნიშვნელოვნად დავდე. ახლა კი მივხვდი - ამიყვანდა იქ, სადღაც სოფელში, დამალევინებდნენ რაღაცა ღვინოს, გაშლიდნენ ქეციან პურ-მარილს ისეთ დაბალ მაგიდაზე, წელში რომ გაგწყვეტს, მერე კი, შემთვრალს, შემაცოდებდნენ თავს - მარტოა აქ, მოხუცია, გამოყრუვდაო და, თქვენი ჭირიმე, ეგებ ქალაქში გადმოვწეროთო და, ან მასალა ენდომებათ რამე, გამომტყუებდნენ დაპირებას და მისამართს, მერე ქალაქში რამე ძღვენით მომადგებოდნენ და, ამათი თავი მქონდა მე? აქაც კი ვიჯექი გაწყობილ მაგიდასთან, კოხტად.

- მაშინ, ბატონო სიმა, აქ შევსვათ დედამიშვილების სადღეგრძელო, - მითხრა.

- აჰ, არა, არა, - გავასავსავე ხელი, - მაგ სადღეგრძელოს დამლევი არ ვარ.

- რატომ, პატივცემულო? - დაინტერესდა.

- იმიტომ. მორჩა! - მკვეთრად მივუგე.

- კაი, ბატონო, - მაშინვე დამეთანხმა, - აბა, მე დავლევ და, მისმინეთ მაინც.

- კი, სმენით - გისმენთ.

- ჩვენ სამნი ძმა ვართ, კეჟერაძეები, და ერთი დაც გვყავს, გაგვიმარჯოს ჩვენ. ერთი გვყავს კიდევ, ბიძაშვილი, დედის მხრიდან და, დედაჩემი კი სანაძის ქალია, ბატონო სიმა, დედამიშვილებში არ გვერჩევა ბიძაშვილი ის.

ძაან არ მაინტერესებდა? ვარიდებდი თვალს...

- ჩვენ, სამნი ძმანი კეჟერაძე და ბიძაშვილი ჩვენი, სულ სხვადასხვა გზით წავედით ცხოვრებაში: აგერ, მიხეილი ჩვენი, სანაძე, წავიდა დირიჟორად, მუსიკის გზით, გრიშა, ჩემი ღვიძლი ძმა, წავიდა ადამიანთა შორის უკეთესი ურთიერთობის დამყარების გზით, ხოლო მეორე ღვიძლი ძმა, ვასიკო, წავიდა ლიტერატურის სიყვარულის გზით.

ალმაცერად გადავხედე აქ:

- და თქვენ? თქვენ საითკენღა წახვედით, შალვა?

- მე ყველაზე რთულ გზას დავადექი, - თქვა მან, - მე წავედი სოფელ-სოფელ წოწიალის გზით.

- კი მაგრამ, რატომ?

- ერთი რამის სიყვარულით, დაფარვა რომ სჭირდება.

- რაა ასეთი? - ჩავაჯინდი.

- მერე გეტყვით... როდესმე, სხვა დროს.

- რა, ლიეპაში წამომყვებით თუ... - კვლავ იუმორი მივაშველე.

- აჰ, ლიეპაში რა მინდა, კაცო... ლიეპაში კი არა, აქ ვერ ავსულვარ, ბიცოლას სოფელში, სადაც...

გავაწყვეტინე:

- თამადაო, ჩანჩალაო... - ვეხუმრებოდი.

- გაუმარჯოს, აბა, ჩემს და-ძმებს კეჟერაძეებს, მიხეილს ჩემსას, თქვენ არ გყავთ, ვიცი.

- რა იცი? ჰა... - დავიბენი.

- კიბეზე არ მითხარით?

- რომელ კიბეზე...

- თბილისის ვაგზლის.

და, ლაპარაკი რომ მსწრაფლ სხვა რამეზე გადამეტანა, ჭიქას წამოვავლე ხელი: - დედამიშვილებს გაუმარჯოს.

და, საოცრებავ, არ მივიყუდე? აკი დავთქვი, რომ... არ შეიძლება, გულში ვიძახდი, აარა-მეთქი, მაგრამ მაინც - ყლუპ, ,,ეს სადღეგრძელო გაგაფუჭებს - ჩემს თავს ვუჯიბრებოდი და მაინც - ყლუპ, ,,ბოლომდე მაინც ნუ გამოცლი'' - ყლუპ, ,,რას სჩადი, კაცო'' - ყლუპ, და გამოვცალე ამასობაში, მე სულელს, მაინც კიდევ მინდოდა, ჭიქა მაგიდაზე იდგა, მე კი ჭიქაზე შემომჭკდო უგუნური თითები და, გამიგო კიდეც, მყისვე შემივსო, მითხრა:

- ძალიანა გთხოვ, მიხეილის სადღეგრძელოც მიირთვათ, ბატონო სიმა. იგივ დედამიშვილია ჩემი...

მაშინვე დავუჯერე:

- ეს გაუმარჯოს ლიტრა... ტერატუტურის... - ენა ამებნა.

- აჰ, არა, არა, ის ვასიკოა... დირიჟორია ეს...

- გაუმარჯოს ყველა დირიჟორს... თავისი ჯოხით...

- აგრე იყოს, ამინ, - და გამამხნევა, - ოო, ეგრე სჯობს, მასე, ბატონო სიმა, ბოლომდე დაცლა - ვაჟკაცურია.

9

ახლა რომ ვუკვირდები, იმჯერადაც დედამიშვილების სადღეგრძელომ დამღუპა - შექანავებული, ცხვარივით დავდევდი აღგზნებულ შალვას, ვისაც მყისვე დავთანხმდი სოფლად ასვლაზე, მერე მითხრა, რომ სოფელში ჩემი ამ ძვირფასი ტანსაცმლით გამოჩენა შეუსაბამობას გამოიწვევდა ერთგვარს, და მაღაზია უნივერმაღში ხამი ტილოს შარვალ-ხალათი, ვაი სირცხვილო - სადღაც ბუჩქებში გადავიცვი, მოვჩანდი კიდეც ალბათ, კარგი სამოსი - ჩემოდანში მზრუნველად ჩადო, შლაპალა შემრჩა ძვირფასი თავზე, და მილოცავდა ალჭურვილობას ახალს, რომელსაც, მისი შეხედულებით უბრალოსა და მშობლიურს, ,,ტყრუშულს'' უწოდებდა, ბიცოლასეული ღობის სახეობიდან ნასესხებ გამოთქმას; ბილეთების აღებდა დამასწრო, რადგან მე ჩემოდნიანა ერთ ადგილას ვიყავ, გალიმებული შემომეგება:

- ა, მაშ, მივდივართ, პატივცემულო ბატონო სიმა?

- კი, - და დავეჭვდი, ნასვამიც კი, საზრიანი ვარ, - კი მაგრამ, იმანო... - სახელი დამავიწყდა, - ჰო, შალვა... - და სახელი კი გავიხსენე, მაგრამ ახლა სათქმელი დამავიწყდა, და გავიხსენე ისიც. - აი, ეგ შენი ბიცოლა, შალვა, რომ არ დაგვხვდეს, ა, შალვა?

ერთხანს მიყურა, და გაუბრწყინდა სახე, ჯიბისკენ წაიღო ხელი:

- აგერ არა მაქვს იმისი სახლის გასაღები?

და ამოაძვრინა კიდეც - პატარა, ოქროსფერი, კოხტა.

- კარგი, შალიკო... - დავეთანხმე, პატარას თითქოს ვბარბაცებდი, დიდი ამბავი, მერე რა... და მემშობლიურა შალვა მერე უცებ, რა იყო მაინც, რა ჭირი მეტაკა, მხარზე მოვხვიე ტყრუშულსახელოიანი ხელი: - ჩი-იტი გვრიტი მო-ოხ! ვეუუულშიიი...

- ზემო იმერეთს, ბატონო სიმა, ნამდვილ იმერეთს, საქართველოს ვნახავთ... - აღტაცებული იმეორებდა, გავაწყვეტინე:

- ძალიანაც კარგი.

და ავტობუსთან, უკანასკნელად შეპოჭმანებულს, ისეთნაირი ვედრებით მითხრა: - წავიდეთ, რაა...

წავიდეთ, ჯანდაბას, კარგი, - ხელი ჩავიქნიე და ისე - უბრალოდ, ჰაი-ჰარაზე რომ არ დავთანხმებულიყავ, რიხიანად დავასაბუთე კიდეც, ასე ვთქვი მე: - ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს.

აი ასე ვთქვი მე, მიყვარს ხალხური პოეზია.

პატარა ავტობუსში ჯერ თითქოს სიხალვათე იყო, ჩვენ-ჩვენ ადგილას მოვკალათდით, მაგრამ როგორც კი დაიძრა მანქანა, იხუვლა ხალხმა, სად იყვნენ იქამდე მაინც, შეშფოთებული ზეწამოვიჭერ, მაგრამ ნურას უკაცრავად, ვეღარ ჩავიდოდი, ადამიანი კი არა, ლაზერის სხივი ვეღარ გააღწევდა გარეთ, და ისევ მოწყვეტით დავჯექი, რადგან ვიღაცა ქალი მიზანსწრაფულად წამოვიდა ჩემი ადგილისკენ, თავიდან ჯერ ცოტათი ამან გამომაფხიზლა; შალვამ დაუთმო იმ ქალს თავისი სკამი, და მეც მომიხდა ცოტა ხანში წამოდგომა, რადგან ქათმები დამადეს მხარზე, ფუჰ, ცოცხალ ქათმებს ვერ ვიტან, ქათმები შემწვარი ან მოხარშულია მხოლოდ კარგი, ნასვამმა, მძიმე ავთარი წელი და ქათმებიანი ქალი, ჩემს კუთვნილ ადგილზე, არხეინად მოკალათდა! ვიღაცის ფეხებზე კი ვიდექ, მაგრამ მეც ფეხზე ვიღაცა მადგა, საშინლად ჭყვიტინებდა სადღაც კუთხეში ცოცხალი გოჭი, აღმართში გაჭირვებით მიხროტინებდა ავტობუსი, და უცებ სადღაციდან შალვას ხმა შემომესმა:

- რავაა საქმე, გერასიმე, ვინმემ ხომ არ დაგაბიჯა ფეხზე!

ჰაი, თაღლითი... კვლავ ,,გერასიმეზე'' გადავიდა, აქ რომ დამიგულა, ამ ხალხში ჩაჭედილი. თვითონ არ ჩანდა, სადღაც წაელო მძლავრ ნაკადს, გავიტრუნე და, ისევ, კვლავაც არ შემომესმა?!

- სად ხარ, გერასიმე, ხომ წაგივიდა ამ შეუჩვევლობაში გული!

ხამსები ყუთში, კიდევ რაღაც წესრიგისდამიხედვით აწყვიან, ალბათ, მე კი, საცოდავს, ბჭავს, გადაჩვეულს საერთო ტრანსპორტს, ამ სისასტიკეში გამქირდავი სიტყვების მოსმენაც მიხდებოდა, მთლად გავიხვითქე, ხალხი კი შალვას ყოველ წამოძახილზე მე მიყურებდა - ჩემი ტყრუშული შარვალ-ხალათის მიუხედავად, შემიცნეს, უცხო... და ერთხელაც რომ დამიძახა: ,,როგორ ხარ, გერასიმე!'' ,,კარგად'' - ვითომც ომახიანად გავეპასუხე, მაგრამ ჩემს ფეხებზე მდგარი კაცი ძალიან შეიჭმუხნა და მისაყვედურა: ,,რაა, ბატონო, მთლად გამიხეთქე ყურის ბარაბანი'' - ელაპარაკე, ამათ...

იგი კი, შალვა, აღარ იშლიდა: ,,მოსახვევია ახლა, გერასიმე, გამაგრდი იცოდე კაჟივით!'', ,,ორმოა აქ მოსალოდნელი მკვეთრად გადამხრელი, გერასიმე, არ შემარცხვინო!'', ,,ვინმეს ტომარა ხომ არ მოგედო, გერასიმე, იმ ნაღრძობ ფეხზე!'', იძღენი იძახა, შემომეცალა ხალხი თანაც ჩავიდნენ ზოგ-ზოგები და, უფრო უცხოდ და ყასიდად ვიდექ... მერე, გაჩუმდა, როგორც იქნა და, სიმთვრალეს, თუნდაც გაბზარულს, მაინც თავისი გააქვს - სულ ცოტათი წინ გადავინაცვლე და ვიღაც ბავშვიან ახალგაზრდა ქალს, თავთით დავადექი, გულისპირი ჰქონდა შემთხვევით მოღეღილი, წამძლია სულმა და თვალი დავადგი, და რომ ვერ შემჩნია ჩემი მზერა, აქამდე ხელში ჩაბღუჯული, დაჭმუჭნილი შლაპა გავასწორე და ჩამოვიფხატე, და თუმც დაჟინებით, მაინც შენიღბვით ჩავცქეროდი, მაგრამ ქალი საერთოდ ალღოიანია ხანდახან ოხერი, მაინც მიმიხვდა და, რა ქნა, თუ იცით? - არ დამიჯერებთ - მთლად ამოიღო ცალი ძუძუ, ბავშვს პირში ჩაუდო და, ხალხის გასაგონად - წარმოგიდგენიათ? - მიმართა: ჭამე, გენაცვალე, თორემ ბიძია წაგართმევს... და ამომხედა, აჰ, ჩემი ბედი! მაინცდამაინც ასეთს უნდა გადავეყროდი? ატყდა სიცილი ავტობუსში, მაგრამ რა ატყდა... იმანაც, შალვამ, წამსვე გამომძახა: ,,რაშია საქმე, გერასიმე, შენზე ხომ არ იცინიან, ხომ არ მომჭერი თავი!'' ხედავდა ალბათ, ყველაფერს, ოხერი, მაგრამ რა დავაშავე მაინც ასეთი, დასაცინმასხრად რომ ამიგდეს, გამექცა ისე, უბრალოდ, თვალი, აკი თქვა კიდეც ცნობილმა პოეტმა აკაკიმ - ,,საამო არის საცქერლად, დიაცის უბესავითა...'' ექსპანატივით ვიდექ, სიცილით ცრემლმორეული მთელი ხალხი დიაცის უბესავით ახლა მე შემომყურებდა, კიდევ კარგი რომ, ის ქალი სადღაც ახლოს ჩავიდა, თუმცა კიდევ კარგი კი არა, პირიქით, უარესი გამოდგა ეს, რადგან მე მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი ავტობუსის დატოვება და ჭიათურაში დაბრუნება, ლიეპა თითქმის აღარ მახსოვდა, ჭიათურაზე ვოცნებობდი, წარმოგიდგენიათ? - მაგრამ იმ ქალს ხომ ვერ ჩავსდევდი, შემდეგი სოფლისთვის გადავდე ჩემი ეს განზრახვა, და გადაუხვია კიდევ ავტობუსმა, რაღაც დანჯღრეულ, საცალფეხო გზაზე ახრიგინდა. ვაჰ, ჩემი ბედი, და საბოლოოდ იმან გამომაფხიზლა, რაღაც ტომარა რომ შეხტა უცებ და ჩემსკენ გადმოხტა, და სანამ შექანებული გული დამიმშვიდდებოდა, კიდევ კარგი რომ, მივხვდი - გოჭი ეყოლებოდათ შიგ, თანაც, ფუიჰ, ცოცხალი.

...ჩემი საათი შვიდის ნახევარს აჩვენებდა, ავტობუსიდან რომ გადმოვედით.

მაინც ძალიან ცხელოდა, მთლად დამისველდა გადახახუნებული შუბლზე მწკრივ, ცხირსახოცი. ეს შალვა ისე დაძაბული იცქირებოდა ირგვლივ, ასე მეგონა, ვიღაცას ეძებსმეთქი, უნებურად თვალი გავაყოლე, მეც დავტრიალდი ადგილზე, მაგრამ აჰ, არა, არავინ ჩანდა. რა ჯანდაბა და ოხრობა აფაციცებდა აბა, სულ ვერ გავიგე... როგორც იქნა და, მობრუნდა, მითხრა:

- ბატონო სიმა, არ გეწყინოთ და, საქართველოს პატარა მონაკვეთი ფეხით გვაქვს გასავლელი...

მსწრაფლ შევიცხადე:

- ძლიერ შორსაა?

- აგერ იქ, იქით, მანდ არა, აი იქით, სახლები რომ მოჩანს...

კარგა გვარიანი მანძილი ჩანდა, უკმაყოფილოდ ამოვიხვნეშე. ჩემოდანს დავწვდი, გაბრაზებული ვიყავ. მოსახვევთან ვიღაც ბებერი შემოგვეფეთა, როგორღაც, დაჭკვებულმა მოგვმართა:

- გამარჯობათ თქვენი?

- კაი გამარჯობათ, ბატონო, - ხალისიანად შეაგება შალვამ, - როგორი ამინდებია აქეთ?

- რა უჭირს, კარგი, - უთხრა ბებერმა და, თითქოს რიო დე ჟანეიროს გარეუბანში შევხვედროდეთ ერთმანეთს, გახარებულმა გვკითხა: - ქართველები ხართ, ბიჭებო?

ალბათ შალვას რუკზაკმა თუ შეაეჭვა, ან - ჩემმა შლაპამ, გავღიზიანდი, მივუგე:

- არა!

აის ბებერი დაკვირვებით შემომაცქერდა, მერე დამიყვავა, თავისი ჭკუით: ,,კაი ბატონო, კაი ბატონო, კაი ბატონო...'' შალვამ კი, ჩემით ძალიან აშკარად გულდამწვარმა, ვითომ გამოსავალი იპოვნა:

- ნუ გეწყინებათ, ბიძაჩემო, ნერვიულია...

- რა უჭირს მერე, - თქვა ბებერმა და მხარზე ტომარა შეისწორა, - მასეთები ხდება? მშვიდობით გევლოთ...

- კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო, - დაადევნა შალვამ და მაშინვე დაბალის ხმით მისაყვედურა: - გეთქვა, რაღა - ჰო...

- რატომ უნდა მეთქვა! - გავცხარდი, ნერვიული ვარ, - ქართულად გამოველაპარაკეთ და რა უნდოდა მეტი! კუდს ხომ არ გავუქიცინებდი კიდევ...

უზრდელი, თავხედი - აქ ორიოდ ნაბიჯით დაიხია და ერთ ადგილას დაკვირვებით, ხაზგასმულად შემომხედა. წელში გაიმართა, მისაყვედურა მერე:

- უნდა გეთქვა - ჰო...

- არ უნდა მეთქვა, არა!

- შენ იცი შენი საქმე... - სწრაფად დათმო და, კვლავ იაგრესიულა, - მაგრამ შენ შენი საქმე იცოდე, მეტი არაა ჩემი მტერი...

საცა არა სჯობს გაცლა სჯობსო, უთქვამს ბრძენს, გაჩუმება ვამჯობინე. მაგრამ მთლიანად ვერ გავეცლებოდი, დედამიშვილების სადღეგრძელოს გადამკიდე, იმის ტერიტორიაზე ვიყავ.

- აბა, შევუდგეთ ჩვენ-ჩვენ კუთვნილ გზას, - მხნედ გამოაცხადა შალვამ, - აი, ეს სიმინდის ყანა გვაქვს გადასალახი, შენ იცი, გერასიმე, როგორც მშრალადაც გამოხვალ, ხომ არ გეშინია მაჩვის?

- მაჩვის კი არა... - წავიბუზ-

ლუნე.

შრიალ-შრიალში, ოღროჩოღროზე მივაბიჯებდი, გული მიცემდა. სად ვიყავ მაინც, საით მივდიოდი, მაღალ სიმინდში არაფერი ჩანდა, მიცემდა გული. მარტო ვიყავი, შალვა არსად ილანდებოდა, წახრილს, ქურდულად მიმქონდა ჩემი საკუთარი ჩემოდანი, ალაბედობით მივიკვლევდი გზას.

- როგორაა საქმე! - როგორც იქნა, შემომესმა.

- კარგად, კარგად! - გახარებული შევეხმიანე.

- ასე იარე, ასე, ჩემი ხმისკენ! ხომ არ გიჭირს რამე!

- არა! - გავძახე.

- თუ გაგიჭირდება რამე, დამიძახე - ვაშლიი! კარგი?

- კარგი, შალიკო!

როგორც იქნა და, გავაღწიე იმ ყანას თავი, და შემომესმა წყლის რაკრაკი, როგორც იტყვიან. მომცრო ღელესთან შალვა იდგა, დაფიქრებული დასცქეროდა წყალს მერე მე მიყურა ერთხანს, და გულით მთხოვა:

- ხუთ წუთს ვერ დამითმობთ, პატივცემულო?

- რაშია... საქმე...

- ვიპკურო მინდა, გერასიმე, წყალი...

მხრები ავიჩეჩე. შალვა კი იქვე, მაღალ ბუჩქებში შეიმალა და, პატარა ხნის მერე, საცურაო ტრუსში გამოწყობილი წარმოსდგა ღელის პირას. რად უნდოდა ასეთი საგანგებო ალჭურვილობა, კოჭებამდე თუ მისწვდებოდა წყალი; ფეხი რომ შედგა, იმის მაგივრად მე გამაჟრჟოლა, მაგრამ შალვა მხნედ დაიხარა, ორთავ პეშვით ამოიღო წყალი, გაიმართა და, ისევ გემრიელად შეისხა მკერდზე, გული დამწყდა და, გაკვირვებული, თანაც შურით შევცქეროდი, როგორ გრილდებოდა ამ პაპანაქებაში - მთელი ეშხით... მერე ღელეში საერთოდ გაწვა, ხელ-ფეხს იქნევდა, კოტრიალობდა, მზეზ კი წყალში ნებივრობდა, ოხერი, და რომ შემომხედა, თითქოს მიმიხვდა შურსა და სურვილს, ნელა წამოდგა, ხელით მოიჩრდილა სველი სახე, დაკვირვებით მათვალიერებდა, და მერე მკითხა:

- გული ხომ არ გაქვს ცუდი და გლახა?

- არა, მე მგონი.

და უცხო რამ ბგერები, ნაზი და მოთბო, გაერია ხმაში:

- მოდი აბა გერასიმე, წყალში.

...ვხვანჩალობდით, ჰეჰ!

10

სანამ იმ საშინელ ამბავს მეტყოდა, სუყველაფერი კარგად იყო - მასპინძლის სახლი შორიახლო მეგულებოდა, გაგრილებული, ჩამავალი მზის სხივებქვეშ ვიწექით, ორთავე თვალი მილულული მქონდა, უგუნებობა გადამეყარა - წყლით. სოველ სახეზე მოთბო შუქი მადგა, სიგრილეს მწოვდა, ნაზად მთენთავ ნეტარებას მმატებდა, კარგია მაინც, რაც უნდა უნდა იყოს, მზე. მერე პირქვე გავწექ, ხელები გავშალე, კოხტად დავმძიმდი და, აი სწორედ მაშინ, მადიანად რომ გავიზმორე, ასე წამოიწყო:

- თუ არ გეწყინებათ, ბატონო სიმა, სიმართლეს გეტყვით.

ვინ თქვა, წინათგრძნობა არ არისო, ნამდვილად არის, რაღაცა ცუდი მაშინვე მიგრძნო გულმა.

- რა სიმართლეს... კაცო?

- რა და... შემომხედე ჯერ, ვაჟკაცურად, თვალში.

ღელის პირას წამოვჯექი და, მოლოდინით მივაპყარ მზერა, იმას კი განზე გაიხედა, თითქოს ცოტათი დამორცხვებულმა, თითით აჩიჩქნა მიწა, და მითხრა მერე:

- მე ამ სოფელში არავითარი ბიცოლა არ მყავს, გერასიმე.

სანამ რაიმეს მოვიაზრებდი, და ამოვიღებდი ხმას, იმ ციცქნა ღელის კალაპოტში ბლომად წყალმა ჩაიარა.

- როგორ თუ...

- არ მყავს და, რა ვქნა. - და ვითომ, ამიხსნა: - თავს ზემოთ ძალა არ არის.

- რანაირად... ა... ბიცოლა ხომ... - და, გაოგნებულმა, უცებ ვიფეთქ, გონება დამებინდა: - როგორ თუ არ გყავს! რაშია საქმე, ბოლოს და ბოლოს! რაღაც მაპეტიჟებოდი აქეთ... მე შენ გიჩვენებ! სადაა ტელეფონი!

აქ გაიბადრა, ღიმილ-ღიმილით მითხრა:

- აგერ იქ, ჭალაში, მესამე ხეზე ჰკიდია, გერასიმე.

მაგრამ არ მიმიხედია, არ მოვტყუვდი; გამახსენდა:

- ეს გასაღები რომ მაჩვენე? არა, არა, კი გყავს, როგორ არა, - ათრთოლებული, თავს ვიმხნევებდი, - კი გყავს ბიცოლა აქ შენ, ეე...

- შალვა, ბატონო.

- კი გყავს ბიცოლა შალვა, აქ, შენ...

- ის გასაღები, ბატონო სიმა, ჩემი ლვიძლი ძმის, ვასიკოს ფოტოატელიისაა. თბილისში, ღამღამობით, იქ მძინავს ყარაულივით, უხელფასოდ, კოხტად...

- ვინ ვასიკოა... რა ფოტოატელიე...

გაკვირვებულმა, დამანამუსა:

- როგორ, არ გახსოვს ნუთუ, ბატონო სიმა, დედმამიშვილების სადღეგრძელო?

გულშემოყრილი, წყლის პირას ვიჯექ.

11

კარგა ხანი გავიდა, სანამ ვიტყოდი, ხმადაბლა, სხვათა შორის:

- კი მაგრამ, მე აქ რატომ წამომიყვანეთ?

- არ გეწყინება, გამოგიტყდე?

შევხედე:

- არა.

მყისვე წამოდგა, გაიარ-გამოიარა, მითხრა:

- კარგი ადამიანი ხარ შეიძლება შენ, გერასიმე, მაგრამ უნდა გაგაადამიანურო უფრო.

- გამა... ამმადამიანო? - ავიბენი, რაებს ამბობდა, - ისეთი რა მჭირს...

- შენს საქციელში, გერასიმე, გავზალშიც და ისეც, საერთოდ, სამშობლოდავიწყებული კაცი იგრძნობოდა.

- რადავიწყებული?

- გაიგე, კოხტად.

ერთხანს სიძულვილით შევცქეროდი; რომ შემძლებოდა, ცემით გავასიებდი, მაგრამ დაკუნთული იყო ოხერი, ტანზე.

- რაზე შემატყვე, მაინც...

- ეტყობათ ხოლმე კოჭებზე, გერასიმე. თანაც, ისე ამაყად, ისე ქედმაღლურად გაუშვი მძღოლი...

- ეს მაინც როგორ...

- წმინდად გაპარსული ნიკაპი მცირედ და მკვეთრად რომ ასწიე მხოლოდ.

- და შენ... ახლა... უნდა გამადამ... ადამუნო... იანამურო? - კვლავ ავიბენი, ფუჰ, ეს მრავალპირიანი ზმნები, მაგრამ მიმიხვდა:

- დიახ.

- კი მაგრამ, როგორ!

- როგორ და, აქ, ზემო იმერეთში ხომ ამოგიყვანე... მიპასუხე, მითხარი!

- კი!

- ხომ გაგაბანინე ტანფეხი საქართველოს წყლით?

- სულ საქართველოს წყალში არ ვარ, შალვა?

- სად, დაკარგულო...

- აბაზანაში, სად...

- აჰ, ის სულ სხვაა.

- რატომ, ვითომ...

- იმიხე ახლა რატომ და ვითომ... სხვაა და, რა ვქნა.

აქ რაღაც ჩიტმა უეცრად - ფრთხ და, წამოვიკრიფე, ეჭვებმა დამსერა, ფრთხილად, შეპარვით დავეკითხე:

- კი მაგრამ, ახლა რაღას მიპირებ...

- ერთი ღამე უნდა გაგათევინო აქ, ზემო იმერეთის ცის ქვეშ, და მერე წადი, სადაც გენებოს.

- კი მაგრამ, რატომ!

და ისევ ის არ მომიგო, მრავალპირიანი?

- გასაადამიანურებლად, ტკბილო. აგერ, შეხედე, როგორ ღამდება... იხილე საოცრება იგი, გერასიმე ჩემო!

რა საოცრება, რის საოცრება - უბრალოდ, ბნელდებოდა.

- იცოცხლე, კაია, კარგი, ლიეპა და კარლსრუე, გერასიმე, მაგრამ სამშობლოც უნდა გიყვარდეს, და რომ გიყვარდეს, უნდა იცნობდე, აბა, იქითკენ გაიხედე, რა ხაზებია, გერასიმე, და რა სირბილე... აგეე, იქით, ჩრდილებს შეხედე... სად ნახავ ამას, ამ იმერეთს, ზემო იმერეთის გარდა...

რისი ხაზები, რაის სირბილე... განაგრძობდა ის:

- რა სიმწვანეა, რა უცნაური...

მწვანე იქნებოდა ბალახი და ყანა, რა იქნებოდა აბა... ხმას დაუდაბლა:

- აქ დედამიწა არაა ავად, გერასიმე.

ჩურჩულ-ჩურჩულზე გადავიდა და, საცურაო ტრუსში გამოწყობილი, ათვალიერებდა არემარეს, როგორც იტყვიან; აღარ მესმოდა იმისი უთავბოლო სიტყვები, ისევ მეტაკა ჩემი დარდი, ისევ ვიფეთქე:

- კი მაგრამ, რა უფლება გქონდათ მაინც, აქ რომ წამომიყვანე?

მსწრაფლ გაიკვირვა:

- რა უფლება მასწავლებლობას უნდა...

დავანამუსე:

- მასწავლებელი ხარ ჩემი შენ, შალვა?

- ამ მიდამოში, კი.

- და მე - შეგირდი?

- არა. - მითხრა და, შემომაჩერდა, ამხედ-დამხედა, მათვალიერებდა როგორ...

- რა ვარ, შალიკო, აბა...

- არ გეწყინოს და, ბითური ხარ გერასიმე, შენ.

მაგრამ დაკუნთული იყო ოხერი, ტანზე...

- მიწას კი ნუ ჩაჩერებიხარ, გერასიმე, იყურე ირგვლივ... და არ წააგებ.

ეეჰ, რას გავებდი, მე კი ვიცოდი, დრო ხომ - ფულია... ტყრუშულ ხალათმოხურული, თავჩაქინდრული ვიჯექი ისევ, იმან კი, შალვამ - თავხედმა, ბრიყვმა, მხარზე ვითომ ნუგეშის ნიშნად დამადო ხელი:

- რას მოგიწყენია, რომ მოგიწყენია, ა, გერასიმე, რასაა რომ მოგიწყენია, შე კაი კაცო, - მცირედ შემაჯანჯღარა და, ვითომც გამამხნევა, თავისი ჭკუით, მერე: - ეგ არაფერი, სიმა-ბატონო, ნამდვილად ვიცი, ორი-სამი საუკუნის შემდეგ შესაძლოა სულერთი იყოს, მე ამ სოფელში ბიცოლა მყავდა თუ არ მყავდა, აბაა, გერასიმე

12

ჯერ ის იყო და, შემოგვაბნელდა, სახლები შუქად გადაიქცა, პატარა ხანში მაგრად ბნელოდა. მე ჩემი თხელი სვიტრი გადავიცვი, მერე - ნაქსოვი პერანგი, მერე - ჩვეულებრივი იშვიათად კარგი პერანგი (სად ვაფუჭებდი?) და, ისე ძალიან აცივდა, გაჭირვებულმა მაისურიც კი წვალებით ჩამოვიჭიმე, მაკანკალებდა მაინც, მუხლებზე ხელებშემოხვეული, მოკუნტული და უმძრახად ვიჯექ. იგი კი, შალვა, რაღა თქმა უნდა, ახლა - ჩაცმული, მუქმაც აჩრდილად მიმოდიოდა და, მე, ზაფხულის სუსხით ათრთოლებულს, თავისი ჭკუით, ჭკუას მარიგებდა, მეუბნებოდა ასე:

- იცოდე, თუ გსურს, გაიგო, შენს ირგვლივ მყოფთაგან ვინ როგორია, რაიმე ცუდი ჩაიდინე, ოღონდ ისეთი კი არა, ქვეყანა რომ დააქციო, არა, მცირედი, გაგიჭირდება თუ არა შენ ეს, გერასიმე - ხანდახან განგებ რაიმე სისულელე წამოროშე, მოკლედ, ილაპარაკე მოფიქრებულად და ვინც ყველაზე სულელია, ყველაზე მეტად გაიცინებს ის, წავა, მოჰყვება ათასგან შენსას, თავისი თავი რომ აღიმაღლოს.

უუჰ, ციოდა... იგი კი მეუბნებოდა ასე:

- ანდა, გერასიმე, ღმერთმა დაგვიფაროს და, შენისთანა გამოსული კაცი უხამსი ფოტოსურათების შეგროვებას თუ დაიწყებ, ყველაზე მრუში ვინცაა, სხვების დასანახად ყველაზე მეტად აღშფოთდება ის. ეს იმიტომ რომ, რა ქნას, იმანაც - ჩვენ, ადამიანთა დიდ უმეტესობას, რატომღაც გვინდა, მუდამ იმაზე უკეთესები ვჩანდეთ, ვიდრე სინამდვილეში ვაგდივართ, მაგრამ, მსგავს შემთხვევებში მიუხედავად აღშფოთებისა, სინამდვილეში ვიყიდებით უფრო, ტკბილო.

ფუჰფუჰ, ციოდა... საათს დავხედე, თერთმეტის ნახევარი ხდებოდა, ჩემი საათი - ფოსფორიფიცირებულია, შალვა კი, თავხედი, მეუბნებოდა ასე:

- შენ, გერასიმე, გამომეტყველებაზე გეტყობა ახლაც კი, ბნელში, რაღაც წარმატებისთვის რომ მიგიღწევია, შენი გაგებით. მაგრამ მორბენალები ავიღოთ თუნდაც, ბატონო სიმა. თავს რომ დაადებს და რომ გაიქცევა გრძელ მანძილზე შვიდასი კაცი, და საბოლოოდ სწორის ბოლოს პირველი რომ მიიჭრება ვინმე, ალფრთოვანებულები ვართ ჩვენ, შემყურე ადამიანები - აჰ, შვიდას კაცში მაინცდამაინც როგორ გაიმარჯვა... მაგრამ, გერასიმე, სხვანაირად რომ მივუდგეთ საკითხს, ვთქვათ, გავიფიქროთ, რომ ვინმე ერთი, რომელიღაცა, პირველი ხომ უნდა ყოფილიყო აუცილებლად და ყოველ მიზეზს გარეშე იმ ზღვა ხალხში, უფრო უბრალოდ მოგვეჩვენება მისი გამარჯვება. არაა ასე?

ბჰ!-რრ, ბუჰრრ... როგორ ციოდა, ციოდა როგორ... იგი კი აგრეთვე მეუბნებოდა ასე:

- ...რადგან საერთო ტრანსპორტსაც აქვს თავისი კარგი მხარეები, გერასიმე. კი, კი ბატონო, გეთანხმები, არაა კარგი, ავტობუსში ვინმე მტკივან ფეხზე რომ დაგაბიჯებს, მაგრამ გამოჭედილ ტრანსპორტში, სამაგიეროდ, ადამიანები უნებურად ახლოვდებიან და ერთმანეთის გულისცემა ესმით, თანაც, საერთო ტრანსპორტში, გერასიმე, ადამიანები ერთ ჭერქვეშ არიან...

ილაპარაკოს, რა... ლაპარაკობდა კიდეც, მაგრამ აი ასე:

- მარტივი საზომით თუ მივუდგებით, ნებისმიერი ადამიანისთვის ადგილის მიკუთვნება არაა ძნელი, გერასიმე - ყოველი ადამიანი თავისზე უარესს სჯობს, ხოლო უკეთესთან შედარებით, უარესია, წყალი არ გაუვა ამას. მაგრამ დიდი საზომით თუ მივუდგებით, ძალიან ძნელია ამისი განსჯა, რადგან ადამიანები მეტად სხვადასხვანაირები არიან, თითოეული ადამიანიც კი - მრავალფეროვანია, მაგრამ ერთნი ვართ მაინც დაახლოებით ყველა, რადგან ადამიანი არაა მარტო.

აქ კი, გაავცხარდი, გავცხარდი მართლა:

- ადამიანი მარტოა, მარტო, - გესლიანად წავიჩურჩულე, და თავს ავყევი, არ უნდა მექნა, - ყველამ იცის, რომ მარტო უნდა დაიბადო, მარტოკა უნდა დაადგე ძნელ გზას, პირში გიცინიან და ზურგს უკან გლანძღავენ. გილოცავენ და შურთ, მარტოკა უნდა მოკვდე ბოლოს და, ოცდაცხრამეტი და ექვსი რომ გაქვს, ლოგინზე მისვათებული, მარტო ხარ, აბა, რა ხარ, მარტო...

მყისვე ვიგრძენი, როგორ საოცრად დაინტერესდა, იმ სიბნელეში დაბერილი ნესტოებიც კი დავუნახე, გაფაციცებით მოელოდა ჩემგან კიდევ რაიმეს გაგონებას, მაგრამ გავჩუმდი, ნურას უკაცრავად, ისედაც ბევრი ვილაპარაკე. არ დააყოვნა:

- მოძღვრებს, ექიმს და მსგავს წვრილმანებს, მოდი, გერასიმე, დავანებოთ თავი და, რა იცი შენ, რომ მარტო ხარ... მითხარი.

- რა ცოდნა უნდა ამას. ასე არის ეს.

- არა, კეთილო, მხოლოდ შენ ფიქრობ ასე, გერასიმე, და გეჩვენება, რომ მართალი ხარ.

- მხოლოდ მე კი არა, ყოველი ჭკუათმყოფელი ასე ფიქრობს და, სხვადასხვა ქვეყნის ფილოსოფოსებსაც გამოუთქვათ ასეთი აზრი.

- რომ ადამიანი მარტოა?

- დიახ!

აქ ნაღვლიანი ხმა შემომესმა, მაგრამ თურმე თვალთმაქცობდა, როგორც მალე დავრწმუნდი, ოხერი:

- ესე იგი, ბევრნი ხართ არა, ასეთი აზრის?

- დიახ! - ამაყად გავუმეორე, მაგრამ მომიგო:

- მაშინ, გამიღის, თუნდაც ამიტომ არა ხართ მარტო. კი, გერასიმე.

13

ვისხედით, ბნელში. სამართებელი პირს არ მიხსნიდა, უცხო მხარეში, კუშტად შევცქეროდი ცალთვალაჭიატებულ სახლებს. შალვა გულაღმა გაშხვართულიყო, ნამირალას, რუკზაკზე ედო რეგვენი თავი. მე მოკუნტული ვიჯექი ისევ; ძველებურადვე, მაკანკალებდა. არა, მაინც სად უნდა ვყოფილიყავ და, სად გადაკარგულში აღმოვჩნდი ახლა... კიდეც მშიოდა. ხანდახან ვთვლემდი, ნამგზავრს, ნამთვრალევს, გამოძინება ყველაფერს მერჩია, მაგრამ აკანკალებული კაცი, ამხანაგებო, ვერ დაიძინებ. თანაც, ახირებული იყო ეს შალვა ვიღაც, გავიხედე და, ჩაძინებულს, მოზრდილი ლოდი დამიშვას თავში?! მოწმისა მოერიდება თუ რა, ამ სულელური ღელის პირას მარტოდმარტონი ვიყავით, ბნელში. მაგრამ ბოროტმოქმედს, სიმართლე სიმართლედ, შალვა არ ჰგავდა - უზრდელი იყო, უბრალოდ, იგი. ჩემი საათი ორს აჩვენებდა, და მეტსაც უფრო, მისი ფრთხილი ხმა რომ შემომესმა:- არ გძინავს, გერასიმე?

- არაჰ! - აღმომხდა.

- რატომ არ გძინავს, ა, გერასიმე...

- რა დამაძინებს... რა მინდოდა აქ!

- რუკზაკს გათხოვებ, ბეჭებქვეშ დაიგე...

- არ მინდა, რატომ წამომიყვანე...

- ერთი რამის სიყვარულით...

- რის სიყვარულით, კაცო...

- დაფარვა რომ სჭირდება...

- რატომ სჭირდება...

- უხერხულია გამჟღავნება, იმდენად ნაღდია... - და იდუმალის ხმით დააყოლა, - გულში სათუთად უნდა ატარო...

- რაა ასეთი...

მთლად დაიდაბლა ის ოხერ ხმა, იმ სიბნელეში, მომჩურჩულა:

- საქართველოა, გერასიმე, ჩვენი...

კარგა ხანს ისევ ჩუმად ვისხედით. ის ღელე თითქოს ტანზე მდიოდა. ისევ დავიხედე მაჯაზე, საათი ადამიანის მეგობარია, ოღონდ - პირშიმთქმელი, რა ნელა გადიოდა დრო, სამის ნახევარი ძლივს ხდებოდა. თუმც მაკანკალებდა, მაინც ერთგვარად გავიტრუნე, მაგრამ შალვა მხნედ წამოდგა უცებ, მხარზე დამკრა ხელი:

- აბა, წავიდეთ, გერასიმე-ჩემო...

- რა-ჰ!.. სად უნდა... შალვა?

- აგერ, იმს სახლთან მივიდეთ და შევძახოთ ჩვენებურად ომახიანად ერთი...

- რა შევძახოთ რო...

- რა და - მასპინძელოო...

იმ სიბნელეში დაბნეული მივჩერებოდი ჯერ, მერე გავფაციცდი, ყველაფერს მივხვდი მეგონა:

- აჰ, ბიცოლა გყავს? გყავს ხომ, ა, შალვა...

- იქ, იქ გავიგებთ, ადგილზე გავიგებთ ყველაფერს, გერასიმე...

გამეხარდა, კი. მსწრაფლ წამოვდექი, ჩემოდანს დავწვდი, და მცირე ორმოში ფეხჩავარდნილს, მაგრად ჩამჭიდა შალვამ ხელი. მცირე ბორცვებზე გადავდიოდით, ხანდახან მიწა მეკარგებოდა, გულშექანებულს, შალვას თითები მაჯაზე იმედად შემომჭდომოდა, ასე მივტივტივებდით ღამეში, შეყვარებული ტურისტებივით, ოღონდ მე ჩემი ჩემოდანი მეკავა ხელში. სადღაც, შორს, ძაღ აყეფდა ძაღლი, ჩვენ კი სწორედ პირველსავე ეზოს მივადექით, შალვამ რუკზაკი შეისწორა ზურგზე, თითები შემიშვა, ტუჩის კუთხესთან ირიბად მიიდო ხელისგული და შესძახა:

- მასპინძელოო!

გულაჩქროლებული ვიდექი, ვიცდიდი, აჰ, საჭმელი და თბილი ლოგინი ყველაფერს მერჩია ახლა, მაგრამ ჯერ ხმას არავინ გვცემდა, და შალვამ მეორედაც რომ დაიძახა: „მასპინძელოო“, მეც, მოუთმენლობისაგან იყო თუ რა, სახლს ძველქართულად მივაყვირე:

- მასპინძელო, ჰაი გიდი!!

აწ სახლის კარი გამოიღო, შარვალ-პერანგისამარა კაცი გამოვიდა, ერთი კი გამკრა: „ამ ბიცოლას საყვარელია თუ რა...“ მაგრამ კაცი რომ მოგვიახლოვნდა, ხელით მოიჩრდილა (კი, კი მზე და სიცხოე იყო დიდი, როგორ არა...) და დაგვეკითხა:

- რომელი ხარ... რას მიბრძანებთ, ბატონო... ხომ მშვიდობაა. კაი გამარჯობა თქვენი...

- გაგიმარჯოთ, ბატონო, გზა აგვებნა და... - რუკზაკი მაღლა ასწია შალვამ, - თუ შეგვიკედლებთ... ერთი ღამით... ასე, უცხოებს...

- აუჰ!.. - შეიცხადა კაცმა და ისე ლონივრად გამოაღო კარი ცალი ხელით, (მეორეთი შარვალი ეჭირა), კინაღამ საერთოდ მოაძრო: - თუ შემოგვიკედლებთო, რა საკადრისია... მობრძანდით, აგერ... აქეთ, ბატონო...

შინ შეგვიძღვა და, გვეუბნებოდა თან:

- აგერ, აქ დაბრძანდით, ახლავე იქნება ყველაფერი... ქალიშვილი ნავარძეთში გამითხოვდა და, მარტოხელა კაცის პირობაზე... იქაა ცოლიც... რასაც კი შევძლებ... კი ნუ დამძრახავთ...

რა ბიცოლა, რის ბიცოლა, თურმე... მაგიდაზე უკვე იდო ყველი, ლობიო, პრასი... მასპინძელი მონდომებულად დაფაცურობდა, მხოლოდ ერთხელ შედგა, როცა ჩემს მაისურს, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული შეაცქერდა: - სპორცმენები ხართ?

- რა ვიცი... - მორცხვად მიუგო შალვამ, ფუუჰ, თვალთმაქცი, - ინდივიდუალური ტურისტობა თუ სპორტსმენობაა...

- რატომ არა, კია, კია, შე კაცო... - გაამხნევა მასპინძელმა, ესეც - ბიცოლაა... ულვაშიც ედო. რაღაცა მრგვალ ბუხართან ჩაიჩოქა, შეშა ერთმანეთზე

კოხტად დააწყო, ასანთი ყურთან გაიჩხაკუნა.

- როგორ ამინდები იყო აქეთ? - იკითხა შალვამ.

- თქვენი სახელი, ბატონო?

- ამ ჩემ მეგობარს გერასიმე ჰქვია, მე - შალვა, ბატონო.

- ძალიან სასიამოვნოა, მე - სევერიონი მქვია, სევერიონ-ესაც მეძახიან შიგადაშიგ, ბატონო.

- ძალიან სასიამოვნოა, ბატონო.

- აქეთ ამინდებს არა უშავდა.

ბუხარში ცეცხლი ატკაცუნდა, და თუმცა ბუხარი, რა თქმა უნდა, ცენტრალურ გათბობას ვერ შეედრება, მაგრამ სითბოს გამოცემაა მაინც ერთგვარი... ჯერ მაისური გადმოვიხსენი თავზე, მერე ჩვეულებრივი იშვიათი კარგი პერანგი, მერე - ნაქსოვი პერანგი, მერე - ჩემი თხელი სვიტრი, ისევ ტყრუშული შარვალ-ხალათის ამარა დავრჩი.

- არ მოიწყინოთ, ბატონო და... საით ყოფილხართ, მართლა?

- აგერ, რაჭიდან გადმოვედით. ამან აიჩემა და... ანიშნა ჩემზე!

- აუჰ, უჰუჰუჰ... ამ ღამებნელში, ბატონო?

- დიახ, სევერიონე-ბატონო.

- თქვენ გქონიათ ვეფხვის გული. ახლავე მოვალ მე და, მეზობლის ქალს მოვიხმარ, არ მოიწყინოთ.

მაგრამ ისევ მარტო რომ დავრჩით, მომაჩურჩულა:

- შენთან, კაბინეტში, ასეთ უდროო დროს რომ მოსულიყო ვინმე, მიიღებდი? ა, გერასიმე...

- მე კაბინეტში ამ დროს რა მინდა! - წამოვიყვირე.

- მეძახდით, ბატონო? - თავი შემოჰყო მასპინძელმა.

- არა, ბატონო, - მიუგო შალვამ.

ტახტზე წამოვჯექი, მუთაქა მოვიმარჯვე, კედელს მივადე, თვითონ კი - მუთაქას მივაწექი, თავიც დავადე, მივლულე თვალი...

- საერთოდ, ქართველებს, ექვსი რამა გვაქვს კარგი, - წამოიწყო შალვამ, - ხალხური სიმღერები, ხალხური პოეზია...

## 14

რომ გამალვიძეს, ჩემი საათი ხუთის თხუთმეტ წუთს აჩვენებდა, არა მიშავდა რა, ცოტათი მაინც ხომ წავუძინე. მხნედ წამოვდექი, ამტანი ვარ მე, ხელებიც კი ერთი-ორჯერ გავიქნ-გამოვიქნიე, მაგიდისაკენ გავეშურე, იქ კი, შემწვარი ქათამი დაემატებინათ, ხაჭაპური, ნადუღი, გუენაცვალეე, ტყემალი, თონის პური, ღვინოც, აბა რა, რა ასმევს ამ ხალხს ამდენს. კარგად არც მეყურებოდა, რა სადღეგრძელოები ითქვა - შემწვარ ქათამს მივადექი და, გაუმარჯოს-მეთქი, ამას ვამბობდი მხოლოდ და ოდნავ ვყლუპავდი - კიდევ დათრობა მინდოდა? არა, ბატონო, აღარ შევცდებოდი, მეყო ისედაც, ამ ორ თუ სამ დღეში ამდენი, ისე კი, სევერიონემ ჯერ მგონი ჩვენი მობრძანებისა შესვა, იმახა ვითომ გულითადი რაღაც-რაღაცები. არა უშავდა რა, არ სცოდნია აქაც მთლად ურიგო ქათმები, ნადუღიც მესიამოვნა. ასევ ხალისიანად ლაპარაკობდნენ, ის - სევერიონი და, ეს - შალვა, ყური მივუგდე, ღვინოს აქებდნენ. ჰეჰ, ბითურები - კონიაკი ქვეყნად იყოს და... მაგრამ აიმ კაცს ვიპოვნიდი ვითომ, ადლერში რომ უნდა დამხვედროდა? - ვინ იცის... ჩვენ, ადამიანებმა, ხანდახან არ ვიცით, რა მოხდება... თუნდაც, აი, ეს ფაქტი - სევერიონემ სამი თუ ოთხი ჭიქის შემდეგ თქვა:

- ეჰეჰ, დავთვერი მგონია, ბატონო...

- ჩვენი ბრალია, - შეწუხდა შალვა, - ნამუშევარი იქნებოდით მთელი დღის და, შუაღამეზე გაგაღვიძეთ და...

- მაგ არაფერი, - გულით მიუგო სევერიონემ, ცოტა თვალები ეხუჭებოდა. მაგრამ უეცრად გამოფხიზლდა, - კაცო, გავიხედე ამას წინათ და, მესმის კრიახი, მაგრამ რა მესმის, ასე, ეს დრო თუ იქნებოდა... ავდექი ხელათ, მელა მეგონა, მელა ბევრია, ძალიან ჩვენში, ცალი ხელით ჯოხი მოვიმარჯვე, მეორეთი... ჯიბის ფარანი, პოლონურია, შევედი ფრთხილად საქათმეში, დავანთე და - რას ვხედავ, მაჩვი! ერთი ქათმისთვის მოესწრო უკვე ყელის გამოჭმა, და გაქცევა უნდოდა...

- რას ბრძანებთ, ბატონო, - ზომიერად გაიკვირვა შალვამ - მაჩვი და, ქათმისმჭამელი?

- მეც ეგ არ მიკვირს? - აღნიშნა სევერიონმაც, ძალიან პატარა ყურები ჰქონდა, - მელა არ გვეყოფოდა? გადაგვარებასაა ეს ბუნება თუ რაშია საქმე, არ ვიცი სწორედ...

- უჰ, ვერ მოგვსვლიათ ეგ კარგი ამბავი.

- ეს ჩვენ-ჩვენ მშობლებს გაუმარჯოს, ვისაც გვყავს, ჯამრთელად გვიმ...

ახლაღა გავსინჯე ხაჭაპური და, თითქოს არ იყო ურიგო, წარმოიდგინეთ. გუნება ცოტა გამომიკეთდა, არადა, კარგად დავნაყრდი უკვე, სუფრასთან ჯდომა აღარ მინდოდა, ადამიანი უშუალო უნდა იყოს, ვთქვი:

- ახლა პატარას წავუძინებ ისევ, ავტობუსის გასვლამდე კია საათ-ნახევარი. მაინც არ ვსვამ და შვიდის ნახევარზე გამაღვიძეთ.

სევერიონმა შემომხედა, არაფერი უთქვამს. შალვამ კი, მეტიჩარამ, მყისვე შემარცხვინა:

- არაა ზრდილობა, გერასიმე, ეგ... ეს კაციც მშვენივრად გამოიძინებდა, ჩვენ რომ არ მოვდგომოდით.

ჰმ, რა გამოჰყავდა? უშუალობა ცუდი ყოფილა, ესე იგი. გავბრაზდი აქ, მაგრამ სევერიონემ წამოიწყო:

ჩვენს ადათ-წესებს გაუმარჯოს, ძველი დროიდან მოყოლებული და ეს ჩვენი კუთხის ისტორიასაც გაუმარჯოს, ბატონო. აგერ აქ, ქვემოთ, - ფანჯრისკენ ხელი გაიშვირა სულელმა, თვალი გავაყოლე - იმ სიბნელეში, ძალიან რამეს არ დავინახავდი? ხელგაშვერილი განაგრძობდა: - მდინარის პირას, მღვიმეა ერთი, ხერგულას ვეძახით, ველური ადამიანი ნაცხოვრება ადრე, გეოლოგები ჩამოვიდნენ, გათხრები ჰქონდათ...

- გეოლოგები კი არა, არქეოლოგები ყოფილან, - შევუსწორე, სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული მე.

- სწორი ბრძანებაა, მოკლედ, თხრიდნენ იმ გამოქვაბულში და ხნიერი ქალი ჰყავდათ უფროსად, იმ ქალმა გაგვაოცა სწორედ მთელი სოფელი, ისე რომ ადამიანს ჰყვარებოდა თავისი საქმე? არ გამიგია... ყოველ ნაპოვნ კაჟს დასცქცქინებდა, დილიდან სალამომდე ფეხზე იდგა და, რა მშრომელი და, რა ძვირფასი ადამიანი თანაც; ერთი ჩვენებური ქალი ესტუმრა თბილისში თურმე და, მშვენიერი კარგად ყოფილა მოწყობილი, მაგრამ აქ, ამ ჩვენ სოფელში მოუწევდა მაინც სულ გული, ერთ ზამთარს და ოთხ ზაფხულს მუშაობდა აქ, თბილისში მანქანა ჰყოლია საკუთარი, სულ არ ახსოვდა, აქ, ამ აღმართ-დაღმართში ერთი დილა-საღამოს სიარული, ხერგულას კლდეში ტრიალი, თანაც, გვიხსნიდა ჩვენ-ჩვენ წარსულს, როგორც კი თავისუფალ დროს მოიხელთებდა და, თავიდან თუ ჩუმ-ჩუმად გვეცინებოდა, ამხელა ქალს კაჟის მოსაბოჭად როგორ მოუცლიაო, მერე, თანდათანობით, შეგვაყვარა ჩვენც თავისი საქმე, და ბოლოს მივხვდით, რომ ჩვენი საქმეც კი ყოფილა ეს - მშობელი კუთხის ისტორია, და სიყვარული.

შალვას შევხედე. ისეთი გაბადრული და გაამაყებული იჯდა, იმას აქებდნენ ვითომ. სულელი...

- ოქროს და ვერცხლს რომ პოულობენ სხვა გეოლოგები, იმათი ალტაცება, ჩემო ბატონო, არცაა გასაკვირი, მაგრამ ეს ქალი, პატივცემულებო, კაჟს დაეძებდა, პირველყოფილი ადამიანის შესასწავლად. სხვა არაფერი უპოვიათ ჯერჯერობით მაინცდამაინც ისეთი ჩვენში, მაგრამ იმ ქალმა დაამტკიცა, თავიდანვე რომ ცხოვრობდნენ აქ, თავიდანვე რომ გული დაუდია ადამიანს აქაურობაზე თურმე. ჩვენს ისტორიასთან ერთად შალვა-ბატონო, მოდით, იმ ქალსაც გაუმარჯოს, ქალბატონ ნინოს...

შალვა მოწიწებით წამოდგა, რაღაცეებს ამბობდა, სუფრაზე მედო თავი, ჩამთვლიმა, ცოტათი...

- დიდი განათლებული კაცი იყო, - ამბობდა სევერიონე, თვალები უჟუჟუნებდა, სულ წასულიყო ხელიდან, - ჩოთქი არ სჭირდებოდა, ანგარიშობდა ისე...

ექვსის ნახევარი ხდებოდა. გავღიზიანდი, ამათ რაიმე თუ არ უთხარი, გაუნათლებლად ჩაგთვლიან და, ჩემი სადიპლომო ნაშრომი გამახსენდა, „კატილინას შეთქმულება", ძლივს ნაკბენივით მახსოვს.

- ჩაცმა-დახურვის ყადრიც იცოდა, - განაგრძობდა სევერიონე, ვიღაცას გულმოდგინედ აქებდა.

- კატილინა შეძლებული ოჯახიდან იყო, - წამოვიწყე მე, - და დიდი გაფუჭებული. იმდროინდელ რომში სახელი ჰქონდა გავარდნილი, როგორც ყველაფერზე ხელის მომწერს...

- ძალიან სასიამოვნოა, ბატონო, - ჩამოართვა სიტყვა სევერიონემ, - ყოველთვის გალსტუკი ეკეთა.

- რა ეკეთა? - გამეღიმა.

- ჰალსტუხი, - გაღიზიანებულად მომიგო შალვამ, - გასაგებია? - და უცბად გამოიცვალა, დატკბა, - წავიდეთ ახლა, გერასიმე, გათენება ვნახოთ.

- რა გათენება... არავითარ შემთხვევაში!

- გინა წვიმა ყოფილიყო, გინა ქარი, ყოველთვის გალსტუკი ეკეთა, - განაგრძობდა სევერიონი.

- კატილინამ თავის გარშემო შემოიკრიბა ისეთივე აღვირახსნილი ამხანაგები, როგორც თვითონ იყო.

- წავიდეთ, გერასიმე, რა იქნება, გათენება ვნახოთ...

- რადიოთი სულ მუსიკებს უსმენდა და, თვითონაც იცოდა პიანინოზე დაკვრა, ცალი ხელით...

- იმდროინდელ ძველ რომში ძალიან ცუდ, აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდნენ. ხანდახან მამაკაცი, - ხმას დავუდაბლე, - ქალის მაგივრობას ნებაყოფლობით ასრულებდა.

აქ სევერიონი დაინტერესდა:

- რავა, რომში ხაჭაპურს კაცი აცხობდა? ჩემსავით ყოფილან მაგინი, ბატონო...

სულ ვერ გამიგო...

- შენ რომ იცოდე, გერასიმე, აქ, ზემო იმერეთში, როგორი თენდება... ცხონდები კაცი!

- მე ღმერთი არ მწამს, - კოხტად მოვუჭერი, - კატილინა მთელი სენატის ამოჟლეტას აპირებდა, მაგრამ არც ციცერონი იყო დოყლაპია.

- ერთხელ, კამპანიაში, ძალიან რომ დათვრა, ორი ხელითაც კი დაუკრა...

- ამისთვის ამოგიყვანე აქ, გერასიმე, და ახლა, საქმე საქმეზე რომ მიდგა, უარს მეუბნები?

ყური არ ვათხოვე:

- კვინტუს კურიუსს რომ არ წამოეყრანტალებინა შეთქმულების ამბავი ქალთან, უარყოფითად იქნებოდა სენატის საქმე.

- არ მოდიხარ, გერასიმე, აბა?

- იმის სამკერდე ნიშნებს აღარ იკითხავთ? - ამაოდ გვიწვევდა სევერიონი.

- არსადაც არ მოვდივარ, ადრეა ჯერ, კატილინამ რომ...

- პოლონეთის ემბლემიდან დაწყებული...

- რა გინდა აბა, აქ - არა სვამ, აღარ ჭამ, გავიდეთ, გერასიმე, ბუნებაში...

- არა. ცივა იქ...

- ტყის მეგობრის ირმიანი ნიშნით გათავებული...

- აბა, ერთი სადღეგრძელო მაქვს და, - ფეხზე წამოდგა შალვა, - ერთი, ერთადერთი და, უნდა გამოვცალოთ ეს ჭიქა ბოლომდე ყველამ.

- აგრე იყოს, გისმენთ ბატონო, - დოქს წაატანა ხელი სევერიონმა.

- დალევთ თქვენც, გერასიმე?

- მხოლოდ ერთ ჭიქას?

- ერთადერთს, კი.

რას მიზამდა ახლა, მაინცდამაინც, ის ერთი ჭიქა? მეც დავეთანხმე:

- ჯანი გავარდეს, დავლევ.

შალვამ კი მაღლა შემართა ხელი, და იცით, რა თქვა?

- ეს ჩვენ-ჩვენ დედმამიშვილებს გაუმარჯოს.

აუუჰ, წამოვხტი, კინაღამ ვიკივლე. დავფაცურობდი: „სადაა შლატა... ჩემი სვიტრი რა იქნა... ჰო, აგერაა... ახლავე მივდივარ!.."

- გაწყენინეთ რამე, ბატონო? - შეიცხადა სევერიონემ, გაელმებული თვალებით შემომცქეროდა, - რავა ზოგიერთი მაჩვივით იქცევით თქვენ...

## 15

ძალიანაც კარგი, ესეც, შალვას ჯინზე - გათენებულიყო საკმაოდ, ყოველ შემთხვევაში, კარგად მოჩანდა ბილიკი; ჩემოდნით ხელში, გულდაჯერებული მივყვებოდი გზას. ხოლო იგი, შალვა, ზურგრუკზაკიანი, უკან მოდიოდა. მისი დანახვა აღარ მინდოდა, პატარა ხანს უმძრახად ვიარეთ, ერთხელაც არ წავბორძიკებულვარ, და შემომესმა:

- ასწიე თავი.

კი, მეტი საქმე არა მქონდა, ისედაც გაჭყეპილი ვიყავი აქაურობით, ის არ მეჩია, დაბლა მეცქირა, ორმოში რომ არ ჩამცდენოდა ფეხი? მაგრამ სერი რომ ავიარეთ, მჭახედ გაისმა:

- გერასიმე, სდექ!

შეცბუნებულმა, მოვიხედე და გავშრი - აჰ, ისე მკაცრად შემომცქეროდა...

- სანამ ლაპარაკს დავამთავრებ, ფეხი რომ მოიცვალო, - განრისხებული მიმხერდა, - ცუდად იქნება შენი საქმე, იცოდე.

გიჟია, მოძალადე, ოხერი... ადგილზე გავქვავდი, იმან კი სამიოდ ნაბიჯი ქვემოთ ჩაინაცვლა, შედგა, დაფიქრებული ამოჰყურებდა, მე - სერზე ვიდექ.

- ჩემი და შენი წინაპრები, გერასიმე, - ხმას დაუდაბლა, - ამ მიწისათვის მუდამ იბრძოდნენ, და თუ არ რაიმე ღირებული, ვინ სულელს მოეპრიანება ერთთავად მოღერებული ხმლის ქვეშ ყოფნა. მიხვდი რაიმეს?

მე სერზე ვიდექი.

- რა სისხლისღვრაში გადარჩენილან, რამდენ ბრძოლაში, შენ ყოფილ ისტორიკოსს, ჩამოგითვალო შემოსევები? და შენს უშუალო წინაპართაგან ერთი მაინც რომ დაღუპულიყო იმ აურაცხელ, უთვალავ ხიფათში, ნამდვილად არ იქნებოდა ახლა აქ, აი ამ მიწაზე, ამჟამად მშვენიერი ფეხსაცმელებით რომ დგახარ, გამიგე თუ არა, ა, გერასიმე! მაგრამ სულაც არ გახსოვს ისინი...

ვიდექი მე სერზე.

- ჩემი და შენი წინაპრები კი, ძმებს და მეზობლებს უდროოდ აი ამ მიწაში მარხავდნენ, შენ რომ ამ ქვეყნად მოსულიყავ, და საქართველო ჩვენი, გქონოდა. შენთვის, გერასიმე, ერთმანეთი ცხოვრებაშიც და ბრძოლის ველიდან გაჰქონდათ, იმათითაა სწორედ ეს მიწა გაპოხიერებული, და მთელი მიდამო, რომელსაც ერთხელაც არ გადაავლე მოწყალე თვალი შენ, გერასიმე! სულ რომ არაფერი, ამ საოცარ კუთხეში თვალნათლივი სილამაზეც კი ვერ დაინახე და, ნაწშირს რომ ათვისება უნდა, ამაში დამეთანხმე, და რომ ასეთ სამშობლოს ნახშირზე მეტად უნდა ათვისება, ეს აღარ იცი, ა, გერასიმე?

სერზე ვიდექი მე.

- აქ, ამ მიწაზე, რომელსაც ეგზემასავით არ მოდებია ჯერაც ასფალტი, დაგაბიჯებინე ფეხი, უმადურო, ვერაფერს მიხვდი; ნამდვილი გლეხი გაგაცანი, ამ გლეხით გიდგას პირში სული, მაგრამ რა ამყად, რა ამყად, აჰ, შეიფერე ყველაფერი, რითაც ქანცგაწყვეტილი, ნაშრომ-ნაჯაფი, შუაღამით გაღვიძებული, გაგვიმასპინძლდა, როგორ გგონია, ემართა იმას ჩვენი რაიმე?

მე ვიდექი სერზე.

- და არც ის იცი, რომ სამშობლო მხოლოდ მინდორ-ველი და მთები არაა, სამშობლო ადამიანიცაა, გერასიმე. და, სუფრასთანაც, როგორ იქცეოდი - სამშობლოს შეცნობა რომ გდომებოდა, მჭადზე პრასს შემოახვევდი და ლობიოში ჩააწობდი, შენ კი, მელასავით, სხვის გაზრდილ ქათამს არხეინად მიადექი და არაფერია ამაში ცუდი, მადლობა მაინც რომ გეთქვა, მაგრამ აარა, არა, კუთვნილივით მიიღე, თითქოს დაამდლე კიდეც სტუმრობა და შენ, ვისი წინაპარიც დიდგორის შემდეგ ჰრილობებში მარილს იყრიდა, კატალინაზე გვაწვდიდი ბრტყელ-ბრტყელ ცნობებს, შეგირცხვა ნამუსი!

ვიდექი მე სერზე.

- წვიმისას, გერასიმე, - ავაღწუნებით ამომცქეროდა, - ქუჩაში მანქანიდან თუ გადაგიხედავს, შეამჩნევდი, რომ ზოგიერთ გამვლელს შარვლის ცალი ტოტი ტალახით მთლად დაწინწკლული აქვს, მეორე კი - სუფთა. და თუმცა შარვლის ის ტოტი გაცილებით პეწიანად გამოიყურება, ერთმანეთზე ორივეს თანაბრად მიუძღვით ბრალი - იმ დასვრილს სუფთატოტიანი ფეხი სტყორცნის ტალახს და ის ამოთხვრილი წესიერად რომ მაბიჯებს, იმიტომ გამოიყურება მეორე მშვენივრად და კარგად. მე და შენც ასე ვართ, გერასიმე, მე თუ რამ ხინჯი მემჩნევა, ისევ შენს გამო და თავად რომ გამოიყურები კოხტად, ჩემი და ამ გლეხის წყალობითაა, იცოდე. ჩვენ, ადამიანები, მრავალფეხა არსება ვართ, სხვადასხვა წესით მოარული, და არ ვართ, როგორც შენ ეს გგონია, მარტო, რადგანაც დიდი სიტყვა - ერი გვქვია, და მე, ვისაც მუდამ მახსოვს ეს, შენ, სამშობლოდავიწყებული, მხოლოდ პირადი კეთილდღეობით გატაცებულ-აღტაცებული, წამოგიყვანე აქ, ჩემთვის დროებით რომ აგეწყო ფეხი, ამ წმინდა ღელეშიც კი გაგაბანინე ტანი, გაყოყოჩებულს, ყინული რომ შემოგცლოდა, მაგრამ, აჰ, ნურას უკაცრავად, მაინც ვერ შეგაგრძნებინე ის სითბო, რითაც მე ვცხოვრობ და რითაც ვსუნთქავ. შენ, შენის ჭკუით, კვლავაც ჩემზე ამაღლებული, გაბრანჭული დარჩი. მაგრამ იცოდე, უსამშობლოდ - კაცი არა ხარ.

სერზე ვიდექი მე.

- ახლა კი, გერასიმე, უკანასკნელ არჩევანს გთავაზობ. აგერ, გახედე, ავტობუსი მოემართება და, თუ იკადრებ, მოაჯექი და წადი, ხოლო, თუ ისურვებ, ორიოდ დღით აქ, ამ სოფელში დავრჩეთ და იმ ჩვენს მასპინძელს ყანის გათოხნაში მოვეხმაროთ. მიწის სუნი რომ გეცემა, ეგებ კიდევ გამოვიდეს რაიმე შენგან, გერასიმე. ძალას არ გატან, როგორც გინდა, ისე მოიქეცი. ასე აჯობებს... - და დარცხვენილმა დაამატა, - სამშობლოსათვის. - მთლად აირია, - რა ვქნა, მიჭირს ხოლმე ამ სიტყვის წარმოთქმა, ეს ხომ ისეთი სიყვარულია, დაფარვა რომ სჭირდება, იმდენად ნაღდი და ნათელია, უხერხულიცაა თქმა... მაგრამ, მაიძულე...

ჰოიი, ავტობუსი - ჭიათურაში ქიმწმენდილი კაცი მელოდება, კოსტუმი უნდა გამომეტანა ჩემი და ის, ლიეპაში, ვინ იცის, როგორ ელოდნენ, ეგებ ოჯახშიც ედეპეშნათ, ძალიან მაფასებს და გაგიჟდება ცოლი, ამ შალვას, მოკლულს, ხომ ვერ ავყვებოდი, თვალი ავარიდე და, ფრთხილად, კიდევ რაიმე რომ არ ეთქვა, ავი მოლოდინით მხრებაწურულმა ავიარე სერი, ავტობუსს ხელი დავუქნიე, გამიჩერდა და სკამზეც არ ვიყავი ჯერ დამჯდარი, შალვამ თავი შემოჰყო ფანჯარაში და, ასე მეგონა, ბრიყვი, უზრდელი, ერთის გემრიელად შემომაგინებდა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, სულ სხვა რამ შემძახა:

- ნახვამდის, სიმიკოო!

ქიმწმენდაში ყველაფერი რიგზე იყო, ჩემი კოსტუმი კოხტად მოვირგე, ტყრუშული შარვალ-ხალათი იქვე ჩავაგდე, მდინარეში, და ზესტაფონამდე ტაქსით მივედი, უკანა სავარძელზე ცოტათი წავუძინე კიდეც. ზესტაფონში მატარებელი დაბარებულივით დამხვდა, და საბოლოოდ მაშინ გამომიკეთდა გუნება, თვითმფრინავში რომ შევედი; თავიდან, ადრე, გამოუცდელს, თვითმფრინავის ძალიან მეშინოდა, მერე ნაკლებად მეშინოდა, მერე შევეჩვიე და სულ აღარ მეშინოდა, მერე კი, პირიქით, მიხაროდა, რადგან თვითმფრინავი - გზაა, ხოლო გზას, გამოზომილ-დაგეგმილს, შედეგი მოაქვს, და ახლა, ამჟამად, საბოლოოდ მაშინ მოვედი ხასიათზე, სიმაღლე რომ ავიღეთ, როცა შესანიშნავ კავკასიონს ზემოდან დავცქერი.

***ბოლოთქმის მაგიერ***

საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა. გვხვდება დაბლობებიც. წარმოიდგინეთ, მიკრო-უდაბნოც კი მოიძებნება. მოჰყავთ ვაზი, ჩაი, ციტრუსები, კომბოსტო. მოსახლეობის მოზრდილი ნაწილი ქართველებია. ეროვნულ ტანსაცმელს აღარ ატარებენ. როგორც ყოველგან, წყაროს წყალი აქაც სჯობს ონკანისას. მოსახლეობა უმეტესწილად ქალაქად, ხუთ-რვა-ცხრა-თოთხმეტ-თექვსმეტსართულიან სახლებში ცხოვრობს. და ხანდახან სოფელი ენატრებათ. ქართველებში, ისევე როგორც მსოფლიოს ყოველ კუთხეში, ხანდახან თავისებური ადამიანებიც შეინიშნებიან. თავისებური ადამიანი, როგორც წესი, უბოროტოა და ერთგვარი ცნობისწადილის აღმძვრელი, თუმცა გამონაკლისი, როგორც ყველგან და ყველაფერში, აქაც დასაშვებია. მაგრამ არც ერთი მათგანი კეჟერაძე ბოროტი ნამდვილად არ იყო. და თავ-თავიანთი მიდრეკილება ჰქონდათ.

ღმერთო, კეთილად გეტარებინოს სამთავე საქართველოს ძნელ, მიმოხვეულ გზებზე...

# გურამ გომართელი



## არ გაქრე, მოგონებავ!

**ბატონ გურამ გომართელს, როგორც წესი, ან გამომცემლობა „სამშობლოს“ ბუფეტში ვხვდები, ან ამავე გამომცემლობის სასადილოში განუყრელ თანამეინახე ვილენ მარდალეიშვილთან ერთად.**

**კვირაში ხუთჯერ რომ ვნახო, ბატონი გურამი მაინც ერთსა და იმავე კითხვას დამისვამს!**

**- ვახო, დალევა არ დაგიწყია?**

**- არა! - ვუპასუხებ მე.**

**- რომ დააპირებ, ერთი დღით ადრე მაცნობე!- კატეგორიული ტონით მაფრთხილებს ბატონი გურამი.**

**ბოლო ხანებში დიალოგმა უფრო ლაკონური ფორმა მიიღო:**

**- ხომ გახსოვს ჩვენი პირობა?**

**- რა თქმა უნდა- ერთი დღით ადრე უნდა გაცნობოთ...**

**- ჰოდა, გელოდები!**

**... საოცარი ადამიანია ბატონი გურამი - ისეთი ღიმილით გაგიღიმებს, ისეთი თბილი თვალებით შემოგხედავს, რომ სიტყვები უკვე საჭირო არ არის - ისედაც ხვდები, რომ ამ კაცს უყვარხარ და შეგიძლია მისი იმედი გქონდეს.**

**თბილი ცრემლით არის გაჟღენთილი მისი პატარ-პატარა ჩანაწერები ამქვეყნიდან წასულ მის ახლობლებსა და მეგობრებზე. როგორც არმაზ სანებლიძე ამბობს, იმგვარი ცრემლით, „გულის სიღრმეებს რომ გაგილღობს და კარგ ვაჟკაცს თვალზე ხელს რომ ააფარებინებს (არ დამინახონო)“.**

**სხვა საქართველოს გახსენებაა ეს ჩანაწერები, სხვა თბილისის, იმ კოლორიტული და ზნემაღალი ვაჟკაცებისა, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესით ადამიანური ურთიერთობების იმ ნორმებს ამკვიდრებდნენ, სიყვარულზე, სიკეთეზე, ერთგულებაზე რომ არის დაფუძნებული და ურომლისოდაც ვერც ქვეყანა იარსებებს და ვერც - ხალხი.**

**ვახტანგ ხარჩილავა**

# ულამაზესი დღე იყო...

ამ ფოტოსურათს ოცდახუთ წელიწადზე მეტი ხნის ისტორია აქვს.

კასპის რაიონში „ყვარყვარეს“ იღებდნენ. შესვენებისას ჯგუფის ფოტოგრაფმა ეს სანუკვარი ხალხი თავშეყრილი რომ დაინახა,- ერთი წუთით ჩემკენ გამოიხედეთო,- სთხოვა და ფირზე აღბეჭდა.

- კარგად მახსოვს ის დღე,- იგონებს ფილმის დამდგმელი რეჟისორი დევი აბაშიძე.

იმ ხანებშიეროსი საკმაოდ სერიოზულ ავტოავარიაში მოხვდა. კარგა ხანს იწვა საავადმყოფოში. ხშირად ვნახულობდით.

-კომოციო მაქვს, ბატონო კომოციო!- იმეორებდა მალიმალ (ეს სიტყვა ძალზე მოსწონდა!).

ავარიის გამო ფილმის რამდენიმე ეპიზოდში მონაწილეობა ვერ მიიღო. როცა გამოჯანმრთელდა, მე და დოდო აბაშიძემ მივაკითხეთ. დარჩენილი ეპიზოდების გადასაღებად კასპისკენ წამოვიყვანეთ.

გზაში ძალზე ნერვიულობდა - დოდო იჯდა საჭესთან.

- ფრთხილად, ფრთხილად, შე დამთხვეულო! - უყვიროდა დოდოს სიჩქარის ყოველ მომატებაზე.

ადგილზე ჩავედით. რამდენიმე ეპიზოდი გადავიღეთ, მერე ჩემს ნათესავთან მცხეთაში პურმარილი გველოდა.

- მე ამ გიჟს მანქანაში არ ჩავუჯდები! მეყო ავარიები! ვერსად ვერ წამოვალ!- დინჯად და მტკიცედ გამოგვიცხადა ეროსიმ.

ვეხვეწეთ. არ შეისმინა. სანამ არ მოვუყვანეთ „ვოლგა“ გამოცდილი მძღოლით, მანამ არ დაგვთანხმდა.

შესანიშნავი სუფრა გაიშალა.

- შენ ნუ ჭამ, კომოციო გაქვს! - ექილიკებოდა დოდო ეროსის.

- რა შუაშია, შე ოხერო, ჭამა და კომოციო! - კითხულობდა შეშინებული ეროსი.

- რავა რა შუაშია...შენთვის ყბების ხშირი მოძრაობა მავნებელია.

სუფრა ეშხში რომ შევიდა და გახალისდა, ეროსიმ ვერ მოითმინა და ერთი-ორი ჭიქა „ხუხა“.

- რას შვრები, გვღუპავ, კომოციოს აღიზიანებ?- არ ეშვებოდა დოდო.

ულამაზესი დღე იყო. დოდო, ყვარყვარეს ტანსაცმელში გამოწყობილი, საოცარ „სცენებს“ მართავდა.

დოდოს უყვარდა იმ გმირის ტანსაცმლის ტარება, რომელსაც ასახიერებდა ამა თუ იმ ფილმში. იმ „ფორმით“ დადიოდა ქალაქში, სტუმრად.

იმ დღესაც, როგორც ყოველთვის, დოდოს და ეროსის ხუმრობა, სიმღერა, „პაექრობა“ ნიჭით, სიყვარულითა და სითბოთი იყო აღსავსე.



**სურათზე:** *მარცხნიდან:* ***შოთა გაბელია, ბიჭიკო ანდრონიკაშვილი, ეროსი მანჯგალაძე, დოდო აბაშიძე, დევი აბაშიძე.***

# გაუქმებული აქტი

მთელი საქართველო იცნობდა ჟორჟიკა იაშვილს - ვაჟკაცს, სამართლიანს, მოღიღინეს, შესანიშნავი ოჯახის პატრონს.

წარმოშობით ქუთაისიდან იყო. მოგვიანებით თბილისში გადმოსახლდა. ვაჭრობის სისტემაში დაიწყო მუშაობა.

მრავალი ახლობელ-მეგობარი ჰყავდა, მათ შორის დოდო აბაშიძეც.

ერთხელ დანაღვლიანებული ჟორჟიკა შინ ეწვია დოდოს.

- რაშია საქმე, ჟორჟიკა ბიძია? - შეწუხდა დოდო.

- უნდა მიშველო, ძმისშვილო! - სთხოვა მოსულმა.

- გენაცვალოს ჩემი თავი, მზად ვარ!

- ვაჭრობის ინსპექცია დამეცა ობიექტზე, აქტი შეადგინეს, ცუდადაა საქმე!

- მერე მაგას დარდობ?

... ვაჭრობის ინსპექცია მაშინ ჯანაშიასა და მელიქიშვილის ქუჩების კუთხეში მდგარი შენობის მეორე სართულზე იყო განთავსებული.

ავიდნენ დაწესებულებაში.

დოდო ჯიქურ გაემართა უფროსის კაბინეტისკენ.

- აქ არის ავთო? - გზადაგზა ჰკითხა შემკრთალ მდივან ქალს.

- კი, ბატონო!

დოდომ ფართოდ შეაღო კაბინეტის კარი. ფეხზე წამომდგარ მმართველს ხელი ჩამოართვა და ისე ძლიერად ჩაეხუტა, რომ ამ უკანასკნელს სუნთქვა შეეკრა. მერე ხმაურით გამოსწია სკამი და პირდაპირ დაუჯდა.

- შე დალოცვილო, ჟორჟიკა იაშვილზე მეტი ვერავინ ნახეთ შესამოწმებელი?

- რა ვქნა, ივანიჩ, გეგმური შემოწმება გვქონდა. უამრავი დარღვევა აღმოუჩინეს ჩვენებმა, სხვა გზა არ გვქონდა,- თავი იმართლა უფროსმა.

„უამრავი დარღვევა“, არა? შენი ბიჭებიც კარგი ხვითოები არიან. ფული რომ მიეცა, აღარ იქნებოდა ხომ „უამრავი დარღვევა“?- წაიქირქილა დოდომ.

- რას ბრძანებ, მართლა მასე კი არ არის საქმე!

- კარგი, კარგი! როგორ ვუშველოთ ახლა ამ ამბავს?

- ადრე რომ მოსულიყავი, რაღაცას გავახერხებდი, უკვე გვიანაა, ოქმი ნომრიანია, ბეჭედდასმული, საქმეში ჩაკერებული. სამწუხაროდ, ვერაფრით დაგეხმარები!

- ერთი შემოატანინე, წამაკითხე მაინც, რა დააშავა ჟორჟიკამ?

მდივანმა ქალმა საქაღალდე შემოიტანა.

მმართველმა ფურცელ-ფურცელ გადაშალა და იპოვა „სასურველი“ ოქმი.

დოდომ ჩაიკითხა, მერე სწრაფად საქაღალდიდან ამოხია ის ფურცელი, პირში ჩაიტენა და გადაყლაპა.

ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო მმართველმა, დოდო ისე სწრაფად წამოდგა, ქუსლი ქუსლს შემოჰკრა, გმადლობთო,- შესძახა „მასპინძელს“ და კაბინეტიდან გამოვიდა.

მოსაცდელში მდივანს დაემშვიდობა, იქვე მდგარ ჟორჟიკას ხელი გადახვია და შენობიდან გავიდნენ.

# „მგლოვიარე“ ჯანსუღი

ჯანსუღ ჩარკვიანს ბოლნისში ბაბუის ძმა გარდაეცვალა. წავედით სამძიმარზე.

ქელეხზე აღარ დავრჩით - ჯანსუღს, ნოდარ დუმბაძესა და ზაურ ბოლქვაძეს სხვებთან ერთად შეხვედრა ჰქონდათ ხელოვნების მუშაკთა სახლში და ჩქარობდნენ.

... როდესაც მივედით, საღამო უკვე დაწყებული იყო. სტუმრები ცალ-ცალკე მაგიდებთან ისხდნენ. ჩვენც დავიკავეთ განკუთვნილი ადგილები.

მიკროფონით ხელდამშვენებული ჟულიეტა ვაშაყმაძე მოგვესალმა.

ნოდარმა და ზაურმაც თავისი სათქმელი თქვეს.

ჯერი ჯანსუღზე მიდგა.

- რომელ ლექსს წაგვიკითხავთ, ბატონო ჯანსუღ?- მიმართა წამყვანმა.

- იცი რა, ჩემო ჟულიეტა, მე მგლოვიარედ ვარ, ლექსს ვერ წავიკითხავ... ვიმღერებ!

ხელი შემოჰკრა მაგიდას და დაამღერა:

„გაზაფხულია, სადა ხარ, კარგო?!“

# „მე ვარ საქართველო!“

ჩვენ შორიახლოს მაგიდასთან მსხდომნი აიშალნენ. მათ შორის ოთარ მამფორია შევნიშნეთ. მოგვიახლოვდა, თავდახრით მოგვესალმა.

- აუ, რა ხალხი შეკრებილხართ! ტკბილ პურის ჭამას გისურვებთ!

ჩამოჯდომა ვთხოვეთ, იუარა. მომცრო ჭიქაში ღვინო ჩამოისხა.

- თქვენ ახლა იწყებთ, მე კი მოვამთავრე! არ გამოგადგებით. ხომ იცით, მეორე ტაიმს ველარ ვთამაშობ!

ცოტა მოსვა სასმელი და ჭიქა მაგიდაზე დადგა.

- არ გეწყინოთ!

მერე მწვანე, წყლიანი თვალები მომანათა.

- მანქანით იქნები. შენ გახარებას, იქნებ მიმიყვანო სახლამდე.

- მაშინ ოთარი პეკინის ქუჩაზე ცხოვრობდა, ერთოთახიან ბინაში. სვენებ-სვენებით ავუყევით კიბეს, კარი აუჩქარებლად გააღო. შინ არავინ იყო.

- ახლა იმერულად რომ დავიწყო პატიჟი, არ გამოვა! არცა მაქვს სასმელი არანაირი! თანაც გეჩქარება, მე კი უკვე კარგად ვარ!

- რას ბრძანებ, ჩემო ოთარ! შენ დაისვენე, მე წავალ!

საწოლზე ჩამოჯდა.

გამოვემშვიდობე.

გავედი. კარი გავიხურე.

- არ დაკეტო! ღია დატოვე! - რაღაც უცნაური ხმით დამიძახა.

- როგორ, ღია? - გამიკვირდა.

- ღია დატოვე, ღია! - იმავე ხმით გამიმეორა.

ოთახში შემოვბრუნდი. სკამი მივიჩოჩე.

- ვიცი, ხაში გიყვარს, ოთარ! - შევცვალე საუბრის თემა, - ხვალ მოგართმევ.

- დიდად გმადლობთ, როგორ შეგაწუხო!

- რას ბრძანებთ. სიამოვნებით მოგემსახურები!

- ხაში და იმას რაც უხდება, ხომ? - შემეკითხა ღიმილით.

- რა თქმა უნდა! ხაში ქუთაისურია, ქილებში, საუკეთესო ნაკეთებია.

- ვიცი, ვიცი, გუშინწინ გეახელი...

წამოვდექი იმ იმედით, რომ ყველაფერი ნორმალურად ჩაივლიდა.

- კარი არ მომიკეტო! - ისევ მკაცრად გამაფრთხილა.

ზღურბლზე გავჩერდი.

- კი მაგრამ! მოღიავებული კარით როგორ დაგტოვო?

- თუ ძმა ხარ, რაც გთხოვე, ის შემისრულე! - გამიბრაზდა ოთარი.

მივხვდი, არ დათმობდა!

ცოტა ხანს ჩავფიქრდი. მერე უცბად ვკითხე:



ოთარ მამფორია და ირაკლი ქემოკლიძე

- ოთარ ბატონო, წარმოიდგინე, რომ შენ ხარ საქართველო.

- რათ უნდა მაგას წარმოდგენა! მე ვარ საქართველო!

- ძალიან კარგი! მე კი რუსეთი ვარ!

ოთარმა გაკვირვებით შემომხედა.

- მერე რა გინდა?

- ჰოდა, მე შემოვდივარ საქართველოში!

- შენი ფეხი არ დავინახო აქ! - დამიყვირა.

სწრაფად გავედი და კარი ხმაურით მოვიხურე.

გავიგონე მისი ნაბიჯების ხმა, მოვიდა და კარი გასაღებით გადაკეტა.

ღიმილით დავეშვი კიბეზე.

დავბრუნდი მეგობრებთან და, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ვუამბე.

# ზაურ ბოლქვაძის ლექსპრომტები

სასტუმრო „ინტურისტის“ ქვევით, ქაშვეთის ეკლესიის წინ, ერთი პატარა, ჩაბნელებული სასადილო იყო.

იქ ვსხედვართ. სუფრას ნოდარ დუმბაძე უძღვება. შექეიფიანებულები ვართ.

ზაურ ბოლქვაძის სადღეგრძელოს ჯერი დადგა.

- გაუმარჯოს ჩემს საყვარელ კაცს, მეგობარს, პოეტს, ჩემს... - აქ ნოდარი შეყოვნდა, სახელი წამით გადაავიწყდა...

- ზაური, ზაური... - შეახსენა გივი სამსონაძემ.

- რავა, ზაური არ ვიცი მე?- იუკადრისა ნოდარმა.

ზაური სამადლობლისთვის წამოდგა და იკითხა:

- ბატონო თამადა, შეიძლება ლექსად გადაგიხადოთ მადლობა?

- თქვი, ძამა, როგორც გინდა.

ზაური ჩაფიქრდა და დაიწყო:

***„მზისკენ გიჭირავთ თვალი,***
***აფხაზეთში გაქვთ ოდა,***
***ხართ გაპობილი მთვრალი,***
***პატივცემულო ნოდარ!“***

●

ჩვენი მეგობრის - კოტე ქორიძის ვაჟს, ირაკლის, გლანდების ოპერაცია გაუკეთეს.

კოტემ ექიმები შინდისში მიიწვია.

თამადა ვარ. ვიცი, რომ ჯანსუღ ჩარკვიანსა და ზაურ ბოლქვაძეს ეჩქარებათ - ტელევიზიით აქვთ გამოსვლა.

ვადღეგრძელე მეგობრები.

ცოტა ხანში ზაურმა პატარა ბარათი გადმომცა. გავშალე და წავიკითხე. მერე სტუმრებსაც ხმამაღლა წავუკითხე:



***„ვერ ვუძლებ ამ ხმის მარათონს,***
***ვით ფეხბურთელი გომესი,***
***მე ხომ დიდ თანხას არა გთხოვ,***
***ხუთი მანეთი მომეცი!“***

სამგზავრო ფული არ ჰქონდათ პოეტებს!

ერთი მოზრდილი სინი გავათავისუფლე, მაგიდის შუაში ჩავდგი და სუფრის წევრებს მივმართე:

- შეეწიეთ მგოსნებს!

საკმაო თანხა მოგროვდა. ავკრიფე და ზაურს ჯიბეში ჩავუკუჭე.

# აკაკი ხორავას
# სენსაციური ჩანაწერები,

## რომელთა დაბეჭდვაც, ლეგენდარული აქტიორის ანდერძის მიხედვით, მხოლოდ სამი ათეული წლის შემდეგ გახდა დასაშვები!

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მამული“ 2005 წლის №14-17

●

მე ჩასიძებული ვიყავი ჩემი მეუღლის მშობლების ოჯახში. ძალიან კარგად ვგრძნობდი თავს. მე და ჩემს მეუღლეს ცალკე ოთახი გვქონდა. მესხიშვილების ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო. ვცხოვრობდით ერთ ოჯახად, ტკბილად, შეხმატკბილებულად. არასოდეს მიფიქრია, ცალკე ბინაში გადავსულიყავ.

ერთ დღეს მოვიდა ჩემთან ვასაძე და მითხრა: არც შენა გაქვს ბინა, არც მე. მოდი, ვთხოვოთ ბერიას, ახალ სახლებში მოგვცეს ბინები. თვითონ ცხოვრობდა მაშინდელ ვოზნესენსკის ქუჩაზე კარგა მოზრდილ ორ ოთახში. მე ვუთხარი, არ მინდა-მეთქი და უარზე დავდექი. მან იმდენი მიჩიჩინა რამდენიმე დღეს, რომ, მაინცადამაინც სიხარულით არ მოვკიდებულვარ ბინის საქმეს, მაგრამ განცხადებები მაინც დავწერეთ; მითხრა, რომ მოაწყობდა ბერიასთან ამ საკითხზე ჩვენს შეხვედრას.

ერთ დღეს გამაფრთხილა, ამ და ამ დროს გველოდებაო და ჩვენც წავედით. ბერიას კაბინეტის უკან ჰქონდა კიდევ პატარა ოთახი - იქ მიგვიღო. აკაკი ესაუბრა ჩვენი უბინაობის შესახებ. ბერიაც დაგვპირდა. შემდეგ შეგვეკითხა, როგორ არის თეატრში მდგომარეობა, რატომ არ ვიწყებთ მუშაობას და სხვა.

წინასწარ უნდა ვთქვა, რომ დეკადის შემდეგ დაისვა საკითხი ჩვენი თეატრის საფრანგეთში და ამერიკაში საგასტროლოდ გამგზავრების შესახებ. რასაკვირველია, კოლექტივი გახარებული იყო. ნახევარი სეზონი არა გაგვიკეთებია რა. დასი არ მუშაობდა გასტროლების მოლოდინში. ახმეტელიც გვარწმუნებდა, რომ დღეს-ხვალ მივიღებდით გამგზავრების ნებართვას. სეზონი არ გაგვიხსნია.

რამდენიმე თვე უსაქმურად ვხეტიალობდით. ხალხი და ხელმძღვანელობა გვსაყვედურობდა უმოქმედობაზე. უმოქმედობის გამო კოლექტივი დიდ მატერიალურ სიძნელეებს განიცდიდა, თითქმის ვშიმშილობდით. დასში აქა-იქ გაისმოდა უკმაყოფილება უსაქმურად ხეტიალისა გამო და თითქმის ყველას გვსურდა, სეზონი დაგვეწყო, გვემუშავნა და, თუ გასტროლების ნებართვას მივიღებდით, მაშინ დაგვეწყო მისთვის მომზადება. რაკი სეზონს არ ვხსნიდით, მოგვცეს წინადადება, შეგვედგინა მხატვრული ბრიგადა და გაგვეწია მომსახურება კახეთის რაიონებისათვის. შედგა ბრიგადა და გავემგზავრეთ გურჯაანის რაიონში. იქ გვეგულებოდა ერთი ჩვენი თეატრის მეგობარი გრიშა ალავიძე, რომელიც დაგვპირდა ჩვენი კონცერტების ხელის შეწყობას. მართალი რომ ვთქვათ, ქალაქში შიმშილმა შეგვაწუხა და წავედით სოფლად, რომ ცოტა მაინც მოვსულიერებულიყავით და ჩამოგვეტანა ცოტა რამ სურსათიდან, მაგრამ მაშინ მძიმე წლები იყო და სოფელსაც უჭირდა, ასე რომ, ჩვენმა მოგზაურობამ იმედები არ გაგვიმართლა. ღვინო და ჯონჯოლი - ეს იყო ჩვენი სუფრა: ყველს თუ ვიშოვიდით სადილად, ეს ხომ ბედნიერება იყო.

მე იმხანად არ ვიცოდი, თუ ბერიასა და ახმეტელს შორის შავმა კატამ გაირბინა.

მე ვუთხარი ბერიას ჩვენი კოლექტივის მდგომარეობა, გადავეცი კოლექტივის სურვილი სეზონის გახსნისა და ვთხოვე, რომ მოეხდინა გავლენა ახმეტელზე და სეზონი გაგვეხსნა.

ბერიამ ამაზე გვიპასუხა: „ ы заграницу не поедете. Я вам сорвал поездку. Знаете ли вы, что Ахметели собирался там остаться.  ы бы там погибли. Я вас спас. Не думайте больше о поездке. Лучше начните работать“.

მეხივით დამეცა ბერიას სიტყვები. როგორ შეგვეძლო, ბერიასთვის არ დაგვეჯერებინა. - მას უზარმაზარი ავტორიტეტი ჰქონდა ხალხში და ეჭვსაც კი ვერავინ გაივლებდა გულში, რომ ბერია აღმოჩნდებოდა ხალხის მოღალატე, როგორც ეს ბოლოს გვითხრეს. რასაკვირველია, ბერიას სიტყვებში ეჭვი არ შემიტანია და არც შემეძლო, არ დამეჯერებინა. ამას ხომ ბერია ამბობდა - „ყოვლისშემძლე“ და „ყოვლისმცოდნე“.

ბინებს დაგვპირდა და გულმოკლულნი გამოვედით ცეკადან. დამავიწყდა, მეთქვა, ბერიამ კიდევ თქვა: „ ы ослеплены им.  ерите ему во всем, идете за ним как слепые. Мы все знаем о нем“.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა საშინელი ტრავმა იყო ჩემთვის ბერიასგან ასეთი დახასიათება ახმეტელისა. ძნელად ვურიგდებოდი იმ აზრს, რომ საშას - ჩემს თვალში განსახიერებას მეგობრობისა, გამტანობისა - შეეძლო, ჩვენი დასი გაეტყუებინა უცხოეთში, ვითომდა გასტროლებზე და შემდეგ იქ დავეყარეთ და თვითონ კი წულუკიძესთან ერთად მხოლოდ თავის თავზე ეფიქრა. მაგრამ ვინ იყო ისეთი, რომ ბერიასათვის არ დაეჯერებინა.

რასაკვირველია, უცხოეთში არ გაგვიშვეს და ბერიას ნათქვამიც გამართლდა.

ხშირად მაგონდებოდა წულუკიძის სიტყვები, ახმეტელისადმი თქმული:

„Саша, тебя здесь не ценят, не считаются с тобой. Надо тебе уехать за границу, в Америку. Там ставить спектакли. Там твой талант оценят. Ты станешь всемирно известным, а здесь пропадешь“.

ამგვარ აზრებს უჩიჩინებდა წულუკიძე ახმეტელს და აძულებდა თავის კოლექტივს, თავის თეატრს, თავის ამხანაგებს. წულუკიძეს ჩვენ ვძულდით კიდევ იმიტომ, რომ, როდესაც გავიგეთ, რომ სანდრო აპირებს, წაართვას წულუკიძე ს. ამაღლობელს, ვისი ცოლიც იყო, და მასზე ჯვარი დაიწეროს, კოლექტივის უფროსმა ამხანაგებმა, ყოფილმა კორპორანტებმა კატეგორიულად მოვთხოვეთ საშას, თავი დაენებებინა წულუკიძისათვის. ვაფრთხილებდით, რომ წულუკიძე, თავისი უზნეო ხასიათისა და კარიერისტული სულისკვეთებით განწყობილების გამო, ეცდება, საშა წააჩხუბოს მის ამხანაგებს და ამით დაანგრიოს კოლექტივი. საშას გული წაუვიდა, რომ მოსულიერდა, გვითხრა: ამხანაგებო, ნუთუ მე ისეთად მიცნობთ, რომ ქალზე გაგცვალოთო. რა გვეთქმოდა. „მაჩუქეთ მე ეს ქალი“, - თქვა საშამ და ჩვენც „ვაჩუქეთ“. დავიჯერეთ მისი სიტყვები. წულუკიძემ ეს იცოდა და, რასაკვირველია, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ყოფილ კორპორანტებს, განსაკუთრებით, ჩემსა და საშას შორის არსებული მეგობრობა ჩაეფუშა.

წულუკიძე ვერ იტანდა, როდესაც რეცენზიებში ჩემი და ვასაძის შეფასება მაღალი იყო, ვინემ მისი. ცდილობდა, დემაგოგების და პროვოკატორების მეშვეობით დაეშალა დასი. გადაგვკიდებოდა ახალგაზრდობა. ეს შეძლო კიდეც. მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა ნაწილი ახალგაზრდობისა - ელ. ლორთქიფანიძე, ი. აბაშიძე, ვ. ლაღიძე, ი. ქანთარია, ბ. შავიშვილი, რ. ბერიძე და სხვანი. არწმუნებდა მათ, რომ საშას უნდა ჩვენი მოშორება და მთელი გულისყური ახალგაზრდობაზე უნდა გადაიტანოს და სხვა ამგვარი.

რამდენად მართალია პარტია, როდესაც მსახიობისაგან მოითხოვს არამარტო ოსტატობას, არამედ მტკიცე იდეურობას, მოქალაქეობრიობას. არამოაზროვნე, უპრინციპო შემოქმედს ადვილად შეიძლება, გაუღვივო ყველა ეს უარყოფითი თვისება, რომელიც, სამწუხაროდ, როგორც ძველის გადმონაშთები, ჯერ კიდევ თან სდევს ჩვენს პროფესიას.

წულუკიძეს ანჯაფარიძის სახელი მოსვენებას არ აძლევდა. თუ ანჯაფარიძე მარჯანიშვილის თეატრში პრემიერშად ითვლებოდა, წულუკიძეს რუსთაველის თეატრში უნდოდა, თავის მიმართ დაემკვიდრებია იგივე. ზინაიდა რაიხის მაგვარად, რომელსაც ხელში ჰყავდა ჩაჭერილი შეიერვოლდი, სურდა, ახმეტელი ხელში ჩაეგდო და რუსთაველის თეატრი თავის თეატრად გაეხადა. კატეგორიულად ვაცხადებ: რომ არა წულუკიძე, ახმეტელს ბევრი უბედურებანი, რაც მას თავს დაატყდა, ასცდებოდა და, შეიძლება, არც დაღუპულიყო.

წულუკიძე აქეზებდა ახმეტელს, არ დაეგდო ყური ცეკასათვის და დამოუკიდებლად ემოქმედა თეატრში. ხშირად ამბობდა: „Пусть эти коммунисти оставят нас в покое, пусть не мешают, мы сами знаем, что делаем“. რასაკვირველია, ბერიამდე ეს ამბები მიდიოდა. ერთხელ ბერია ცენტრალური კომიტეტის აივანზე სეირნობდა, ახმეტელი რამდენიმე თავის ამხანაგთან ერთად ქუჩაში მიდიოდა. რა დაინახა ბერია, თავის ამხანაგებს უთხრა ბერიას გასაგონად - „მაიცათ, მე ამ მეგრელს მალე ვაჩვენებ სეირს“. სანდროს ამგვარი „გმირობის“ შესახებ წულუკიძე დასში ამბობდა. ბევრი აღფრთოვანებული იყო სანდროთი - „რა უშიშარი და ვაჟკაცი კაცია. ბერიასიც კი არ ეშინია“. მე ბევრჯერ მითქვამს სანდროსთვის, დაენებებინა ასეთი დემონსტრაციებისათვის თავი, მაგრამ ის გაიძახოდა, მე მაგისი არ მეშინიაო. ვატყობდი, რომ საშა თანდათან გვცილდებოდა, ჩემი სიყვარული და პატივისცემა მისდამი არ შენელებულა, თუმცა, მრავალი ეჭვი ტრიალებდა ჩემს გულში...

როდესაც ერთხელ საშას ვუთხარი, წულუკიძე (უკვე ცოლი იყო მისი) ანგრევს კოლექტივს და ყურადღება მიაქციე-მეთქი, გამიჯავრდა და მითხრა, - არაფერსაც არ ანგრევს და მე უკეთ ვიცი, რასაც აკეთებსო.

დასში ახმეტელის გმირობის და ვაჟკაცობის კულტი იყო გამეფებული, განსაკუთრებით, ახალგაზრდობაში, და ამ კულტის განსახიერება იყო თვით ახმეტელი, ამ კულტის გამაღვივებელნი იყვნენ თამარ წულუკიძე და ის ახალგაზრდობა, რომლებიც ცხოვრების გარეშე იყვნენ. უნდა ვთქვა, ამ კულტის შექმნაში თვითონ ახმეტელს მოკრძალებით ეჭირა თავი, მაგრამ, რასაკვირველია, უხაროდა ეს ამბავი. ჩვენ, ძველი კორპორანტები, ვგრძნობდით, რომ მას, როგორც გვჩვეოდა ხოლმე, ჩვენგან პირში თქმა მისი ნაკლის შესახებ სწყინდა და ვერიდებოდით მასთან კონფლიქტს, წულუკიძე კი თავის საქმეს აკეთებდა. ბერიასთან ჩვენმა ყოფნამ (ბინების შესახებ) საშინელი გაბრაზება გამოიწვია საშასი, წულუკიძესი და ნაწილ დასშიც. საზოგადოდ, საშას არ უყვარდა, რომ დასის წევრს რაიმე საქმიანი დამოკიდებულება ჰქონოდა თეატრის გარეშე პირებთან, ან რაიმე ეზრუნა ვინმეს თავისი პირადი საქმისათვის მის გარეშე. ჩვენი საქციელი ბერიასთან ბინის საკითხზე ყოფნის შესახებ შეფასებული იყო წულუკიძის და სხვათა მიერ, როგორც ახმეტელის უგულებელყოფა და ღალატი მისდამი და საშას ჩვენით უკმაყოფილება უფრო გაიზარდა. უნდა ვთქვა, რომ მე არავისთან დამიმალავს, რომ ვიყავი ბერიასთან. ან რა იყო აქ დასამალი. მე ისევ ვიყავი მისი მეგობარი და დამოკიდებულება მისდამი არ შემცვლია. დარწმუნებული ვიყავი, რომ საშა გონს მოვიდოდა, გაიფანტებოდა ის თავბრუდამხვევი ალერსი და სიყვარული, რაც წულუკიძემ, ახალგაზრდა ქალმა, თავს მოახვია უკვე ნელ დაღმართს მყოფ სანდროს და თეატრს დაგვიბრუნდებოდა ის საშა, რომელიც ყველას გვიყვარდა და რომლის დიდ ნიჭს ყველა ვაფასებდით. სამწუხაროდ, ეს არ გამართლდა და წულუკიძემ გვაჯობა.



აკაკი ხორავა

რასაკვირველია, წულუკიძის სიძულვილი ჩემდამი უფრო გაძლიერდა და ამით გაიზარდა მისი ზეგავლენა საშაზე. როდესაც თეატრის 10 წლისთავის იუბილე გაიმართა, მთავრობამ ახმეტელს, ვასაძეს და მე მოგვანიჭა სახალხო არტისტის წოდებები, ხოლო წულუკიძეს დამსახურებული მსახიობისა. ამ ფაქტმა მოთმინებიდან გამოიყვანა წულუკიძე. მან თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, როგორც მსახიობმა, და, არ გამოთქვამდა რა აშკარად თავის უკმაყოფილებას, ახმეტელს უმტკიცებდა, რომ ერთნაირი წოდების ჩვენთან ერთად მიღება არის საშას შეუფასებლობა, უგულებელყოფა და სხვა ამგვარი. რასაკვირველია, სანდრო ადამიანი იყო და ამგვარი ჩაწვეთებები მასზე მოქმედებდა. საშამ დაკარგა უნარი, კრიტიკულად შეეფასებინა ყოველივე, რასაც ეუბნებოდნენ, და სავსებით მოექცა წულუკიძის გავლენის ქვეშ.

რასაკვირველია, გამოჩნდნენ თეატრში პოდხალიმები, ისეთები, როგორებიც იყვნენ კორიშელი, მისი მეუღლე, დები ღვინიაშვილები და სხვები, რომლებიც თითქოს „თავგამოდებით“ იცავდნენ საშას ავტორიტეტს და პიროვნებას ნამდვილად არარსებული მტრებისაგან ჩვენის სახით (ვიგულისხმები მე, ვასაძე, პატარიძე, ტუსკია, აღსაბაძე, გამრეკელი და სხვები).

თეატრში დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა.

წავედით საგასტროლოდ ბაქოში. თეატრი კარგად გავიდა. მოწონება დიდი იყო. წერდენ განსაკუთრებით ახმეტელზე როგორც რეჟისორზე, ჩემზე და ვასაძეზე, როგორც მთავარი როლების შემსრულებლებზე...

მსახიობები მაშინაც და შემდეგშიაც ნაწყენი იყვნენ ჩემზე, რომ მათზე ნაკლებად წერდნენ და ჩემზე კი მეტს. რას არ მაბრალებდნენ: რომ თითქოს მე ვაწერინებ ჩემზე რეცენზიებს. რა სულმდაბლობაა. უმთავრესად დასწერდნენ, რასაკვირველია, მთავარი როლის შემსრულებლებზე. კარლოსი, ანზორი, ბერსენევი, არგიულდი, ოტელო, არსენა, იჩო, დიდი ხელმწიფე, ოიდიპოსი, მურადოვი, სააკაძე და სხვა წამყვან როლებზე წერდნენ, უმთავრესად და ამ როლებს მე ვთამაშობდი. აბა, ვისზე უნდა დაეწერათ. და, თუ მაქებდენ, რასაკვირველია, მეც მიხაროდა და ვცდილობდი, უფრო კარგად მეთამაშნა. იმისათვის, რომ შურიანი მსახიობების ავადმყოფური თავმოყვარეობა დამეკმაყოფილებინა, ხომ არ ვეცდებოდი, რომ ცუდად მეთამაშნა.

ამ გასტროლების დროსაც წულუკიძეზე ნაკლებად წერდნენ. რასაკვირველია, ამას წონასწორობიდან გამოყავდა წულუკიძე, ახმეტელი თითქმის ჩამოგვაშორა თავის ამხანაგებს და სულ წულუკიძის გარემოცვაში იმყოფებოდა. ჩვენ კი: პატარიძე, ვასაძე, აღსაბაძე, ტუსკია, გამრეკელი, მ. აფხაიძე, მე, საღარაძე, ჯაფარიძე, ლაფაჩი, თუშიშვილი და ზოგიერთი სხვებიც, ჩვენდა უნებურად, ცალკე დავრჩით.

ვცხოვრობდით სასტუმროში. აქვე ვსაუზმობდით და ვსადილობდით. ერთ დილას ჩაის დასალევად სასტუმროს რესტორანში შევედი. იქ ყოველდღიურად იჯდა ხოლმე მისთვის მიკუთვნილ მაგიდასთან ცნობილი სომეხი მსახიობი აბელიანი. აბელიანი ხშირად ესწრებოდა ჩვენს წარმოდგენებს და ეტყობოდა, კმაყოფილი იყო ჩვენით. რომ დამინახა, მიმიწვია თავის მაგიდასთან. მთხოვა, მასთან დავმჯდარიყავი. მეც უარი ვერ ვუთხარი, - მაინტერესებდა ამ დიდი მსახიობის გაცნობა და მასთან გასაუბრება. უყვარდა კონიაკის დალევა. მომაწოდა მეც და ასე შევყევით ლაპარაკს და თანაც პატარ-პატარა სასმისებით კონიაკს ვსვამდით. ჩვენ შორის საინტერესო საუბარი გაიმართა. ყვებოდა თავის ახალგაზრდობაზე, იგონებდა ქართველ, სომეხ და უცხო ქვეყნების მსახიობებზე, ამა თუ იმ როლის შესრულებაზე. ისე შევყევი ამ საინტერესო საუბარს, რომ ვერც კი შევამჩნიე, კონიაკი როგორ მომეკიდა. მალე სადილობის დროც მოვიდა. იმ საღამოს იჩოს ვთამაშობდი. გამოვემშვიდობე. ვატყობ, მთვრალი ვარ. ყველამ იცოდა, რომ თეატრში მთვრალი მისვლა, საზოგადოდ, და ჩემ ირგვლივ შექმნილი ვითარებისა გამო, ჩემსა და ახმეტელს შორის დიდ სკანდალს გამოიწვევდა. წარმოდგენის დაწყებამდე დიდი დრო იყო. პირი დავიბანე, სარჩიმელიძემ მანქანა იქირავა და მთელი ერთი საათი დავდიოდი ქალაქში, რომ სიმთვრალე გამსვლოდა. მოვასწარი ერთი საათი წაძინებაც. და თავის დროზე თეატრში სრულიად ფხიზელი გამოვცხადდი. რასაკვირველია, ახმეტელი დაარწმუნეს, რომ მე მთვრალი მოვედი და მესმოდა ახმეტელის ლანძღვაგინება ჩემი მისამართით გვერდითი საპირფარეშოდან. წარმოდგენა ჩვეულებრივად ჩატარდა.

მე სრულიად ფხიზელი ისევე მსუბუქად დავდიოდი და ხელზე წამოწოლილს ვატარებდი ლამარას ძალზე დაქანებულ დეკორაციაზე. ახმეტელმა ხელი ჩასჭიდა ამ ამბავს და თურმე იმუქრებოდა, რომ მე თეატრიდან მომხსნიდა. მე მესმოდა ეს ხმები, მაგრამ მაინცადამაინც ყურადღება არ მიმიქცევია - როგორ ვიფიქრებდი, რომ საშა ისე დაწვრილმანდებოდა, რომ მომხსნიდა თეატრიდან წარმოდგენის ჩატარებისას სრულიად უდანაშაულოს. ბაქოში ყოფნის დროს სანდრომ არაფერი მითხრა. დამთავრდა გასტროლები. თბილისში ჩამოვედით. ცოტა ხნის შემდეგ შევუდექით მომავალი სეზონისათვის მზადებას. ერთ დილით მოვდივარ რეპეტიციაზე. გასახდელთან შემხვდა დასის გამგე ივ. ლაღიძე და მითხრა, რომ ახმეტელმა მომხსნა და მთხოვა, სარეპეტიციო დარბაზში არ შევსულიყავი. რასაკვირველია, ეს ძალზე მეოცა. რეპეტიციაზე არ შევედი. მინდოდა, მენახა ახმეტელი. სცენაზე შესასვლელ კორიდორში შევხვდი მას. მარტო ორნი ვიყავით. უნდოდა, გვერდი აევლო ჩემთვის. მე გავაჩერე და ვუთხარი: ცოტა ხანს შეჩერდი, საშა. ახლა გავიგე, რომ შენ დაგიწერია ჩემი თეატრიდან მოხსნის შესახებ. მე ამაზე არაფერს გეუბნები. რაკი ასე გინდა, ასე იყოს. ალბათ, თეატრისათვის ასე სჯობს, თუმცა ჩემი მოხსნა შენი გულიდან არ გამოდის. მე კარგად ვიცი, რაშია საქმე. ბევრი წლები მე და შენ ერთად ვიბრძოდით თეატრის გამარჯვებისათვის. ვიყავით მაგარი მეგობრები. შენ ბევრი გაგიკეთებია ჩემთვის, რისთვისაც მადლობელი ვარ. მოდი, გავშორდეთ ერთმანეთს, როგორც ამხანაგები. ახლა დაიწყება თბილისში ჭორიკანობა, ამით ისარგებლებენ რუსთაველის თეატრის მტრები. მოვიქცეთ კეთილშობილურად. დავიფაროთ ჩვენი წარსული მეგობრობა, რომ მე არ გავხდე მიზეზი ჭორებისა და მითქმა-მოთქმისა. მე ახლა წავალ სახლში და იქიდან არ გამოვალ. არავის შევხვდები. არავის არაფერს ვეტყვი. შენც გირჩევ, ნაკლები ილაპარაკო, მე რომ ვიცი შენი ამბავი - რომ გაბრაზდები, გონიერებას კარგავ და რას ამბობ, შენ თვითონ არ გესმის. მაგრამ იცოდე, საშა, თუ გავიგე, რომ შენ თავის მართლების მიზნით ჩემზე ცუდს ილაპარაკებ ან სახელის გატეხას დამიპირებ, მაშინ მე ვიტოვებ უფლებას მოქმედებისას. გისურვებ გამარჯვებას შენა და შენს თეატრს. მეც მცირე წილი მიდევს ამ თეატრის საქმიანობაში. იყავი კარგად.

ჩამოვართვი ხელი, გადავკოცნე, გამოვბრუნდი და წავედი სახლში ისე, რომ არავისთვის არა მითქვამს რა. ბინიდან სრულებით არ გამოვსულვარ. რასაკვირველია, დაიწყო თურმე ქალაქში მითქმა-მოთქმა, ათასი ჭორები. წულუკიძე და მისი დამქაშები რას არ ამბობდნენ ჩემზე, რომ საშას მიერ ჩემი დათხოვნა ხალხში გაემართლებინათ. რასაკვირველია, ჩემი ამხანაგები აღშფოთებულნი იყვნენ. ჩემმა დათხოვნამ ხალხშიც და ხელისუფლებაშიაც აღშფოთება გამოიწვია.

ჩემს გვერდით ცხოვრობდა ივ. აბაშიძე. ერთ საღამოს, როდესაც ჩვენი ოჯახი საღამოს აივანზე ვიყავით და ჩაის შევექცეოდით, გაიღო აბაშიძის დერეფნიდან კარი და სრულიად მოულოდნელად შემოვიდა წულუკიძე, მოგვესალმა და მითხრა, რომ ჩემთან საქმე ჰქონდა. ძალზე გამიკვირდა: წულუკიძე, რომელმაც თეატრში

დაატრიალა ორომტრიალი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რომ საშა და მე დავშორებოდით ერთმანეთს - ჩვენს ოჯახში მოდის, თითქოს არაფერი მომხდარა, შენობით მელაპარაკება, რასაკვირველია, ამან აღმაშფოთა, მაგრამ მასპინძელი ვიყავი და არ შემეძლო, წულუკიძე სახლიდან გამეგდო. მითხრა: „Саша хочет с тобой один на один поговорить. Он асадзе не любит и не хочет с ним говорить. Он ночью приедет за тобой на машине, поедете за город и там поговорите. Он тебя непременно вернет в театр. Ты не волнуйся. Поговорите.

- Я не мышка, что со мной играли как кошка, что мне с ним говорить. Он меня снял, значит он этого хотел, он ведь не мальчик, чтобы не знать, что делает. Я не буду с ним встречаться. До меня доходят слухи, что Саша и вы меня ругаете. идите я слово держу, из дому не выхожу. Проявите и вы сдержанность“.

ვუთხარი ეს და განზე გავდექი. წულუკიძე წავიდა - მაინცადამაინც ჩემი ოჯახის წევრებსაც სიხარული არ გამოუმჟღავნებიათ წულუკიძის სტუმრობით. მისი წასვლის შემდეგ სულ ვფიქრობთ, რა მანევრი იყო ეს საშას მხრიდან. რა მახეს მიგებდნენ კიდევ. ვფიქრობდი, რომ საშას სურდა ჩემი და ვასაძის წაჩხუბება და ამიტომ სურდა ჩემთან მოლაპარაკება. (როგორც თ. ბაქრაძემ გადმომცა, საშას უთქვამს მისთვის - რას გადაეკიდა აკაკი ამ ვასაძეს, რა არის მათ შორის საერთოო). რასაკვირველია, თეატრში ჩემმა მოხსნამ დასის გათიშვა გამოიწვია. პროტესტის ნიშნად თეატრიდან წასვლა გადაწყვიტეს ვასაძემ, პატარიძემ, ტუსკიამ, ალსაბაძემ, ირ. გამრეკელმა, საღარაძემ, მ. აფხაიძემ, სტ. ჯაფარიძემ, თუშიშვილმა, ლაფაჩმა და ზოგმა სხვამაც. გადაწყვეტილი ჰქონდათ, წასულიყვნენ ყველანი რომელიმე რაიონის თეატრში და იქ ემუშავნათ. ახმეტელს კი სავსებით მოშორებოდნენ.

ერთ საღამოს დანამდვილებით გავიგე, რომ ახმეტელი ჩემი უარის შემდეგ საშინელ პროვოკაციულ ხმებს ავრცელებდა ჩემ შესახებ საზოგადოებაში. პარტიულებში ამბობდა, რომ მე მენშევიკი ვარ, ტერორისტი და საბჭოთა ხელისუფლების მტერი, ხოლო უპარტიოებში ამბობდა, რომ მე ჩეკისტი ვარ და სხვა ასეთი. ამის გაგებამ საშინლად აღმაშფოთა. როგორ შეიძლება, კაცი ისე გაბოროტდეს, რომ თავის ყოფილ მეგობარზე ასეთი სისაძაგლეები თქვას. ეს პროვოკაცია ვერ მოვითმინე და გაბრაზებულმა (ახალი დაღამებული იყო) ჩავიდევი რევოლვერი ჯიბეში, გავვარდი სახლიდან და წავედი თეატრისაკენ იმ განზრახვით, რომ ახმეტელი მომეკლა. ვერ მოვითმინე მისი ასეთი ჩემი დამცირება და შეურაცხყოფა. ალბათ, ძალზე გულმოსულმა გონება დავკარგე. ერთი აზრი მიტრიალებდა - ახმეტელი მომეკლა და ამით ჩემი სახელი დამეცვა. რომ გზაში არავინ შემხვედროდა და რომ ჩემი მეუღლისათვის გზა-კვალი ამებნია (ნინა მიხვდა, რომ მე კარგ საქმეს არ ვაპირებდი, ალბათ, სახეზე მეტყობოდა აფორიაქება, და გამომედევნა) ავედი ზევით და მიხვეულ-მოხვეული გზით მთის გასწვრით თეატრისაკენ თითქმის გავრბოდი. ჩამოვედი ჭავჭავაძის ქუჩით. გადავედი ოპერისაკენ და გავეშურე თეატრისკენ. ოპერის წინ გაჩირაღდნებული იყო - წარმოდგენა ახალი დაწყებული იყო. კი არ მივდიოდი, მივრბოდი. შვილო, აკაკ, - შემომესმა ხმა, მივიხედე, ჩემ წინ გაჩნდა ყოფილი მსახიობი ქეთო ანდრონიკაშვილი. წამავლო ხელი და გამაჩერა (ანდრონიკაშვილი რაღაც ნათესავად ერგებოდა ჩვენებს). დამიწყო რაღაც ლაპარაკი, ხელს არ მიშვებდა. საიდანღაც ჩემი მეუღლეც წამომეწია, ორივემ ჩამჭიდეს ხელი და არ მიშვებდნენ. ვერაფრით შევძელ, თავი დამეძვრინა მათგან. ქუჩაში ხალხი მიდიოდა, ალბათ, უჩვეულო სანახავი ვიყავი. ნაცნობები შემოგვეხვივნენ. ანდრონიკაშვილმა მითხრა,



სანდრო ახმეტელი

რომ ჩვენსა სახლში მოდიოდა და მთხოვა, გავყოლოდი. ამ ქაჩავ-ქაჩავში გულმა გადამიარა და მეც უკან დავბრუნდი. ახლა რომ ვფიქრობ, - რა დიდი მადლიერების გრძნობით ვიგონებ ანდრონიკაშვილს და ჩემს მეუღლეს, საშინელ საქმეს რომ გადამარჩინეს. ერთ წუთს რომ წარმოვიდგენ, რომ მე საშას მოვკლავდი და, რასაკვირველია, მეც თავს მოვიკლავდი, შემდეგ დაიწყებოდა ჭორები, ვინ იცის, რას არ დამწამებდნენ, გავაუბედურებდი თეატრს, ჩემ თავს, ჩემს ოჯახს. რასაკვირველია, ეს საშინელება იქნებოდა.

დანამდვილებით ვიცი, რომ საშას ურჩევდნენ ჩემს აღდგენას,არწმუნებდნენ, რომ თეატრიდან ჩემმა მოხსნამ ხალხში და თეატრის მეგობრებში უკმაყოფილება გამოიწვია. არაერთხელ მოსულან ბერიასგან, ცეკადან წინადადებით, რომ ცეკას აზრია, მე აღდგენილი ვყოფილიყავ. მაგრამ საშა ჯიბიანი კაცი იყო და არავის მოთხოვნებს არ ემორჩილებოდა.

ზაფხული დაიწყო და კოლია შენგელაიამ მიმიწვია კინოსურათში „ნარინჯის ველი“ მონაწილეობის მისაღებად. მეც დავტოვე თბილისი და წავედი ქობულეთში კინოექსპედიციაში. თურმე, ახმეტელიც თავის ცოლით ქობულეთში ისვენებდა, მაგრამ მე მას არ შევხვედრივარ.

თბილისში დაბრუნებისას ბერიამ თითქმის ყველა, ვინც აპირებდა თეატრიდან წასვლას, გამოიძახა თავისთან, მეც გამომიძახა. საკითხი იყო თეატრის მდგომარეობის შესახებ. ჩვენ ვთხოვდით, რომელიმე სხვა თეატრში გავეგზავნეთ. უცბად ბერიამ თქვა: „А как вы думайте, театр очень пострадает если снимем Ахметели?“ მე ეს ძალიან მეუცხოვა და ვთქვი: - „Конечно пострадает“. „- Как это пострадает?“ - მკითხა. ვუპასუხე: „- Процентов на 90 пострадает“. მოუვიდა გული და მითხრა: „Садитесь. вы ничего не понимаете в процентах“.

მეც გავჩუმდი. დამსწრენიც გაჩუმებულნი იყვნენ. მალე დაგვითხოვა.

მე დიდად ვაფასებდი და დღესაც ვაფასებ ახმეტელს, როგორც დიდ შემოქმედს. პირადად მე დიდად მადლიერი ვარ მისი და არასოდეს დავივიწყებ, რაც მან ჩემთვის, როგორც მსახიობისათვის, გააკეთა. მაგრამ ახლა საქმე ჩემში როდია. როგორ შემეძლო, წარმომედგინა რუსთაველის თეატრი უახმეტელოდ. მან ისე, როგორც არავინ, სახელი გაუთქვა ქართულ თეატრს, ქართველ მსახიობს, ქართველ რეჟისორს, თეატრს მთლიანად როგორც საბჭოთა კავშირში, ისე კავშირგარეთაც. მან შექმნა ნამდვილი ქართული თეატრი და დასახა გზები მისი შემოქმედებითი განვითარებისა. რასაკვირველია, თეატრს ჰქონდა აქა-იქ შეცდომები, მაგრამ თეატრი ზრდის პროცესში იყო და შეცდომებიც წარმოდგენიდან წარმოდგენამდე სწორდებოდა.

მართალია, მე მოხსნილი ვიყავი თეატრიდან, მაგრამ ხომ არ შემეძლო რუსთაველის თეატრის წინააღმდეგ მეფიქრა ასე: „თუ მე არ ვიქნები, ყველაფერი წყალს წაუღია“. ახმეტელი უნდა დარჩენილიყო თეატრში და განეგრძო მუშაობა ქართული თეატრის დიდებისათვის. ამიტომაც იყო, რომ ჩავიკეტე სახლში, გარეთ არ გამოვდიოდი და, როდესაც შემთხვევა მომეცა, თბილისს გავცილდი. მე არ მინდოდა, ჩემის მეოხებით თეატრს რაიმე ზიანი შემთხვეოდა. მე ისევ კინოში ვმუშაობდი და თეატრში არ გამოვჩენილვარ.

არ გასულა რამდენიმე დღე და გაზეთში დაიბეჭდა ცკ-ის და მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომ ახმეტელი განთავისუფლებულია თეატრიდან და დანიშნულია მთავარ რეჟისორად აკაკი ვასაძე და მასთან სარეჟისორო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: ვასაძე, დავითაშვილი, პატარიძე, ტუსკია, ირ. გამრეკელი და მე. არ მახსოვს, იყო სხვებიც თუ არა.

ჩემთვის ეს თავზარდამცემი ამბავი იყო. ახმეტელის მაგივრად ვასაძე - ძნელი წარმოსადგენი იყო.

როდესაც ახმეტელმა მიიღო ეს ცნობა, შეაგროვა დასი და დაიწყო დადგენილების დამუშავება. წულუკიძის მომხრეები გაიძახოდნენ, რომ არ დაემორჩილებიან ამ ბრძანებას და სხვა ამგვარი. ახმეტელი, რასაკვირველია, არ მოელოდა მთავრობის ასეთ გადაწყვეტილებას და მთელი სიბრაზე ჩემზე გადმოიტანა - მლანძღავდა, როგორც კი შეეძლო. კრებებზე ამბობდა, რომ მე კონტრრევოლუციონერი ვარ, ტერორისტი ვარ და სხვა ამგვარი. დასში იყო გინება ბერიასი.

ახალი ხელმძღვანელობა შეუდგა მუშაობას. ახმეტელს და მის მომხრეებს ჰქონდათ კრებები და გადაწყვიტეს, ახალი ხელმძღვანელობისათვის ჩუმი წინააღმდეგობა გაეწიათ. უშლიდნენ მუშაობას ხელს, დასში არევ-დარევა შეჰქონდათ და სხვა ასეთი. ყველას სწყინდა, რომ ახმეტელის საქმე ასე დაბოლოვდა, მაგრამ პარტიის დადგენილება დადგენილება იყო და მას ყველა უნდა დამორჩილებოდა. უმრავლესობა დასისა შეუდგა მუშაობას. ახმეტელმა გადაწყვიტა, რომ თავის ცოლთან ერთად მოსკოვს წასულიყო და იქიდან ებრძოლა ბერიას წინააღმდეგ. მისი მომხრეები თეატრში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ახმეტელი ბერიას დაამარცხებდა და დაბრუნდებოდა თეატრში ისევ. იმხანად თეატრის დირექტორად დაინიშნა ვინმე გუგუნავა, ჩეკისტი, რომლის უჭკუო ხელმძღვანელობამ სულ აურია საქმე. დასში დარჩენილ ახმეტელის მომხრეებს და თვით ახმეტელს მოსკოვიდან ჰქონდათ მიწერ-მოწერა. რასაკვირველია, ამ წერილებში იყო ბერიასი და ჩვენი გინება და დარჩენილების გამხნევება, რომ ბერიას მალე მოეღებოდა ბოლო.

როგორც გამოირკვა, ეს წერილები ხელში უვარდებოდა გუგუნავას და მას კი მიჰქონდა ხელმძღვანელობასთან. თეატრიდან გაიტაცეს „დურუჯის“ დოკუმენტები, სხვადასხვა მიწერ-მოწერა ჩააბარეს მსახიობ პლ. კორიშელს, რომელიც ამტკიცებდა, რომ კონსპირაციის მცოდნე იყო; მან ეს „დოკუმენტები“ რკინის ყუთში ჩასდო და სადღაც მიწაში ჩამარხა. ახმეტელი დადიოდა მოსკოვში ცეკას წევრებთან და აგინებდა ბერიას - მათი მეოხებით სურდა ბერიას ჩამოგდება. რასაკვირველია, მოსკოვიდან ბერიას ყველაფერს აცნობებდნენ.

ერთი ასეთი წერილიც კი დაიჭირეს ახმეტელისა, სადაც ის ახალ ხელმძღვანელობას სამშობლოს მოღალატეებად თვლიდა და აიმედებდა თავის მომხრეებს, მალე დადგება „ჩვენი დრო“ და იმ „ერის გამყიდველებს“ სასტიკად ვაგებინებთ პასუხს, ვუჩვენებთ სეირსო. ყველაფერი ეს გუგუნავას სიტყვებიდან ვიცოდით. ოცდათექვსმეტ წელს თეატრი მოსკოვში გაიგზავნა საგასტროლოდ, სადაც წარმატება ხვდა. ამბობენ, ახმეტელი ჩვენს წარმოდგენებს ქანდარიდან უყურებდაო. მოსკოვიდან დაბრუნებულები განვაგრძობდით მუშაობას. ერთ დღეს ხმა გავარდა, რომ ახმეტელი მოსკოვში დაუპატიმრებიათ (მისი მოხსნის ერთი წლის შემდეგ) და ჩამოუყვანიათ თბილისშიო. ახმეტელთან ერთად დააპატიმრეს მისი აქტიური თანამებრძოლებიც! შავიშვილი, ე. ლორთქიფანიძე, ი. აბაშიძე, პ. კორიშელი, ივ. ლაღიძე, თ. ქანთარია, ღვინიაშვილი, წულუკიძე, რასაკვირველია, ეს ტრაღედია იყო ჩემთვის. ახმეტელისა და წულუკიძის უჭკუობამ, წინდაუხედაობამ, ახალგაზრდა მსახიობების უვიცობამ და გულუბრყვილობამ დაპატიმრებამდე მიიყვანეს ისინი და ბოლოს დაღუპვამდეც.

როგორ შეიძლება, ჩვენდამი სიძულვილმა ისე დაგაკარგვინოს კაცს გონება, რომ დაუმალავად ებრძოდე და აგინებდე მაშინ ყოვლის შემძლე ბერიას. ამუშავებდე ცკ-ის დადგენილებას და ნაციონალისტური და შოვინისტური იდეებით აქეზებდე მომხრეებს საბრძოლველად. ეტყობა, ახმეტელმა და წულუკიძემ სრულიად დაკარგეს გონება, დაავიწყდათ, რა სახელმწიფოში ცხოვრობენ, რა წყობილებას ეწინააღმდეგებიან და ისიც საშინელ 1937 წლის პერიოდში. რასაკვირველია, მათი დაპატიმრება ჩვენ დაგვბრალდა (ამას ავრცელებდნენ დაპატიმრებულთა ოჯახის წევრები). მე არ ვიცი სხვა და მე სრულიად არაფერი ვიცოდი ახმეტელის მიერ წამოწყებული „ბრძოლისა“ და ვცდილობდი, არ გავრეოდი ამ ბრძოლაში.

მეცოდებოდა ახმეტელი, რაც უნდა იყოს, ჩემი მეგობარი იყო კონფლიქტამდე. გული მტკიოდა მისი უჭკუო საქციელისა გამო და აღშფოთებული ვიყავ წულუკიძით, რომლის კარიერისტულმა მისწრაფებებმა საშინელ ტრაღედიაში ჩააგდო თვით ახმეტელიც და მისი მომხრეებიც. მინდოდა შველა, მაგრამ რა შველა შემეძლო, როდესაც მე თვით ბეწვზე ვეკიდე (ისევ ავრცელებდნენ ხმებს, რომ მე მენშევიკი ვარ - არასდროს არ ვყოფილვარ არცერთ პარტიაში), ტერორისტი ვარ, რეზიდენტი ვარ და, ვინ იცის, კიდევ რა. მე დღემდე გულისტკივილით ვიგონებ იმ დღეებს და ვერ შევრიგებულვარ იმას, რომ კარგმა ამხანაგმა, შესანიშნავმა შემოქმედმა - წულუკიძის ჭკუას აჰყვა და - გაიუბედურა თავისი თავიც და თავისი მომხრეებისაც. ასე იცის განდიდების მანიამ. ადამიანს თუ თავი მხრებზე არ აბია და მოვლენებში ვერ ერკვევა, თუ აჰყვა ავადმყოფური პატივმოყვარეობის და თავმოყვარეობის გრძნობებს, თუ დაუპირისპირა თავისი თავი გარემოს, ის უთუოდ ხრამში გადაიჩეხება.

გამომიძახეს ერთ დღეს ჩეკაში და მომცეს წინადადება, ჩემი ბიოგრაფია დამეწერა (მე მივხვდი, რომ ეს გამოწვეული იყო დაპატიმრებულების მიერ ჩემზე ნათქვამი ჩვენებით).

ვასაძე და აფხაიძეც გამოიძახეს და სთხოვეს დაეწერათ ყოველივე, რაც იცოდნენ ახმეტელის შესახებ. შეიძლება, სხვებიც გამოიძახეს, მაგრამ ამის შესახებ მე არ ვიცოდი რა.

დავწერე ჩემი ბიოგრაფია დაწყებული ბავშვობიდან. ჩემი ცხოვრების არა დამიმალავს რა. ბავშვობა, მოწაფეობა, სტუდენტობა, მენშევიკების პერიოდი, თბილისში გადმოსვლა, სახალხო სახლი, ფაღავას სტუდია, რუსთაველის თეატრში მუშაობა. ეტყობა, ჩემმა ბიოგრაფიამ ვერ დააკმაყოფილა ჩეკა. უნდოდათ, ახმეტელზე მეთქვა მეტი.

უნდოდათ, ახმეტელის პოლიტიკურ სახეზე მეთქვა.

მე ტყუილს ვერ ვიტყოდი და დავწერე, რომ არავითარი კონტრრევოლუციური და ანტისაბჭოური მასში არ შემინიშნავს, არც გამიგია, რომ რაიმე კავშირი ჰქონდა უცხოელ აგენტებთან (ეტყობა, უნდოდათ, ეს მეთქვა). ვთქვი, რომ დიდი რეჟისორია და კარგი საამხანაგო კაცი. არ შემინიშნავს, რომ ფარული კრებები იმართებოდა თეატრში მის კაბინეტში.

ეტყობა, ჩემმა ასეთმა დახასიათებამ ახმეტელისა ვერ დააკმაყოფილა ჩეკა და მოითხოვდნენ, კიდევ მეთქვა რაიმე, რაც მათ ესაჭიროებოდათ. ეს იყო მიზეზი, რომ მე თვით ბერიამ გამომიძახა შემდეგ ღამით. მე სრულიად დარწმუნებული ვიყავ, რომ დამაპატიმრებდნენ - ისეთი ხმები დაყარეს ჩემზე და თან ყველამ ვიცოდით, რომ ბერიას კაბინეტიდან გზა მხოლოდ ჩეკაში იყო. სახლში არა ვთქვი რა. გულში გამოვემშვიდობე ოჯახს, სახლ-კარს და წავედი.

კაბინეტში მარტო ბერია იყო, ოთახი ნახევრად განათებული იყო. ბერიას მდივანი მაშინ ი. თავაძე იყო. შევედი. არ მომესალმა, არც მიმიწვია დასაჯდომად. მაგიდის უჯრა გამოღებული ჰქონდა და შიგ რევოლვერი ჩანდა. „ ы все написали о себе?“ - მომმართა. „- се без утаики“, - ответил я. „- Ничего не скрыли от нас?“ ответил „- Написал все, что я достоверно знаю, а что не знаю, об этом не мог же писать“. „- ы знаете, что о ас пишут аши товарищи?“ „- Я не знаю, но я догадываюсь, что могли написать люди репресированные, желая меня погубить. - Не только репресированные, но и те, которые на свободе“.

დაკითხვა მიმდინარეობდა საშინელი ცივი ტონით, თითქოს ავაზაკი ვიდექი მის წინაშე. მე ვუპასუხე: „- К сожалению я не знаю, что они пишут обо мне, но смело заявляю, что никакой вины перед советской властью не чувствую, да и не перед вами, кто бы мог на меня жаловаться. მიპასუხა, - Наивный вы человек“.

გადავწყვიტე, რომ ასეთი საუბრის შემდეგ ჩემი გზა ჩეკასაკენ იყო. მესმის, მცოდნოდა, რა ბრალდებას და ვინ მიყენებდა, გავცემდი მაშინ პასუხს, მაგრამ რომ არა ვიცოდი რა. გადავავლე თვალი ჩემს ცხოვრებას და ვერაფერი ვნახე, რომ საბჭოთა ხელისუფლება ჩემზე გულმოსული ყოფილიყო მას შემდეგ, რაც დავდექით საბჭოთა პლატფორმაზე, რაც განვაცხადეთ, რომ ვიქნებით საბჭოთა ხელისუფლებასთან და ვიბრძოლებთ საბჭოთა თეატრის შექმნისათვის, გარდა ერთგულებისა, პარტიისა და ხელისუფლების მიმართ სხვა არაფერი იყო ჩემს გულში. მთელის არსებით მივენდე ხელისუფლებას და ყოველი ჩემი მოქმედება თეატრის ინტერესებით იყო გამოწვეული. არც არავინ დამიჩაგრავს, არც ვინმეზე მითქვამს ცუდი, რომ ზიანი მიმეყენებინა. სინდისი ჩემი წმინდა იყო. მაგრამ მაშინ მარტო ჩემისთანა უდანაშაულონი დაიღუპნენ. ბერიამ აიღო ტელეფონი და ვიღაცას დაურეკა და უთხრა: „Приходите сейчас же и принесите все дела Хорава“.

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***

## რედაქტორისაგან



ბედის ირონიაა, ალბათ!

წინა ნომერში წაიკითხავდით, რას წერდა ცხონებული აკაკი ხორავა ასევე ცხონებულ ვერიკო ანჯაფარიძეზე! იმასაც მიხვდებოდით, რომ მაინცდამაინც არ ეხატებოდა გულზე.

არადა, არსთა გამრიგემ მათ ნეშტებს ერთად, თითქმის გვერდიგვერდ მიუჩინა ადგილი... მთაწმინდაზე. ის კი არადა, ერთს ისეთი ბიუსტი დაუდგა, რომ მზერით გამუდმებით მეორეს უმზერს!

ბედის ირონიაა ყველაფერი!

# გაბრიელ გარსია მარკესი

# შევხვდებით

კუნძულზე 16 აგვისტოს, ორსაათიანი ბორნით დაბრუნდა. ეცვა კუბოკრული შოტლანდიური პერანგი, ჯინსები და უბრალო, დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი უწინდოდ. ხელში ატლასის მზის ქოლგა და ბარგიდან მხოლოდ პატარა, პლაჟის ჩანთა ეჭირა. გემბანზე, ტაქსების რიგში, პირდაპირ ძველი, სელისტრისგან დაჭმული მანქანისკენ გაეშურა. მძღოლი ძველი ნაცნობივით მიესალმა და მანქანა ჯანჯღარით დაიძრა ღარიბი, პალმისჭერიანი დაწნული სახლების გავლით, გავარვარებული ზღვის გასწვრივ მდებარე თეთრი ქვიშის ქუჩებისკენ.

ძალისხმევა დასჭირდა, გვერდი რომ აექცია თამამი ღორებისა და ტიტლიკანა ბავშვებისთვის, რომლებიც ტორეროების მოძრაობებით ახელებდნენ. დასახლების ბოლოს სამეფოპალმებიან პროსპექტს გაუყვა, სადაც ღია ზღვასა და ნაცრისფერი ყარყატებით დასახლებულ შიდა ტბას შორის პლაჟები და ტურისტული სასტუმროები იყო. მანქანა, როგორც იქნა, ძველი, უსახური სასტუმროს წინ გაჩერდა.

კონსიერჟი გასაღებით ხელში უცდიდა. მეორე სართულზე ეს ერთადერთი ოთახი იყო, რომლის ფანჯრებიც ტბას გადაჰყურებდა. ოთხი ნახტომით აიარა კიბე და ღარიბულ ოთახში შევიდა, სადაც მწერსაწინააღმდეგო ხსნარის მკვეთრი სუნი იდგა. ოთახი თითქმის მთლიანად ორადგილიან საწოლს ეკავა. პატარა ჩანთიდან გამოყვანილი ტყავის ნესესერი და სქელი წიგნი ამოიღო, რომელშიც სპილოს ძვლის სანიშნე იდო. ტუმბოზე დადო. ვარდისფერი აბრეშუმის ღამის პერანგი ბალიშის ქვეშ ამოდო, აბრეშუმის, ეკვატორული ჩიტებისგამოსახულებიანი თავსაფარი, მოკლესახელოებიანი თეთრი პერანგი და გვარიანად გაცვეთილი სპორტული ფეხსაცმელი კი ნესესერთან ერთად აბაზანაში შეიტანა.

სანამ თავს მოიწესრიგებდა, შოტლანდიური პერანგი გაიძრო. მოიხსნა საქორწინო ბეჭედი და კაცის საათი, რომელსაც მარჯვენა ხელზე ატარებდა. სახეზე წყალი შეისხა, გზის მტვერი რომ ჩამოერეცხა და ძილი გაეფრთხო. როდესაც გაიმშრალა, სარკეში, უკვე მესამე ასაკს მიმდგარმა, მიუხედავად ორი მშობიარობისა, მკვრივი, მრგვალი მკერდი აზიდა. თითის წვერებით ლოყები ყურებისკენ გადაიჭიმა, რათა დაენახა, როგორი იყო ახალგაზრდობაში და შეხედა საკუთარ ნიღაბს ვიწრო თვალებით, მიტკეპნილი ცხვირითა და სქელი ტუჩებით. ხელი გადაუსვა პირველ ნაოჭებს კისერზე, რომლებსაც საშველი არ ჰქონდა, და ბორანზე სადილის შემდეგ კარგად გახეხილი უზადო კბილები გამოაჩინა. ახლად გაპარსულ იღლიებში დეზოდორის ფლაკონი ამოისვა და სუფთა ბამბის პერანგი, ჯიბეზე ხელით ამოქარგული ინიციალებით AMB ჩაიცვა. ინდიელივით მხრებამდე გრძელი თმა ჯაგრისით დაივარცხნა და ჩიტებიანი ზონარით ცხენის კუდი შეიკრა. ბოლოს ვაზელინის უბრალო საცხით ტუჩები დაიზილა. საჩვენებელი თითები ენით დაისველა, გადაჭიმული წარბები რომ გაესწორებინა, მომწარო სუნამო ყურის ძირებში იპკურა და, როგორც იქნა, შემოდგომის დედის გადამწიფებული სახით სარკის წინ წარსდგა. კანი, კოსმეტიკის ყოველგვარი კვალის გარეშე, საკუთარი ფერით იცავდა თავს და პორტუგალიურ მუქ ქუთუთოებში ჩამჯდარ ტოპაზისფერ თვალებს ასაკი არ ჰქონდა. ყურადღებით დაითვალიერა თავი. მკაცრი მსაჯული იყო. თავი თითქმის ისეთივე ლამაზად მოეჩვენა, რამდენადაც კარგი შეგრძნება ჰქონდა. მხოლოდ მაშინ, როდესაც საქორწინო ბეჭედი და საათი გაიკეთა, მიხვდა, რომ დაუგვიანდა: ექვსს უკლდა ხუთი წუთი. მაგრამ მაინც აჩუქა თავს ნოსტალგიის წუთი, რათა ტბის გავარვარებულ ორთქლში უძრავად მონავარდე ნაცრისფერი ყარყატებით დამტკბარიყო. ზღვის მხრიდან წამოსულმა შავმა ღრუბლებმა გონივრულად ურჩიეს, ქოლგა წაეღო.

ტაქსი კარებთან, პლატანების ჩრდილქვეშ უცდიდა. პალმების პროსპექტით, გაჩირაღდნებული სასტუმროებისკენ გაეშურა, სადაც ღია ცისქვეშ ბაზარი იყო, და ყვავილების დახლთან გაჩერდა. ზორბა ზანგი ქალი, პლაჟის სკამზე რომ თვლემდა, შეშინებული წამოხტა, ავტომობილის უკანა სკამზე მჯდომი ქალი იცნო. მეყვავილემ სიცილითა და ლაყბობით გლადიოლუსების თაიგული გაუწოდა, დილითვე რომ შეუკვეთა. რამდენიმე კვარტლის შემდეგ ტაქსმა ძნელად გასავლელ ბილიკზე გადაუხვია, რომელიც ალესილ ქვათა ზოლს მიუყვებოდა. სიცხისგან გამოხშირულ ჰაერში ტურისტულ ნავსადგომში ჩამწკრივებული გასართობი ნავები, უკან მიმავალი ბორანი, ქალაქის ძველი პროფილი, ჰორიზონტის ნისლში ჩაძირული ღია კარიბის ზღვა იკვეთებოდა.

გორაკის წვერზე ღარიბთა ნაღვლიანი სასაფლაო იყო. ძალდაუტანებლად შეაღო დაჟანგული ჭიშკარი და თაიგულით ხელში საფლავებს შორის სარეველებში ჩაკარგულ ბილიკს გაუყვა, კუბოთა ნაგვითა და მზეზე გამომხმარ ძვალთა ნარჩენებით გავსილს. მიუსაფარ საფლაოზე, უზარმაზარტოტებიანი სეიბით ცენტრში, საფლავები ერთმანეთს ჰგავდა. ალესილი ქვები გადახურებულ კაუჩუკის ძირებსაც კი არ ეპუებოდნენ. მწველი მზე ქოლგის ატლასში აღწევდა. ბუჩქნარიდან ხვლიკი გამოძვრა, მეყსეულად შეჩერდა მის წინ, წამიერად მიაშტერდა და გაუჩინარდა.

უკვე სამი საფლავი ჰქონდა გაწმენდილი, როდესაც ქანცგაცლილმა და ოფლადგაღვრილმა ძლივს იცნო მოყვითალო მარმარილოს ქვა დედის სახელითა და გარდაცვალების თარიღით. ეს იყო ოცდაცხრა წლის წინ. ჩვეულებისამებრ, სახლის ახალ ამბებს ამცნობდა, უყვებოდა პირად საქმეებზე, რათა დედა გადაწყვეტილების მიღებაში დახმარებოდა: გათხოვილიყო თუ არა. სჯეროდა, რომ სიზმარში მიიღო პასუხი, რომელიც, მისი აზრით, უტყუარი და ბრძნული იყო. მსგავსი რამ მაშინ მოხდა, როდესაც მისი ვაჟი საგზაო შემთხვევის შემდეგ ორი კვირა სიკვდილსიცოცხლის ზღვარზე იყო. იმ განსხვავებით, რომ პასუხი არა სიზმარში, არამედ ერთ ქალთან შემთხვევით საუბარში მიიღო, რომელიც ბაზარში სრულიად უმიზეზოდ მივიდა მასთან. ცრუმორწმუნე არ იყო, მაგრამ სრულიად გააზრებულად სწამდა, რომ დედასთან სრულყოფილი იდენტიფიცირება სიკვდილის შემდეგაც გრძელდებოდა. ასე რომ, შეეკითხა წლის ავკარგიანობაზე, საფლავზე ყვავილები დააწყო და წამოვიდა რწმენით, რომ პასუხს ყველაზე მოულოდნელ დღეს მიიღებდა.

მოვალეობა შესრულებულია: ბოლო ოცდარვა წლის განმავლობაში ასრულებდა ამ მგზავრობას, ყოველ თექვსმეტ აგვისტოს, ერთსა და იმავე დროს, ერთი და იგივე სასტუმროს ერთი და იგივე ოთახში, იგივე ტაქსით და იგივე მეყვავილეთი, იგივე ღარიბთა სასაფლაოს ცეცხლოვანი მზის ქვეშ, იმისთვის, რომ დედის საფლავზე ცოცხალი გლადიოლუსების თაიგული დაედო. იმ წუთიდან კი მეორე დილის ცხრა საათამდე, უკან მიმავალი ბორნის გასვლამდე, საქმე აღარაფერი ჰქონდა.

ანა მაგდალენა ბახი ერქვა. დაბადებიდან ორმოცდათორმეტი შეუსრულდა. ხოლო იღბლიანი ქორწინებიდან მამაკაცზე, რომელსაც უყვარდა და რომელსაც ცოლად ჯერ კიდევ ქალწული ფილოლოგიის ფაკულტეტის დაუმთავრებლად გაჰყვა ისე, რომ წინა სასიყვარულო ისტორიებიც კი არ ჰქონია, - ოცდასამი. მამამისი მუსიკის მასწავლებელი იყო. ოთხმოცდაორი წლის ასაკში იგი კვლავ პროვინციული კონსერვატორიის დირექტორი იყო, დედამისი კი მონტესორული დაწყებითი სკოლის შესანიშნავი მასწავლებელი, რომელმაც, დამსახურებების მიუხედავად, ბოლო ამოსუნთქვამდე არ მოისურვა, ყოფილიყო ამაზე მეტი.

დედისგან ანა მაგდალენას მემკვიდრეობით ერგო ყვითელი თვალების ბრწყინვალება, ძუნწსიტყვაობის ღირსება და ჭკუა, რათა ტემპერამენტიანი ხასიათი დაეფარა. სურვილი, კუნძულზე დაეკრძალათ, დედამ სიკვდილამდე სამი დღით ადრე გამოთქვა. მაგდალენას თავიდანვე უნდოდა, წაჰყოლოდა მამას, მაგრამ არავინ მიიჩნია ეს მიზანშეწონილად, რადგან თავად მას არ სჯეროდა, რომ გაუმკლავდებოდა მწუხარებას. და მაინც, წლისთავზე მამამ წაიყვანა კუნძულზე, კუთვნილი მარმარილოს ქვა რომ აღემართათ საფლავზე. ოთხი საათის დაგვიანებით, ბორტს მიღმა მიმაგრებული მოტორიანი კანოეთი მოუსვენარ ზღვაში მგზავრობამ შეაშინა. ზედ გაუვალ სელვაზე აკრულმა ოქროსქვიშიანმა პლაჟებმა, შიგა ტბის თავზე ჩიტების გამაყრუებელმა ჟღურტულმა და ნაცრისფერი ყარყატების იდუმალმა კამარამ ქალი აღაფრთოვანა. სამაგიეროდ, სოფლის სიღატაკემ, სადაც ორ ქოქოსის პალმას შორის გაჭიმულ ჰამაკზე უნდა გაეთენებინათ ავდრიანი ღამე, და დინამიტის ნაადრევი აფეთქებით დასახიჩრებულმკლავებიან ზანგ მეთევზეთა რაოდენობამ დათრგუნა. და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, როდესაც სასოფლოს გორაკიდან ქვეყნიერების ბრწყინვალება დაინახა, იგი მიხვდა დედის სურვილს. სწორედ მაშინ გადაწყვიტა, რომ ყოველ წელს, სანამ ცოცხალი იქნებოდა, იქ ყვავილები მიეტანა.

აგვისტო წლის ყველაზე ცხელი თვე და თავსხმა წვიმების სეზონი იყო. მაგრამ მან ეს აღიქვა, როგორც თავისი პირადი ცხოვრების ვალდებულება, რომელიც აუცილებლად უნდა შეესრულებინა, თანაც მარტოს. ეს იყო ერთადერთი პირობა, რომელიც თავის კაცს დაქორწინებამდე წაუყენა, ხოლო მას კი ეყო ჭკუა, მიეღო ის, რაც მის ძალაუფლებას აღემატებოდა. ასე რომ, ანა მაგდალენა მოწმე იყო, თუ როგორ იზრდებოდნენ წლიდან წლამდე ტურისტული სასტუმროების კრისტალის ფერდობები, ინდიელთა კანოებიდან მან მოტორიან ნავებზე გადაინაცვლა, ხოლო ნავებიდან ბორანზე და ფიქრობდა, რომ არცთუ უსაფუძვლოდ მიაჩნდა თავი სოფლის უძველეს მკვიდრად.

იმ საღამოს, როდესაც სასტუმროში დაბრუნდა, მაქმანიანი საცვლის ამარა ლოგინზე გაიშოტა და მოგზაურობის დროს დაწყებული წიგნის კითხვა განაგრძო. ეს იყო ბრამ სტოკერის ორიგინალური „დრაკულა“. ყოველთვის კარგი მკითხველი იყო. ბეჯითად კითხულობდა იმას, რაც მოსწონდა - ნებისმიერი ჟანრის ნოველებს, როგორიც არის „ლასარილიო ტორმესელიდან“, „მოხუცი და ზღვა“, „უცხო“. ბოლო წლებში, უკვე ორმოცდაათს მიახლოებული თავიდან ბოლომდე გადაეშვა ფანტასტიკურ რომანებში.

„დრაკულამ“ თავიდანვე აღაფრთოვანა. მაგრამ იმ საღამოს უღრუბლო ცაზე ჩამოკიდებული ვენტილატორის გაბმულ ზუზუნს მინებდა და წიგნით მკერდზე ჩაეძინა. ორი საათის შემდეგ, ბინდში, ოფლადგაღვრილს, ყრუ შიმშილისგან, ცუდ გუნებაზე გაეღვიძა.

წლების რუტინაში ეს არ იყო გამონაკლისი. სასტუმროს ბარი ღამის ათ საათამდე ღია იყო და ჩასულა კიდეც, რომ შეეჭამა რამე. შეამჩნია, რომ ამ საათისთვის ჩვეულებრივზე მეტი კლიენტი იყო. ოფიციანტიც გამოცვლილი ეჩვენა. რომ არ შემცდარიყო, შეუკვეთა სენდვიჩი ძეხვითა და ყველით, შემწვარი პური და რძიანი ყავა. სანამ იცდიდა, ნახა, რომ გარს იგივე ასაკოვანი კლიენტები ეხვივნენ, რომლებიც იყვნენ მაშინაც, როდესაც სასტუმრო ერთადერთი იყო და ისეთივე მწირსახსრებიანი, როგორც თვითონ. მულატი გოგონა მოდურ ბოლეროებს მღეროდა და აკომპანირებას იგივე აგუსტინ რომერო, უკვე მოხუცი და ბრმა, უწევდა, ისევ შესანიშნავად და სიყვარულით და იმავე როიალზე, რომელიც სასტუმროს გახსნის დღესასწაულზე იყო.

მარტო ჭამდა და ამით დათრგუნვილმა ვახშამი სწრაფად მოათავა, მაგრამ მუსიკა, რბილი და ნაზი, ესიამოვნა. გოგონამ იცოდა, როგორ ემღერა. როდესაც გონს მოეგო, გაფანტულ მაგიდებზე სამიოდე წყვილიღა დარჩენილიყო. ზუსტად მის პირდაპირ იჯდა სხვებისგან გამორჩეული კაცი, რომლის შემოსვლაც ვერ შეამჩნია. ისე, როგორც მამამისის დროს, თეთრი ტილოს ტანსაცმელი ეცვა, მზზინვარე თმა და მუშკეტერის ბოლოებაპრეხილი ულვაში ჰქონდა. მაგიდაზე ბოთლი არაყი და ნახევარად დაცლი-




ქვირფასო თანამემამულენო!

TVISTOMI ASSOCIATION

გაიხსნა ახალი ქართული სამედიცინო ოფისი ბრუკლინში, სადაც ხორციელდება სრული სამედიცინო გამოკვლევა უახლესი აპარატურით!

გამოკვლევები ხორციელდება უახლესი დიაგნოსტიკური აპარატურითა და მეთოდებით, მაგნიტორეზონანსული, რადიოიზოტოპური და ულტრაბგერითი აპარატურის გამოყენებით, ამასთანავე ჩაგიტარებთ სისხლისა და შარდის სრულ ლაბორატორიულ ანალიზებს, კომპიუტერულ ტომოგრაფიას, უფასო მამოგრაფიას (მკერდის გამოკვლევა) ძვლების სიმყიფის განსაზღვრას.

სამედიცინო ჯგუფში გაერთიანებული არიან სხვადასხვა პროფილის მაღალკვალიფიცირებული ქართველი და ამერიკელი ექიმები რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობენ აშშ-ს სხვადასხვა კლინიკებში და დღეს თქვენს სამსახურში არიან! ჩვენი თანამემამულეთათვის ფასები მაქსიმალურად დაბალია. მათთვის, ვისაც სამედიცინო დაზღვევა არა აქვს, გამოკვლევები ჩაუტარდებათ 60-70 % -იანი ფასდაკლებით!!!

ჩვენი ფასები ყველაზე დაბალია!!!

718-263-5323 მიღება წინასწარი ჩაწერით

2 ვესტ ენდ ავენიუ, ბრუკლინი, მანჰეტენ ბიჩი (არხთან და ბრაიტონთან ახლოს), აპარტმენტი №3

ლი სირჩა ედგა. ამ სამყაროში მარტოდმარტო დარჩენილს ჰგავდა.

როიალზე ბოლეროსთვის შესაფერის რიტმში დებიუსის „მთვარის შუქი“ აჟღერდა. მულატმა გოგონამ სიყვარულით იმღერა. გულაჩუყებულმა ანა მაგდალენმა ჯინი მოითხოვა ყინულითა და სოდით, ერთადერთი ალკოჰოლი, რის უფლებასაც ხანდახან აძლევდა თავს. თანაც კარგად იტანდა. ისწავლა თუ როგორ დაეგემოვნებინა იგი მეუღლესთან მარტო ყოფნისას, მხიარულ მსმენელთან, რომელიც მას მოწიწებით და იდუმალი საყვარლის თანაზიარებით ექცეოდა.

სამყარო პირველი ყლუპისთანავე შეიცვალა. მუსიკისა და ალკოჰოლის საკრალურმა ნაზავმა თავი კარგად, ეშმაკუნად, მხიარულად, რისკიანად, გალამაზებულად აგრძნობინა. მოეჩვენა, რომ კაცი მოპირდაპირე მაგიდიდან არც კი უყურებდა, მაგრამ, როდესაც ჯინის პირველი ყლუპის შემდეგ მეორედ შეხედა, მისი მზერა დაიჭირა. კაცი დაიბნა, ქალმა, პირიქით, თვალი არ მოაცილა მანამ, სანამ მან ჯაჭვზე ჩამოკიდებულ საათს არ დახედა. შემდეგ მოუსვენრად შეინახა, კარს გახედა, მოუღუშულმა კიდევ ერთი ჭიქა დალია, რადგან უკვე აშკარად ხედავდა, რომ ქალი უმოწყალოდ აშტერდებოდა. მაშინ თვითონაც პირდაპირ მიაჩერდა. ქალმა დაუფარავად გაუღიმა და კაცი თავის ოდნავი დახრით მიესალმა. მაშინ ქალი ადგა, მის მაგიდასთან მივიდა და, კაცური პირდაპირობით მიიტანა იერიში.

- ერთ ჭიქაზე ხომ არ დამეწვევით? - კაცი გაწითლდა.

- პატივად ჩავთვლი, - თქვა.

- ჩემთვის სიამოვნებაც საკმარისი იქნებოდა. - უპასუხა ქალმა.

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ უკვე მაგიდასთან იჯდა. ჯერ მისი ჭიქა შეავსო, შემდეგ თავისი. ეს ისე ოსტატურად და დახვეწილად გააკეთა, რომ კაცმა ვერც კი მოასწრო ბოთლი გამოერთმია, რათა არ დაეშვა, რომ ქალს თვითონ დაესხა. - გაგიმარჯოთ, - თქვა ქალმა. კაცმა ჭიქა მიუჭახუნა და ორივემ ერთბაშად გადაკრა. კაცს სასმელი გადასცა, ერთიანად ხველა აუტყდა და ცრემლად დაიღვარა. სუფთა, ლავანდისსურნელიანი ცხვირსახოცი ამოიღო და

# ახალი თარგმანი

# აგვისტოში!






ცრემლებს მიღმა გახედა ქალს. ორივენი დიდხანს დუმდნენ, ვიდრე კაცი ცრემლებს ცხვირსახოცით მოიწმენდდა და სულს მოითქვამდა, ქალმა თავი შეკითხვით გამოააშკარავა:

- დარწმუნებული ხართ, რომ არავინ მოვა? - არა, - უპასუხა კაცმა ყოველგვარი ლოგიკის გარეშე. - საქმიანი შეხვედრა უნდა ყოფილიყო, მაგრამ უკვე აღარ მოვა. - მერე კი უთხრა კაცურად, ისე, რომ ქალს არ დაეჯერებინა: უკვე აღარაფრისთვის ვვარგივარ და ქალმა მისთვის უჩვეულო, მაგრამ კარგად გათვლილი გულგრილობით მოუჭრა:

- თქვენს სახლში. თავისი დახვეწილი ტაქტით მიჰყავდა მიზნისკენ. შეეცადა მისი ასაკის გამოცნობას და ერთი წლით მეტი მისცა: ორმოცდაექვსი. შეეცადა აქცენტის მიხედვით მისი სამშობლოს გამოცნობას, მაგრამ სამ ჯერზე ვერ გამოიცნო. შეეცადა პროფესიის გამოცნობას, მაგრამ კაცმა დაასწრო და უთხრა, რომ სამოქალაქო ინჟინერი იყო. ქალმა კი გაიფიქრა, რომ ეს ხრიკი იყო, რათა ის ჭეშმარიტებამდე არ მისულიყო.

დებიუსის საკრალური პიესის ბოლეროდ გადაქცევის სითამამეზე ისაუბრეს, მაგრამ კაცს ეს არ შეუმჩნევია. იგი მიხვდა, რომ ქალს უდავოდ გაეგებოდა მუსიკის და რომ თავად „ცისფერი დუნაის“ ვერ გასცდენოდა. ქალი მოუყვა, რომ „დრაკულას“ კითხულობდა, მას კი იგი მხოლოდ ადრე, საბავშვო ვერსიაში წაეკითხა და კვლავაც იმ შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდა, რომ გრაფი ლონდონში ძაღლად ქცეული ჩავიდა.

მეორე ყლუპთან ერთად ქალმა იგრძნო, რომ ჯინმა და არაყმა მისი გულის რაღაც ნაწილში შეაღწია. ძალისხმევა დასჭირდა, თავი რომ არ დაეკარგა. მუსიკა თერთმეტზე შეწყდა. ბარი იკეტებოდა. იმასღა უცდიდნენ, რომ ესენიც წასულიყვნენ.

ამ დროისთვის ქალი კაცს უკვე ისე იცნობდა, თითქოს დასაბამიდან მასთან ერთად ეცხოვრა. იცოდა, რომ ის იყო აკურატული, უზადო ჩაცმულობაში, ჩუმი, ფრჩხილების ბუნებრივი ფერის ლაქით დამძიმებული ხელებით. ქალმა დიდი ყვითელი თვალები თვალში გაუყარა. გააცნობიერა, რომ კაცი კარგი, ოღონდ მხდალი იყო. საკმარისი ძალა იგრძნო საკუთარ თავში იმ ნაბიჯის გადასადგმელად, რომელიც არც კი დაესიზმრებოდა. და მან გადადგა ეს ნაბიჯი ყოველგვარი იდუმალების გარეშე:

- ავიდეთ? - კაცმა ორაზროვნად უპასუხა: - აქ არ ვცხოვრობ. მაგრამ ქალმა სიტყვა არც კი დაამთავრებინა. ადგა, თავი ოდნავ გაიქნია, ალკოჰოლი რომ დაეძლია და გაბრწყინებული თვალები გაუნათდა. - ჯერ მე ავალ, სანამ თქვენ გადაიხდით, - უთხრა, - მეორე სართული, 203-ე ნომერი, კიბიდან მარჯვნივ, არ დააკაკუნოთ, მხოლოდ შემოაღეთ.

ოთახში ავიდა. მოუსვენრობის ის გრძნობა, რომელიც ქალწულობის ბოლო ღამის შემდეგ აღარ განუცდია, თან სდევდა. ჭერის ვენტილატორი ჩართო, მაგრამ არა შუქი. სიბნელეში შეუჩერებლივ იხდიდა და კარიდან აბაზანამდე ტანსაცმლის ნაკადს ტოვებდა. როდესაც ტრილიაჟის ლამპა აანთო, იძულებული გახდა, თვალები დაეხუჭა და ღრმად, ძალდატანებით ჩაესუნთქა, მღელვარება რომ დაეცხრო და მთრთოლვარე ხელები დაეოკებინა. სწრაფად დაიბანა: სარცხვენელი, იღლიები, ფეხსაცმლის კაუჩუკისგან დაბეჟილი ტერფები. ნაშუადღევის გაუსაძლისი სიცხის მიუხედავად, არ უფიქრია დაებანა დაძინებამდე. კბილების გახეხვას ვეღარ ასწრებდა და ენაზე კბილის პასტა დაიწვეთა. ტრილიაჟის მკრთალი შუქისგან ძლივს განათებულ ოთახში დაბრუნდა.

აღარ მოიცადა, სანამ სტუმარი კარს შემოაღებდა და, როდესაც მისი მოსვლა იგრძნო, შიგნიდან გაუღო. კაცი შეკრთა: „ღმერთო ჩემო!“ მაგრამ სიბნელეში ქალმა მეტი დრო აღარ მისცა. ენერგიული მოძრაობით სწრაფად გააძრო პიჯაკი, ჰალსტუხი, პერანგი და ყველაფერი მის ზურგს უკან დაყარა. სანამ ამას აკეთებდა, ჰაერი თანდათანობით ლავანდის მკვეთრი სუნით იჟღინთებოდა, კაცმა ჯერ სცადა, მიხმარებოდა, მაგრამ ქალმა თავისი გამბედაობითა და ძალაუფლებით არ დაანება. წელამდე გაშიშვლებული საწოლზე დასვა და ჩაიცუცქა, ფეხსაცმელები და წინდები რომ გაეძრო. ამასობაში კაცმა ქამრის ბალთა შეიხსნა. ასე რომ, ქალს მხოლოდ ხელის გაკვრაღა დასჭირდა, შარვალი რომ გაეძრო მისთვის. და არცერთი არ შეწუხებულა გასაღების, ბლუჯა ბანკნოტებისა და მონეტების ნაკადით, იატაკზე რომ დაიყარა. და ბოლოს ქალი კარლსონების ჩაძრობაში მიეხმარა და დაინახა, რომ ის, ისეთ კარგ ფორმაში არ იყო, როგორც მისი ქმრისა, ერთადერთი მამაკაცისა, რომელსაც იცნობდა, მაგრამ იყო მშვიდად აღმართული.

ქალმა არჩევანი არ დაუტოვა: შემოახტა და ბოლომდე შთანთქა. კაცზე არც უფიქრია, ვიდრე ორივენი, გათანგულნი, არ ჩაიძირნენ ოფლის ნაკადში. ქალი ისევ ზემოდან იყო და მარტოკა ებრძოდა სინდისის პირველ ქენჯნას ვენტილატორის ცხელი ნაკადისა და მხუთავი ხმაურის ქვეშ, ვიდრე არ მიხვდა, რომ კაცი, მისი სხეულის ქვეშ ჯვარცმასავით გადებული, ვერ სუნთქავდა. მაშინ გადმოვიდა და მის გვერდით პირაღმა გაიშოტა. კაცი უძრავად იყო, ვიდრე პირველ ამოსუნთქვასთან ერთად შეძლო, ეკითხა: - რატომ მე? - ძალიან მამაკაცური მეჩვენეთ, - უპასუხა ქალმა. - თქვენისთანა ქალისგან, - თქვა მან, - ეს პატივია. - აჰა, - გაიხუმრა ქალმა - განა ეს სიამოვნება არ იყო?

კაცმა ხმა არ გასცა და ორივენი ესვენენ ღამის ხმაურზე დამოკიდებულნი. ტბის ბინდში ოთახი დამაწყნარებელი იყო. სადღაც ახლოს ფრთების შრიალი გაისმა. კაცმა იკითხა: „რა არის ეს“? ქალი მას ყარყატის ღამისეულ ჩვენებაზე მოუყვა. ერთსაათიანი ბანალური ჩურჩულის შემდეგ ქალმა ძალიან ნელა, მკერდიდან მუცლის ქვემომდე, თითებით მისი შესწავლა დაიწყო. შემდეგ ტერფებით გამოიკვლია იგი ფეხების სიგრძეზე და ნახა, რომ მთლიანად ნაზი და ხვეული ბალნით იყო დაფარული, რამაც აპრილის ბალახი მოაგონა. შემდეგ ყურებსა და კისერზე ნაზი კოცნით მისი გაღიზიანება დაიწყო და პირველად აკოცეს ერთმანეთს ტუჩებში. მერე კი კაცმა, როგორც დახვეწილმა საყვარელმა, გაუმჟღავნა, რომ მან იგი სრულიად აუჩქარებლად, უმაღლეს დონემდე აღაგზნო. ქალს კი გაუკვირდა, რომ ასეთი პირველყოფილი ხელები შეიძლება ასეთი ნაზი ყოფილიყო. მაგრამ, როდესაც კაცი შეეცადა, მისიონერის ყაიდაზე დაუფლებოდა მას, ქალი შეეწინააღმდეგა, იმის შიშით, რომ „პირველად“ - ის სასწაული დაიმსხვრეოდა. და მაინც, კაცმა მტკიცედ გაიტანა თავისი. თავის ჭკუაზე და გემოზე ატარა და სიხარულიც მიანიჭა.

ორი საათი იქნებოდა, როდესაც ქალი ქუხილმა გამოაღვიძა. სახლის საყრდენი შეინძრა, ქარმა ფანჯრის საკეტი შეანგრია. სწრაფად დახურა იგი და მომდევნო ელვის წამიერ შუალედში აფხორილი ტბა, წვიმაში, ჰორიზონტზე - უკიდეგანო მთვარე და შტორმში მოფართხალე ნაცრისფერი ყარყატები დაინახა.

ლოგინისკენ რომ ბრუნდებოდა, ფეხები ორივეს ტანსაცმელში გაებლანდა. თავისი იატაკზე დატოვა, მერე აიღებდა. კაცის პიჯაკი კი სკამზე გადაკიდა, ზემოდან პერანგი და ჰალსტუხი დააწყო. ფრთხილად დაკეცა შარვალი, ხაზი რომ არ დაეკუჭა, და ზევიდან გასაღები, დასაკეცი ჯიბის დანა და ჯიბეებიდან გადმოცვენილი ფული დაადო. ქარიშხალმა ოთახში ჰაერი გაწმინდა, ასე რომ, გრძელი, იმდენად ნაზი აბრეშუმის პერანგი ჩაიცვა, რომ კანი აებურძგნა. კაცი, რომელსაც გვერდულად, მოკუნტულს ეძინა, უზარმაზარ ობლად მოეჩვენა და თანაგრძნობის ნიაღვარს ვერ გაუძლო. ზურგიდან მოუწვა, წელზე ხელი მოხვია და მისი ოფლად გაღვრილი სხეულის ამონიაკისებრი ანაორთქლი სულში ჩასწვდა. მის ამოსუნთქვას ალკოჰოლის მძიმე სუნი ამოჰყვა და ხვრინვა დაიწყო. ქალმა ძლივს ჩათვლიმა, მაგრამ ელექტროვენტილატორის სიჩუმემ გამოაღვიძა, შუქი ჩამქრალიყო და ოთახი ტბის მწვანე ნათებაში ჩაიძირა. კაცი გაბმული სტვენით ხვრინავდა. ქალმა სიცელქით თითის წვერებით ზურგზე დაკვრა დაუწყო. უცაბედი შეშინებული წამოხტომისას კაცმა ხვრინვა შეწყვიტა და მისმა ქანცგაცლილმა მხეცმა გამოცოცხლება დაიწყო. ქალმა იგი წუთით დატოვა. ერთბაშად გაიძრო ღამის პერანგი. მაგრამ, როდესაც კაცთან დაბრუნდა, მისი ოსტატობა ამაო აღმოჩნდა, რადგან დაინახა, რომ მან თავი მოიმძინარა: მესამეჯერ აღარ უნდოდა გარისკვა. ასე რომ, ქალმა ლოგინის კიდეზე გადაიწია, ისევ ჩაიცვა ღამის პერანგი და სამყაროსკენ ზურგშექცეულმა ღრმად ჩაიძინა.

ბუნებრივმა მაღვიძარამ ქალი გამთენიისას გამოაღვიძა. ცოტა ხანს თვალდახუჭული, ბურანში იწვა. ვერ გაებედა, მიეღო ტკივილი საფეთქლებში და სიმძიმე პირში. განგაშმა მოიცვა: რეალურ ცხოვრებაში რაღაც ამოუცნობი ელოდა. ვენტილატორის ხმაურით მიხვდა, რომ შუქი მოსულიყო და საძინებელი უკვე ტბის განთიადში მოჩანდა.

უცებ, სიკვდილის ელვასავით, სასტიკად შეეძრა სინდისი: ცხოვრებაში პირველად იმრუშა და ეძინა კაცთან, რომელიც მისი არ იყო. შეშინებულმა გახედა მხრის ზემოდან და... იგი იქ აღარ იწვა. არც აბაზანაში იყო. აანთო დიდი შუქი და დაინახა, რომ კაცის ტანსაცმელი გამქრალიყო. სამაგიეროდ, თავისი, იატაკზე რომ მიმოყარა, თითქმის სიყვარულით დაკეცილი ეწყო სკამზე.

იმ წუთამდე ვერც კი გააცნობიერა, რომ არაფერი იცოდა მასზე, სახელიც კი. ერთადერთი, რაც იმ გიჟური ღამიდან დარჩა, ლავანდის ნაზი სურნელი იყო შტორმით გაწმენდილ ჰაერში. მხოლოდ მაშინ, როდესაც ტუმბოდან წიგნი აიღო, რათა საკვოიაჟში ჩაედო, დაინახა, რომ საშინელებათა გვერდებს შორის კაცს ოცდოლარიანი ბანკნოტი დაეტოვებინა.

*ესპანურიდან თარგმნა*

**ელეონორა კუჭავამ**

გამომცემლობა „კურიერ-ლაიფი" თქვენს სამსახურში



# BARAMI AUTO SALE



## გთავაზობთ

- მანქანების ტრანსპორტირება შიგნით ამერიკაში და პორტამდე;
- ტრანსპორტირება ამერიკიდან საქართველოში (ფოთის პორტამდე);
- დახმარება მანქანების შეძენა-არჩევაში სადილერო აუქციონებზე (გარანტიით)



## დაგეხმარებით

- მანქანების ისტორიის შემოწმებაში;
- გავლილი მანძილის სიზუსტის დადგენაში;
- ნაავარიების დადგენაში;
- მონაცემები მოპოვებაში მფლობელებზე;
- დადგენაში, იყო თუ არა მოპარული?



## მომსახურება ყველაზე ხელსაყრელ ფასებში

## დაგვიკავშირდით

**201-333-7227**

www.carbycar.com
www.gezi.us






www.emoneytran.com

გააგზავნე ფული
საქართველოში
სახლიდან
გაუსვლელად და
ყველაზე იაფად



მაგალითისთვის: სად რა ღირს 300 დოლარის გაგზავნა

| | eMoneyTran | WesternUnion | MoneyGram |
|---|---|---|---|
| Cost | $17.00 | $39 | $25 |
| Delivery Time | Home Delivery | Instant | Instant |
| Exchange Rate | 42.84 | 42.45 | 42.21 |



კავკას ექსპრესი
201-333-7577

გაუგზავნე
მეგობარს
სიყვარული...

სარეკლამო უზრუნველყოფა:
www.gezi.us

## გაზეთ „მამულის“

# ქართული სტუდია

გთავაზობთ ქართულ ფილმებს სახლში მიღებით

- ☐ არაჩვეულებრივი გამოფენა
- ☐ ბელურების გადაფრენა
- ☐ სამოთხის ბვრიტები
- ☐ ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი
- ☐ დავით გურამიშვილი
- ☐ დღე უკანასკნელი დღე პირველი
- ☐ დათა თუთაშხია
- ☐ ბებერი მეზურნეები
- ☐ დიდოსტატის მარჯვენა
- ☐ ვერის უბნის მელოდიები
- ☐ თეთრი ბაირაღები
- ☐ კიდევ ერთი ქართ. ისტორია
- ☐ კეთილი ადამიანები
- ☐ გზა მშვიდობისა ჯაყო
- ☐ თოჯინები იცინიან
- ☐ კოჯრის ტყის სიზმრები
- ☐ იმერული ესკიზები
- ☐ მაცივარში ვილაც იჯდა
- ☐ მე, ბებია, ილიკო და ილარიონი
- ☐ მერცხლები და ბელურები
- ☐ ოცნებების სასაფლაო
- ☐ პირველი მერცხალი
- ☐ პილიგრამობა ევროპიდან იერუსალიმამდე
- ☐ რაც გინახავს ველარ ნახავ
- ☐ რაჭა ჩემი სიყვარული
- ☐ როცა აყვავდა ნუში
- ☐ სამანიშვილის დედინაცვალი
- ☐ სიყვარული ყველას უნდა
- ☐ საბუდარელი ჭაბუკი
- ☐ საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი
- ☐ ოთარაანთ ქვრივი
- ☐ პირველი სიყვარულის შვიდი ისტორია
- ☐ ხევსურული ბალადა
- ☐ წითელი პატეფონი
- ☐ ჩემი მეგობარი ნოდარი
- ☐ მარადისობის კანონი
- ☐ ქართული სამზარეულო
- ☐ ქართული მულტფილმები 1,2
- ☐ „არტ-იმედი“ კრებული
- ☐ აჭარა მიუზიკლ-ჰოლი
- ☐ თეიმურაზ წიკლაური
- ☐ დათო ხუჯაძე
- ☐ ივერიას იუბილე
- ☐ ივერია – ფიროსმანი
- ☐ იუმორინა 2004
- ☐ იუმორინა „ოქროს შემოდგომა“
- ☐ იუმორინა 2005
- ☐ ანსამბლი „კელაპტარი“
- ☐ ნანი ბრეგვაძის იუბილე
- ☐ ნატო გელაშვილი
- ☐ მღერის ნინო ქათამაძე
- ☐ ანსამბლი „რუსთავი“
- ☐ ვახტანგ ტატიშვილის იუბილე
- ☐ ქართული ვიდეო-კოქტეილი
- ☐ ქართული კლიპები
- ☐ ფრიდონ სულაბერიძე-60
- ☐ ჯემალ სეფიაშვილი
- ☐ საახალწლო ამბავი 2002
- ☐ აბეზარა
- ☐ ბაში-აჩუკი
- ☐ ფეოლა*
- ☐ ფესვები
- ☐ ჭრიჭინა
- ☐ არსენა
- ☐ თხუნელა
- ☐ კუკარაჩა
- ☐ ლაზარე
- ☐ ლაქა
- ☐ აღდგომა
- ☐ მამლუქი
- ☐ მანანა
- ☐ განაჩენი
- ☐ გარიგება
- ☐ ლოლიტა
- ☐ მიმინო
- ☐ ლონდრე
- ☐ ნერგები
- ☐ ნინო
- ☐ სერენადა*
- ☐ სპირალი
- ☐ ქაჯანა
- ☐ ქვევრი*
- ☐ რეკორდი*
- ☐ შნო*
- ☐ შერეკილები
- ☐ ფიროსმანი
- ☐ ჩარი-რამა
- ☐ მონანიება
- ☐ პასპორტი
- ☐ ჩვენი ეზო
- ☐ მოდი ნახე
- ☐ წიგნი ფიცისა
- ☐ მოკვეთილი
- ☐ ნატვრის ხე
- ☐ ნუცას სკოლა
- ☐ მაცი ხვიტია
- ☐ ხევისფერი გოჩა
- ☐ ხარება და გოგია
- ☐ წერილი ნაძვებს
- ☐ არსენას ლექსი
- ☐ ცისკრის ზარები
- ☐ ღიმილის ბიჭები
- ☐ ცეკვა ზღაპარში
- ☐ ჩაკლული სული
- ☐ უძინართა მზე
- ☐ ცისფერი მთები
- ☐ ქალაღდის ნავი
- ☐ ქეთო და კოტე
- ☐ ღვინის ქურდები*
- ☐ სხვისი შვილები
- ☐ მაია წყნეთელი
- ☐ აკაკის აკვანი
- ☐ გლადიატორი*
- ☐ მზე შემოდგომის
- ☐ ჯარისკაცის მამა
- ☐ კუჩხი ბედნიერი
- ☐ გლახის ნაამბობი
- ☐ კვალი ნათელი
- ☐ გიორგი სააკაძე
- ☐ უდიპლომო სასიძო
- ☐ მთვარის მოტაცება
- ☐ მხიარული რომანი

ფილმის ღირებულებაა 10$, ვარსკვლავით აღნიშნული მოკლემეტ-რაჟიანი ფილმის ღირებულება 5$, საფოსტო მომსახურეობა ნების-მიერი რაოდენობის შეკვეთაზე 4$, უნდა მონიშნოთ თქვენთვის სასურველი ფილმის უჯრედი, შეავსოთ ეს ანკეტა, ამოჭრათ, დაურ-თოთ ჩეკი ან მანი ორდერი IRINE MUMLADZE-ს სახელზე და გამოგზავნოთ შემდეგ მისამართზე:

____________________
(თქვენი სახელი და გვარი)

____________________
(სახლის ნომერი და ქუჩა, Apt N)

____________________
(ქალაქი, შტატი, Zip-კოდი)

____________________
(საკონტაქტო ტელეფონი)

**GEORGIAN Studio**
614 Lawler PL.
Phila, PA 19116

(267) **474-9273**

---

სურვილი მაქვს გამოვიწერო გაზეთის: **მამული**

- ☐ 12 ნომერი ღირებულებით 20 დოლარი
- ☐ 12 ნომერი ევროპაში 40 დოლარი

____________________
(სახელი და გვარი ბეჭდური ასოებით)

____________________
(ქუჩის დასახელება, აპარტამენტის N)

____________________
(ქალაქი ZIP-CODE და ტელეფონი)

ჩეკი ან მანი ორდერები **M. KATCHAKHIDZE** სახელზე გაფორმებული უნდა გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართზე: **P.O. BOX 13121, JERSEY CITY, NJ 07303**

მისამართის შეცვლის შემთხვევაში საჭიროა დაგვიკავშირდეთ რედაქციაში 1-609-517-2278 და გვაცნობოთ, რათა შევძლოთ თქვენი გაზეთის შეყოვნება ან გადამისამართება.

18

# ყურადღება!

ეს განცხადება განზრახულია მათთვის, ვისთვისაც საქართველო, მამულის სიყვარული და პატრიოტიზმი ლიტონი სიტყვები არაა, და ნოდარ დუმბაძის ცნობილი მოთხრობის გმირივით, „სამშობლო უფრო ღრმადაა, გულში!“

პირველად საქართველოს ისტორიაში უცხო ქვეყნის მიწაზე, უცხო ქვეყნის მთათა სისტემაში დაილაშქრება უსახელო მწვერვალი და სახელად ეწოდება „საქართველო“. დიახ, ასე სწამთ ქართველ მთამსვლელებს, ჯომოლუნგმას გმირს მერაბ ხემსიწვერიძეს, რომელსაც თქვენი შემწეობის იმედი აქვს იმ საშვილიშვილო და საამაყო საქმეში, რასაც ამერიკაში, კოლორადოს მთებში უსახელო მწვერვალის დალაშქვრა და „საქართველოს“ დარქმევა ჰქვია.

ექსპედიცია სექტემბერ-ოქტომბრის თვეში უნდა გაემგზავროს, მამა ალექსანდრეს ლოცვა-კურთხევით, რომელიც ოკეანედან 4300 მეტრის სიმაღლეზე აბრძანებს წმიდა ნინოს ქართულ ჯვარს, ახალი საქართველოს ულამაზეს დროშას, და ამერიკაში გამომავალ ქართულ გაზეთს - „მამულს“.

შემოწირულობები იკრიბება ბრუკლინში გახსნილ მოსამზადებელ შტაბში შემდეგ მისამართზე: ქართული პური, 265 Neptune ave, Brooklyn, NY (718)332-8082 შეიტანეთ თქვენი მამულიშვილური, თუნდაც მოკრძალებული წვლილი ამ ისტორიულ საქმეში!

**საინფორმაციო მხარდაჭერა გაზეთი „მამული“**

---

ვასწავლი გიტარაზე დაკვრას, ქართულ და რუსულ სიმღერებს (დამწყებთ და საწყისი ბაზისის მქონე ადამიანებს), 10 წლიანი პედაგოგიური სტაჟით, ბრუკლინში.
ინფორმაციისათვის: 347-432-8117



**გიწვევთ**

ერთდღიანი ექსკურსია ვაშინგტონში, 4-კაციანი ჯგუფისათვის 609-517 2278

გაზეთ „მამულის“ რედაქცია აცხადებს მოძიებას ამერიკაში მოღვაწე ქართველ ადვოკატებზე. დარეკეთ რედაქციაში, **609-517-2278**

**იყიდება** თბილისში, ამერიკული პროექტით მრავალსართულიანი სახლის მშენებლობა ამერიკაში მცხოვრები ქართველებისათვის. გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება, სახლის ჩაბარების შემდეგ მობინადრეებს არ ექნებათ გადასახდელი არანაირი მომსახურეობის გადასახადი, ე.წ. Association Fee, პირველადი შესატანი თანხის დაფარვის შემდეგ გადახდა ყოველგვარი საპროცენტო განაკვეთების გარეშე.
(267) 474-9273, (267) 474-9318

## მილოცვა

ჩემს ძვირფასს მეგობრებს, **ირინა მუმლაძესა** და **გიორგი მჭედლიშვილს** ვულოცავ შვილის, პატარა გიორგის დაბადებას. ვუსურვებ გაზრდილიყოს ჯანმრთელი და საამაყო ჩვენი ქვეყნისათვის.

**მანუჩარ კაჭახიძე**

## სამძიმარი

მარინა და გიორგი მაისურაძეები თანაუგრძნობენ ეთერი კურტანიძეს შვილის და დათო მჭედლიშვილს ძმის **ალექსანდრე კურტანიძის** გარდაცვალების გამო

## განცხადებები

მეტრო Bay Parkway-სთან ორსაწოლიან ბინაში ქირავდება ერთი ოთახი. ბინა ნახევარ ბლოკშია მეტროდან და ხელსაყრელია მიდგომის თვალსაზრისით. მსურველებმა დაგვიკავშირდით: 917-428-9308

ვეძებ პედაგოგს, რომელიც მომამზადებს ქიმიასა და ბიოლოგიაში. გთხოვთ დამიკავშირდეთ შემდეგ ნომერზე: 917-815-0656

ვამზადებ ინგლისურში ნებისმიერი ასაკისა და დონის მსურველებს. დარეკეთ: 718-784-1337

რეზო კლდიაშვილის ერთმოქმედებიან კომედიაში




რეჟისურა **ნუგზარ ბუცხრიკიძის**

მეორე განყოფილება – **იუმორისტული ნომრები და ქალაქური სიმღერები**

## ლინკოლნ ხაილის თეატრში

(2800 Ocean Parkway, Brooklyn)

**ბილეთის ფასი 40 დოლარი**

ინფორმაციისათვის დარეკეთ: **845-986-2638**

347-409-7612; 718-628-4608; 917-468-4718; 201-333-5555

ბილეთები იყიდება „კავკას ექსპრესის“ ფილიალებში და 2910 მერვე ბრაიტონსა და ნეპტუნ ავენიუს კუთხეში

This performance is made possible in part with public funds from the New York State Council on the Arts, a state agency

ყოველთა ქართველ ემიგრანტთა გაზეთი ამერიკიდან

მამული

ცეცხლს ქალაქზე თუ ფეხშიშველა არ გავალთ, რაა...

რედაქტორ-გამომცემელი მანუჩარ კაჭახიძე

EDITOR & PUBLISHER MANUCHAR KATCHAKHIDZE

Phone: 609-517-2278
mamuli@comcast.net

P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07109

ასავალ დასავალი

საქართველოში „მამულს“ წარმოადგენს საგამომცემლო სახლი „ასავალ-დასავალი“ ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით

კოსტავას 14, V სართული, თბილისი, 0108 ტელეფონი: 98–97–21

აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. ნებისმიერი კონტრმოტივაცია ძალაშია ნომრის გამოსვლიდან 7 დღის მანძილზე. მიიღება და რედაქციის საკუთრებაში რჩება მხოლოდ კომპაქტური კორესპონდენცია, რომლის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება. გაზეთიდან მასალის გადაბეჭდვა ნებადართულია მხოლოდ საქართველოს წარმომადგენლობის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში „მამულის“ მოხსენიების აუცილებელი პირობით.